კვირის პალიტრა

გზა

N12(197) 18/III.-24/III.2004.
ფასი 60 თ.

თემა — ნაადრევი ქორწინება ხიბლი და სიმწარე

„მაშინ ვიბრძენი სინდისის ქენჯნა...“

გზავნილები — ყველაზე ორიგინალური თაყვანისმცემელი

საკითხავი ქალებისთვის — რას გვირჩევს ახლა დიეტოლოგი

რა მოხდება აჭარაში

მარჩიელი — „სისხლი არ დაიღვრება, თუმცა...“

ხუთი მამაკაცის დიასახლისი

მინისტრი ქუჩაზე უარს ამბობს

№6(66) 18.III–31.III 2004

ოჯახის

მეუნიანური

ფასი 70 თეთრი

სამედიცინო ჟურნალი

მამაკაცთა უნაყოფობა

ალერგია

ვაშლი – გემრიელიც, სასარგებლოც

მოზარდი და ალკოჰოლიზმი

მთავარი თემა

ვიტამინები

ტრიქომონიაზი

შარდკენჭოვანი დაავადება

ვიზიტი ფთიზიატრთან

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

№12 (197)
18 - 24 მარტი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ“ ანუ წარმატებული „დვიქენიები“ 3
კონფლიქტი
კრიზისი აჭარაში – თავდაცვა აგრესიისგან თუ შეიარაღებული ამბოხი? 4
ერთი კითხვა 5
მარჩიელი
რა მოხდება აჭარაში – „სისხლი არ დაიღვრება, თუმცა...“ 8
აიწონა-დაიწონა
არჩევნების შედეგად, პარლამენტში ფორმალური ოპოზიცია გვეყოლება?.. 10
ეკონომიკა
პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირება არ სრულდება?! 11
მინისტრი
რამ შეიწირა თამარ ლებანიძის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი 12
კრიმინალი
● კრიმინალური პოლიციის უფროსმა, ბოროტმოქმედთა ნაცვლად, უდანაშაულო ადამიანებს გაუხსნა ცეცხლი 14
● რესტორან „ფიროსმანში“ ჩადენილ დანაშაულში ბრალდებულს დაგვარალებულები ხელს ვერ ადებენ 15
● მარიამობას, სადისტური მკვლელობის მსხვერპლი მოხუცი მენაყინე გახდა 16
საპატარძლო
„დიდი ხანია, ამ თვალებში არ ჩამიხედავს...“ 18
სასიძო
„ოთახიდან ოთახში ღიღინ-ღიღინით დავდივარ...“ 19
თემა
ნაადრევი ქორწინება 21
მუზეუმი
ლარი სიმდიდრესა და განძს ნიშნავს... 24
ნამდვილი ამბავი
ალიაქოთი ერთი კომპლიმენტის გამო 27
გზავნილები
„ხელში აყვავებული ატმის ხე ეჭირა“ 29
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 30

რა მოხდება აჭარაში? რა ელის აჭარის ლიდერს?

ეს კითხვები დღეს თითოეული ქართველის წინაშე დგას. მათზე პასუხის გაცემას ნათელმხილველი ნატაშა სკოროხოდოვა ცდილობს. „ასლან აბაშიძე შეყვარებულია. ის ენერგიის მოზღვავებას გრძნობს და სიცოცხლის წყურვილითაა შეპყრობილი. მაგრამ აქ არის ერთი უცნაური რამ...“

8

რამ შეიწირა თამარ ლებანიძის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი

ის ძალიან სიმპათიურია. ჩემს მეუღლეს ბავშვობიდან ვიცნობ. ზოგჯერ დედას ვეუბნები – მე მგონი, ორივე ერთად გაგიცანითმეთქი: როცა პატარა ვიყავი, მეჩვენებოდა, რომ ის ძალიან დიდი იყო – ჩემზე 13 წლითაა უფროსი.

12

ნაადრევი ქორწინება

ქართული სამართლის ძეგლებში მინიმალურ საქორწინო ასაკად ქალისთვის 12 წელი იყო დაწესებული. XIX საუკუნის 13 წლიდან, ხოლო ვაჟისა – 15 წლიდან... 1991 წელს, საქორწინო ასაკი 16 წლამდე შემცირდა. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, კვლავ 18-წლიან ზღურბლს დავუბრუნდით...

21

„ოთახიდან ოთახში ღიღინ-ღიღინით დავდივარ...“

ცოდვა გამხელილი ჯობს და მას შემდეგ, რაც ჩვენი „სასიძო-საპატარძლო“ ბევრმა ჯადოსნურ რუბრიკად ჩათვალა, ცნობილი ადამიანების ზარი გახშირდა: იქნებ, ბედი გამეხსნას, ჩემთან ინტერვიუ გააკეთეო, – მთხოვენ... ახლა კი, დღევანდელ „სასიძოს“ – მომღერალ გიგა მიქაბერიძეს წარმოგიდგენთ.

19

მსახიობი

ნინო ბურდულის ცხოვრების სასურველი წესი 32

ტაძარი

რატომ ვაკმევთ საკმეველს? 34

შთამომავლობა

ნუგზარ ბაგრატიონი – ქართველ გვირგვინოსანთა მემკვიდრე 35

თავკაცი

ბერნდ შტანგე – უბრალო მწვრთნელი თუ სადამის თანამგრძახველი 38

სპორტული მოზაიკა 39

რინგი 41

რომანი

რუსუდან ლებანიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ბომონდი 46

ავტო 48

მოგზაურის დღიურები

როცა ამერიკას კარგად არ იცნობ 49

ვარსკვლავი

ახალმა ვარსკვლავმა ჯეი ლო დაჩრდილა

საკითხავი ქალებისათვის 54

ჯანმრთელობა

- ცივი თითები 56
- ჭირვეულის მორჯულება 57
- მედიცინის სიახლეები 58

იუმორი 59

ჰოროსკოპი

კვირის (22-28 მარტი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

შოუბიზნესი

„ქუჩის ბიჭები“ ეგვიპტეში, ახალი სიტუაციაა „არტ-იმედში“ და ჭორები გურა ხაჩიძის შესახებ 62

ტესტი

- გიყვართ თუ არა სიცილი? 63
- რამდენად კარგად იცნობთ საკუთარ მეორე ნახევარს? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ნუგზარ ბაგრატიონი – ქართველ გვირგვინოსანთა მემკვიდრე

მამას, ფაქტობრივად, დახვრეტის მუხლი ჰქონდა, რამდენიმე თვე სიკვდილმისჯილთა საკანში იჯდა (სიკვდილისადმი ირონიული დამოკიდებულება მან მხ./ფ. „ლონდრეს“ გადასაღებ მოედანზე ასე გამოხატა...).

35

მოგზაურის დღიურები – ოჰ, მს ძუნწი მილიონერი...

მორიგ ავტოსადგომთან კი, საოცრება მოხდა. ჯეკმა თავად მითხრა, გავაჩეროთო და კაბინიდანაც პირველი ჩავიდა. უხვი საუზმეც შეუკვეთა და ჩემი ულუფის საფასურიც თავადვე გადაიხადა...

49

ახალმა მეგავარსკვლავმა ჯეი ლო დაჩრდილა

ბეიონსი ნოულმს მეგავარსკვლავის მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ჯერჯერობით მასზე წარმატებული მხოლოდ მადონაა. „ყოველთვის, როცა გაშიშვლებას მთავაზობენ, თითო-თითო დოლარს რომ მიხდიდნენ, უზრუნველი სიბერე უკვე გარანტირებული მექნებოდა“, – ამბობს მომღერალი.

52

თავისუფალი თემა

„მაშ ასე, პირველი: უნივერსიტეტში უპრობლემოდ აღგადგენ, მეორე: ჩემს ფრაქციაში მუშაობას დაგაწყებინებ და მესამე და მთავარი: მომავალი არჩევნებისთვის შენს თავს ჩვენი პარტიული სიის პირველ ათეულში გავაყვანინებ და პარლამენტარობაც გარანტირებული გექნება. მეტი რაღა გინდა?“

42

„აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ...“ ანუ წარმატებული „დვიჟენიები“

სულ ორი თვეა, რაც ხელისუფლება გავაახალგაზრდავეთ და „ბაბუს“ ნაცვლად „მამას“ გავიძახით, ტაშითა და დროშების ფრიალით. მაგრამ ქვეყნის აშენებისათვის მარტო ეს როდი კმარა? ვიღაცამ თუ არ გაგიცნო და არ დაგაფასა, ჩაიკეტე შენს ქვეყანაში და იძახე, რამდენიც გინდა, — მაგარი ვარო, ვინ დაგიჯერებს?!

სწორედ ამიტომ განიზრახა „მამაჩვენმა“, ჯუმბერ ლეჟავას მსგავსად, მსოფლიოს შემოვლა. ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ის ქვეყნიდან ქვეყანაში გადადიოდა, ეს კი ყოველი ვიზიტიდან უკან, სამშობლოში ბრუნდება და რამდენიმე დღეში სხვა ქვეყანაში მიფრინავს.

ამის გამოც აკრიტიკებს მავანი — ბევრ ფულს ხარჯავსო, — მაგრამ როგორც თვითონ განაცხადა, შეგნებულად, არ დაფრინავს პრეზიდენტის თვითმფრინავით, რეგულარული რეისებით დადის და ამით ათიათასობით დოლარს ზოგავს, რომ ამ ფასად რამდენიმე გაჭირვებულს მაინც ეშველოს. ჰოდა, რომ არ იფრინოს, ფულიც ხომ არ დაიზოგება?! თუ მართლა იმ გინესის რეკორდსმენივით, ველოსიპედით იაროს ვიზიტებზე?! უხერხულია, ბოლოს და ბოლოს!..

მე შენ გეტყვი და, ხელცარიელი ბრუნდება რომელიმე ვიზიტიდან: ან ნაღდი ფული მოაქვს, ან ისეთი ხელშეკრულება, წელში რომ გაგვმართავს: ვინ ქართულ ჯარს ეხმარება, ვინ — მედიცინას და ა.შ. მაგალითად, საფრანგეთიდან სიმამაცის ორდენი და დაშნა ჩამოიტანა. ახლა გენერალური პროკურორი გამოიძიებს და თუ ამ დაშნით რაიმე დანაშაული არაა ჩადენილი, მშრალ ხიდთან რომ ძველი ნივთების ბაზრობაა, იქ გაიტანენ გასაყიდად და 200 დოლარი მაინც შეემატება ბიუჯეტს. მეტი რა ქნას, გეკითხებით?!.

ჩემი პროვოკატორული დაკვირვებების წყალობით აღმოვაჩინე, რომ ამ ვიზიტების წარმატების საიდუმლო სამ რაღაცაშია: პირველი ის, რომ კაცი ლინგვისტია და სწორედ მასზეა შექმნილი სიმღერა „ყველა ჩიტის ენა მესმის, ვიცი, ქარი რასაც მღერის“... მეორე: მხოლოდ სომალის უნივერსიტეტის შიმშილის დაძლევის ფაკულტეტი და უგანდის სტომატოლოგიური კოლეჯი არა აქვს დამთავრებული, თორემ, 2-3 წელი ყველა ქვეყანაში აქვს ნასწავლი და ყველგან ღვიძლი შვილივით იღებენ; და მესამეც: ისეთი უნივერსალური სახელი ჰქვია, რომ ყველა ენაზე ითარგმნება: ამერიკაში მაიკლია, საფრანგეთში — მიშელი, იტალიაში — მიქელე. მალე ისრაელშიც გაემგზავრება, მოშეც გახდება და ა.შ...

მოკლედ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, „მამავ ბატონო“, თქვენს მოწინააღმდეგეებს. ილაპარაკონ, ნისკარტი მოუცვდებათ თუ რა?! მაგათ შურთ, რომ თვითონ სამტრედიას არ გასცილებიან, თქვენ კი გლობუსივით ატრიალებთ დედამიწას თითის წვერზე. უფრო მეტიც, გავკადნიერდები და რამდენიმე რჩევასაც შემოგბედავთ:

აუცილებელია ვიზიტი ჩინეთში, ნამდვილად არ იტყვიან უარს ჩვენი დამშეული ჯარისკაცების გამოკვებაზე. ქართულ ჯარს რომ წლიდან წლამდე ეყოფა, იმდენი საჭმელი მაგათ მილიონებიან ჯარს ქვაბების გამორეცხვისას ექცევა... მერე რა ქვეწარმავლების კონსერვები აქვთ! სულ აღარ მოგინდება ბორშჩი და „გრეჩიხა“...

ჩინეთის შემდეგ ინდოეთს უნდა ეწვიოთ. სიამოვნებით დაეხმარება კინოსტუდია „ქართულ ფილმს“. ჩვენ მაინც ვერ ვიღებთ ფილმებს და ისინი გვაჩუქებენ ვიდეოკასეტებს ორმაგი ეფექტით: ფილმიც რომაა და კონცერტიც.

რამდენიმე სპილოსაც თუ წამოიყვანთ, სოფლის მეურნეობასაც ვუშველით: შევაჯვარებთ ინდურ სპილოს მეგრული ჯიშის ძროხასთან და მივიღებთ ხორთუმიან ხბოს დიდი ჯიქნით. არც ხორცი მოგვაკლდება და არც სულგუნ-კარაქ-ხაჭო-არაჟანი...

და ბოლოს, ერთი თხოვნა მაქვს კიდევ: ვენესუელაში რომ მოხვდებით, „გვადელუპეს“ ბოლოს წინა სერია ვერ ვნახე თავის დროზე, შუქი გაითიშა და იქნებ, კასეტა მიშოვოთ!..

აბა, მწვანე შუქსა და ზურგის ქარს გისურვებთ!..

P.S. ჯორჯ ბუშის საყვარელი ძაღლის დაღუპვიდან „ორმოციც“ არ იყო გასული, ტონი ბლერს რომ კატა დაეღუპა. მოიწვია მთავრობის სხდომა და განაცხადა:

— სასწრაფოდ უნდა დავმარხოთ, თანაც — ჩუმად!

— რატომ, სერ?!

— სააკაშვილმა რომ გაიგოს, ჩამოვა, ერთი კვირა აღარ წავა და... შეიძლება, ფულიც მოგვთხოვოს!..

პროვოკატორი

ლელა ჭანკოტაძე

კრიზისი აჭარაში

თავდაცვა აგრესიისგან თუ შეიარაღებული ამბოხი?

ცენტრსა და რეგიონს შორის უკიდურესად გამწვავებული მდგომარეობის ორმხრივი კონსულტაციებით მოგვარება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. დაძაბულობა პიკს აღწევს. ახალი ხელისუფლების საშინაო პოლიტიკას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა, თუმცა მოწინააღმდეგეებიც საკმაოდ აქტიურობენ. რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით დაპირისპირებული მხარეები?

ელიზბარ ჯაველიძე:

– ვანო მერაბიშვილის კაბინეტში იგეგმებოდა ეს ყველაფერი, რაც დღეს აჭარაში ხდება. ახალი ხელისუფლება ცდილობს არა დაკარგული კუთხეების შემოერთებას, არამედ არსებული კუთხეების განდევნას საქართველოს სამართლებრივი სივრციდან. ჩემი ღრმა რწმენით ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები სიტყვით პატრიოტობენ, საქმით კი – არა. სხვა რამით ვერ ავხსნი საპარლამენტო არჩევნების წინ მდგომარეობის ასე გამწვავებას.

— ასლან აბაშიძეს, მისი ოპონენტები დიქტატორს უწოდებენ. თქვენ ვერ ამჩნევთ აჭარაში დიქტატურის ნიშნებს?

– ამოიჩემეს, თითქოს ასლან აბაშიძე დიქტატორი იყოს. ავიწყდებათ, რომ სამარცხვინო პარლამენტის მიერ სახელდახელოდ მიღებულმა საპარლამენტო ცვლილებებმა შექმნა დიქტატორის სახე. ეს დიქტატორი მიხეილ სააკაშვილი გახლავთ. თანამედროვე პოლიტიკაში ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის განადგურება თუ სურთ, მას დიქტატორს არქმევენ და რევოლუციას უწყობენ, თითქოს ამის შემდეგ დემოკრატია დამკვიდრდება, მაგრამ იუგოსლავიის მაგალითმა სხვა რამე აჩვენა. მილოშევიჩს დღესაც სასამართლოში აქვს საქმე, მაშინ, როდესაც მისი თანამოაზრეების რეიტინგი ისევ გაიზარდა. ასევე მოიქცნენ ერაყში. ხალხს თუ უყვარს და უნდა დიქტატორი, რატომ უნდა დაამყარო მათთან ძალით დემოკრატია?! რომ ამბობენ, ასლან აბაშიძე დიქტატორიაო, ის მართლაც, მკაცრი ადამიანია. აჭარაში კანონის დისციპლინაა. ბიუჯეტი თუ არ შესრულდება, ყველამ უნდა დატოვოს თანამდებობა. რა მოსატანია დიქტატურა, როცა მთელი აჭარა აყვავებულია?! მაშინ, როცა დანარჩენ საქართველოში ტყვიების ზუზუნი ისმოდა, აჭარაში კაპელა იქმნებოდა. ბავშვთა ოპერა შეიქმნა, რომლის ბადალი მსოფლიოში არ არის. ეს არის ევროპისკენ სწორი ნაბიჯებით სიარული. იქ ისევ იციან უფროსის პატივისცემა, იცავენ ტრადიციებს და ვამბობ, რომ ნამდვილი საქართველო არის აჭარა. თუ აქამდე, მემედ აბაშიძემ საქართველოს გადაურჩინა აჭარა, დღეს აჭარას შეუძლია, დანარჩენი საქართველო გადაარჩინოს. სწორედ ეს არ უნდათ ბერძენიშვილებსა და ბოკერიებს. გივი თარგამაძე ვის დასჯაზე საუბრობს? – მამა-შვილი დონაძეები ისე გალახა, სიკვდილის პირამდე მიიყვანა და ეს საქმე დღემდე არ დაიხურა.

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კულუარებში საუბრობდნენ, რომ რევოლუცია ბათუმშიც იფეთქებდა და ასლან აბაშიძე ედუარდ შევარდნაძის ბედს გაიზიარებდა. ცხადია, ეს ინფორმაცია ასლან აბაშიძესაც ექნებოდა...

– რევოლუცია და ხელისუფლების ცვლა თბილისში ნაწილობრივ განხორციელდა, რადგან ედუარდ შევარდნაძე დღესაც განაგებს ყველაფერს, რაც ხდება. ყოველდღე მის კაბინეტში თათბირობენ ხელისუფლების წარმომადგენლები. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ შევარდნაძემ თავისი მოღვაწეობით ხალხის სიძულვილი დაიმსახურა. ასლან აბაშიძემ კი – პირიქით. არ შეიძლება, ერთი მხარიდან მეორეში „შეიტანო“ რევოლუცია. რადგან „ვარდების რევოლუცია“ თბილისში მოხდა, ეს არ ნიშნავს, რომ იგივე მოხდება აჭარაშიც. აჭარაზე მშვიდი კუთხე მე არ მინახავს. ჭორი გაავრცელეს, თითქოს ასლან აბაშიძე ემიგრაციაში აპირებდა წასვლას.

— ასლან აბაშიძე ამ ნაბიჯზე არ წავა?

– მე ვიცი, რა საუბარი იყო ბატონ ასლანსა და მიხეილ სააკაშვილს შორის. სააკაშვილმა უთხრა: ჩვენ საჰაერო სივრცე ჩავკეტეთ და თუ ჩამოსვლას გადაწყვეტ, ჩამოვაგდებთ შენს თვითმფრინავსო. ასლან აბაშიძემ უპასუხა: ამა და ამ დროს მოვდივარ და თუ ვაჟკაცი ხარ, ჩამოაგდე თვითმფრინავიო. ბატონ ასლანს მოსკოვიდან გამოჰყვნენ „დუმის“ დეპუტატები და ცნობილი ჟურნალისტები. ცხადია, ეს სააკაშვილმა გაიგო. მიხვდა, თვითმფრინავის ჩამოგდებას ძალიან დიდი ხმაური მოჰყვებოდა, თორემ, მართლა შეიძლებოდა, რომ ჩამოეგდო... რა უნდა სააკაშვილს შეიარაღებული ხალხით აჭარაში?! თუ ვაჟკაცია, წესრიგი გაჩიანში დაამყაროს, სადაც ყველა მოსახლე ავტომატითაა შეიარაღებული ან წალკაში წავიდეს, სადაც

ქართველებს საღორეებში მიერეკებიან. ჩავიდეს ახალქალაქში, სადაც უნივერსიტეტის თავზე სომხური დროშა ფრიალებს. აჭარა ავტონომიური რესპუბლიკაა და ჯარიც უნდა ჰყავდეს.

— მაგრამ ვის ჰქონდა უფლება, პრეზიდენტისთვის აჭარაში შესვლის ნება არ მიეცა?

— პირველად რომ მივიდა, შეიარაღებული ხალხი ჩოლოქთან, მათ შორის პრეზიდენტი არ იყო. მან იცრუა. იქ მხოლოდ 500-მდე ადამიანი იმყოფებოდა „ბე-ტე-ერებითა“ და დიდძალი იარაღით. მათ აჭარაში შესვლა და ხელისუფლების დამხობა უნდოდათ. ცენტრალურ ხელისუფლებას არ ენაღვლება ადამიანების ბედი, თავიანთი სკამი და სავარძელი ურჩევნია ქვეყანას. მაგრამ თუ სისხლი დაიღვრება, პირველ რიგში, პრეზიდენტი უნდა გამოეთხოვოს თანამდებობას. ეს ალბათ, მის გარემოცვას უნდა და აქეზებენ... მაგრამ სისხლს მაინც ვერ დაღვრიან, რადგან ეს იქნება მათი ხელისუფლების დასასრული. ახლა საპარლამენტო არჩევნების ჩაშლა სურთ. თუ „ჩვენს აჭარას“ მაღალი რეიტინგი აქვს, რატომ მიდიან მინისტრები ბათუმში საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად?! ამით ხომ კანონს არღვევენ. საარჩევნო კანონით, თანამდებობის პირებს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ.

— ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ ასლან აბაშიძის გადადგომა, როგორ ფიქრობთ — ამით დაძაბულობა მოიხსნებოდა?

— ახალ ხელისუფლებას ბათუმის პორტი და რკინიგზა აინტერესებს. სოროსმა უზარმაზარი ფული ჩადო რევოლუციაში. ეს ფული ახლა უკან უნდა ამოიღოს. ამიტომაც გადაწყვიტეს ბათუმის პორტის ხელში ჩაგდება. ამას არ დაუშვებს ასლან აბაშიძე. ის კერკეტი კაკალია და ასე ადვილად მას ვერ გატეხენ.

კობა დავითაშვილი:

— ასლან აბაშიძე დიდი ხანია, რაც ქვეყნის მტერია. უნდა განხორციელდეს ასლან აბაშიძისა და მისი ბანდის დაკავების სპეცოპერაცია. ეს აქამდეც უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას საქართველოს მტრებისგან საქართველოს გათავისუფლების გეგმა შემუშავებული არა აქვს. არადა, ეს გეგმა უკვე დიდი ხანია, უნდა არსებობდეს.

— რა სახელი შეიძლება დავარქვათ იმას, რაც აჭარაში ხდება?

— ეს არის უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებზე, პოლიციელებსა და სამხედრო ძალებზე დაყრდნობილი, ასლან აბაშიძის მიერ ორგანიზებული შეიარაღებული ამბოხება. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 308-ე და 316-ე მუხლებით — სახელმწიფო ღალატი, ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა, სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება და კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა. მთავარსარდლის დაქვემდებარებიდან გამოვიდა 27-ე ბრიგადა, სასაზღვრო ჯარების ორი კატარღა. ამას სამხედრო ამბოხი ჰქვია. მოვითხოვ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ასლან აბაშიძის წინააღმდეგ და მასზე დევნის გამოცხადებას. ყოველდღე რომ რუსეთში დაბრძანდება, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს კაცი არის დამნაშავე და დასაკავებელია. ამის გარდა, აჭარაში უნდა გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა, რადგან აბაშიძემ და მისმა კრიმინალურმა ჯგუფმა მძევლად აიყვანეს მთელი აჭარის მოსახლეობა და ცემა-ტყეპას, დაშინებას, მოკვლის მუქარას აგრძელებენ. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს მძევლების გათავისუფლების ოპერაცია. ეს სახელმწიფოს მოვალეობაა.

— იქნებ, მოლაპარაკებებით გამხდარიყო შესაძლებელი კონფლიქტის მოგვარება?

— ამბოხება დაიწყო აბაშიძემ და არა სააკაშვილმა. ხელისუფლებაში იყო ზვიად გამსახურდია, ასლან აბაშიძე იყო მტერი. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროსაც, აბაშიძე მტრად დარჩა. ახლა პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილია და აბაშიძე ისევ მტერია. ის სახელმწიფო მოღალატეა და უნდა მოხდეს ამ კაცის, ასევე ყველა იმ ადამიანის დაპატიმრება, რომელიც მას ეხმარება. შიში და ყოყმანი ყველამ გვერდზე უნდა გადადოს, რადგან რაც დრო გავა, აბაშიძე გაზრდის ამბოხების მასშტაბებს. ის აქამდეც დროს იგებდა, პარალელურად კი, იარაღს არიგებდა. ძებნილებთან და კრიმინალებთან ერთადერთი მოლაპარაკება უნდა იყოს — როდის ჩააბარებენ იარაღს. სხვა თემაზე მათთან მოლაპარაკება ჩემთვის გაუგებარი და წარმოუდგენელია. არ მესმის, რაზე უნდა ჩატარდეს მშვიდობიანი მოლაპარაკება? საქართველოს ხელისუფლებას აბაშიძესთან ბოდიშის მოსახდელი და მისი მოსაფერებელი არაფერი აქვს. პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამოცხადებული გეგმა — პორტისა და აეროპორტის დახურვის შესახებ — შეიარაღებული ამბოხის პასუხად საკმარისი არ არის.

■

„აჭარის მოსახლეობა ხელფასებსა და პენსიებს ჩვეულ რეჟიმში მიიღებს“

— ბატონო ირაკლი, ბათუმში რეგისტრირებულ ყველა კომერციულ ბანკს ლიცენზია შეუჩერდა, მათ შორის „საქართველოს საზღვაო ბანკსაც“. ასეთ პირობებში აჭარაში ხელფასებისა და პენსიების დარიგება როგორ მოხერხდება?

ირაკლი მანაგაძე,

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი:

— პრეზიდენტის ბრძანებით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის საფუძველზე, ბათუმში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებს ლიცენზია შეუჩერდათ. ამ ეტაპზე აუცილებელია, აჭარის მოსახლეობისათვის პენსიებისა და ხელფასების დასარიგებლად თანხა თბილისიდან ფოთში გადაირიცხოს. თუმცა, როგორ მოხვდება ეს ფული აჭარის ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ განხილვის საგანია. აჭარულ პენსიონერებს თანხას ფოსტა ურიგებდა, რომელსაც ანგარიში „საზღვაო ბანკში“ ჰქონდა გახსნილი. ამ კომერციული ბანკის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ, ეს პროცესი სხვა მექანიზმით შეიცვლება. ვფიქრობ, აჭარის მოსახლეობას პენსიის მისაღებად ფოთში ჩასვლა არ მოუწევს. ეროვნული ბანკის საბჭოს გადაწყვეტილების მიზანი ის არის, რომ არ მოხდეს ფულის დატაცება აჭარის რეგიონიდან და ამავე დროს, არ შეექმნას საფრთხე იურიდიული და კერძო პირების ანგარიშებს ამ ბანკებში. რამდენ ხანს გასტანს სანქციის ვადა, ხელისუფლების გადასაწყვეტია. თუმცა, მოსახლეობა ამ პროცესით ნაკლებად დაზარალდება. პენსიებისა და ხელფასების გაცემასთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს.

■

„ხელისუფლების ქმედებები სახელმწიფოებრივი ცნობიერების გამტკიცებას ემსახურება“

— თავის დროზე, თქვენ ეწინააღმდეგებოდით გადაწყვეტილებას აფხაზეთში სამხედრო შენაერთების შესვლის შესახებ. დღეს რატომ მიგაჩნიათ გამართლებულად, აჭარაში შეიარაღებული ნაწილის შეყვანა?

ზვიად ძიძიგური, *„ერთიანი ძალთა გაერთიანების“ ლიდერი:*

— როცა სამხედრო საბჭომ აფხაზეთში შენაერთების შეყვანა გადაწყვიტა, მე ეს კატეგორიულად გავაპროტესტე, რადგან აფხაზეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი სეპარატისტულად იყო განწყობილი, წლების განმავლობაში იარაღდებოდა და საბრძოლველად ემზადებოდა. ხელისუფლებამ კი სწორედ მაშინ გადაწყვიტა, ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯარის შეყვანა, როცა შიდადაპირისპირებით დაღლილ ქვეყანას შედეგიანი მოქმედების უნარი არ ჰქონდა. აფხაზეთის დაკარგვა გარდაუვალი იყო. დღეს აფხაზეთისა და აჭარის პრობლემების ერთ ჭრილში განხილვა არასწორია. თუნდაც იმიტომ, რომ ამ ორი ავტონომიის მოსახლეობას შორის თვისებრივი სხვაობაა. აფხაზეთში მცხოვრები ადამიანების დიდი ნაწილი ეთნიკური აფხაზებისგან შედგებოდა, რომელთათვისაც საქართველოს მოქალაქეობაც კი შეურაცხმყოფელი იყო, მაშინ, როცა აჭარული სეპარატიზმი ბუნებაში არ არსებობს. პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლების ქმედებები სახელმწიფოებრივი ცნობიერების გამტკიცებას ემსახურება. სახელმწიფო კი, ძალის გარეშე არ არსებობს. როცა საქმე ტერიტორიულ მთლიანობას ეხება, რევერანსების დრო არ არის. ეს იქნება კონკრეტული კრიმინალების წინააღმდეგ მიმართული აქცია, მათ სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად უნდა მოეთხოვოთ პასუხი. ■

„აღიძრა საქმე კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის მუხლით“

— საქართველოს მთლიანობის დარღვევისა და კანონიერი ხელისუფლების დაუმორჩილებლობის მუხლით, გენერალურმა პროკურატურამ საქმე აღძრა რამდენიმე პირის მიმართ. გამორიცხული არ არის, რომ მხილებულთა შორის, ჯემალ გოგიტიძეც აღმოჩნდეს. როგორ აპირებს გენპროკურატურა, ავტონომიის მაღალჩინოსნების პასუხისგებაში მიცემას?

ირაკლი ოძრუაშვილი, *გენერალური პროკურორი:*

— პირველ რიგში, უნდა გაირკვეს შეიარაღებული ფორმირებების შექმნის საკითხი, რომელშიც ჩართულნი არიან აჭარის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელი პირები. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ადგილობრივი ხელისუფლება ამზადებდა სპეციალურ რაზმებს, რომლის წევრებიც კარგად არიან გაწვრთნილნი. ამ სპეცრაზმელების გაწვრთნაში მონაწილეობდნენ რუსეთის ცნობილი გენერლებიც. ეს არის, როგორც უშიშროების სამინისტროს, ასევე შსს-სა და უშუალოდ მეთაურის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური დანაყოფები, რომელთაც სათანადო შეიარაღება აქვთ. საქმე აღიძრა ჯემალ გოგიტიძის მოადგილის, დავით ბაკურიძის მიმართ, რომელიც არის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი ამ ბანდიტური ფორმირებებისა. დანაშაულის ჩადენაში ასევე მხილებულია უშიშროების მინისტრის მოადგილე გოგი კუპრეიშვილი და მისი შეფი სერგო გოგიტიძე. გამორიცხული არ არის, რომ ეს ჩამონათვალი, მოპოვებული დამატებითი მტკიცებულებების შედეგად გაიზარდოს. 14 მარტს მომხდარი ფაქტის გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, საქართველოს მთლიანობის დარღვევის, სამხედრო ტექნიკის უკანონო გადაადგილებისა და კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის მუხლით. გოგიტიძის ეჭვმიტანილად დაკითხვას, თუ მისი ბრალეულობა გამოიკვეთა, პარლამენტის მიერ იმუნიტეტის მოხსნის შემდეგ განვახორციელებთ. რაც შეეხება დამნაშავეთა დაპატიმრებას, მათზე გამოცხადება ძებნა და მათ დასაკავებლად კონკრეტული ღონისძიებები გატარდება. ქვეყანაში არსებობს იმის რესურსი, რომ კონსტიტუციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი კანონის შესაბამისად აღიკვეთოს. ■

„ეუთო არჩევნების ჩატარების იმედს არ კარგავს“

— თქვენ შეხვდით და ესაუბრეთ ასლან აბაშიძეს. რა პროგნოზი შეგიძლიათ გააკეთოთ აჭარაში არჩევნების ჩატარების შესაძლებლობის შესახებ?

სოლომონ პასი, *ეუთოს მისიის ხელმძღვანელი:*

— საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს დადებითად აფასებს. ეუთოს მისიის მიზანია, მომავალი საპარლამენტო არჩევნებიც მსგავსი წარმატებით ჩატარდეს. თუმცა, ავტონომიურ რესპუბლიკაში საკმაოდ რთული სიტუაცია დაგვხვდა. ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბულობა სახიფათო ფაზაში შედის, რაც არჩევნების ჩატარებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ეუთოს სახელით, ორივე მხარეს მოვუწოდე პოზიციების შერბილებისკენ. აბაშიძესთან საუბრის შემდეგ გამიჩნდა იმედი, რომ პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდება. ამის სურვილი ცენტრალურ ხელისუფლებაშიც იგრძნობა. რაც შეეხება 28 მარტის არჩევნებს — მისი ჩატარების გარანტიები საქართველოს პრეზიდენტისა და ასლან აბაშიძის შეხვედრის დროს უნდა განიხილონ. ამ ეტაპზე მთავარი, კონსტრუქციული დიალოგის გამართვაა. ეუთო იმედს არ კარგავს, რომ საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება და მასში აჭარის მოსახლეობაც მიიღებს მონაწილეობას. ■

„შეიარაღებულ დაპირისპირებებს გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება“

— როგორ ფიქრობთ — შესაძლებელია თუ არა, რომ კრიზისი შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდოს?

დავით გამყრელიძე, *„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:*

— ჩოლოქზე განლაგებულ სამხედროებს შორის ალბათ არიან ის ადამიანებიც, რომლებიც გულწრფელად უჭერენ მხარს ასლან აბაშიძეს. თბილისისა და ბათუმის მიერ ერთმანეთის მიმართ გაკეთებული განცხადებები გარკვეულწილად ხელს უწყობს მათ გააქტიურებას. საუბედუროდ, შეიარაღებული კონფლიქტისათვის მზადყოფნა რეგიონში უკვე შეინიშნება, რაც თავისთავად აჭარის ლიდერის ხელშეწყობით ხორციელდება. შეიარაღებულ პირებსაც ალბათ მისი მითითების საფუძველზე დაურიგდათ იარაღი და მათი ქმედებებიც აბაშიძის სურვილის ადეკვატურია. მთელი ამ დროის განმავლობაში, სიტუაციის ორმხრივად დაძაბვის მცდელობა შეინიშნებოდა. იყო გამოწვევა, როგორც ცენტრის, ასევე რეგიონის ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ ახლა ამის გარჩევის დრო არ არის. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს გონიერება, არ უნდა წამოეგოს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილ სერიოზულ პროვოკაციაზე, რომლის თანამონაწილე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური, ასლან აბაშიძეა. ავტონომიის ტერიტორიაზე საქართველოს პრეზიდენტის არშეშვებით დაირღვა კონსტიტუცია, მაგრამ ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებული დაპირისპირების კიდევ ერთხელ დაშვებას გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვება. რუსული მხარე მიზანმიმართულად მუშაობს საკუთარი სცენარის განსახორციელებლად. ხელისუფლებამ მის პროვოკაციას კეთილგონიერებით უნდა უპასუხოს. ■

„ეკონომიკური ბლოკადა ყოვლად გაუმართლებელია“

— ბატონო დემურ, პრეზიდენტის გადაწყვეტილების შედეგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ეკონომიკურ ბლოკადაშია მოქცეული. როგორ აისახება ეს რეგიონის მოსახლეობასა და მთლიანად ქვეყანაზე?

დემურ გიორხელიძე, *დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ბათუმის ნავსადგურისა და სარფის საბაჟოს ჩაკეტვა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენებს არა მარტო ქვეყნის ეკონომიკას, არამედ ჩვენს თანამოქალაქეებს. თავად ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტს საკუთარ ქვეყანაში შეუფერხებელი გადაადგილების უფლება არა აქვს, ყოვლად გაუმართლებელია. თუმცა მიმაჩნია, რომ ეს პოლიტიკური კრიზისია და პოლიტიკური გზითვე უნდა მოგვარდეს. ხელისუფლებას ამის ბერკეტები ნამდვილად აქვს და მოლაპარაკებების გზით ესკალაციის აღკვეთის შესაძლებლობებიც ბოლომდე უნდა გამოიყენონ. ეკონომიკური ბლოკადა ასეთ პირობებში ყოვლად გაუმართლებელია. საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება იმ საერთაშორისო და ტრანსნაციონალური კომპანიების წინაშე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გავლით ნავთობის გადაზიდვას აწარმოებენ. მათ ამ საქმიანობისთვის წინასწარ შედგენილი განრიგი აქვთ და ბლოკადის შესახებ მხოლოდ განმარტებები არ დააკმაყოფილებთ. გარდა ამისა, ეკონომიკურ ბლოკადას სხვა თანმდევი მოვლენებიც მოჰყვება: ისედაც მწირი კაპიტალდაბანდებების ფონზე, მოხდება გრძელვადიანი ინვესტიციების გაჩერება, რაც ქართულ ეკონომიკას დააზარალებს. ეკონომიკური ბლოკადით დაზარალდება მოსახლეობაც, ტვირთბრუნვის გაჩერება ფასების ზრდას გამოიწვევს, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ჩვენს მოქალაქეებს. ■

რა მოხდება აჭარაში – „სისხლი არ დაილვრება, თუმცა...“

როგორ განვითარდება მოვლენები აჭარაში? რა ბედი ეწევა აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს? ხომ არ არის მოსალოდნელი კონფლიქტის კიდევ უფრო გამწვავება და რა დათმობებზე წავა ცენტრალური ხელისუფლება? ეს კითხვები დღეს თითოეული ქართველის წინაშე დგას. მათზე პასუხის გაცემას ნათელმხილველი ნატაშა სკოროხოდოვა ცდილობს. მას ტრადიციისა და მისი მოთხოვნისამებრ, პოლიტიკოსთა სურათებით ვესტუმრეთ. როგორია სკოროხოდოვასეული პროგნოზი?

ლელა ჭანკოტაძე

— სიტუაციაში გასარკვევად, საუბარი დავიწყოთ ჩვენი პრეზიდენტისა და რეგიონის ხელმძღვანელის ფოტოსურათების შედარებით. მიხეილ სააკაშვილს ძალზე ძლიერი ენერგეტიკული ველი აქვს. ვინც არ უნდა თქვას — ის მასონთა ლოჟის წარმომადგენელია, შესაბამისად, მასონური მზერა აქვს და სხვა ადამიანებისგან იმართებაო, — დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ხალხმა სწორი ნაბიჯი გადადგა, როცა მას გაჰყვა. იმ პოლიტიკოსთა ფოტოებიდან, რომლებიც ჩემს სამუშაო მაგიდაზე ყოფილა, მიხეილ სააკაშვილს ყველაზე სუფთა აურა აქვს. ის არ არის გასვრილი და შესაბამისად, მისი აურა მწვანეა. იმავეს ვერ ვიტყვი ზურაბ ჟვანიაზე: მას ისეთი ეშმაკური ბუნება აქვს, რომ შეუძლია, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ასევე მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი საკუთარ ნებაზე ატრიალოს. მიხეილ სააკაშვილი კი, მხოლოდ იმას აკეთებს, რისი გაკეთების აუცილებლობაშიც დარწმუნებულია. თანაც, მხოლოდ მაშინ ხდება დაუნდობელი, როცა იცის, რომ სიმართლე 100%-ით მის მხარეზეა. ასე რომ, ის, რასაც დღეს ხელისუფლება აჭარის მიმართ აკეთებს, ჩვენი პრეზიდენტის აზრით, გარდაუვალი აუცილებლობითაა გამოწვეული. მოგეხსენებათ, როცა ადამიანი გრძნობს, რომ მართალია, ის უძლეველიც ხდება და სიმართლის დასამტკიცებლად შეუძლია, თავგანწირვით იბრძოლოს.

— ეი. მოსალოდნელი იყო მდგომარეობის ასეთი გამწვავება?

— როცა „ვარდების რევოლუცია“ მოხდა ან დაიგეგმა, იმ წუთიდან, ასლან აბაშიძის ბედიც გადაწყვეტილი იყო, რასაც, ცხადია, თავადაც აცნობიერებდა. თანაც, მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტების პირველ დღეებში, ასლან აბაშიძე აშკარად შეშინებული გახლდათ: მისი თვალები მეუბნებიან, რომ ის გაქცევაზე ფიქრობდა. მაგრამ მერე, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. მიზეზი ერთადერთი იყო: აბაშიძე დარწმუნდა, რომ სააკაშვილი სულაც არ არის ისეთი ძლიერი, როგორიც ეგონა. რამ მისცა ამის თქმის ან ფიქრის საფუძველი — არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შეცდა. ეს ძალიან მალე გამოჩნდება.

— გამოდის, რომ აბაშიძის ბედი გადაწყვეტილი ყოფილა...

— ასლან აბაშიძე რომ ემიგრაციაში წავა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მას უსაფრთხოების გარანტია რომ არ ჰქონდეს, არც დაბრუნდებოდა. იმ ადამიანების კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც მაშინაც კი იტოვებენ უკან დასახევ და გასაქცევ გზას, როცა საფრთხე არ ემუქრებათ. აბაშიძე ლხინშიც უბედურებას ეძებს და მოკეთეებშიც — მტერს. ეს არის ჯერ-ჯერობით, მისი უსაფრთხოების გარანტია.

— რა შეიცვალა აბაშიძის პიროვნებაში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ?

— ის ყოველთვის ფრთხილი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლებას ჩამოაცილეს, აღარავის ენდობა. მან უახლოესი გარემოცვაც კი „გაცხრილა“. ბევრი მოკეთე ჩამოიცილა, თანაც — უმნიშვნელო მიზეზის გამო. უკვე გითხარით, რომ ემიგრაციაში წასვლაზე ფიქრობდა. მაგრამ ახლა გადაწყვეტილი აქვს, ცენტრალურ ხელისუფლებას არ დაუთმოს და ფარული ომი, რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა, მოუგოს.

— რას განიცდის ამჟამად პრეზიდენტი? თუ აქვს ჩამოყალიბებული მოქმედების გეგმა?

— პრეზიდენტმა სააკაშვილმა რევოლუცია აჭარაში გაპრეზიდენტებამდე დაიწყო. ის უკან არ დაიხევს. ჟინიანი და შეუპოვარია. ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენს, რომ აბაშიძესთან ომში დამარცხდა.

— მაგრამ ამ „ომს“ შეიძლება, აჭარის დაკარგვა მოჰყვეს...

— აჭარა არავითარ შემთხვევაში არ დაიკარგება. ნებისმიერს, ვისაც ამის შიში აქვს, ვურჩევ, მშვიდად იყოს.

— რა გაძლევთ ამის მტკიცების საფუძველს?

— პრეზიდენტის პიროვნება. ის ისტორიაში შევა, როგორც საქართველოს გამაერთიანებელი. მისი პრეზიდენტობის პერიოდში, ერთი გოჯი მიწაც არ დაიკარგება.

— ასევე დაბეჯითებით თუ შეგიძლიათ თქვათ, რომ პრობლემა უსისხლოდ მოგვარდება?

— მიუხედავად იმისა, რომ მართლა მიჭირს დაბეჯითებით ამის თქმა, მინდა,



იმედი დავიტოვო, რომ სისხლი არ დაიღვრება. თუმცა, შეტაკება გარდაუვალია. ამწუთას, ორივე პოლიტიკოსი მზად არის, სისხლის ღვრის ფასად მოიპოვოს გამარჯვება. მაგრამ ბოლო წუთებში, მიხეილ სააკაშვილი თავის ხალხს გაუფრთხილდება. ის აჭარაშიც „ხავერდოვან რევოლუციას“ მოახდენს. დამიჯერეთ – ასლან აბაშიძეს ვარდებით „გააცილებენ“.

— სად წავა?

– ემიგრაცია არ ასცდება. დამიჯერეთ – ბატონი ასლანი საქართველოში აღარასდროს დაბრუნდება. ის წავა, თან წაიღებს დიდძალ ქონებას და ერთ, თეთრი პირისახის ქალთან ერთად დაიწყებს ცხოვრებას. აჭარა ყოველთვის საქართველოს შემადგენლობაში იქნება. ასლან აბაშიძის პოსტზე მიხეილ სააკაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი დაინიშნება. ეს არც დავით ბერძენიშვილი იქნება და არც ედვარდ სურმანიძე...

— ასლან აბაშიძის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობენ. თქვენს პროგნოზს თუ დავუჯერებთ, მას ციხე არ ემუქრება...

– არა. აბაშიძეს ბორკილებს ვერ დაადებენ. ის გაქცევას მოასწრებს. ძალაუფლების მოყვარული, მკაცრი და ზოგჯერ სასტიკი ადამიანია, მაგრამ მას ერთი დიდი კოზირი აქვს: ბათუმშიც და საზღვარგარეთაც ბევრი ადამიანის მოხიბვლა შეძლო. სწორედ ეს ადამიანები გადაარჩენენ ასლანს. ის ბათუმს ისევ თვითმფრინავით დატოვებს, მიუხედავად იმისა, რომ გავრცელდება ინფორმაცია, თითქოს გემით გააპარეს.

— რამდენად აცნობიერებს ცენტრალური ხელისუფლება შექმნილ მდგომარეობას?

– პრეზიდენტის გარემოცვიდან სულ რამდენიმე პოლიტიკოსია თვითდაჯერებული. მათ შორისაა დავით ბერძენიშვილი, რომელიც მედგრად დგას და გამარჯვებაში დარწმუნებულია. იგივე ითქმის ვანო მერაბიშვილზეც. გია ბარამიძე შინაგანად ამ კონფლიქტის წინააღმდეგია. ისეთი ძლიერი ადამიანი და კარგი ვაჟკაციც კი, როგორიც ზვიად ძიძიგურია, მოვლენების ასეთი დაძაბვის წინააღმდეგია. დღეს, პრეზიდენტის გარემოცვას სიმყარესა და სიმტკიცეს ისევ სააკაშვილის თავდაჯერებულობა აძლევს. საკმარისია, სააკაშვილს შეატყონ ორჭოფობა, რომ ის შემართება, რასაც ტელევიზიით ვხედავთ, თვალის დახამხამებაში გაქრება.

— როგორ განვითარდება მოვლენები და რამდენად სწრაფად მოხდება მდგომარეობის შეცვლა?

– გავიხსენოთ „ვარდების რევოლუციის“ სცენარი. მოვლენები ზუსტად ისეთი თანმიმდევრობით განვითარდება, ოღონდ, უფრო დაძაბული და სტრესული დღეები გველოდება. მიუხედავად იმისა, რომ ნინო ბურჯანაძის ბათუმში ვიზიტი პოზიტიური იქნება, ყველაფერი ისე სწრაფად არ დასრულდება, როგორც ჩვენ გვინდა. თანაც, რევოლუცია ბათუმში ჩვენს ეკონომიკას საგრძნობლად შეარყევს. ჩემი აზრით, ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონი შეიქმნება.

— თქვენ ამბობდით, რომ წლის ბოლოს, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავიბრუნებდით. მაგრამ ჯერჯერობით საამისოდ ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა.

– დარწმუნებული ვიყავი, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება მოხდებოდა ძალიან მალე. მეგონა, რომ მიხეილ სააკაშვილი სწორედ დაკარგული ტერიტორიების შემოერთებით აღნიშნავდა თავისი ხელისუფლების წლისთავს, მაგრამ მან სხვა პოლიტიკა აირჩია – საქართველოს იურისდიქციის განმტკიცება იმ ტერიტორიებზე გადაწყვეტა, რომლებზეც ფაქტობრივად, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება უძლური იყო. ამიტომ დაიწყო აჭარით. როგორც ჩანს, ჩვენი პრეზიდენტის მოქმედების პროგნოზირება ძნელია. თუმცა, დაბეჯითებით მინდა ვთქვა, რომ ის საქართველოს მთლიანობის აღდგენას შეძლებს. მიუხედავად უამრავი შეცდომისა, მისი პრეზიდენტობა მაინც წარმატებული აღმოჩნდება. მომავალ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილი ერთიან, ძლიერ სახელმწიფოს გადააბარებს, რადგან მან უკვე იცის, რომ ჩვენი მომავალი პრეზიდენტი, ქალი იქნება და შესაბამისად, ხმალამოწვდილს მონსტრებთან ბრძოლა გაუჭირდება...

— ამბობთ — ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება აჭარაში ყოველთვის კრახს განიცდიდაო; იქნებ, ამის მიზეზიც დაასახელოთ?

– მიზეზი ძალიან მარტივია: ედუარდ შევარდნაძე ყოველთვის ეშმაკი პოლიტიკოსი იყო და არა – ძლიერი. ამიტომ გაუჭირდა მას შებმა ასლან აბაშიძესთან, რომლის აურასაც დუღაბივით აქვს შემოვლებული „დამცავი სარტყელი“. ის მასონური ძალის პოლიტიკოსია. მას რომ ებრძოლო, ან მასზე ძლევამოსილი უნდა იყო, ან მასთან შედარებით ძალიან სუფთა და შეურყვნელი, როგორიც მიხეილ სააკაშვილია. ასლან აბაშიძესა და ედუარდ შევარდნაძეს არათანაბარი ძალები ჰქონდათ. ამიტომაც ახერხებდა რეგიონის ხელმძღვანელი ცენტრალურ ხელისუფლებაზე გამარჯვებას. თუკი ედუარდ შევარდნაძესთან პირისპირ დარჩებოდა, ნებისმიერ საკითხზე მისი დაყოლიება შეეძლო. თავის დროზე, ასლან აბაშიძე ზვიად გამსახურდიაზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა. ახლაც, გამარჯვების იმედი ამიტომაც აქვს ბატონ ასლანს. ის დარწმუნებულია, რომ მიხეილ სააკაშვილსაც მოერევა. ამწუთას, აბაშიძე შეშინებულიც კი არ არის. ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ის დამფრთხალია და ამიტომ, შეცდომას შეცდომაზე დაუშვებს. პირიქით, ვერც წარმოუდგენია, თუ მის ხელისუფლებას საფრთხე ემუქრება. თანაც, არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც: აბაშიძე ძალებს იკრებს. ენერგიის მოზღვავებას გრძნობს. არადა, მიხეილ სააკაშვილს სწორედ ენერგიის სიჭარბით შეუძლია მისი დამარცხება.

— რა არის აბაშიძის ასეთი გაძლიერების მიზეზი?

– მის ინტიმურ სამყაროს მინდა შევეხო. ასლან აბაშიძე შეყვარებულია. მისი გონება თეთრ, ფერხორციან ქალს დაუპყრია. ის ენერგიის მოზღვავებას გრძნობს და სიცოცხლის წყურვილითაა შეპყრობილი. მაგრამ აქ არის ერთი უცნაური რამ: პრეზიდენტი სააკაშვილიც ძლიერაა შეყვარებული (ამჯერად მეტს ვერ დავაკონკრეტებ). ამიტომ ძალები არა მარტო აბაშიძეს, არამედ სააკაშვილსაც ემატება. ის ადამიანები, რომლებიც თუნდაც უმნიშვნელოდ არიან ჩახედულები პარაფსიქოლოგიაში, მიხვდებიან, თუ რა ძალებზე ვსაუბრობ და თუ რამხელა კოსმოსურ ენერგიას ფლობს ეს ორი პოლიტიკოსი.

— თუ შეგიძლიათ, გიორგი აბაშიძის ფსიქოლოგიური პორტრეტიც დაგვიხატოთ?

– გიორგის სუფთა და ნათელი თვალები აქვს. კეთილი, გულღია, სათნო ადამიანია. მან ეს თვისებები მემკვიდრეობით დედისგან მიიღო. ის მამის ჩრდილშია მოქცეული. მთელ მის ცხოვრებას მამა განაგებს. არც ჰქონია საშუალება, ცხოვრების ის გზა აერჩია, რომელიც თავად სურდა. ასლან აბაშიძის შვილობა მისთვის პირად ტრაგედიად იქცა. მას შეეძლო, ბედნიერება სხვაგან ეძებნა, მაგრამ მამის გავლენის ქვეშ მოექცა. რამდენადაც უზრუნველი სიბერე ელოდება ასლან აბაშიძეს, იმდენად მძიმე და სირთულეებით სავსე იქნება გიორგის ცხოვრება. მეგობრების სული და გული, ერთგული და პატიოსანი ადამიანია. ის მამას ემიგრაციაში არ გაჰყვება.

■

არჩევნების შედეგად, პარლამენტში ფორმალური ოპოზიცია გვეყოლება?..

ლელა ჭანკოტაძე

ევროპის საბჭო ახალი ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვდა საპარლამენტო არჩევნებისთვის შვიდპროცენტიანი ბარიერის დაწევას. ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა და დამტკიცება საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივაა, მაგრამ 1999 წლის მოწვევის პარლამენტი, რომელმაც უკვე ამოწურა უფლებამოსილების ვადა, საგანგებო სესიაზე აღარ შეკრებილა. არადა, ხუთპროცენტიანი ბარიერის შემოღების გადასაწყვეტად, 156 პარლამენტარის ხმა იქნებოდა საკმარისი. რატომ დარჩა განუხორციელებელი ევროპის საბჭოსა და ოპოზიციის მოთხოვნა? რატომ აარიდა ხელისუფლებამ თავი ხუთპროცენტიანი ბარიერის შემოღებას?

მიხეილ ნანეიშვილი, *პოლიტოლოგი:*

— ვეღარ ავცდებით ერთპარტიულობას პარლამენტში, რაც ნორმალურ საზოგადოებაში სრულიად წარმოუდგენელია. საქართველო ამჟამად დისკრედიტირებულია. თუ გვაქებენ, ეს ქება იმას ჰგავს, რომელსაც გონებაშეზღუდულ ბავშვებს ეუბნებიან — მოფერებისას თავზე ხელს რომ გადაუსვამენ — აქაოდა, ძალიან ჰუმანურები ვართო. სწორედ ასე გვექცევა მსოფლიოს ძლიერი და გავლენიანი პოლიტიკური სპექტრი. ამის ლოგიკური შედეგი იქნება ის, რომ მივიღებთ ერთპარტიულ პარლამენტს. ვფიქრობ, რომ ამერიკელები რევოლუციის დროს, მართლა გვიჭერდნენ მხარს, მაგრამ მწარედ შეცდნენ, რადგან საპრეზიდენტო არჩევნები გახლდათ ყველაზე ყალბი არჩევნები, რაც კი ოდესმე ჩატარებულა საქართველოში და რისი ლოგიკური გაგრძელებაც იქნება საპარლამენტო არჩევნები.

— ეი. ერთპარტიულ პარლამენტს ვერ ავცდებით?

— სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი ბარიერია დაწესებული. ჩვენ დასავლეთისგან უნდა ვისწავლოთ მისი განსაზღვრის მეთოდები და არა ამ მეთოდების შედეგები. მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის კარგი იქნებოდა, უფრო ჰუმანური არჩევნები: თუ პარტია ერთი დეპუტატის გასაყვანად საჭირო ხმას დააგროვებდა, ის პარლამენტში უნდა მოხვედრილიყო. ჩვენთვის მრავალპარტიულობა აუცილებელია. ჭორად შეიძლება მოგეჩვენოთ ის, რასაც გეტყვით და რაც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აუცილებლად დადასტურდება: ამჟამად მიმდინარეობს გაფთრებული ბრძოლა ახალ ხელისუფლებასა და ე.წ. ოპოზიციას შორის მოლაპარაკების დასაწყებად, რომლის შემდეგაც მივიღებთ ფორმალურ ოპოზიციას; ახალი ხელისუფლება აცხადებს კონკურსს ისეთ პარტიებზე, რომლებიც ასეთ მოლაპარაკებებზე წავლენ... ასე რომ, პარლამენტი ნომინალურად შეიძლება არ იყოს ერთპარტიული, მაგრამ არსებითად ერთპარტიული იქნება.

რამაზ კლიმიაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— ევროსაბჭოს უმთავრესი რეკომენდაცია, 5%-იანი ბარიერის შემოღება იყო, რაზეც ხელისუფლებამ ქმედითი ღონისძიებების გატარებისგან თავი შეიკავა. არც ერთს — არც ზურაბ ჟვანიას და არც ნინო ბურჯანაძეს ამასთან დაკავშირებით თავისი გამოკვეთილი პოზიცია არ დაუფიქსირებია. ცხადია, არც პრეზიდენტს. შედეგად ერთპარტიულ, საბჭოთა საქართველოს დროინდელ პარლამენტს მივიღებთ, რასაც ევროპელი ექსპერტები უკვე გრძნობენ და რაზეც მიუთითებს მათი გახშირებული სტუმრობა საქართველოში... გარდა ამისა, საპარლამენტო არჩევნების 28 მარტს ჩატარებაც ნაადრევად მიმაჩნია.

გუგაზ სანიკიძე, *„ედ-ტრადიციონალისტი“:*

— ევროსაბჭოს რეკომენდაციებისა და ოპოზიციის მოთხოვნების შესრულება შესაძლებელია, თუ ხელისუფლება პოლიტიკურ ნებას გამოიჩენს. მაგრამ ხელისუფლებას არ სურს ამის გაკეთება, რადგან ეს შეცვლის საარჩევნო ადმინისტრაციებში არსებულ არათანაბარ პოზიციებს. ამიტომაც მოუწია ჩვენს ხელისუფლებას მათიას იორშის საყვედურების მოსმენა. ამის შედეგად მივიღებთ იმას, რომ ახალ პარლამენტში ოპოზიცია არ იქნება წარმოდგენილი და გვეყოლება იმაზე უარესი საკანონმდებლო ორგანო, ვიდრე აქამდე გვყავდა. ასე რომ, ცხადია, თუ ხელისუფლებას რატომ და როგორ სურს ერთპიროვნული მმართველობის დამყარება და ერთპარტიული პარლამენტის შექმნა. ახალი ხელისუფლების მიზანია, პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა, რათა შემდეგ დანაწევრდეს და საკუთარი „ოპოზიცია“ ჩამოაყალიბოს.

ელენე თევდორაძე, *„ნაციონალური მოძრაობა—დემოკრატები“:*

— ცოტა ხნის წინ გაიმართა ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომა. თავმჯდომარემ ერთი საათის შემდეგ დატოვა სხდომა, ამიტომ მე მომიხდა სხდომის წაყვანა, როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს. მე იქ ვთქვი — 7%-იანი ბარიერისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში ახლა აქტუალური არ არის, ამიტომ არ ღირს სხდომაზე საქართველოს საკითხის გამოტანა-მეთქი. მაგრამ შემდეგ, მქონდა საუბრები ევროსაბჭოს მომხსენებლებთან. უნდა გითხრათ, რომ არ არიან კმაყოფილები, რადგან მიაჩნიათ, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ევროსაბჭოს რეკომენდაციები არ შეასრულა.

— რატომ?

— ვფიქრობ, რომ ეს იყო რეკომენდაციები და არა საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები; ვალდებულებები, ცხადია, აუცილებლად უნდა შესრულდეს. მე ისინი დავარწმუნე, რომ ეს თემა აქტუალური მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუ ევროსაბჭოს სერიოზული პრეტენზიები გაუჩნდება 28 მარტის არჩევნების მიმართ. პრეტენზიები კი, მაშინ შეიძლება გაუჩნდეთ, თუ ოპოზიციური პარტიები პარლამენტში ვერ მოხვდებიან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბარიერის დაწევის ინიციატივა თვით ოპოზიციური პარტიებიდან არ მოდიოდა. ეს საკითხი ევროსაბჭოს წევრებმა რომ დასვეს, ოპოზიციამ მხოლოდ მაშინ თქვა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ბარიერი 5%-მდე შემცირდებოდა. ეს ცვლილება საკონსტიტუციოა და სათანადო პროცედურის გარეშე მისი მიღება არ მოხდება. როცა პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს განიხილავდა, არც ერთ დეპუტატს არ გაუჩნდა სურვილი, დაესვა ბარიერის დაწევის საკითხი. ■

პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირება არ სრულდება?!

როდის განხორციელდება ცვლილებები საგადასახადო სისტემაში

აჭარაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ყველა სხვა პრობლემა ჩრდილში მოექცა. არადა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას — საგადასახადო სისტემის რეფორმირებას — აქტუალობა არ დაუკარგავს. როგორც ცნობილია, ხელისუფლების შესაბამისი რგოლები ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობენ და ჩვენც, ამ სფეროსთან თავისი საქმიანობით დაკავშირებული რამდენიმე პირის პოზიციაში გარკვევას შევეცადეთ.

ემა ტუხიაშვილი

ნოდარ ხადური, *ფინანსთა მინისტრის მოადგილე:*

— ჩვენი მთავარი მიზანია, რომ საგადასახადო კოდექსი გამარტივდეს, რათა მისი გაგება შეეძლოს ნებისმიერ მოქალაქეს და არ იწვევდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციის საფუძველს. სავარაუდოდ, ზაფხულისთვის, საზოგადოებას საშუალება ექნება, გაეცნოს ახალ საგადასახადო კოდექსს. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების ფომულირების ახალი ვარიანტები კი უკვე შედგენილია და მას ექსპერტები განიხილავენ.

— შემცირდება თუ არა გადასახადები და განაკვეთები?

— გადასახადები ნამდვილად შემცირდება, ხოლო განაკვეთებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია. შესაძლოა, რომ გადასახადების გარკვეულ სახეობებზე არსებული განაკვეთები შემცირდეს, მაგრამ ზოგიერთ გადასახადზე — პირიქით, გაიზარდოს. ყოველივე ამას ფისკალური გაანგარიშება სჭირდება.

— ხომ არ ითვალისწინებს ახალი საგადასახადო კოდექსი, ეკონომიკის პრიორიტეტული დარგებისთვის შეღავათების დაწესებას?

— შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად არ იბეგრება. საერთოდ კი, მოქმედი საგადასახადო კოდექსი საკმაოდ ბევრ შეღავათს ითვალისწინებს. ამდენად, არა მგონია, რომ კონკრეტულად რომელიმე დარგის მიმართ რაიმე რევოლუციური ცვლილება განხორციელდეს.

ნინო მამუკელაშვილი, *ასოციაცია „კომერსანტის“ და შპს „ლაღიძის“ ხელძღვანელი:*

— საერთოდ მიმაჩნია, რომ საგადასახადო კოდექსი თავიდან უნდა დაიწეროს, გასაგებ ენაზე და ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩვენთან მოსული, საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელი კანონის ერთი ფორმულირებით ხელმძღვანელობდა და ამავე დროს, ჩვენ, იმავე კანონის მიხედვით, მისი საპირისპირო ინტერპრეტაციის საფუძველი გვქონდა... თუმცა, დაგეგმილ ცვლილებებს წინ უნდა უძღოდეს საგადასახადო სამსახურების თანამშრომლებისთვის შრომის ანაზღაურების გაზრდა. როდესაც მებაჟეს 150 ლარი აქვს ხელფასი და ამ თანხის ნახევარი სამსახურში — საბაჟო პუნქტამდე მისასვლელ საწვავში ეხარჯება, რასაკვირველია, ის ქრთამს აიღებს. არალეგალურად შემოსული საქონელი კი, ქართველ მეწარმეს საკმაოდ დიდ პრობლემებს უქმნიდა, რადგან მის მიერ წარმოებული პროდუქცია ვერ უწევდა კონკურენციას დარღვევით შემოსულ იმპორტულ პროდუქციას.

— ეი. თქვენი აზრით, გადასახადებისა და განაკვეთების შემცირება სასიკეთოდ იმოქმედებს, ვთქვათ, თქვენ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე?

— ჭკვიანი ბიზნესმენი ყოველთვის ცდილობს, მიაღწიოს საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, ეს კი ფასის შემცირებასა და ბრუნვის შედეგად მოგების მიღებას ითვალისწინებს. ვფიქრობ, რომ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები აუცილებლად აისახება ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ფასებზე — კერძოდ, პროდუქციის გაიაფებას გამოიწვევს. შესაბამისად, საბაჟო გადასახადის შემცირება იმპორტირებული ნაწარმის ფასებსაც შეამცირებს.

იური ჩიხრაძე, *პარლამენტარი („ახალი მემარჯვენეები“):*

— მოქმედ კოდექსში ბევრი ისეთი გადასახადია, რომელიც უეჭველად უნდა გაუქმდეს. ერთ მაგალითს დავასახელებ: ჩვენი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს ავტომობილების რეგისტრაციის გადასახადს, რომელიც კომუნისტური წყობის გადმონაშთია და ახლა, სანოტარო გადასახადი უწოდეს... აუცილებელია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ფედერალური და ადგილობრივი გადასახადები. გადასახადების სახეობათა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თერთმეტს და ნახევარი აქედან ფედერალურ ბიუჯეტში უნდა მიდიოდეს, რათა ხელისუფლებამ მოახერხოს საკუთარი პროგრამების დაფინანსება, ხოლო ნახევარი ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების გეგმების განხორციელებას მოხმარდეს. რაც შეეხება განაკვეთების შემცირების გავლენას მთლიანად ეკონომიკაზე — ეს უეჭველად გამოიწვევს გადასახადების ლეგალიზებას. ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ბიუჯეტის შევსება მხოლოდ დიდი გადასახადების ხარჯზეა შესაძლებელი. როდესაც რუსეთმა შეამცირა ყველა გადასახადი (მათ შორის, სოციალური გადასახადები 13%-მდე), სახელმწიფო ბიუჯეტი 2,5-ჯერ გაიზარდა.

— რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ გადასახადებისგან მცირე და საშუალო ბიზნესის დროებით გათავისუფლება? ვგულისხმობ პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირებას, რომელიც რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჯერ არ სრულდება.

— ჩვენში არ არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრება. ამისათვის საჭიროა, რომ სავაჭრო ობიექტზე არსებობდეს საკასო აპარატი და ბრუნვის კოეფიციენტის მიხედვით განისაზღვროს ამა თუ იმ ობიექტის კატეგორია. მაგალითად, ერთმა პატარა ჯიხურმა შეიძლება, მთელი „ომეგის“ სიგარეტის რეალიზაცია მოახდინოს... რაც შეეხება პრეზიდენტის დაპირებას — ეს საკმაოდ ხმამაღალი დაპირება იყო და ვნახოთ, როგორ შეასრულებს...

■

რამ შეინირა თამარ ლებანიძის პიუჯეტის ნახევარზე მეტი

ნანა ქიბიმაური

უკვე რამდენიმე კვირაა, რაც თამარ ლებანიძე გარემოს დაცვის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა, მანამდე კი, იყო ფონდ „კონსტანტას“ აღმასრულებელი დირექტორი. ეს არის აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ახალი მინისტრის წარმატებულ კარიერას, ბევრი, მისი ჯგუფელისა და სტუდენტობის დროინდელი მეგობრის — ზურაბ ჟვანიას სახელს უკავშირებს. მათი საერთო მეგობრები იხსენებენ, თუ როგორ შეჰპირდა ერთი წარჩინებული სტუდენტი (ზურა) მეორე წარჩინებულს (თამუნას) — მე რომ პრეზიდენტი გავხდები, ჩემს თანაშემწედ თუ არა, ერთ-ერთ მინისტრად მაინც დაგნიშნავო, — და ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ეს დანაპირები ასრულდა... მაინც როგორ აღმოჩნდა დიდი ოჯახის დიასახლისი მინისტრის სავარძელში, როგორ აპირებს გარემოს დაცვას ან რა ხდება მის ოჯახში, სადაც დედისა და მეუღლის შინ დაბრუნებას ხუთი მამაკაცი ღამის 12 საათამდე უცდის?..

— ქალბატონო თამარ, უპირველეს ყოვლისა, ის გავარკვიოთ, თქვენს წარმატებულ კარიერაში რა წვლილი მიუძღვის ზურაბ ჟვანიას. გამინისტრებამდეც ხომ არ ბრძანდებოდით მისი პროტეჟე?

— ჩვენ მართლაც, საუკეთესო წლები გავატარეთ ერთმანეთის გვერდით. არაჩვეულებრივი ჯგუფი გვქონდა, მაგრამ სტუდენტობის შემდეგ, ჩვენი გზები გაიყარა: ზურა მთავრობაში აღმოჩნდა, მე — არასამთავრობო სექტორში ვმუშაობდი. ჩვენი ინტერესთა სფეროც სხვადასხვა იყო და სამსახურებრივად ერთმანეთთან არანაირი შეხება არ გვქონია. ასე რომ, ჩვენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვსაქმიანობდით.

— გარემოს დაცვასთან ადრე, რაიმე შეხება გქონიათ?

— პროფესიით ბიოლოგი ვარ. 12 წელი ვიმუშავე ფიზიოლოგიის ინსიტუტში. კონკრეტულად გარემოს დაცვის საკითხებზე არასოდეს მიმუშავია, მაგრამ მაქვს მენეჯმენტის საკმაოდ დიდი გამოცდილება და მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ხელმძღვანელი, თუ უნდა, რომ მისი საქმიანობა წარმატებული იყოს, მართვისა და მენეჯმენტის საკითხებში უნდა ერკვეოდეს.

— როგორც ვიცი, ეს საქმე ადრინდელ სამსახურში კარგად გქონდათ აწყობილი და საკმაოდ მაღალი ხელფასიც გქონდათ. ასეა?

— 1993 წელს წამოვედი ფიზიოლოგიის ინსტიტუტიდან და მას შემდეგ, სულ მაღალხელფასიან სამსახურში ვმუშაობდი. შემოსავალი ჩემთვის ნამდვილად არ არის მეორეხარისხოვანი, თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი პრინციპებიც არსებობს, რომელთა გათვალისწინებითაც შეიძლება მაღალანაზღაურებად სამსახურს შეელიო და უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წახვიდე.

— თუ თქვენს მეუღლესაც ისეთივე მაღალანაზღაურებადი სამსახური აქვს, როგორიც თქვენ გქონდათ, გამოდის, რომ საკმაოდ შეძლებული ოჯახი გქონიათ...

— მართალია, ჩემი მეუღლე კერძო ბიზნესით იყო დაკავებული, მაგრამ მე მაინც მასზე გაცილებით დიდი ხელფასი მქონდა და ეს გარკვეულწილად აღიზიანებდა კიდეც. ჩემს ოჯახს შეძლებულს ვერ დავარქმევ. თუმცა, საწუწუნოც არაფერი გვაქვს, რადგან გვაქვს იმის საშუალება, რომ შვილებს კარგი განათლება მივცეთ.

— თქვენ და თქვენს მეუღლეს წინა ქორწინებებიდანაც გყავთ შვილები. საბოლოო ჯამში კი, შეიძლება ითქვას, რომ მრავალშვილიანი დედა ხართ...

— შეიძლება ასე ითქვას, იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი ერთ დიდ სახლში ვცხოვრობთ. ჩემი უფროსი ვაჟი 20 წლისაა, მეორე 17-ის, მესამე — 13-ის, მეოთხე — 5-ის. 10 წელია, ერთად ვცხოვრობთ და როგორ შემიძლია ვთქვა, რომ ვახუნა და დათო ჩემი შვილები არ არიან?!. მათაც, ისევე, როგორც ჩემს უფროს შვილს, აქვთ მეორე ოჯახი. უფროსს აქვს კონტაქტი მამასთან, მომდევნო ბიჭებს — დედასთან. ძალიან კარგად მესმის მათი, რადგან ისინი ყველანი ჩემი შვილები არიან.

— თქვენი ახლანდელი მეუღლე პირველ ქმართან გან-

ქორწინების შემდეგ გაიცანით?.. ამბობენ, რომ თქვენი მეუღლით ძალზე სწრაფად იხიბლებიან ქალები...

— ალბათ იმიტომ, რომ ის ძალიან სიმპათიურია. ჩემს მეუღლეს ბავშვობიდან ვიცნობ. ზოგჯერ დედას ვეუბნები — მე მგონი, ორივე ერთად გაგიცანით-მეთქი: როცა პატარა ვიყავი, მეჩვენებოდა, რომ ის ძალიან დიდი იყო — ჩემზე 13 წლითაა უფროსი. ახლა ეს ასაკობრივი სხვაობა აღარ არის ისეთი შესამჩნევი... როცა გარკვეული დროის შემდეგ კვლავ შევხვდით ერთმანეთს, ჩვენი ურთიერთობა სხვა ასპექტშიც ძალზე სწრაფად აეწყო და ერთად ცხოვრების გადაწყვეტილებაც უცაბედად მივიღეთ.

— როგორი იყო მისი პირველი რეაქცია, როცა შეიტყო, რომ მინისტრი ცოლი ეყოლებოდა?

— ვორჭოფობდი, როდესაც ეს შემომთავაზეს. არ ვიცოდი, რა უნდა მეპასუხა და, რა თქმა უნდა, პირველად რჩევა სწორედ მეუღლეს ვთხოვე. სიმართლე გითხრათ, მეგონა, მეტყოდა — ხომ არ გაგიჟდი, მერე ხუთ კაცს რას გვიპირებო?.. — თეიმურაზიც ბუნებით ლიდერია და მოგეხსენებათ, ასეთი მამაკაცები არცთუ ისე იოლად იტანენ თანამდებობის პირ მეუღლეებს, მაგრამ შევცდი: მან მითხრა — მე მგონია, რომ შენ ამას შეძლებ და ამიტომ არ შემიძლია, გითხრა „არა“!..

— თქვენ ახლა, დროის დეფიციტი გექნებათ და ვინ იზრუნებს ოჯახურ პრობლემებზე? ვინ მოგეხმარებათ ხუთი მამაკაცის მოვლაში?

— სიმართლე რომ გითხრათ, დამოუკიდებლად ოჯახის მოვლას გამინისტრებამდეც ვერ ვახერხებდი, რადგან მანამდეც არანაკლებ დატვირთული დღის რეჟიმი მქონდა. არის ერთი ქალბატონი, რომელიც მეხმარება, თუმცა, უამრავი რაღაც რჩება, რაც მხოლოდ ჩემი გასაკეთებელია და რაშიც მეუღლე და დედა შეუცვლელები არიან.

— ამ ეტაპზე რა პრობლემაა თქვენთვის ყველაზე მტკივნეული?

— ალბათ ის, რომ როდესაც სამსახურში ახალი ხელმძღვანელი მოდის, ყველა დაძაბულია და საკადრო ცვლილებების მოლოდინშია. ეს უსიამოვნო გრძნობაა. საკადრო პოლიტიკას არავითარ შემთხვევაში არ განვახორციელებ მექანიკური შემცირების პრინციპით. იქ ბევრი პროფესიონალია, რომელმაც თავისი ადგილი უნდა შეინარჩუნოს. რაც შეეხება საოჯახო პრობლემას, რომელიც მაწუხებს, არის ის, რომ საკმაოდ დიდი სესხი მაქვს აღებული და ბოლომდე ჯერჯერობით ვერ დავფარე: ზაფხულში შევიძინე აგარაკი და ამან ჩემი ბიუჯეტის ნახევარზე მეტი შეიწირა.

— კიდევ რაში შეგიძლიათ, ბევრი ფული გადაიხადოთ? ალბათ ეს არ იქნება ნატურალური ბეწვისგან დამზადებული ქურქი: ბოლოს და ბოლოს, გარემოს დაცვის მინისტრი ხართ...

— არასოდეს მიოცნებია ქურქზე და არც არასდროს მქონია — ეს ჩემი სტილი არ არის. გაცილებით კარგად ვგრძნობ თავს, როცა სპორტულად მაცვია. არც დედას ჰქონია ძვირფასი ქურქი და მამაც სხვა ღირებულებებს ანიჭებდა უპირატესობას. ჩემს ოჯახში ამჯობინებდნენ იმას, რომ შვილების განათლებაში „ჩაედოთ ფული“ და მეც მიმაჩნია, რომ ეს ყველაზე კარგი კაპიტალდაბანდებაა.

— პარფიუმერია არ გიტაცებთ?

— კარგად ვიცი, რომ უნდა მაინტერესებდეს; რომ ქალს ყოველთვის საგულდაგულოდ მოვლილი ფრჩხილები და დავარცხნილი თმა უნდა ჰქონდეს და მთელი ცხოვრება, ყოველი ორშაბათიდან ვგეგმავდი გარეგნობაზე სერიოზული ზრუნვის დაწყებას. მაგრამ მოვიდოდა ეს ორშაბათი და სალონის ნაცვლად, ისევ ბიზნესკლუბში მივდიოდი... არა, მთლად მოუწესრიგებელი არ დავდივარ, ზოგჯერ საპარიკმახეროშიც შევდივარ ხოლმე, მაგრამ ვიცი, რომ რასაც ვაკეთებ, ის ალბათ მინიმუმია იმისა, რაც ქალმა საკუთარი გარეგნობისთვის უნდა გააკეთოს. ამის მიზეზი, ისევ და ისევ მოუცლელობაა.

— როგორც ჩანს, ჯერ კაბინეტის დიზაინისთვისაც ვერ მოგიცლიათ, ხომ?

— აქ ალბათ რაღაც-რაღაცებს შევცვლი. ჯერჯერობით მხოლოდ კომპიუტერი და საკანცელარიო ნივთები გადმოვიტანე.

— კაბინეტის მოწყობის შემდეგ კი, მართლაც, ძალზე ბევრი საქმე გელოდებათ. უნდა დაუპირისპირდეთ ადამიანებს, რომლებიც ხეტყის უკანონო ბიზნესით იყვნენ დაკავებულები; გასარკვევია გრანტების საქმე, რომელიც ამ სამინისტროსთან უშუალო კავშირშია და მრავალი სხვა...

— ის, რაც ხეტყის უკანონო ბიზნესში ხდებოდა, იყო სისტემის „დამსახურება“. ეს არც დღეს არის ერთი კონკრეტული სამინისტროსა თუ უწყების საქმე. ამ პრობლემაზე მუშაობა ერთ-ერთი პრიორიტეტული იქნება და მაფიოზებს, რომლებიც ხეტყის გაჩანაგებას ეწეოდნენ, მთავრობის ერთიანი, გუნდური პრინციპით დავუპირისპირდებით. რაც შეეხება გრანტების არამიზნობრივ ხარჯვას — ვფიქრობ, ის აჟიოტაჟი, რაც ამ საკითხის ირგვლივ არის შექმნილი, გადაჭარბებულია. გრანტების თემა ჩემთვის ძალზე კარგადაა ცნობილი, რადგან წლების განმავლობაში ვმუშობდი არასამთავრობო ორგანიზაციაში და მქონდა ურთიერთობა უცხოელ დონორებთან. მათი დაფინანსებით საქართველოში უამრავი კარგი საქმე გაკეთდა, მათ შორის, გარემოს დაცვის სფეროში. კონკრეტულად გავეცნობი ცალკეულ პროგრამებს, შეიქმნება საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც მათი აუდიტისთვის გამოყოფილ თანხებს გადახედავს და ამ საკითხზე მომავალში, უფრო კონკრეტულად შემეძლება საუბარი. ჯერჯერობით, რასაც გავეცანი, იმ ინფორმაციის საფუძველზე დავრწმუნდი, რომ სამინისტროში მართლაც, უამრავი საქმეა გაკეთებული, რომლისთვისაც ხაზის გადასმა არ შეიძლება. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს... ■

მეგონა მეტყოდა — ხომ არ გაგიჟდი, მერე ხუთ კაცს რას გვიპირებო?..

კრიმინალური პოლიციის უფროსმა, ბოროტმოქმედთა ნაცვლად, უდანაშაულო ადამიანებს გაუსნა ცეცხლი

დაზარალებულების თქმით, ის ექსპერტთა ყალბ დასკვნასა და შეურაცხადობას ეფარება

მცხეთის შსს-ს ზაპესის განყოფილების უფროსის ყოფილ მოადგილეს, კრიმინალური პოლიციის ყოფილ უფროსს, 30 წლის პეტრე რუხაძეს პროკურატურამ ორი ადამიანის განხრაზ მკვლელობისა და ერთის განზრახ მკვლელობის მცდელობის (დამამძიმებელ გარემოებებში) მუხლებით წარუდგინა ბრალდება. გამოძიების მასალების მიხედვით, რუხაძემ აღნიშნული მძიმე დანაშაულები 2003 წლის 24 მაისს ჩაიდინა, მაშინ, როცა კრიმინალური პოლიციის უფროსად მუშაობდა და როგორც ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელი, სამოქმედო ტერიტორიაზე ე.წ. შემოვლას აწარმოებდა. საბედისწერო შეცდომაც მაშინ მოხდა. პოლიციის უფროსს ეგონა, რომ ბოროტმოქმედებს მისდევდა, მაგრამ სრულიად უდანაშაულო ადამიანები შემოაკვდა, ერთ-ერთი კი — მძიმედ დაჭრა.

მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე ხანში, წინასწარი გამოძიების პროცესში, პროკურატურამ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა მიიღო. დასკვნის თანახმად, პეტრე რუხაძე დანაშაულის ჩადენის მომენტში და შემდგომ, გამოკვლევის პერიოდშიც, შეურაცხადი იყო და არ შეეძლო, საკუთარი ქმედებები გაეკონტროლებინა. ექსპერტების თქმით, იგი შესაბამის სტაციონარში მკურნალობას საჭიროებს. ამასთან დაკავშირებით აღშფოთებას გამოთქვამენ დაზარალებულები — მოკლულებისა და დაჭრილის ოჯახის წევრები. მათი თქმით, დასკვნა მოქრთამული ექსპერტებისა და რუხაძის მხარის მიერ განგებ, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნითაა შეთითხნილი.

გამოძიების მასალების თანახმად, შემთხვევა ღამის პირველ საათზე მოხდა. ოპერატიული ჯგუფის შემადგენლობაში, რუხაძის გარდა, კიდევ ოთხი პოლიციელი შედიოდა: ავთანდილ ლაშაური, გია კოლოტაური, ელგუჯა ჩინჩალაძე და აკაკი ლიპარტელიანი. მათგან მხოლოდ ერთს — ლაშაურს ეცვა პოლიციელის ფორმა, დანარჩენები კი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილები იყვნენ. გია კოლოტაური ტაბელური პისტოლეტითა და ავტომატით იყო შეიარაღებული, ლაშაურიც ტაბელური, „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით, ხოლო ჯგუფის უფროსს — რუხაძეს, ტაბელურის ნაცვლად, რატომღაც უცხოური — კერძოდ, თურქული წარმოების სტანდარტული „სანსილმაზის“ ფირმის, ქარხნული წესით დამზადებული, 12-კალიბრიანი გლუვლულიანი თოფი ჰქონდა. პროკურატურის მიერ ოქმში დაფიქსირებულია, რომ აღნიშნული იარაღი რუხაძეს სამსახურებრივი მოთხოვნების დარღვევით ჰქონდა.

ტერიტორიის შემოვლის პროცესში, დაახლოებით ღამის 2-ის ნახევრისთვის, პოლიციელებმა „ოპელის“ მარკის თეთრი ავტომანქანა შენიშნეს. მანქანა, რომელშიც ორი მამაკაცი იჯდა, მშვიდობის ქუჩაზე მდებარე №2 საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს წინ გაჩერდა. აღნიშნულ სახლში მძღოლის გვერდით მჯდომი ირაკლი გაბაძე — ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს ოფიცერი ცხოვრობდა. იგი ავტომანქანიდან გადავიდა და ბინაში ცოლ-შვილის მოსანახულებლად ავიდა. რამდენიმე წუთში დაბრუნდა და კვლავ მანქანაში ჩაჯდა.

პეტრე რუხაძემ, სრულიად უსაფუძვლოდ (როგორც პროკურატურის დადგენილებაში წერია) ირაკლი გაბაძე და საჭესთან მჯდომი მანუჩარ მაჩაიძე საეჭვო პირებად მიიჩნია და ოპერატიული ჯგუფის წევრებს განკარგულება მისცა, ისინი შეემოწმებინათ. მანქანასთან თავადაც მივიდა და ზემოთ აღნიშნული თოფიც მოიმარჯვა. გაბაძის ხელში პისტოლეტი მაშინვე შენიშნა და ეჭვი აღარ შეჰპარვია, რომ საქმე შეიარაღებულ კრიმინალებთან ჰქონდა. მან მძღოლის მხრიდან, სალონში შეყო თოფის ლულა და იგი გაბაძეს თავში დაუმიზნა. პარალელურად, კოლოტაურმა გაბაძეს პისტოლეტი გამოსტაცა ხელიდან. მიუხედავად იმისა, რომ გაბაძე უკვე განიარაღებული იყო, რუხაძემ ხელი გამოჰკრა სასხლეტს და პირდაპირ თავში ესროლა ტყვია; პროკურატურის ინფორმაციით, ამ ტყვიას გაბაძესთან ძალიან ახლოს მდგომი კოლოტაური შეეძლო შეეწირა და იგი დაჭრას მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადაურჩა. ყოველივე ამის მნახველი მანუჩარ მაჩაიძე მაშინვე მანქანიდან გადახტა და გაქცევას შეეცადა, მაგრამ რუხაძის მიერ გასროლილ ტყვიას ვერც მან დააღწია თავი. კრიმინალური პოლიციის უფროსმა ირაკლი გაბაძის დაჭრის შემდეგ, მანუჩარ მაჩაიძეს დაახალა ტყვია თავში. ამ უკანასკნელის მიმართულებით ორჯერ გაისროლა, მაჩაიძე მაშინვე უსულოდ დაეცა, მეორე ტყვია კი რუხაძის თანამშრომელს, ჯგუფის ერთ-ერთ წევრს — ავთანდილ ლაშაურს მოხვდა გულმკერდის არეში. რუხაძეს არ მიუქცევია ყურადღება იმ ფაქტისთვის, რომ სროლის მომენტში, მაჩაიძის გვერდით მისი თანამშრომელი იდგა და მის სიცოცხლეს არ გაუფრთხილდა. ლაშაური საავადმყოფოში მიყვანიდან ცოტა ხანში გარდაიცვალა.

სხვათა შორის, პროკურატურამ ამ ფაქტს გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია არ მისცა. გამომძიებელმა რატომღაც ჩათვალა, რომ რუხაძემ ლაშაური განზრახ მოკლა, ამ დასკვნას კი ასე ხსნის: „მან არ გაითვალისწინა, რომ მაჩაიძის მიმართულებით გასროლილი ტყვია ლაშაურს მოხვდებოდა, შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედების საშიშროება, სურდა და უშვებდა ამ შედეგის დადგომას“.

მომხდარის გამო, 2003 წლის 24 მაისს, დღის 5-ის ნახევარზე პეტრე რუხაძე ეჭვმიტანილის სახით დააკავეს, ორ დღეში კი სამი სხვადასხვა მუხლით – მათ შორის, 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) წაუყენეს ბრალდება. ბრალდებულმა ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. თქვა, რომ მომხდარის შესახებ საუბარი არ შეეძლო და თუ რატომ, არც ის იცოდა.

საქმეზე მოწმის სახით დაკითხული, ჯგუფის წევრის – გია კოლოტაურის ჩვენებას პროკურატურა ბრალდების ძირითად მტკიცებულებად ასახელებს. კოლოტაური ჩვენებაში აღნიშნავს, რომ რუხაძე თოფმომარჯვებული დადგა „ოპელის“ წინ. ამ დროს, კოლოტაურმა გაბაძის ხელში პისტოლეტი შენიშნა, ხელი იარაღს წაავლო და განაიარაღა, ამ მომენტში წაბარბაცდა, უკან გადაიწია და სწორედ მაშინ გავარდა თოფი, წამიერი პაუზის შემდეგ, კიდევ ორი გასროლის ხმა გაისმა, ელგუჯა ჩინჩალაძემ (ჯგუფის წევრმა) დაიძახა – დაჭრილია, მოგვეხმარეო... დაჭრილი ჩინჩალაძეს ეჭირა; როცა მიუახლოვდა, ნახა, რომ იგი თანამშრომელი ავთანდილ ლაშაური იყო. კოლოტაური თავის ჩვენებაში გარკვევით აღნიშნავს, რომ თოფიდან ყველა გასროლა პეტრე რუხაძეს ეკუთვნის.

რაც შეეხება ჩინჩალაძესა და ლიპარტელიანს, როგორც პროკურატურაში დაკითხვისას განაცხადეს, მხოლოდ სამი გასროლის ხმა გაიგონეს, მომენტი კი არ დაუფიქსირებიათ. ჩინჩალაძემ აღნიშნა, რომ იმ დროს, მანქანას ამოეფარა, რადგან უიარაღო იყო და შეეშინდა. ხოლო ლიპარტელიანი, როგორც თავად განაცხადა, შემთხვევის დროს საკუთარ ავტომანქანაში იჯდა. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რას იტყვიან ისინი სასამართლო პროცესზე, რომელიც 29 მარტს უზენაეს სასამართლოში გაიმართება.

მაია მუშკუდიანი, დაზარალებული ირაკლი გაბაძის მეუღლე:

„2003 წლის 24 მაისს, ღამით, 2 საათი იქნებოდა დაწყებული, როცა ჩემი მეუღლე სამსახურიდან მოვიდა. ბავშვი გვყავდა ავად და მისთვის წამალი მოიტანა. ამის შემდეგ ისევ გავიდა სახლიდან. რამდენიმე წუთში კი თოფიდან სამჯერ გასროლის ხმა გაისმა. მამაჩემი მაშინვე ძირს ჩავიდა ამბის გასაგებად, შემდეგ მეც უკან გავყევი. როცა მანქანასთან მივედი, ვნახე, რომ ჩემი ქმარი შიგ დაჭრილი იჯდა და თავიდან სისხლი სდიოდა. რამდენიმე წუთში საავადმყოფოში მივიყვანეთ, სადაც, სპეციალურად, სიკვდილს გადაურჩა. მოგვიანებით შევიტყვე, რომ იგი ზაჰესის შს განყოფილების უფროსის მოადგილეს – პეტრე რუხაძეს დაუჭრია.

რუხაძეს არც ჩემი ქმარი და არც მაჩაიძე ადრე არ იცნობდნენ. ყველაფერი სრულიად შემთხვევით მოხდა. რატომღაც რუხაძემ ისინი კრიმინალებად ჩათვალა და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პირდაპირ, უსაფუძვლოდ გაეხსნა ცეცხლი. მის დაუდევრობას კი ჩემი მეუღლის ჯანმრთელობა და ორი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დღეს აცხადებენ, რომ პიროვნება, რომელიც კრიმინალური პოლიციის უფროსად მუშაობდა და ოპერატიულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა, შეურაცხადი იყო. საინტერესოა, რა უნდოდა ამ თანამდებობებზე ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს ან რას შეეძლო, იგი მიეყვანა შეურაცხადობამდე? სამწუხაროდ, არც იმის იმედი გვაქვს, რომ ალტერნატიული ექსპერტიზის გზით მივაღწევთ რაიმეს, რადგან, როგორც შევიტყვეთ, საქართველოში სულ სამ დაწესებულებას შეუძლია ჩაატაროს გამოკვლევა და დასკვნა გასცეს, სამივეს კი ერთი და იგივე პირები უდგანან სათავეში. ამ შემთხვევაში განსხვავებული და ობიექტური პასუხი გამორიცხულია“.

სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, ექსპერტიზის დასკვნის რეალურობა ჯერ კიდევ გასარკვევია და ამაზე სასამართლო იმსჯელებს. დაზარალებულები განსასჯელის სათანადოდ დასჯას, გაბაძის ოჯახის წევრები კი ამასთან მორალური ზარალის ანაზღაურებას რუხაძისგან 15.000 დოლარის სახით ითხოვენ. ■

რესტორან „ფიროსმანში“ ჩადენილ დანაშაულში ბრალდებულს დაზარალებულები ხელს ვერ აძებენ

სასამართლო პროცესზე, რომელიც რესტორან „ფიროსმანში“ შარშან ჩადენილ დანაშაულს ეხება, დაზარალებულები არ ცხადდებიან. ერთ-ერთმა მათგანმა კი, რომელიც უკვე დაიკითხა, დანაშაულში ბრალდებულს, ამჟამად 20 წლის განსასჯელს – გიორგი ნადირაძეს (მეტსახელად თავგაზა) ხელი ვერ დაადო. ნადირაძეს ბრალი ედება ხულიგნობაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებასა და ორი ან მეტი პირის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობაში. საბრალდებო დასკვნის თანახმად, რესტორანში ერთ-ერთ მაგიდასთან მსხდომ პირებთან შელაპარაკება მოუხდა, რის შემდეგაც მათი მიმართულებით ცეცხლი გახსნა. თუმცა, გასროლამდე ვიღაცამ შუქი გამორთო და ამიტომაც იქ მყოფებმა იარაღიანი კაცის კარგად დანახვა ვერ შეძლეს.

საქმეში ხუთი დაზარალებული მამაკაცი ფიგურირებს: ბესიკ შენგელია, ზაზა ჯვარშეიშვილი, ზვიად ბრეგვაძე, გიორგი დემეტრაძე და გიორგი გოგნიაშვილი. მათგან ერთი – ბესიკ შენგელია (საქართველოს უშიშროების სამინისტროს, უშიშროების საკითხებში ოფიცერთა ჯგუფის ოპერატიული მუშაკი) ორი თვის წინ გარდაიცვალა. როგორც აწ გარდაცვლილის მამა აცხადებს, მისი შვილის სიკვდილის მიზეზი, სწორედ „ფიროსმანში“ გასროლილი ტყვია იყო, რადგანაც ექიმების თქმით, ბესიკ შენგელიას თრომბი ზუსტად ნატყვიარ ადგილზე განუვითარდა. შენგელიამ, ისევე, როგორც დანარჩენმა დაზარალებულებმა, აღნიშნა, რომ სიბნელის გამო, მხოლოდ დამნაშავის სილუეტი გაარჩია. შედარებით დეტალურ ჩვენებას იძლევა დაზარალებული ჯვარშეიშვილი, რომლის თქმითაც, იარაღი ქერა, ტალღოვანთმიან ახალგაზრდა კაცს ეჭირა. აღწერილობა გიორგი ნადირაძის ფიზიკურ მონაცემებს ემთხვევა, თუმცა, როგორც განსასჯელის ადვოკატი – დავით შაკიაშვილი აღნიშნავს, ეს ბრალდების დასადასტურებლად საკმარისი მტკიცებულება არ არის. უფრო მეტიც, ადვოკატი ირწმუნება, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი მხოლოდ ხულიგნობაშია დამნაშავე, იარაღიდან კი მას არ გაუსვრია. შაკიაშვილის თქმით, ნადირაძე არ გახლავთ კრიმინალი, იგი მორწმუნეა და დაკავებამდე, სისტემატურად დადიოდა დავითგარეჯის მამათა მონასტერში. ■

მარიამობას, სადისტური მკვლელობის მსხვერპლი მოხუცი ქენაყინე გახდა

გასულ წელს, მარიამობას ჩადენილი სადისტური მკვლელობისთვის 28 წლის ნიკოლოზ იაკონჩუკს ასამართლებენ. იგი 76 წლის მიხეილ ვაშაკიძის განზრახ, განსაკუთრებული სისასტიკითა და ანგარების მოტივით ჩადენილ მკვლელობაშია ბრალდებული. ვაშაკიძის გვამი 2003 წლის 29 აგვისტოს, საგარეჯოს რაიონის ქვემო სამგორის დასახლებაში, საგზაო სამმართველოს ტერიტორიაზე მდებარე საკუთარ, ერთოთახიან და ერთსართულიან, ქვითკირით ნაგებ სახლში აღმოაჩინეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა გარდაცვლილის სხეულის დათვალიერებისას ძალადობის ნიშნებზე მიუთითეს. ჭრილობები ცხადყოფდა, რომ ვაშაკიძე რაღაც ბასრი იარაღით სადისტურად იყო მოკლული. როგორც მოგვიანებით გაირკვა, უმწეო, ავადმყოფ მოხუცს ბოროტმოქმედმა თავი ნაჯახით გაუჩეხა.

აღსანიშნავია, რომ იაკონჩუკი წარსულშიც განზრახ მკვლელობისთვის იყო ნასამართლევი. დანაშაული მას მაშინაც ნაჯახით ჩაუდენია. იაკონჩუკს გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა რვაწლიანი პატიმრობის შემდეგ, იგი ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდა. რამდენიმე თვეში მან მორიგი მკვლელობა ჩაიდინა.

გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ იაკონჩუკი მარტოხელა და უმეშვარი იყო. სისტემატურად სვამდა, თუმცა სასმლის ყიდვის საშუალება ხშირად არ ჰქონდა. პროკურატურის დასკვნით, სწორედ ეს გახდა საშინელი განზრახვის წინაპირობა — ახალგაზრდა, ენერგიით სავსე იაკონჩუკმა გადაწყვიტა, მოხუცი მენაყინე მოეკლა და ამ გზით ეშოვა არყის ფული.

მიხეილ ვაშაკიძე მთელი ზაფხულის მანძილზე ნაყინს ყიდდა და ყოველდღიური შემოსავალიც ჰქონდა. ხშირად ავადმყოფობდა და ამის გამო დიეტას იცავდა. გარშემომყოფებისთვის ცნობილი იყო, რომ იგი კვებასა და საკუთარი თავის რჩენაზე ცოტა ფულს ხარჯავდა და ნაყინის რეალიზაციის შედეგად ამონაგებ თანხას აგროვებდა. იაკონჩუკი იცნობდა მენაყინეს. იცოდა, რომ მოხუცი მარტო ცხოვრობდა და როგორც ჩანს, მის შემოსავალს დაადგა თვალი.

2003 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის აღსანიშნავად, იაკონჩუკმა დილიდანვე დაიწყო არყის სმა და დღის პირველი საათისთვის უკვე მთვრალი გახლდათ. სწორედ მაშინ, ქვემო სამგორის დასახლების ტერიტორიაზე იგი ნაყინის გამყიდველს შეხვდა, გააჩერა და სთხოვა, 20 ცალი ნაყინი მიეცა მისთვის ნისიად. ვაშაკიძემ მთვრალ ახალგაზრდას ცივი უარი უთხრა და გზა განაგრძო. განაწყენებულმა იაკონჩუკმა გადაწყვიტა, მიზნისთვის საზარელი დანაშაულის გზით მიედწია. იმავე დასახლებაში მდებარე სანაყინე საამქროს კედლის ძირში ნაჯახი შეინახა, შემდეგ კვლავ არყის დასალევად წავიდა და თან დაღამებას დაელოდა.

დაახლოებით ღამის 2-3 საათისთვის, იგი სანაყინე საამქროს კედელს მიადგა, გადამალული ნაჯახი აიღო და ვაშაკიძის საცხოვრებელი სახლისკენ გასწია. აღსანიშნავია, რომ იაკონჩუკი სახლში არ შეპარულა. ტრუსის ამარა და ყავარჯენზე დაყრდნობილმა ვაშაკიძემ დაძახებისთანავე გააღო კარი; იმავე წამს იაკონჩუკმა მას ნაჯახი ჩაარტყა თავში. მოხუცმა წონასწორობა დაკარგა და ამ დროს, იაკონჩუკმა მეორედ მოუქნია ცული და ისევ თავის არეში მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო ჭრილობა. ვაშაკიძე ადგილზევე გარდაიცვალა, რადგან ექსპერტების თქმით, ნაჩეხნაპობი ჭრილობების შედეგად თავის ტვინის მასიური დაზიანება მიიღო. მოხუცმა მოძრაობა რომ შეწყვიტა, იაკონჩუკიც დარწმუნდა მის სიკვდილში, გვამს გვერდი აუარა და სახლში შევიდა. ოთახში ყველაფერი გადაქექა, მაგრამ ღირებული მხოლოდ ყავისფერი ტყავის საფულე იპოვა, რომელშიც ვაშაკიძის საბუთები და გამოძიებით დაუდგენელი თანხა იდო. იაკონჩუკმა საფულეს ხელი დაავლო და მაშინვე სახლიდან გავარდა. როგორც ჩანს, მოხუცის საწოლზე, ლეიბის ქვეშ მას არაფერი უძებნია, რადგან ვაშაკიძის მიერ იქ საგულდაგულოდ შენახული 360 ლარი ხელუხლებელი დარჩა.

გარდაცვლილის გვამი დილით მეზობლებმა იპოვეს. ვინმე რაისა ტროფიმენკოს ვაშაკიძისთვის ყოველ დილით, რძე და მაწონი მიჰქონდა, ამ პროდუქტებს მიხეილი მისგან ყიდულობდა. 2003 წლის 29 აგვისტოს დილით მისულმა აღმოაჩინა იატაკზე თავგაჩეხილი ვაშაკიძე. სწორედ მოწმეების ჩვენებების შედეგად დაზუსტდა ბევრი დეტალი. მოკლულის შვილის — ჯანო ვაშაკიძის დაკითხვისას გაირკვა, რომ აწ გარდაცვლილი ყავისფერ ტყავის საფულეს ატარებდა. *„...მთელი ზაფხული საგარეჯოში დარჩენას აპირებდა, ნაყინის გაყიდვას რომ მორჩებოდა, თბილისში უნდა დაბრუნებულიყო. თბილისში ჰქონდა მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“*, — განაცხადა დაზარალებულმა დაკითხვისას.

დაკავებულმა იაკონჩუკმა დაადასტურა მომხდარი ფაქტი, ისიც აღნიშნა, რომ ვაშაკიძეს სწორედ მან ჩაარტყა ნაჯახი თავში, თუმცა განზრახ მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ ცნო. ბრალდებულის თქმით, მკვლელობამდე იგი მოხუცმა მიიყვანა, რადგან ჩხუბი დაუწყო და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. იაკონჩუკის მტკიცებით, დანაშაული მან ძლიერი სულიერი აღელვების გამო ჩაიდინა. თუმცა იმ ფაქტს, რომ ღამის 3 საათზე ნაჯახით შეიარაღებული მიადგა მოხუცის სახლს, დამაჯერებლად ვერ ხსნის.

„...მიშას (მიხეილ ვაშაკიძე) შევხვდი და ვთხოვე, 20 ცალი ნაყინი ნისიად მოეცა, ვალს კი რამდენიმე დღეში დავუბრუნებდი. მან უარი მითხრა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა და ყავარჯენი ჩამარტყა. საღამოს ისევ დავლიე არაყი. სახლიდან 10 ლარი ავიღე და მიშას სახლისკენ წავედი. მანამდე სანაყინე „ცეხთან“ გავიარე, იქ კედლის ძირში ნაჯახს ვინახავდი, შშის დასამზადებლად. ნაჯახი თან წავიღე, რადგან მიშას სახლამდე რომ მივსულიყავი, გზად საგზაო სამართველოს ეზო უნდა გამევლო. ვიცოდი, რომ ეზოში ავი ძაღლები იყვნენ და ცულს მათ მოსაგერიებლად გამოვიყენებდი. ღამის 2-3 საათზე მიშას ოთახთან მივედი და დავუძახე. კარი რომ გააღო, მაშინვე გინება დამიწყო. 10 ლარს ვუწვდიდი და ვეუბნებოდი, ნაყინი მოეყიდა, ის კი ჩემს შეურაცხყოფას არ წყვეტდა“, — განაცხადა იაკონჩუკმა დაკითხვისას. ბრალდებული ჩვენებაში აღნიშნავს, რომ შეურაცხყოფისგან ძლიერ აღელდა, თავი ვეღარ შეიკავა, ქამარში გარჭობილი ნაჯახი ამოიღო და გაბრაზებულმა იგი ვაშაკიძეს მოუქნია. *„...ამ დროს მიშა გადაქანდა, უნდა წაქცეულიყო... თავით გადმოქანდა ჩემკენ... მეორედ მოვუქნიე ცული, ალბათ მოხვდებოდა თავის უკანა მხარეს, კეფის არეში“*, — წერს იგი ჩვენებაში. იქვე აღნიშნავს, რომ ვაშაკიძე უგონოდ დავარდა და ხრიალი დაიწყო, თავად იქ აღარ გაჩერებულა, უმალვე გაბრუნდა, სისხლიანი ცული შარვლის ტოტებზე შეიწმინდა, რის შემდეგაც ის წყლის არხში ჩააგდო.

ბრალდებული კატეგორიულად უარყოფს ვაშაკიძის საცხოვრებელ ბინაში შესვლას და იქიდან რამე ნივთის წაღებას. სასამართლოს წინაშე იაკონჩუკი განსასჯელის სახით ამ კვირაში წარდგება. იქ კი რამდენად გაითვალისწინებენ მის ჩვენებას, უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

ერთი კაფსულა - ჯანმრთელი და წარმატებული ღლისთვის

ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, ჩვენს ორგანიზმს ყველა საჭირო ვიტამინის თავად სინთეზირება შეეძლო, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი ხანია, რაც გადაეჩვია.

დღესდღეობით, ვიტამინებს საკვებთან ერთად ვიღებთ, თუმცა თანამედროვე პროდუქტებში, რაოდენ მდიდარიც არ უნდა იყოს რაციონი, ვიტამინები არასაკმარისია და ექიმები გვირჩევენ დამატებით მივიღოთ ისინი ზამთარში, გაზაფხულსა და ზაფხულშიც კი. ჩვენი თანამოქალაქეების უმრავლესობა მთელი წლის მანძილზე ვიტამინურ დეფიციტს განიცდის. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი - ცივილიზაციის მეორე მხარეა.

ჩვენ ნაკლებად ვშრომობთ ფიზიკურად და ნაკლებად ვიკვებებით. იმისათვის, რომ B_1 ვიტამინის 1,5 მგ-იანი დღიური დოზა მივიღოთ, უნდა მივირთვათ 1,5კგ შავი პური ან 0,5კგ უცხიმო ხორცი - ბევრი მოახერხებს ამას? ცოტა ვინმე თუ იყენებს რეკომენდებული 5-6 სახესხვაობის მწვანილს, ხილს, ჭვავის პურს. ასეთი რაოდენობის საკვებს თუ ვინმემ მოახერხა და მოერია, მაშინ გარდაუვალია ჭარბი წონა, სიმსუქნე. ამას კი, პირდაპირ, შაქრიანი დიაბეტის, ჰიპერტონიული დაავადების, ათეროსკლეროზისა და XXI საუკუნის სხვა დაავადებებისკენ მივყავართ.

ჩვენს დროში, ენერგეტიკული დანახარჯების შემცირების გამო, ადამიანები ნაკლები რაოდენობის საკვებს იღებენ. რის გამოც ვიტამინური უკმარისობით „ვზღავთ“. ყველაზე სწორად შერჩეული რაციონიც კი, გათვლილია დღეში 2500კკალ-ზე, ვიტამინების უმეტესობაზე მესამედით დეფიციტურია. ამასთანავე, ჩვენმა საკვებმა მრავალფეროვნება დაკარგა. ჩვენ ვყიდულობთ ბევრ მაღალკალორიულ, იოლად ათვისებად, ადვილად გამოყენებად, მაგრამ ვიტამინებითა და მინერალებით ღარიბ საკვებს. უკანასკნელ წლებში, სულ უფრო და უფრო მეტ კონსერვირებულ, ინტენსიური დამუშავების, გაყინულ და დიდი ხნის შენახულ პროდუქტებს ვიღებთ. ყველაფერ ამას ვიტამინების კატასტროფული დანაკარგისკენ მივყავართ.

აკადემიკოსი ვ. ენგელგარდტი ამბობდა: „. . . ვიტამინები თავის თავს ამყღავნებენ არა თავიანთი საკმარისობით, არამედ უკმარისობით“. მათი უკმარისობა, შესაძლოა, მრავალი დაავადების რისკის ფაქტორიც გახდეს. მხოლოდ დეფიციტის შევსება იძლევა ხარისხიანი ჯანმრთელობის გარანტიას.

რა უნდა ვიცოდეთ საკუთარი თავისა და ბავშვისთვის ვიტამინების შეძენისას? რომელი მათგანი ვარჩიოთ დღევანდელ მრავალფეროვან არჩევანში?

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის დამფუძნებელია ცნობილი მეცნიერი, ფარმაკოლოგი იუჯინ შიფი - ადამიანი, რომლემაც პირველმა შესთავაზა ამერიკასა და მთელ მსოფლიოს, C ვიტამინის მიღება ასკილისაგან (ველური ვარდი) და დაამტკიცა, რომ ასკილი, C ვიტამინის გაცილებით უფრო კონცენტრირებულ წყაროს წარმოადგენს, ვიდრე ახალმოკრეფილი ფორთოხალი. კომპანიას კარგად ესმის, რომ როდესაც ირჩევთ ვიტამინებს, თქვენ მხოლოდ ნატურალური კომპონენტების მიღება გსურთ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კომპანია გვთავაზობს სხვადასხვა ასაკისთვის ვიტამინების ექსკლუზიურ შემადგენლობას (4-15 წლამდე ბავშვებისთვის - „ჩილდრენზ ჩოიეიბლ“, 16-54 წლამდე მოზრდილებისთვის - „სინგლ დეი“, 55-ის ზევით - „ფრაიმ იარზ“). სწორედ ამიტომ, 60 წელზე მეტია ხალხი ენდობა „შიფ“-ს - კომპანიას, რომელიც ნატურალურ ვიტამინებს გვთავაზობს და რომელთა ხარისხიც GMP-ის საერთაშორისო სტანდარტების სისტემითაა შემოწმებული.

ვიტამინური კომპლექსები კომპანია „შიფ“-ისგან: განსაკუთრებით ვის სჭირდება ისინი?

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ვიტამინებს, თუ თქვენ:

- **არ იცავთ რაციონალური კვების პრინციპებს,ნაკლებად ღებულობთ ხილსა და ბოსტნეულს**
- **ეწევით ან ხშირად იღებთ ალკოჰოლურ სასმელებს**
- **გსურთ გახდომა და იცავთ დიეტას**
- **რეგულარულად ღებულობთ მედიკამენტებს**
- **ხშირად განიცდით სტრესს**
- **აქტიურად მისდევთ სპორტს და ხარჯავთ დიდი რაოდენობით ენერგიას**
- **ცხოვრობთ დიდ ქალაქში ან რაიონში, სადაც მსხვილი სამრეწველო ფაბრიკა-ქარხნებია განთავსებული**
- **ელოდებით ბავშვს ან აჭმევთ ბავშვს ძუძუს**
- **50 წელს გადაცილდით**

ცხოვრებაზე მთავარი მხოლოდ მისი ხარისხია! ®
„შიფ“-ის ვიტამინები - ცხოვრების ახალი ხარისხი!

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

GV ჯეოვიტი GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56
ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com

Schiff 60

„გზის“ წინა ნომრის „საპატარძლო“, კეკლუცი და მშვენიერი თათია გიორგობიანი გახლდათ. როგორც ჩანს, იგი ბევრს ჩავარდნია გულში, რადგან უამრავი თაყვანისმცემელი გამოეხმაურა და მათ შორის ერთ-ერთი, სადედამთილოც გახლდათ: ქალბატონი ზაირა ტელეფონით დამიკავშირდა და მთხოვა, თათიასთვის მისი ტელეფონის ნომერი მიმეცა. ქალბატონ ზაირას 30 წლის ვაჟი ჰყავს, რომელიც ამჟამად თბილისში იმყოფება, მაგრამ უკვე წლებია, რაც რუსეთში მოღვაწეობს. — მაღალი, ლამაზი შვილი მყავს, რძლად ქართველი გოგონა გვსურს და აბა, თათიაზე უკეთესს ვის შევარჩევთო?! — მითხრა მან. მე კი, აგერ, საქვეყნოდ გადავეცი თათიას მისი დანაბარები... ახლა დანარჩენ „მესიჯებს“ გავეცნოთ და არჩევანი თათიას მივანდოთ.

"ლიდი ხანია, ამ თვალებში არ ჩამიხედავს..."

მარი ხაფარიძე

„თათი, შენი სტილის გოგონებზე ვეცემი. 8 მარტს გავიცანი გოგო, რომელიც ძალიან გგავს. იმედია, ურთიერთობა აგვეწყობა. შენი სიმღერებიც ძვირფასია ჩემთვის. ჯიგარი ხარ. ზუკა“.

„თათია, შენი ფანი ვარ. ძალიან მიყვარხარ. რამდენი ფიფქიც დასცვენია კავკასიონის ქედს, იმდენ სიხარულს გისურვებ, იმდენ ბედნიერ დღეს. მოხარული ვიქნები, თუ გაგიცნობ“.

„თათი, ძალზე მომწონს შენი, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სილამაზე. ვფიქრობ შენზე. ველი „მესიჯს“.

„ჩემო თათია, ძალზე მეწყინა, რომ ორიგინალური თაყვანისმცემლების სიაში არ ჩამწერე. გაიხსენე შენი ყველაზე... ყველაზე ორიგინალური საჩუქარი. გაიხსენე? ჰო, მე ვარ და ისევ ისე მიყვარხარ, ჩემო ნამცეცავ. გკოცნი“.

„თათია, „იმედის“ „დილას“ შენ გამო ვუყურებ ხოლმე. მომხიბვლელი გოგონა ხარ და ძალიანაც მიყვარხარ. გაგიმხელ, რომ ხშირად, ტელევიზიის წინ დილაუთენია მოვდივარ ხოლმე, რომ შენ შეგხვდე, მაგრამ ვერასოდეს „გამოგიჭირე“. რა ვქნა? ერთადერთი იმედი მარია — იქნებ, მოიღოს მოწყალება, განსაკუთრებული რეკლამა გამიწიოს და შენთან შეხვედრა მომიწყოს. პატივისცემით, ირაკლი“.

„თათიას ბავშვობიდან ვიცნობ და ისევ ისეთია, როგორიც წინათ იყო. მის თვალებს კვლავ ბავშვური უშუალობა და სიალალე დაჰკრავს. თუმცა, დიდი ხანია, ამ თვალებში არ ჩამიხედავს და საკუთარი თავი არ დამინახავს. ზვიადი“.

„თათია, თეთრი ფერი მეტად გიხდება. ფერიას ჰგავხარ და მინდა, მოგეფერო. ზვიადი“.

„ჩემო კარგო, არც ისეთი ანგელოზი იქნები, როგორადაც თავს გვაჩვენებ და თვალებს გვიფახულებ, თორემ ვინ დაგტოვებდა გასათხოვარს? გინდა, გიჩვენო, როგორი კარგი ვარ მე?“

„გოგო, შენი გულისთვინა, წყალში გავალ მეო...“ — ეს სიმღერა შენზეა დაწერილი, ჩემო თათია. მარტო წყალში კი არ გავალ, ცეცხლშიც ჩავდგები და ნიაგარის ჩანჩქერსაც მივცემ თავს, ოღონდ ჩემი გახდე. ნუგო“.

„გაზაფხული ისეთი დროა, გრძნობებს რომ აჩქროლებს. ჰოდა, არ ვიცი, გაზაფხულის ბრალია თუ იმის, რომ მართლაც შეუდარებელი ხარ, მაგრამ ფაქტია, ჩემი გული სულ სხვაგვარად ფეთქავს. ეს რაღაც ტკბილი, თბილი და ლამაზი ფორიაქია, ჩემო კარგო“.

„რომ გამიცნობ, მიხვდები, რა კარგი ტიპი ვარ. ჩემთან არ მოიწყენ. გინდა, ღრუბლებს ზევიდან გადმოხედო? ეს მე ვიცი, როგორ ხდება შესაძლებელი. გინდა, წვიმდეს და არ დასველდე? — მე უნდა ვიყო შენი მფარველი. გინდა, ზამთარში არ გციოდეს? — მე უნდა გათბობდე. მე კი მინდა, რომ დამცხეს, დამცხეს უსაშველოდ და ამის მიზეზი შენი ალერსი იყოს“.

„ლურჯი ცა, ღრუბლები და მზე, დაბლა ზღვა, ტალღები და მე. ტირის ზღვა, იცინის მზე, ვიღაც მიყვარს და იცი, ვინ? შენ“.

„ყველაფრის გამო, რაც მე ვიგრძენი და შენში დღემდე რაც არის წმინდა, ბეჭდის მაგივრად მაგ ლამაზ თითზე, ბაგეთა ჩემთა მორგება მინდა“.

„მუდამ შენკენ ვილტვი, ძილშიც შენზე მაბოდებს და... შენა ხარ ჩემთვის, დაკარგული სამოთხე“.

„აპოლონს მუზას დავესესხები და შენ გაგატან სტროფებს, ნიავო, ასე შორიდან მიყვარდე უნდა, მსურს, ასე ჩუმად გელოლიავო.“ ნიკა, ბათუმი“.

„რისი გეშინია? ჩემი აჩრდილია, დაგდევს და სურვილი აწვალებს, შენი კოცნა მინდა? არც გასაკვირია, მე კოცნა აკვანში მასწავლეს“.

„გითხარი, გეწყინა, ბავშვივით გაწითლდი, ბავშვივით დამტუქსე თან: — რა ცუდი ყოფილხარ, მომეშვი, გამცილდი, როგორ გამიბედე თქმა?! არაო, თავს იქნევ, სასტიკად უარობ, მეძახი ცუდსა და შლეგს, მე კი, ასე ცუდი, მეგობრებს ვუამბობ, როგორი კარგი ხარ შენ“.

„შენთვის ვარ ჯვარიც და ეშაფოტიც და ჩემი სულის ყველა ნაფოტი იმ კოცონისთვის გროვდება ახლა, რომელზეც შენი სურვილით ახვალ“. ■

ცოდვა გამხელილი ჯობს და მას შემდეგ, რაც ჩვენი „სასიძო-საპატარძლო“ ბევრმა ჯადოსნურ რუბრიკად ჩათვალა, რადგან მისი სტუმრები ერთიმეორის მიყოლებით ქორწინდებიან, ჩემს მობილურზე ცნობილი ადამიანების ზარი გახშირდა: მათი მიზანი ჩვენს რუბრიკაში მოხვედრაა — იქნებ, ბედი გამეხსნას, ჩემთან ინტერვიუ გააკეთეო, — მთხოვენ...

ახლა კი, დღევანდელ „სასიძოს“ — მომღერალ გიგა მიძაბერიძეს წარმოგიდგენთ. წინასწარ გაგიმხელთ, რომ გიგა დაქორწინებული იყო, ახლა ცოლთან გაყრილია და ერთი შვილი ჰყავთ...

„ოჯახიდან ოჯახში ღილი-ღილითა დავდივარ...“

მარი ხაფარიძე

— გიგა, გაგვაცანი შენი ოჯახის წევრები...

— დედა, ბებია, ბაბუა, ჩემი შვილი ანი და მე — აი, სულ ეს გახლავთ ჩემი ოჯახი. მეუღლეს გავცილდი. ანიზე პასუხისმგებლობა ორივეს გვაკისრია და ამის გამო ბავშვი ხან ჩემთან არის, ხან დედასთან.

— ზოდიაქოთი ვინ ხარ?

— თვის მიხედვით — ტყუპი. ძალზე პრინციპული ადამიანი ვარ. ფეთქებადი ხასიათი მაქვს, მაგრამ შესაძლოა, 5 წუთის შემდეგ ხასიათი შემეცვალოს და მხიარულ გუნებაზე დავდგე... მიყვარს ჩემი პროფესია და ყველაფერს დავთმობ მუსიკის გულისთვის.

— ჯიუტი ხარ?

— არა, ძალზე მორჩილი ვარ, მაგრამ თუ ვიცი, რომ მართალი ვარ, ჩემს პრინციპს ბოლომდე გავიტან.

— ადვილად შეიძლება შენი გაბრაზება?

— არც ისე. ხანდახან შესაძლოა, სულ მცირე მიზეზიც საკმარისი იყოს, რომ წონასწორობიდან გამოვიდე, ხან კი — ბევრიც რომ იჩალიჩო, მაინც არ გავბრაზდები...

— გინება თუ გჩვევია?

— იშვიათად ვიგინები — მაშინ, როცა ძალზე გაბრაზებული ვარ. თუ ჩემთვის მნიშვნელოვანია ის საკითხი, რის გამოც „ავფეთქდი“, მაშინ შესაძლოა, შევიგინო...

— ადვილად შეიძლება შენი შემორიგება?

— შემიძლია, ბევრჯერ დავთმო, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. თუ შევნიშნე, რომ ადამიანი ზღვარს გადასცდა და მისი მხრიდან უპატივცემულობას ვგრძნობ, მერე იმ ადამიანს სამუდამოდ ვკარგავ. თუ მეგობარს რაიმეს ვთხოვ და არ შემისრულებს, ჩვენ შორის უკვე ბზარი ჩნდება.

— ბუზღუნა ხარ?

— საერთოდ, ოჯახის წევრებთან ცოტა მეგობრული და ცოტა ოფიციალური დამოკიდებულება მაქვს. თუ მათ მიმართ ასეთი მიდგომა არ მექნება, იმ საქმეს ვერ გავაკეთებ, რასაც ვემსახურები. მაქვს სტუდია და შინაურ პირობებში მიწევს მუშაობა. ამის გამო, ჩემ ირგვლივმყოფმა ადამიანებმა ბევრი რამ უნდა დათმონ და ხელი შემიწყონ. მათ იციან, რა მჭირდება და ყველანაირად მხარში მიდგანან...

— გამოდის, გარშემომყოფი ადამიანებისგან მსხვერპლს მოითხოვ?

— კი, მაგრამ მცირე მსხვერპლს — მხოლოდ ხელშეწყობას იმისათვის, რომ სრულყოფილი ნაწარმოები შევქმნა...

— მოწესრიგებული ადამიანი ხარ?

— კი, ძალზე მიყვარს სისუფთავე და წესრიგი. ვერ ვიტან მიყრილ-მოყრილ ნივთებსა და ტანისამოსს. თან, საკუთარ სტილს მე თვითონ ვარჩევ, რადგან დიზაინერი არ მყავს და ყოველთვის ყურადღებას ვაქცევ ამ საკითხს. ვარ პუნქტუალური და მეტისმეტად მოწესრიგებული მამაკაცი.

— რამდენი წლის იყავი, როცა დაოჯახდი?

— ჩვიდმეტი წლის ასაკში მოვიყვანე ცოლი. ვფიქრობ, ამ ასაკში ადამიანი ჯერ კიდევ არ არის მზად ოჯახის შესაქმნელად. ჩვენი ოჯახის დანგრევაში ვერავის დავადანაშაულებ. ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობ, ხასიათის შეუთავსებლობა გახლავთ. უბრალოდ, ერთმანეთს ვერ გავუგეთ და სამი წლის წინ გავიყარეთ. არ დავმალავ, რომ ბევრჯერ ვცადეთ, ერთად დავრჩენილიყავით, ანას გამო. გვინდოდა, ბავშვი მშობლების გარემოცვაში, ჯანსაღ ატმოსფეროში გაზრდილიყო, მაგრამ როგორც ჩანს, როდესაც ორი ადამიანი ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულია, მათი თანაცხოვრება შეუძლებელია.

— ერთმანეთს მტრებად დაშორდით თუ მეგობრებად?

— ძალზე ცივილიზებული ურთიერთობა გვაქვს და ერთმანეთს არ ვმტრობთ. ჩვენ ჩვენი 8 წლის ანა გვაკავშირებს და სხვა რომ არაფერი, მისი გულისთვის უნდა ვცეთ ერთმანეთს პატივი.

— ხელმეორედ ოჯახის შექმნას გეგმავ?

— ვფიქრობ, ამაზე არც ერთი ადამიანი არ იტყვის უარს. რა თქმა უნდა, ბედს ვცდი. ამისთვის კი, ჯერ უნდა შემიყვარდეს.

— როგორი გოგონა შეიძლება, რომ შეგიყვარდეს?

— პირველ რიგში, პატივი უნდა სცეს იმ საქმეს, რომელსაც ვემსახურები. მე უნდა ვუყვარდე, როგორც მამაკაცი, როგორც პიროვნება, როგორც მუსიკოსი ანუ „ამრევები“ არ მჭირდება, რადგან ისედაც ბევრი „ამრევი“ მყავს. რაც შეეხება ვიზუალურ მხარეს — ნურავინ იტყვის, რომ ამას მნიშნელობა არა აქვს. მომწონს კარგი გოგონები, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცი, როგორია ეს კარგი გოგო...

— განათხოვარ ქალზე თუ დაქორწინდები?

— არ არის გამორიცხული. მე

„კავკასიურად“ მოაზროვნე არა ვარ. ბევრი რამ მომწონს ძველი ტრადიციებიდან, მაგრამ ვფიქრობ, ევროპული ცხოვრების სტილიც მისაღებია.

— როგორია შეყვარებული გიგა მიქაბერიძე?

— აბსოლუტურად შრომისუუნარო, რადგან ყურადღება მეფანტება და გამუდმებით იმ ადამიანზე ვფიქრობ, ვინც მიყვარს.

— როგორი სიმთვრალე გაქვს?

— როდესაც ნასვამი ვარ, ძალზე სენტიმენტალური ვხდები, მაგრამ დიდად არ განვსხვავდები იმისგან, როგორიც ფხიზელი ვარ.

— აბაზანაში ხომ არ ასრულებ ხოლმე საკუთარი რეპერტუარიდან სიმღერებს?

— არა, აბაზანაში არ ვმღერი, მაგრამ შინ ყოფნის დროს, შესაძლოა, რაღაც ახალი მელოდია წავიღიღინო და ვიდრე იმ „პუნქტამდე“ მივალ, სადაც მელოდიას ფურცელზე ან ინსტრუმენტზე გადავიტან, ღიღინ-ღიღინით დავდივარ ოთახიდან ოთახში.

— მოფერება გიყვარს?

— საერთოდ, არ მივეკუთვნები მბრძანებელი მამაკაცის ტიპს. ვარ მორჩილი. ასევე არ მიყვარს, როცა მე მიბრძანებენ. თუ ადამიანს სჭირდება ბრძანების ტონით ნათქვამი — ეს გააკეთე და ის არ გააკეთოო, — ამით არაფერი გამოვა. რაც შეეხება მოფერებას — ვფიქრობ, არ არსებობს ადამიანი და ცხოველი, რომელსაც მოფერება არ უყვარს. მამაკაცს კი, განსაკუთრებული მოფერება სჭირდება.

— ბედისწერის გჯერა?

— დიახ, მჯერა, რომ დაბადებისას რაც „დაგაწერა“ უფალმა, ცხოვრება სწორედ იმ გზით წავა, რადგან ჩვენი ამქვეყნად მოვლინებაც უფლის ნებაა და რაც ჩვენი ცხოვრების გზაზე ხდება, ისიც.

— აზარტული ხარ?

— არა, არ დავდივარ კაზინოში და არც კარტის თამაში მხიბლავს. ჩემი აზარტი არის მუსიკა, ინტელექტუალური დიალოგი ხელოვნებაზე...

— პროფესიით მუსიკოსი ხარ?

— ბავშვობიდან ამოჩემებული მქონდა, რომ კონსერვატორიაში უნდა ჩამებარებინა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩავბარე უცხო ენათა ინსტიტუტში, ინგლისური ენის ფაკულტეტზე, მაგრამ უცხო ენა რომ არ დაგავიწყდეს, ამ ენაზე ხშირად უნდა ისაუბრო, მე კი ამის საშუალება წლების განმავლობაში არ მომეცა და ალბათ უკვე ძალზე ცუდად ვფლობ ინგლისურს.

— მეგობრების წრეში, სუფრასთან მოლხენა თუ გიყვარს?

— გააჩნია, რა შემთხვევაში. თუ ეს ევროპულად გაკეთებული ალა-ფურშეტია, თავს გაცილებით თავისუფლად ვგრძნობ და შემიძლია, ვიმღერო კიდეც, თუ ამის სურვილი მექნება. თუ ტრადიციულ, ქართულ სუფრასთან ვიმყოფები, ამ შემთხვევაში, ბევრი თხოვნის შემდეგაც არ ვიმღერებ, რადგან ჩემი შემოქმედების სტილი ქართული, სუფრული არ არის და ვფიქრობ, ასეთ სიტუაციას არ მოერგება.

— თაყვანისმცემლები გაწუხებენ ხოლმე?

— თაყვანისმცემლები რომ არ მყავდეს, ვერ შევდგებოდი მუსიკოსად, მაგრამ ხანდახან ძალზე მოსაბეზრებელია, დაუსრულებლად ესაუბრო ტელეფონით შენთვის უცხო ადამიანს. მით უმეტეს, როცა წყნარად ზიხარ და მუშაობ...



არ მივეკუთვნები მბრძანებელი მამაკაცის ტიპს. ვარ მორჩილი.

— რას საქმიანობდი, ვიდრე ასეთი პოპულარული გახდებოდი?

— მანამდეც ამ საქმეს ვაკეთებდი — ვიჯექი ჩემთვის შინ და მუსიკას ვწერდი, მაგრამ მაშინ მეგონა, რომ ეს არავის სჭირდებოდა. სასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც გრძნობ, რომ შენი შემოქმედება ბევრს მოსწონს და მთელი საქართველო გისმენს.

— ავტომობილში საკუთარი სიმღერების მოსმენა თუ გიყვარს?

— ავტომობილი არ მყავს და ჯერ არ მქონია ბედნიერება, მეგობრებთან ერთად წავსულიყავი იქ, სადაც მინდა და თან ჩემი სიმღერებისთვის მომესმინა.

— ვისთან ერთად ჩაწერდი დუეტს სიამოვნებით?

— დუეტს აღარავისთან ჩავწერ, რადგან ძალზე რთულია, როცა სიმღერაზე ორი ადამიანი მუშაობს. როდესაც მარტო ვმუშაობ, შესაძლოა, ვიღაც-ვიღაცებმა რაღაც იდეები შემომთავაზონ, მაგრამ როდესაც ორი ადამიანი ერთად მუშაობს, ამ შემთხვევაში მსგავსი შემოთავაზებები ჩემი მხრიდანაც შემოდის და მისი მხრიდანაც, ეს უკვე მეტისმეტია და მირჩევნია, მარტო ვიმუშაო... სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ მქონდა მიწვევა ინგლისში, სადაც წასვლა უფინანსობის გამო ვერ მოვახერხე. იქ წასვლა შოუს მოსაწყობად ან სიმღერის ჩასაწერად კი არ მინდოდა, არამედ იმისთვის, რომ იქაურ მუსიკოსებთან ერთად მემუშავა, რეპეტიციებს დავსწრებოდი, მათთან ერთად დამეკრა... ვფიქრობ, ჯერ ყველაფერი წინ არის და ბევრს მივაღწევ. მოკლედ ещё не вечер, ვნახოთ...

— შენ შესახებ ჭორები თუ გაგიგია?

— ჭორებს ყურადღებას არ ვაქცევ და არ ვიმახსოვრებ, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩემს პოპულარობას გავულიზიანებივარ და მომბეზრებლად მომჩვენებია ეს ყველაფერი. ხშირად მითქვამს, აღარ დავუკრავ და აღარ ვიმღერებ, რადგან ნერვების მოშლად ეს ყოველივე არ მიღირს-მეთქი, მაგრამ შემდეგ გადამიფიქრებია, რადგან ბავშვობიდან ამ საქმეს მივუძღვენი თავი და ვიღაც-ვიღაცების გულისთვის რატომ უნდა დავანებო თავი?!.

— შენს შვილს თუ ეამაყება, პოპულარული მამა რომ ჰყავს?

— გოგონები მამებთან მორიდებულები არიან. ამ შეკითხვაზე პასუხს არასოდეს მცემს. რომ გაიზრდება, ვფიქრობ, დავმეგობრდებით და ბევრი საერთოც გვექნება...

ვფიქრობ, ბევრი გოგონას გული გავახარეთ, როდესაც „სასიძოდ“ გიგა მოვიწვიეთ... ჰოდა, ვისაც მასთან დაკონტაქტების სურვილი აქვს, დამირეკოს ან დამიმესიჯოს ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. ■

ნაადრევი ქორწინება

ლელა ჭანკოტაძე



ქორწინება დადგენილი წესით, წყვილთა თავისუფალი კავშირის რეგისტრაციას გულისხმობს. ამასთან, შეუღლებისთვის, დასაქორწინებელ პირთა თანხმობის გარდა, აუცილებელია კანონით გათვალისწინებული ასაკის მიღწევა. ძველად, საქართველოში ქალისთვის მინიმალური საქორწინო ასაკი 12 წელი იყო. კერძოდ, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1104 წ.). მომდევნო საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლებში მინიმალურ საქორწინო ასაკად ქალისთვის კვლავ 12 წელი იყო დაწესებული. XIX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოში ქალის საქორწინო სრულასაკოვნება 13 წლიდან, ხოლო ვაჟისა – 15 წლიდან იწყებოდა. 1920 წლიდან, ქალისთვის საქორწინო ასაკს – 15, ხოლო ვაჟისთვის, 17 წელი შეადგენდა. ასე გრძელდებოდა 1956 წლამდე, როცა ორივე სქესისთვის 18-წლიანი ზღურბლი დაწესდა. გამონაკლის შემთხვევებში, ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს შეეძლო საქორწინო ასაკის შემცირება, ოღონდ – მხოლოდ ერთი წლით. 1991 წელს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქორწინო ასაკი 16 წლამდე შეამცირა. ეს იმ მოტივით გაკეთდა, რომ ნაადრევი ქორწინების დაშვება შობადობის გაზრდას შეუწყობდა ხელს. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, კვლავ 18-წლიან ზღურბლს დავუბრუნდით.

ალეკო 33 წლისაა. მისი თანატოლების, თანაკლასელებისა და მეგობრების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დასაოჯახებელი ან ახალი დაქორწინებულია, ის კი უკვე ბაბუაა. მისი უფროსი შვილიშვილი ორი წლის ხდება, უმცროსი – სამი თვის. ალეკო სკოლის დამთავრებისთანავე დაოჯახებულა, მისმა ქალიშვილმა ნათიამ კი, გათხოვება სკოლის მერხიდან მოისურვა.

ალეკო:

– სკოლას ვამთავრებდი, როცა ჩემმა თანაკლასელებმა საშინელი ამბავი შეამატყობინეს: გაიქეცი, თავს უშველე, ეკა ორსულად არის, მშობლები შინ დაგისვამენ და შერცხვებიო...

— **ასე რატომ გითხრეს?**

– ხომ იცით ბიჭების ამბავი – „მერხებზე ნათრევი ქალი“ ცოლად როგორ უნდა მოიყვანოო?!. – მეუბნებოდნენ. ეკა ლამაზი გოგო იყო. ის ბევრს უყვარდა, მან კი მე ამირჩია. სწორედ მე დავიყოლიე ამ ნაბიჯზე და მისთვის პირველი მამაკაცი გავხდი. ვერ მიხვდა ორსულად რომ იყო. მისი ფეხმძიმობის ამბავი მხოლოდ მაშინ გაირკვა, როცა მუცელი დაეტყო... სახლიდან გავიქეცი, ქუთაისში მამიდას მივადექი. მიშველეთ, ძალით მაქორწინებენ-მეთქი. ეკა მისმა მშობლებმა მართლა ჩემს სახლში მიიყვანეს და ჩემებს უთხრეს: ორსულად თქვენი ვაჟისგან არის, თუ არ უნდა, ციხეში ჩაჯდეს, ცოლად შეირთოსო.

— **ეკა არ გიყვარდათ?**

– კაცს ყოველთვის უყვარს ის ქალი, რომელიც მისთვის პირველია. მთელი ცხოვრება არ ავიწყდება, ის ვისთანაც პირველი სექსუალური კავშირი დაამყარა, მით უმეტეს, თუ გრძნობა ორმხრივია. თუნდაც ამიტომ არ შემეძლო, ეკა არ მყვარებოდა. მაგრამ პატარა ბიჭი ვიყავი და ბევრი შეცდომა დავუშვი. ეკას სიყვარულს არ გავუფრთხილდი. ერთმანეთსაც შეგვახვედრეს, ნათესავის სახლში მე და ეკას საუბრის საშუალება მოვგცეს. მახსოვს, თეთრი კაბა ეცვა, თმა გაეშალა და რატომღაც საშინლად დასივებული ჰქონდა ფეხები. დიდი მუცელი ავჯდა. ტიროდა და ჩემთვის თვალებში ჩახედვას ვერ ბედავდა. არც მე ვიცოდი, მისთვის რა მეთქვა. ვიცი, ცოლად რომ არ შემირთავო, – მითხრა, – მაგრამ ამ აზრს მამაჩემი ვერ ეგუებაო. ვერაფერი ვუთხარი, მხოლოდ ეს ვთქვი: არ გეწყინოს, მე ხომ არ შეგპირებივარ, ცოლად შეგირთავ-მეთქი. ფანჯრიდან გადავხტი და ისევ გავიქეცი. მაგრამ მეორე დღეს დამიჭირეს და მაგრად მცემეს... აზრი მაინც ვერ შემაცვლევინეს. თუმცა, ახლა ვნანობ. მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი. მეშინოდა, ისეთი რამის გაკეთება, რაც ავტორიტეტს შემილახავდა ბიჭებში. ასაკიანი კაცისთვის შეიძლება, მნიშვნელობა არ ჰქონდეს, რას ფიქრობენ მისი ძმაკაცები იმ ქალზე, რომელზეც ის ქორწინდება. მაგრამ პატარა ბიჭისთვის, რომელიც ყოყლოჩინობს და ბიჭებში – ქუჩაში თავისი ადგილის დამკვიდრებას ცდილობს, ეს დიდი პრობლემაა... ერთი სიტყვით, დაქორწინება ვერ მაიძულეს. ეკას მამას რომ არ მოვეკალი, მშობლებმა როსტოვში გამგზავნეს ბიძაჩემთან, საიდანაც რვა წლის შემდეგ დავბრუნდი. შინ რომ შევედი, გავოცდი – კედლები სურათებით იყო აჭრელებული და თითოეულიდან პატარა ცისფერთვალება გოგონა მიმზერდა. – შენი შვილია, ხვალ რვა წლის ხდებაო. პირველად მაშინ ვიგრძენი სინდისის ქენჯნა და დღემდე ვერ ვიშორებ ამ გრძნობას... გადავწყვიტე, ეკაც მენახა და ბავშვიც.

— **როსტოვში ეკას შესახებ არაფერს გწერდნენ?**

– მშობლებმა იცოდნენ ჩემი ხასიათი. თანაც, ერთი რამ მოხდა: ეკა ქვრივ კაცზე გაათხოვეს, რის შემდეგაც აღარ იყო საჭირო, მისი თავი ჩემთვის შეეხსენებინათ. ჩვენს საერთო მეგობარს ვთხოვე, შემახვედრე-მეთქი. ორი დღის შემდეგ დამირეკა და მითხრა: ეკა და ნათია ჩემთან არიან და გელოდებიანო. გული კინაღამ ამომივარდა, სანამ იქამდე მივედი. ეკა გამხდარი, ფერმკრთალი იყო. ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ ქმარმა ვერ გაბედნიერა... არ მეგონა, ნათიას ჩემ შესახებ თუ მოუყვებოდა. შევცდი. ბავშვი ჩამეხუტა და მითხრა: დედა სულ მეუბნებოდა – მამაშენი მოვა და წაგიყვანსო... მამინაცვალი ცუდად ექცეოდა, იმდენად ცუდად, რომ ჩემგან მიტოვებული და უარყოფილი ცოლ-შვილი იმედს ისევ ჩემზე ამყარებდა. – წაიყვანე შენი შვილი, ამ ჯოჯოხეთიდან იხსენიო, – ატირდა ეკა.

— **თვითონ რატომ არ ეყრებოდა ქმარს?**

– მამის ეშინოდა. მამამისი სულ საყვედურობდა: ოჯახი შეარცხვინე, თუ ქმარს გაეყრები, დედაშენს მოვკლავო, – ემუქრებოდა. ნათია გულში ჩავიკარი და ჩემს მშობლებს არც კი გამოვმშვიდობებივარ, ისე გავიქეცი რკინიგზის

სადგურში... მაგრამ გზაში დაგვაკავეს. ბორკილები დამადეს და ბავშვის გატაცების ბრალდებით, ციხეში ჩამსვეს. მეგონა, ველარაფერი მიშველიდა. ისევ იმ ქალმა გადამარჩინა, რომელსაც მთელი ცხოვრება დავუნგრიე. სასამართლოზე თქვა, რომ ბავშვი საკუთარი ნებით გამატანა. მიუხედავად ქმრისა და მამის მუქარისა, მოსამართლეს მაინც ჩაუვარდა მუხლებში და სთხოვა, მე და ნათია არ დავეცილებინეთ. მახსოვს, მაშინ მოსამართლემ მითხრა: რა კაცი ხარ, ასეთი ქალი მხეცს ხახაში როგორ ჩაუგდეო?!. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე, ეკაზე არ დავქორწინდი, მამობა მაინც ვაღიარე და ბავშვს გვარი მივეცი. ამიტომ სასამართლომ ბავშვის როსტოვში წაყვანის ნება მომცა. თანაც, იქ ვმუშაობდი, პატიოსნად ვშრომობდი, კრიმინალური წარსული არ მქონდა და ჩემი ხელფასით ბავშვის შენახვა შემეძლო. მას შემდეგ, მე და ნათია ერთმანეთს წუთით აღარ დავცილებივართ. ის ჩემთვის მარტო შვილი კი არა, მთელი სამყაროა.

— ეკას რა ბედი ეწია?

— ცხადია, მისი ცხოვრება კიდევ უფრო ჯოჯოხეთური გახდა. ნათიასგან ვიცი, რომ ქმარი ხშირად სცემდა, სასტიკად ეპყრობოდა. ზოგჯერ ნათიასაც უმოწყალოდ ურტყამდა და ეკას ამით სჯიდა. რა თქმა უნდა, უფრო სასტიკად მოეპყრობოდა მას შემდეგ, რაც ბავშვი მე მომცა. ამას ვხვდებოდი და ეკას სიბრალულით გული მეწურებოდა. ბოლოს, ჩემში წარსულმა სიყვარულმაც გაიღვიძა. ჩვენს საერთო მეგობარს დავურეკე და ვუთხარი: ეკა გამოიპაროს — ველოდები-მეთქი. ორი წლის მანძილზე, ყოველდღე ვურეკავდი ჩემს მშობლებსაც და დახმარებას ვთხოვდი, მაგრამ ეკა ამბობდა: სანამ მამაჩემი ცოცხალია, ქმარს ვერ გავეყრები, ვიცი, ამ საქციელისთვის დედაჩემს მოკლავსო.

ნათია:

— მამა ძალიან ნერვიულობდა. მეუბნებოდა — თუ დედა არ დავიბრუნეთ, ბედნიერები ვერასდროს ვიქნებითო. ბოლოს, თბილისში დაბრუნება გადავწყვიტეთ. დედა ძალიან მენატრებოდა. ერთხელ ბაზარში დავინახე, მაგრამ ახლოს ვერ მივედი — ჩემს მამინაცვალთან ერთად იყო და შემეშინდა. ერთ დღეს კი, მამა აღელვებული მოვარდა და მითხრა: ბებუაშენი გარდაიცვალა, იქნებ, ახლა მაინც დავიყოლიოთ დედაო... ველოდებოდით ბებუის ორმოცის გასვლას, რომ დედას დავკავშირებოდით. მაგრამ დაკრძალვიდან მეხუთე დღეს, თვითონ მოვიდა.

ალეკო:

— დილით უთენია, დედაჩემი გვესტუმრა. გვითხრა: ეკა სადარბაზოს წინ დგას, აქამდე მოვიდა, ახლა კი, შემოსვლას ვერ ბედავსო... ასე გამოვასწორეთ წარსულის შეცდომა. ეკას გული ძალიან ვატკინე, მაგრამ ახლა ყველანი ერთად ვართ. ალბათ, ასე იქნება სიკვდილამდე.

ნათია:

— მეც პირდაპირ სკოლის მერხიდან გავთხოვდი. ეს ჩემი მშობლებისთვის მოულოდნელი და უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. ეგონათ, ასაკის გამო ვერ შევძლებდი ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვას, წვრილმან ოჯახურ უსიამოვნებებზე თვალის დახუჭვას. მაგრამ ბედნიერი ვარ. უკვე ორი შვილი მყავს. ჩემი მშობლებით ვამაყობ: როცა ერთად მივდივართ, ჩემი უფროსი და-ძმა ჰგონიათ. ალბათ ასევე იამაყებენ ჩემი შვილებიც... მართალია, მამამ ძალიან განიცადა, ჩემმა გოგონამ ბაბუა რომ დაუძახა, მაგრამ სამაგიეროდ, ახლა გაიგო ნამდვილი ოჯახის გემო. ბავშვებზე ისე ზრუნავს, მე და ჩემს ქმარს მხოლოდ მათი ფერების უფლებასღა გვაძლევს... ახლა მე და ჩემი მეუღლე ინგლისში წასვლას ვაპირებთ. შვილებს ჩემს ახალგაზრდა მშობლებს დავუტოვებთ. ღმერთს მადლობას ვწირავ იმ ბედნიერებისთვის, რომლითაც უხვად დამაჯილდოვა. ნაადრევი ქორწინება ჩემთვის ტვირთი და შეცდომა სულაც არ აღმოჩნდა — პირიქით...

ვნებს თუ არა ნაადრევი ქორწინება ჯანმრთელობას? როგორები არიან ადრეულ ასაკში შეუღლებულთა შვილები? რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს მშობიარობას 13-16 წლის ასაკში? გვესაუბრება მეან-გინეკოლოგი ***ნატო სვანიძე:***

— ნაადრევი ორსულობა, ისევე, როგორც ადრეულ ასაკში სქესობრივი ცხოვრების დაწყება, არა მარტო ჯანმრთელობისთვის არის საზიანო, არამედ შთამომავლობისთვისაც. ცხადია, ადრეულ ასაკში ქალის ორგანიზმი ბავშვის დაბადებისთვის მზად არ არის. საფრთხე ექმნება როგორც ბავშვის, ასევე მშობიარე ქალის სიცოცხლესაც. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ბანგლადეშში, სადაც ქალების 90% 18 წლამდე ასაკში ქორწინდება, 15-19 წლის ასაკში მშობიარობის დროს, სიკვდილიანობა ორჯერ მაღალია, ვიდრე 20-24 წლის ასაკში. ჯანმრთელობის დაცვის პანამერიკული ორგანიზაციის ექსპერტთა გამოკვლევის შედეგად დადგინდა: ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა ძირითადად, სამი მიზეზით ხდება: დედის ასაკის, მშობიარობის რაოდენობისა და ახალშობილის წონის გამო. ფაქტია, რომ ნაადრევი ორსულობის დროს, ძალზე ხშირია უდღეური და წონანაკლული ბავშვის დაბადების შემთხვევა. რაც უფრო ახალგაზრდაა დედა, მით ნაკლებია ჩვილის წონა და სიგრძე. ამიტომაც, ასეთი ბავშვები მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც.

— თუ გქონიათ შემთხვევები, როცა ნაადრევ მშობიარობას მძიმე შედეგი მოჰყვა?

— ხშირად, 14-15 წლის გოგონები მომწიფებულები არიან, მათი მენჯიც ისეთი ზომისაა, რომელიც საშუალო ზომის ნაყოფის დაბადებისთვისაა საკმარისი, მაგრამ რისკი ძალიან დიდია, ისევე, როგორც ხანდაზმულ მშობიარეთათვის. ბევრი რთული და საბედისწერო შემთხვევის მომსწრე ვყოფილვარ, მაგრამ მათი გახსენებისგან თავს შევიკავებ. მხოლოდ ერთ ფაქტორზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას: ზოგჯერ, ნაადრევ მშობიარობას თან ერთვის ფსიქიკის შერყევა. ამასთან, მოზარდთა ნაყოფიერება დაბალია — მათ ხშირად, წლების განმავლობაში უწევთ იმის ლოდინი, რომ დაორსულდნენ. უმეტესად, არც მათ და არც მათ მშობლებს არ სურთ, დაელოდონ, როდის გავა წლები და ორგანიზმი მომწიფდება; მიმართავენ გინეკოლოგებს, რომლებიც უამრავი მედიკამენტით ცდილობენ, დააჩქარონ მომწიფების პროცესი. მკურნალობა წლების მანძილზე გრძელდება და დამიჯერეთ, მტანჯველია. ყველაფერთან ერთად, ნაადრევი ქორწინების ან უბრალოდ, ადრეულ ასაკში სქესობრივი ცხოვრების დაწყების დროს, განსაკუთრებით დიდია საშვილოსნოს ყელის კიბოთი დაავადების რისკი.

აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში 18 წლამდე ასაკის 145-მა ქალმა იმშობიარა. აქედან 55,2% ან პათოლოგიური მშობიარობით აღინიშნა, ან ახალშობილს აღმოაჩნდა ესა თუ ის პათოლოგია. მაია ხერხეულიძემ 14 წლის ასაკში გააჩინა ბავშვი. ის დღე, როცა ანი ამ ქვეყანას მოევლინა, დედამისისთვის ყველაზე მძიმე და საშინელი აღმოჩნდა — ექიმებმა უთხრეს, რომ ბავშვი ვერ იცოცხლებდა...

მაია:

— მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბავშვად მთვლიდა და ამბობდა — არა უშავს, პატარაა, შვილებს კიდევ გააჩენს, ცხოვრება წინ აქვსო, — ეს ჩემთვის ნუგეში არ იყო. დაჟინებით ვითხოვდი: გადაარჩინეთ ჩემი შვილი, თორემ, ფანჯრიდან გადავხტები და თავს მოვიკლავ-მეთქი. მერე ჩემმა ექიმმა თქვა: ფსიქიატრი მოვიყვანოთ, ნერვები წესრიგში არა აქვს, თან, გართულებებიც მოსალოდნე-

ლიაო... მივხვდი, ჩემი არ ესმოდათ. არავის უნდოდა იმის გაგება, რომ თუ ანა დაიღუპებოდა, აღარც ჩემს სიცოცხლეს ექნებოდა აზრი. მშობიარობიდან მეექვსე დღეს, მშობლებმა მითხრეს: ბავშვი უდღეურია, ამიტომ ინკუბატორში გადაიყვანეს, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, შინ დავბრუნდეთ და დაველოდოთო.

— შენი მეუღლე რამდენი წლის იყო? ის რას გეუბნებოდა?

— ხვიჩა ჩემზე სამი წლით უფროსია. მთხოვდა, ბედს შევრიგებოდი. არ ღირს უფლის ნების წინააღმდეგ წასვლა, თუ მას უნდა, ჩვენს შვილს გადაარჩენსო... უკან დახევას არ ვაპირებდი: ბავშვს წუთით არ მივატოვებ-მეთქი, — გამოვაცხადე. მის პალატასთან ვათენებდი და ვაღამებდი. მამა თანამგრძნობდა, ჩემთან ერთად ტიროდა ხოლმე. ბოლოს მითხრა: ბინა გავყიდოთ და საზღვარგარეთ წავიყვანოთ სამკურნალოდო. მაგრამ ბინის გაყიდვა არ დაგვჭირდა: სამედიცინო დაზღვევა მივიღეთ.

— ბავშვს რა დაავადება აღმოაჩნდა?

— გულის მანკი ჰქონდა. ოპერაციის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან სულ 900 გ-ს იწონიდა. ინკუბატორიდან რომ გამოვიყვანეთ, 2 კგ-ს აღწევდა. ხუთი თვე საავადმყოფოში გავატარეთ. ორი კვირა ხელოვნური სუნთქვის აპარატზე ჰყავდათ შეერთებული. ექიმმა რომ მითხრა — გირჩევთ, აპარატის გამორთვაზე დათანხმდეთო, — მისი მოკვლა მომინდა... ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი დაჟინებისა და შეუპოვრობის გამო დავიტანჯე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. ვინ მოთვლის, რამდენი ღამე გამიტარებია დაჩოქილს ლოცვაში?! ბოლოს, ჩემმა მშობლებმა რკინის ქალამნები ჩაიცვეს და ყველა საჭირო საბუთი შეაგროვეს, რაც ანას საზღვარგარეთ წასაყვანად იყო საჭირო. მხოლოდ იმას ვერ მიაღწიეს, რომ ბავშვს მეც გავყოლოდი.

— რატომ?

— არასრულწლოვანი ვიყავი. ვინ მომცემდა უფლებას თხუთმეტი წლის გოგოს, ერთი წლის ბავშვთან ერთად ლონდონში გავმგზავრებულიყავი?! ამიტომ ანი დედაჩემმა იშვილა. ამან ჩემზე საშინლად იმოქმედა. იძულებული გავხდი, შვილს დროებით დავშორებოდი. გაღიზიანებულს და დათრგუნვილს, ოჯახის წევრები მტრებად მიმაჩნდა, მათი ყოველი სიტყვა მაღიზიანებდა. რომ არა ჩემი დედამთილი, რომელიც ექიმია, ალბათ, ოჯახს ვერ შევინარჩუნებდი. გავიგონე, ერთხელ, თავის ქმარს და შვილს როგორ უთხრა: გამწარებული დედაა, ყველაფერი ეპატიება, ჯობს, მისი გაცნობა და შეყვარება მაშინ დავიწყოთ, როცა ეს ჯოჯოხეთი დამთავრდება, ახლა კი მოთმინებით და სიბრალულით უნდა აღვიჭურვოთ — მაიას ჩვენგან სხვა არაფერი სჭირდებაო... მან გადამარჩინა, თორემ, ძალა არ მეყოფოდა, სამთვიან ლოდინს გავმკლავებოდი. სამწუხაროდ, ანა დაიღუპა. მისი გადარჩენა ვერ შევძელით. თექვსმეტი წლის ვიყავი, შვილი რომ დავკარგე... ჩემი თანაკლასელები სკოლას ამთავრებდნენ, მე რომ ცხოვრებასთან ჭიდილისგან ღონემიხდილი და გადაღლილი ყოველდღე ვაკის სასაფლაოზე მივდიოდი... არ ვიცი, ნაადრევი ქორწინების გამო დაიბადა თუ არა ჩემი შვილი ავადმყოფი, მაგრამ მე რომ ნაადრევად დავბერდი, ეს ფაქტია... ანას გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, დედამთილმა მე და ხვიჩა სასწავლებლად გერმანიაში გაგვგზავნა. ხვიჩა დიუსელდორფში სწავლობდა, მე ბონში „ოპერად“ ვმუშაობდი სამ ბავშვს ვუვლიდი. ორი წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ერთმანეთს ხელახლა დავახლოებოდით... შაბათ-კვირას, უქმეები მქონდა. ბონიდან დიუსელდორფში ავტობუსით დავდიოდი, ხვიჩა ყოველთვის გაჩერებაზე მხვდებოდა. მუშაობისგან დაღლილს მხვდებოდა შეყვარებული მამაკაცი, რომელიც ორი დღის მანძილზე ჩემს ცხოვრებას ზღაპრად აქცევდა. არ ვიცი, სად პოულობდა ძალას, რომ ყველაზე მწვავე პრობლემებიც კი დაემალა ჩემთვის. თურმე, მატერიალურად ძალიან უჭირდა, რაც შემთხვევით, მისი მეგობრისგან შევიტყვე. დედამთილს დავურეკე და აქაური ამბავი მოვიკითხე. მიპასუხა — მევალეები გვაწუხებენ, მაგრამ არა უშავს, ჩამოდით — ერთად პრობლემებს უფრო იოლად გავუმკლავდებითო... ანას ავადმყოფობის გამო იმდენი ვალი დაგვიგროვდა, ბინაც რომ გაგვეყიდა, ვერ გადავიხდიდით. დავბრუნდით, თუმცა არ ვიცოდით, როგორ უნდა გვეცხოვრა. ისევ მამა ამომიდგა მხარში: ორივე ოჯახმა გავყიდოთ ბინები და ერთად დავსახლდეთო. ასეც მოვიქეცით: 20.000 ლარი ვალი გავისტუმრეთ და დარჩენილი ფულით ვარკეთილში სამოთახიანი ბინა ვიყიდეთ... მას შემდეგ, სამი წელი გავიდა. ჩვენს დიდ ოჯახში თითოეულმა ვიცით ერთურთის ფასი. ჩვენმა თანატოლებმა ჯერ არც იციან, თუ რას ნიშნავს ოჯახური პრობლემები, ჩვენ კი, მძიმე ჭაპანს ვეწევით...

— ბავშვი აღარ გაგიჩენიათ?

— არა. ჯერ არც ვაპირებთ. კიდევ რამდენიმე წელს მოვიცდით. აუცილებელია, წარსულის ტკივილების მოშუშება შევძლოთ. ცხოვრება წინ გვაქვს. ბავშვს აუცილებლად გავაჩენთ, მაგრამ ჯერ ამისთვის მზად არ ვართ...

როგორია მოცემული თემის დემოგრაფიული ასპექტი? რა უარყოფითი შედეგები მოჰყვება ამ მოვლენის მასობრიობას? გვესაუბრება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარე ***ანზორ თოთაძე:***

— ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებში, რომლებიც შობადობის მაღალი დონით გამოირჩევიან, 20 წლამდე ასაკის ქალების მიერ შობილი ბავშვების წილი საკმაოდ დაბალი იყო. მაგალითად, 1989 წელს, ტაჯიკეთსა და აზერბაიჯანში ის მხოლოდ 5-5%-ს შეადგენდა — მაშინ, როდესაც საქართველოში 12,9%-ს აღწევდა. ამავე დროს, შობადობის დონე დასახელებულ რესპუბლიკებში მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოში არსებულ მაჩვენებელს. მაგალითად, 1989 წელს, ტაჯიკეთში ყოველ 1000 კაცზე 38,7 ბავშვი დაიბადა, ხოლო საქართველოში — 16,7. მხოლოდ ამ მონაცემზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ: ნაადრევი ქორწინება ვერავითარ დადებით გავლენას ვერ ახდენს შობადობის ამაღლებაზე. უფრო მეტიც — ნაადრევ ქორწინებათა რიცხვის შემცირება არა მარტო ბავშვთა სიკვდილიანობას ამცირებს, არამედ უხანგრძლივებს ქალს მშობიარობის უნარს და ამდენად, ხელს უწყობს ზოგადად შობადობის ზრდას. როგორც ცნობილია, იაპონიამ ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე დაბალ დონემდე ჩამოყვანას მიაღწია. მსოფლიოში სახელგანთქმული იაპონელი ექიმი ეიკიტი



ლარი სიმდიდრესა და განძს ნიშნავს...

ანუ საქართველოს ფულის მუზეუმის ექსპონატები...

საქართველოს ფულის მუზეუმი 2002 წელს, ეროვნული ბანკის და სახელმწიფო მუზეუმის ძალისხმევით შეიქმნა. პოსტსაბჭოთა სივრცეში ის მეორეა — კიევის ფულის მუზეუმის შემდეგ. მის ექსპონატებს შორის წარმოდგენილია ყველა ის ფულადი ნიშანი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იჭრებოდა ძვ.წ.აღ-ის VI საუკუნიდან დღემდე ან გადახდის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. იქვე ნახავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფულად ნიშნებსაც. როგორც ჩვენთან საუბრისას, მუზეუმის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მაგული თოდუამ განმარტა, მუზეუმის ძირითადი მიზანი, ქართული ეროვნული ვალუტის პოპულარიზაციაა.



კოლხური თეთრის ექსპონატი გამოვფინეთ იმ სახით, როგორითაც ის ვანის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს

ემა ტუხიაშვილი

— ეს მუზეუმი წარმოადგენს აგრეთვე საგანმანათლებლო ცენტრს, სადაც სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს საქართველოს ისტორიის ლექციებს უკითხავენ. გვაქვს აქ გამოფენილი ექსპონატების ვირტუალური ვერსია და მსურველებს ამ სახითაც შეუძლიათ ინფორმაციის მიღება. ჩვენთან გამოფენილია აგრეთვე სუვენირები, რომლებიც ძველი ქართული მონეტების ასლებს წარმოადგენს და ნებისმიერ მსურველს შეუძლია მათი შეძენა. ქართული ფულადი ნიშნების მიმართ უცხოელები საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენენ. ჩვენთან ხშირად ჩამოდიან მსოფლიოს სხვადასხვა მსხვილი ბანკის წარმომადგენლები და ყიდულობენ ჩვენი ეროვნული ვალუტის ნიმუშებს. გვაქვს აგრეთვე საიუბილეო მონეტები — ვერცხლისა და სპილენძ-ნიკელის 100-ლარიანი მონეტები, რომლებიც ქრისტეშობის 2000 და ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლის აღსანიშნავად მოიჭრა. 1995 წელს კი, მოიჭრა ოქროს 500-ლარიანი მონეტა, სტალინის,

მაცქიამა ამ მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევის რამდენიმე ფაქტორს შორის, უპირველესად, მშობიარე ქალის ოპტიმალურ ასაკს ასახელებს. იაპონელი ქალების 90%-ზე მეტი, პირველ შვილს 20-დან 34 წლამდე ასაკში აჩენს და მხოლოდ 1,3% — 19 წლისა და უფრო ახალგაზრდულ ასაკში.

— თუ არსებობს სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებიან ნაადრევი ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვები?

— სტატისტიკა საკმაოდ შემაშფოთებელია. ასეთი ბავშვების უმრავლესობა ჯანმრთელობით ე.წ. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: მათი რაოდენობა სიცოცხლის პირველ წელს, 87,5% შეადგენს, მეორე წელს — 84,3%-ს, ხოლო მესამე წელს — 80,8%-ს. ნაადრევი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებში პათოლოგიური მოვლენები მთელი ძალით პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში იჩენს თავს. ნაადრევ ქორწინებას კიდევ ერთი სერიოზული საფრთხე ახლავს: ხშირად, ახალგაზრდებს უჭირთ თავიანთი გრძნობების შემოწმება, არ ჰყოფნით ცხოვრებისეული გამოცდილება, ნაუცბადევად უკავშირდებენ ერთმანეთს ბედს და შემდგომში აღმოჩნდება ხოლმე, რომ სრულიად საწინაღმდეგო ფასეულობითი ორიენტაციები და ცხოვრებისეული მიზნები აქვთ; მერე ხვდებიან, რომ თურმე, ისინი ერთმანეთისთვის არ ყოფილან გაჩენილები. ამის შედეგად იწყება კონფლიქტები. მოსალოდნელი განქორწინების გამო, თავს იკავებენ შვილის გაჩენისგან. ამასთანავე, საქართველოში ყოველი 1000 განქორწინებული ან დაქვრივებული ქალიდან ხელმეორედ მხოლოდ 43 ქალი თხოვდება. განქორწინებისა და დაქვრივების შედეგად კი, 8%-ით მცირდება შობადობის დონე — ასე რომ, ნაადრევი ქორწინება მნიშვნელოვნად ამცირებს შობადობის დონეს.

— თბილისის მაგალითზე მაინც თუ შეგიძლიათ თქვათ, დაახლოებით რამდენი ნაადრევი ქორწინება აღირიცხება ყოველწლიურად?

— ნაადრევი ქორწინება უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით — 1991 წლიდან, როდესაც კანონით, საქორწინო ასაკი 16 წლამდე შემცირდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა. საგრძნობლად მოიმატა ახალგაზრდა დედების რიცხვმა. თუ 1989 წელს, 16 წლამდე ასაკის 47-მა ქალმა გააჩინა ბავშვი, 1994 წელს ამ ასაკში უკვე 528 ქალს შეეძინა შვილი. 16 წლის ასაკის ქალებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად, 520-სა და 1281-ს უდრიდა. მაჩვენებლები ყოველი ხუთი წლის შემდეგ მატულობს. ■

მაგული თოდუა

რუზველტისა და ჩერჩილის გამოსახულებით, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავს მიეძღვნა.

— უცხოელები უფრო მეტად, ალბათ ძველი ქართული მონეტების ასლებს იძენენ, არა?

— უცხოელებს ძირითადად, ჩვენი ეროვნული ვალუტა აინტერესებთ, განსაკუთრებით კი, ხურდა ფული — თეთრი. უნდა გითხრათ, რომ 1995 წელს გამოშვებულ ლარის კუპიურებს უკვე შეძენილი აქვს ნუმიზმატიკური ფასეულობა და მათ მუზეუმიდანაც ვყიდით ხოლმე. სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკები სისტემატურად გვიგზავნიან მათ ქვეყნებში მოქმედ ან ბრუნვიდან ამოღებულ ფულად ნიშნებს და ამით ჩვენი კოლექცია კიდევ უფრო მდიდრდება. სურვილი გვაქვს (და ვფიქრობთ, რომ უკვე მომავალი წლისთვის მოვახერხებთ ამ იდეის სისრულეში მოყვანას), მუზეუმში გამოვფინოთ ისტორიული ფულადი ნიშნების ექსპონატები — ძვ.წ.აღ-ის VI საუკუნემდე არსებული ნატურალური, გაცვლითი საშუალებები.

ქართული ფულის ნიშნების ისტორიის შესახებ მუზეუმის მთავარმა სპეციალისტმა ***ციცინო მუფერიძემ*** *გვიამბო:*

— საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყნების რიგს, სადაც ჯერ კიდევ ლითონის ფულზე გადასვლისას იწყება მონეტის ემისია და ფულის მიმოქცევა. საქართველო ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანია, რომელშიც ერთ-ერთი პირველი ფულადი ნიშანი მოიჭრა. ეს იყო ვერცხლის მონეტა — კოლხური თეთრი. მუზეუმში კოლხური თეთრის ექსპონატი გამოვფინეთ იმ სახით, როგორითაც ის ვანის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს — ანუ თიხის ქოთნის მაგვარ ჭურჭელში. კოლხური თეთრი ორი საუკუნის განმავლობაში მიმოიქცეოდა საქართველოს ტერიტორიაზე. ძვ.წ.აღ-ის IV საუკუნიდან კი, იწყება ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ბატონობის ხანა, მიმოქცევიდან ქრება კოლხური თეთრი და მის ადგილს ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერები იკავებს. უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე მაკედონელის იმპერიამ, რომელმაც ოციოდე წელი იარსება, იმდენად ღრმა კვალი დატოვა, რომ მისი გარდაცვალებიდან თითქმის მთელი 300 წლის განმავლობაში, ალექსანდრე მაკედონელის ოქროსა და ვერცხლის მონეტებს მთელი მსოფლიოს სამონეტო ბაზარი ჰქონდა დაპყრობილი. მოგვიანებით, ოქროს სტატერების დეფიციტი იქმნება და საქართველოში ჩნდება ადგილობრივი მინაბაძები, რომლებიც მიმოქცევაში ძვ.წ.აღ-ის II საუკუნემდე რჩება.

— ყველაზე დიდი პოპულარობით რომელი მონეტა სარგებლობდა საქართველოში?

— საქართველოს ტერიტორიაზე მიმოიქცეოდა თითქმის ყველა რომაელი იმპერატორის მიერ მოჭრილი ფულადი ნიშანი, მაგრამ ყველაზე დიდი პოპულარობით ოქტავიანე ავგუსტუსის ვერცხლის მონეტები — დინარები და გოტარბესის დრაქმები სარგებლობდა: ყველაზე დიდი რაოდენობით საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ ეს მონეტებია აღმოჩენილი. ჩვ.წ.აღ-ის IV საუკუნიდან, მიმოქცევაში შემოდის სასანური ვერცხლის ფული, რომელზეც გამოსახულია სასანელთა ემბლემა — აგიზგიზებული ცეცხლი, რომელსაც ორი მცველი უდგას. ეს ის პერიოდია, როდესაც დასავლეთით ბიზანტია, ხოლო აღმოსავლეთით ირანი ცდილობს საქართველოზე თავისი გავლენის გაძლიერებას, მაგრამ ამ ორთაბრძოლაში ორივე სუსტდება. ამ ვითარებაში ქართველი ერისმთავრები ახერხებენ დამოუკიდებლობის მოპოვებას, რასაც ადასტურებს იმდროინდელ საქართველოში

სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკები სისტემატურად გვიგზავნიან მათ ქვეყნებში მოქმედ ან ბრუნვიდან ამოღებულ ფულად ნიშნებს

მოჭრილი მონეტები — ერისმთავარ სტეფანოზის, ჯუანშერისა და გურგენის მონეტების სახელით ცნობილი. მონეტაზე ამოტვიფრული, აგიზგიზებული ცეცხლის ნაცვლად, ისინი გამოსახავენ ჯვარს და ქართულ მონეტაზე ასომთავრული წარწერა პირველად ჩნდება. VII საუკუნეში, ჩვენს ქვეყანას არაბები იპყრობენ და საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მიმოქცევაში შემოდის არაბული ვერცხლის ფული — დირხემი. ეს იყო საკმაოდ მაღალხარისხიანი ვერცხლის ფული, რომელმაც იმ პერიოდში, საერთაშორისო ვალუტის სახელიც კი მოიხვეჭა. პირველი არაბული დირხემი თბილისის ზარაფხანაში 704-705 წლებში იჭრება და არანაირად არ განსხვავდება სახალიფოში მოჭრილი მონეტისაგან — მხოლოდ ზარაფხანის სახელწოდებაა შეცვლილი. XI საუკუნის საქართველო მუზეუმში ქართულ-ბიზანტიური ვერცხლის ფულითაა წარმოდგენილი. ეს არის დავით კურაპალატის მონეტა, რომელიც სულ ოთხი ცალია აღმოჩენილი, აქედან ერთი — გერმანიაში, ერთი — კარელიაში და ერთი — შვეიცარიაა ნაპოვნი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფული ჩართული იყო საერთაშორისო ვაჭრობაში. დავით კურაპალატის მონეტაზეც ამოტვიფრულია ჯვარი და წარწერა: „ღმერთო შეიწყალე დავით კურაპალატი“. ჩვენს მუზეუმში წარმოდგენილია აგრეთვე ბაგრატ მესამის, ბაგრატ მეოთხისა და გიორგი მეორის ვერცხლის მონეტები. საინტერესოა დავით აღმაშენებლის სპილენძის მონეტა, რომლის ორიგინალიც ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. ამ მონეტაზე დავით აღმაშენებელი წარმოდგენილია საიმპერატორო სამოსელში, იქვე ჯვრის გამოსახულება და წარწერა — „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, სომეხთა და კახთა“, რომელიც კარგად მეტყველებს იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე... ეს

ციცინო
მუფერიძე

იყო მონეტა, რომლის ნომინალური ღირებულება ბევრად აღემატებოდა მის რეალურ ღირებულებას: სპილენძის მონეტას ვერცხლის ფასი ჰქონდა. ქართველი ხელისუფალნი მონეტებზე ათავსებდნენ აგრეთვე არაბულ წარწერას, რითიც გზას უხსნიდნენ ქართულ ფულს აღმოსავლეთის ბაზარზე. 1230 წელს, დედოფალი რუსუდანი ჭრის ვერცხლის ფულს, რომელზეც გამოსახულია იესო სახარებით ხელში. არაბული ლეგენდა გვამცნობს: „დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდან ასული თამარისა, განადიდოს ღმერთმა ძლევანი მისი, განაგრძოს ჩრდილნი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“. ანალოგიური არაბული ლეგენდა გვხვდება აგრეთვე თამარის მონეტაზეც. ქართული ფულის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტად მიჩნეულია თბილისის ზარაფხანაში დავით ულუს დროს მოჭრილი მონეტა, სადაც მეფე საკუთარ გვარს აწერს. მოგვიანებით, დემეტრე თავდადებული ჭრის მონეტას წმინდა სამების მოხსენიებით, რომელსაც წმინდა ეროვნული მონეტის სახელი უწოდეს.

— თქვენ თქვით, რომ მონეტა თავად მეტყველებს იმდროინდელი ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებაზე....

— სწორედ რომ ასეა, მონეტის მიხედვით ბევრი რამის გაგება შეგვიძლია. თუ ქვეყნის პოლიტიკური ვითარება სტაბილური იყო და შესაბამისად, მას ძლიერი ეკონომიკა ჰქონდა, დიდი ზომის და მძიმე წონის მონეტები იჭრებოდა. ხოლო როდესაც ქვეყანა სუსტდებოდა, მონეტის წონა და მოცულობა იკლებდა. მაგალითად, როდესაც XV საუკუნეში, საქართველო სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცდა, იჭრებოდა ნახევარგრამიანი, მოვერცხლილი სპილენძის მონეტა, რომელსაც სრულყოფილი მონეტის ფორმაც კი არ ჰქონდა და ზედ ფრინველები და თევზები იყო გამოსახული. XVI საუკუნიდან, საქართველოში შემოდის შაჰ-აბასის მონეტები — აბაზები, შაურები, თუმნები; მოგეხსენებათ, ეს ტერმინები დღემდეა შემორჩენილი სასაუბრო ქართულში. ხოლო ახლანდელი ხურდა ფულის — თეთრის სახელწოდება XIII საუკუნის ტერმინია: კრიზისის დროინდელი, სპილენძის შავი ფულისაგან ვერცხლის დრაქმა რომ განესხვავებინათ, მას თეთრი უწოდეს.

— ალბათ ძველი მონეტის ასლის დამზადება რთული პროცესია. სად მზადდებოდა ყველა ეს ნიმუში?

— ყველა ექსპონატი, ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო მუზეუმის თანხმობითა და ხელშეწყობით, ერთ-ერთი ქართველი ნუმიზმატის მიერაა დამზადებული. სამწუხაროდ, ჩვენთვის მისი ვინაობა უცნობია, მაგრამ ყველა ნიმუში უმაღლეს დონეზეა შესრულებული და დაცულია ორიგინალში არსებული წონა, ზომა და სხვა პარამეტრები.

— ახლა ქაღალდის ფულზე გვიამბეთ და ისიც გვითხარით, თუ არსებობდა წინათ, ფულის გაყალბებისგან დამცავი მექანიზმები?

— 1801 წელს, რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დაიხურა ქართული ზარაფხანა და მიმოქცევაში შემოვიდა ასიგნაციები. მაგრამ აღსანიშნავია, რომ რუსი მოხელეები მოსაკრებელს იღებდნენ სირმა-აბაზებით, თავად კი, სურსათ-სანოვაგეში ქაღალდის ფულს — ასიგნაციებს იხდიდნენ. XIX საუკუნიდან, საქართველოში რუსული ფულის ბატონობის პერიოდი იწყება და მიმოქცევაში შემოდის საკრედიტო ბილეთები. დაცვის მიზნით, ქაღალდის ფული ჭვირნიშნიან ქაღალდზე იბეჭდებოდა. 1918 წელს, როდესაც საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მხატვარ იოსებ შარლემანის ესკიზებით დამზადდა ქართული რესპუბლიკის ფულადი ნიშანი — ბონები, სადაც მოთავსებულია ნოე ჟორდანიასა და ფინანსთა მინისტრის კანდელაკის ფაქსიმილეები. 1921 წელს, იწყება „გასაბჭოების“ პერიოდი და ფულად ნიშნებზე მოთავსებული წმინდა გიორგის გამოსახულებიანი გერბი, ნამგლისა და უროს გამოსახულებით იცვლება... 1991 წელს, როდესაც საქართველო კვლავ დამოუკიდებელ და სუვერენულ ქვეყნად გვევლინება, ნოდარ მალაზონიასა და ელგუჯა ამაშუკელის ესკიზებით, საფრანგეთსა და ინგლისში იბეჭდება დროებითი საგადამხდელო საშუალება კუპონები. მოგვიანებით, ისევ მალაზონიას ესკიზების მიხედვით მზადდება ქართული ფული — მანეთი, რომლის დაბეჭდვა არ განხორციელებულა და მხოლოდ ისტორიისთვის შემორჩა მისი ნიმუშები ჩვენს მუზეუმს. 1995 წელს კი, ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად საქართველოში შემოდის ლარი; სიტყვა „ლარი“ სიმდიდრესა და განძს ნიშნავს... ჩვენს მუზეუმში წარმოდგენილია ამ ფულის 500-ლარიანი კუპიურა, დავით აღმაშენებლის გამოსახულებით, რომელიც, მოგეხსენებათ, მიმოქცევაში არაა. ■



ექსპონატებს შორის წარმოდგენილია ყველა ის ფულადი ნიშანი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იჭრებოდა ძვ.წ.აღ-ის VI საუკუნიდან დღემდე

ერთი ერთი კომპლიმენტის გამო

ერთი ხანობა იმ საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში ვმუშაობდი, რომლის სპეციალისტებმაც შექმნეს ცნობილი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“.

ჩვენი ტექნოლოგიური განყოფილება მოთავსებული იყო დიდ ოთახში. ტექნოლოგების სამუშაო მაგიდები კედლის გასწვრივ იდგა. ოთახის თავში, ფანჯარასთან განყოფილების გამგე იჯდა, მის მოპირდაპირედ, ოთახის ბოლოს კი – ინჟინერ-ტექნოლოგი ჟენია საიაპინა. ჟენია განყოფილების უფროსთან რომ მისულიყო, ჩვენი მაგიდების წინ უნდა გაევლო. მეტისმეტად ორიგინალური სიარული იცოდა – გრძელ ფეხებს ერთ სწორ ხაზზე დგამდა და ტანს მოხდენილად მიარხევდა. ჩავლისას წამით შემოგვხედავდა და ოდნავ გაგვიღიმებდა პოდიუმზე მოსიარულე მანეკენივით.

ერთხელ, როცა ჩემკენ მოიხედა, ვანიშნე, მოდი-მეთქი და ჩუმი ხმით ვუთხარი კომპლიმენტი:

– ჟენია, თქვენ ძალიან ლამაზი ფეხები გაქვთ!..

ესიამოვნა, თბილად გამიღიმა, მადლობა მითხრა და კიდევ უფრო გამომწვევად გააგრძელა სვლა.

გვერდით მჯდომმა არცთუ ისე ლამაზმა ქალმა, ყური მოჰკრა ჩემს კომპლიმენტს და დაბოღმილმა მითხრა:

– ვალიკო, გემოვნება არ გქონია, მაგას აქვს ლამაზი ფეხები?!

ახლა მეორე ქალმა გაიგონა მისი ნათქვამი და ვერ მოისვენა, სანამ ჟენია დერეფანში არ გაიყვანა.

დერეფნიდან ჟენია გაცეცხლებული შემოვარდა და პირველ „მოწინააღმდეგეს“ ლანძღვა დაუწყო.

როგორც იქნა, განყოფილების უფროსმა დაამშვიდა ჟენია, მაგრამ მეორე დღეს, კოლექტივის ყველა წევრმა, უფროსმაც და უმცროსმაც, როცა გაიგო ჩრდილოელი ქალის ფეხების ამბავი, მთელი კვირით დაკარგა მოსვენება. ყველა ჟენიას ფეხებს უთვალთვალებდა, აკვირდებოდა და დასკვნები ხმამაღლა გამოჰქონდა...

სამუშაოს დაწყებამდე, ქუჩაში ან ბიუროს ეზოში ელოდებოდნენ, რათა მისთვის ერთხელ მაინც შეევლოთ თვალი.

კონსტრუქტორებმა სახაზავი დაფები გვერდზე გადადეს და მთელი დღეები ისმოდა ხმაურიანი და ცხარე კამათის ხმა – ჟენიას ფეხების სილამაზის შესაფასებლად.

მამაკაცებს მოსწონდათ, მის ფეხებს მომხიბვლელსა და კლასიკურს უწოდებდნენ, ქალები კი – მახინჯად და დაგრეხილად მოიხსენიებდნენ. კოლექტივი ხომ გადაირია, მაგრამ მისი ფეხების ამდენმა შემყურემ ჟენია სულ გადარია და აგრესიული გახადა. ჯერ იყო და განყოფილების გამგეს, მსოფლიოში განთქმული „საქართველოს“ ნახაზები თავზე დააყარა. მერე მის გვერდით მდგომ, ირონიულად მოღიმარ ახალგაზრდა გოგონას კაბა შემოახია. შემდეგ კი, ახალგაზრდა კაცს, რომელმაც უნებლიეთ შეავლო მის ფეხებს თვალი, გახდილი ფეხსაცმლის ქუსლი ისე მწარედ ჩაარტყა თავში, რომ „სასწრაფო დახმარების“ გამოძახება გახდა საჭირო.

მოგვიანებით დირექციის გაფართოებული სხდომაც ჩატარდა – საგანგებოდ ჟენიას „ფეხების საქმის“ განსახილველად...

ნამინისტრალმა დირექტორმა ბატონმა გიორგიმ, როგორც ჩანს, გაითვალისწინა ჟენიას ოფოფების ამბავი და შეტევა მხოლოდ ჩემზე გადმოიტანა: – ვალიკოს რომ კომპლიმენტებით არ აევსო ეს ქალბატონი, არაფერი მოხდებოდაო. კაცს მტერ-მოყვარე არ დაელევა და სხდომის ნახევარმა მე დამიჭირა მხარი, – ეს ხომ უბოროტო კომპლიმენტი იყოო. მეორე ნახევარმა კი – გარყვნილების მუხლიც კი „მომიყენა“... საბოლოოდ, სამსაათნახევრიანი მსჯელობა-განხილვის შემდეგ, ადგილკომის ბიუროს თავმჯდომარესთან შეთანხმებით მიიღეს გადაწყვეტილება: – ვალიკო უნდა დაისაჯოს, რადგან სამუშაო საათებში, უადგილო კომპლიმენტი იხმარაო...

მეორე დღეს გამოაკრეს დირექტორის ბრძანება:

„მიეცეს საყვედური, უკანასკნელი გაფრთხილებით, ინჟინერ-ტექნოლოგ ვალიკო მიხეილის ძე ბაბლიძეს სამუშაო საათებში უადგილო კომპლიმენტის ხმარებისათვის. განმეორების შემთხვევაში, მიღებული იქნება უფრო მკაცრი ზომები“.

მესამე დღეს, თავად დავწერე განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ და ისეთ კოლექტივში გადავედი, სადაც არც კომპლიმენტი უკვირდათ და არც ლანძღვა-გინება...

ვლადიმერ ბაბლიძე

თმის ცვენის სპეციალური კაბინეტი

• თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა);
• ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
• კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, ნაოჭების გასწორება, მცენარეული საპნები;
• ნატურალური მკვებავი მალამოები.

მკურნალობა გარანტიით

მის: ჯავჯავაძის გაზ. 2/2, ჩაის სასლთან, სგომაგოლოგიურ პოლიკლინიკაში, მიღება ყოველდღე 11-18 სთ-ზე, მეჯღლიძე, ბეგაშვილი

☎ 30-94-73; 34-35-16 (საღამოს)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი“ – „LCG“ (ელ-სი-ჯი) გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3
☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38
ფაქსი: (+995 32) 98 39 38 ®

მარი ჯაფარიძე

„ხელები აყვავებული ალვის ხე ეჭირა“

ყველაზე ორიგინალური თაყვანისმცემელი

— შენ ძალიან უყვარდი მურადას... ასე ამბობდა, მერისნაირი კარგი გოგო ქვეყანაზე არ დადისო... მერის ძალიან ლამაზი თვალები აქვსო... მერი ძალიან... ძალიან... ძალიან კარგი გოგოაო... — აი, ასე გაუმხილა სიყვარული ზურიკელამ („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) მერის... დამეთანხმებით, რომ მართლაც ორიგინალურია... ყველაზე გულადი ვაჟკაცებიც კი კრთებიან, როცა საქმე გრძნობის გამხელას ეხება... ჩვენს მკითხველებს თუ დავუჯერებთ, რაც უფრო ორიგინალურად გავუმხელთ გულის სწორს სიყვარულს, მით მეტი შანსია, წარმატება მოვიპოვოთ. ახლა კი „მესიჯი“, რომელიც ერთი სიყვარულის თვითმხილველმა გამოგვიგზავნა:

წვიმაში გამხელილი სიყვარული

,,სამარშრუტო ტაქსის მძღოლი ვარ და უკვე დიდი ხანია, თბილისი-მცხეთის რეისზე ვმუშაობ. ორი წელია, ერთი გამხდარი, კაფანდარა გოგო ყოველ დილა-საღამოს მგზავრობს ჩემი მანქანით. როგორც ჩანს, სტუდენტია. უსიტყვო, წყნარი გოგონაა. არც გარეგნობით გახლავთ გამორჩეული, მაგრამ მისი თვალები საოცარ სითბოს ასხივებს. რამდენიმე ხნის წინ შევნიშნე, რომ თბილისში, გაჩერებასთან ახალგაზრდა ბიჭმა მოაცილა. თმახუჭუჭა, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა იყო... გამხარდა. ვიფიქრე, კარგი სიახლე გამოჩენილა ამ გოგონას ცხოვრებაში-მეთქი. ჩემი შვილიშვილის კბილა გოგოსთვის მხოლოდ სიკეთე მემეტება. ნატო (ასე ჰქვია გოგონას) წინ მოუძღოდა ბიჭს და სახეზე გაბუტულის იერი ჰქონდა. ამ ბიჭმა მეორე დღესაც მოაცილა და ამის შემდგომ, თითქმის ყოველდღე მის გვერდით ვხედავდი, მაგრამ ისინი არასოდეს საუბრობდნენ, თითქოს გაბუტულები იყვნენ. ნატო დასკუპდებოდა სკამზე, ის კი იდგა და გარედან უცქერდა, ვიდრე ჩემი მანქანა თვალს არ მიეფარებოდა. ერთ საღამოს, თავსხმა წვიმა იყო და დავინახე, ნატო გუბეებს ახტებოდა და სირბილ-სირბილით სამარშრუტო ტაქსისკენ მოდიოდა. უკან ის ყმაწვილი მოჰყვებოდა, ქურთუკი გაეხადა, ნატოსთვის თავს ზემოთ, ქოლგის ნაცვლად გადაეფარებინა და ისიც ხტუნვა-ხტუნვით მოჰყვებოდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ ნატო ყურადღებასაც არ აქცევდა მის ასეთ საქციელს. გალუმპული გოგონა მანქანაში ამოვიდა და დაჯდა. ბიჭიც ამოჰყვა და გვერდით მიუჯდა. მათი საუბარი აშკარად მესმოდა. — იქნებ, ერთხელ მაინც დამელაპარაკო ნორმალურად, — სთხოვდა ბიჭი. — თავი დამანებე, — პასუხობდა ნატო. ამასობაში მანქანა ადგილიდან დაიძარი და მცხეთის გზას გავუყევი. ბიჭი არ ჩასულა, თან გამოგვყვა. მგზავრებსაც ესმოდათ მათი საუბარი და სახეზე ყველას ღიმილი ჰქონდა გადაფენილი. მიყვარხარ, — ეჩურჩულებოდა ბიჭი. — არ მჯერა, — უპასუხა ნატომ. უცებ, ბიჭმა დაიძახა: — გაჩერეთო. გავაჩერე მანქანა და ინტერესით დაველოდე მოვლენების განვითარებას. ბიჭი ჩავიდა, თავსხმა წვიმაში, მანქანის წინ დადგა, ხელები გაშალა და ხმამაღლა დაიყვირა — მიიყვაარხااარ! — კარგა ხანს ვიყავით გაჩერებულნი, ბიჭი მთლად გაილუმპა, ნატო კი მშვიდად ოჯდა და ფანჯარაში იყურებოდა... ცოტა ხნის შემდეგ ბიჭი მანქანაში ამოვიდა, ყველა მგზავრს სათითაოდ ჩამოუარა და ეუბნებოდა: — უთხარით, თქვენ მაინც უთხარით, რომ მიყვარსო... ნატო მანქანიდან ჩავიდა და გზას ფეხით გაუყვა. ბიჭი გვერდით მიჰყვებოდა და ხელების ქნევით ელაპარაკებოდა. ჩვენ კი მანქანით უკან მივყვებოდით. შემდეგ ამ ბიჭმა საპირისპირო მხარეს მიმავალი ტაქსი გააჩერა, ორივენი უკანა სავარძელზე მოთავსდნენ და უკან, თბილისისკენ გაბრუნდნენ. ამის შემდეგ ნატო კარგა ხანს აღარ გამოჩენილა. ახალი წლის წინა დღეებში კი ორივე ერთად გამოჩნდნენ და გული სიხარულით ამევსო, რადგან ნატოს განიერი პალტოს ქვეშ კარგად გამობერილი მუცელი ეტყობოდა. აი, ასეთი ამბის მომსწრე გავხდი. არ ვიცი, რამდენად მქონდა უფლება, მათი ამბავი საშკარაოზე გამომეტანა, მაგრამ ვფიქრობ, არ გამინაწყენდებიან. თანაც, ძალზე მინდოდა, მათთვის ბედნიერება მესურვებინა. პატივისცემით, დათო“.

ჩვენც ვუერთდებით ბატონი დათოს მილოცვას და შემდეგი რესპონდენტის „მესიჯს“ გთავაზობთ.

იცით, რა საერთო აქვს ქალს და გველს? თუმცა, ეს გამოცანა როგორც არ უნდა მთავრდებოდეს, ქალისთვის სასიამოვნო მოსასმენი არასოდეს იქნება... მით უმეტეს მაშინ, როცა მას სიყვარულს უმჟღავნებთ:

„გველივით მოქნილი ენა“

„მე აკაკი ვარ. მინდა, მოგიყვეთ, როგორ „ორიგინალურად“ ავუხსენი სიყვარული ერთ გოგონას და ასევე „ორიგინალურად“ დავრჩი უცოლოდ. მშვენიერი თინათინი შემიყვარდა. აქეთ მოდექი, იქით მიდექი და როგორც იქნა, დავუახლოვდი. თინიკო ჩემი ოცნების გოგონა იყო. რას არ გავიღებდი, რომ ჩემი გამხდარიყო. მისი ჯოკონდასებრი ღიმილი მთრობდა, მზერა — მატკბობდა, მაგრამ ის დალოცვილი ისეთი ენამწარე იყო, ხანდახან, ოცნებაში წასულს ისე მწარედ მეტყოდა ხოლმე რამეს, რომ მეგონა, ქვეყანა თავზე მენგრეოდა. კარგა ხანს ვხვდებოდი, მაგრამ სიყვარულის ახსნას ვერ ვუბედავდი. ერთხელ (15 აპრილი იყო, სიყვარულის დღე), მტკიცედ გადავწყვიტე, გრძნობა გამემხილა და ცოლობა მეთხოვა. პემანი დავუნიშნე და მთელი კვირა ვიზეპირებდი იმ ტექსტს, როგორ გამემხილა ჩემი გრძნობის შესახებ. როგორც იქნა, მოვახერხე, მისი ხელები ხელში მოვიქციე, თვალებში ჩავხედე და ამოვილუღლუღე, მიყვარხარ-მეთქი. — რატომ?

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. როყინი კამეჩის ხმიანობაა.
2. მწდე და მერიქიფე სინონიმებია.
3. ქსენოფობია უცხოელების შიშია.
4. საქონლის დამკვლელს სალახი ჰქვია.
5. საკეს იაპონელები შემთბარი სახით სვამენ.
6. მიქელანჯელოს დავითი ხუთ ტონას იწონის.
7. პონჩიკა და სიროფჩიკა ნეზნაიკას ძმაკაცები იყნენ.
8. საყვარელ, სასურველი ადამიანს ნანდაურს ეძახდნენ.
9. მხატვრულმა ფილმმა „ცეკვა მგლებთან“ 7 ოსკარი მიიღო.
10. შიმპანზესა და ადამიანებს გენების 95 პროცენტი საერთო აქვთ.
11. ელიზაბეტი, ელიზა, ლიზი, ზაბეტი, ბეტსი და ბესი ერთი და იგივე სახელია.
12. ქართლოს კასრაძე და ზურა ქაფიანიძე პირველ აპრილს არიან დაბადებულები.
13. არყის ოპტიმალური სიმაგრე — 40 გრადუსი მეცნიერულად მენდელეევმა დაადგინა.
14. მას შემდეგ, რაც მუცელში ტყვია დაიხალა, ვან გოგმა რამდენიმე საათი კიდევ იცოცხლა.

15. მიხეილ ვასილის ძე ფრუნზე წითელ მოედანზე, მავზოლეუმის გვერდით არის დასაფლავებული.
16. ერთი კოსმონავტის მომზადება და კოსმოსში გაშვება აშშ-ს რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი უჯდება.
17. მოსკოველი ნუდისტები ქორწილის დროს თავიანთ შეხედულებათა დემონსტრირებისათვის მანქანის კაპოტზე შიშველ თოჯინებს ამაგრებენ.
18. გენიალური ფრანგი ლინგვისტი შამპოლიონი ჯერ კიდევ ბავშვობაში იყო დარწმუნებული, რომ სწორედ იგი შეძლებდა ეგვიპტური იეროგლიფების ამოკითხვას.
19. 23 აპრილი, იუნესკოს გადაწყვეტილებით, წიგნისა და საავტორო უფლებათა დაცვის დღედ არის გამოცხადებული.
20. რობერტო ბაჯოს 16 წლის ასაკში ძლიერ ანალგეტიკურ პრეპარატებზე ალერგია აღმოაჩნდა, რის გამოც იგი ტრავმებისაგან გამოწვეულ ტკივილებს საერთოდ ვერ იყუჩებდა.
21. მოსკოვში 20-იანი წლების დასაწყისრატომ გიყვარვარ? — მკითხა და ისე დავიბენი, სულ დამავიწყდა, რაც უნდა მეთქვა. — იმიტომ, რომ კარგი გოგო ხარ, იმიტომ, რომ ჩემი სიცოცხლე ხარ, იმიტომ, რომ ძალიან საყვარელი ხარ, — მივაყარე ჩქარ-ჩქარა და დავამატე — იმიტომ, რომ... გველივით (მივხვდი, რომ ეს სიტყვა არ უნდა მეხსენებინა) გველივით... მოქნილი ენა გაქვს და თან, დედაჩემს სწორედ შენნაირი გოგონები მოსწონს-მეთქი. მიყურა, მიყურა და მითხრა: — მერე, ორი გველი ერთ ოჯახში როგორ გავძლებთო? — ენა ჩამივარდა. ის კი მიბრუნდა და წავიდა. აბა, რას იტყვით? ხომ მართლაც ორიგინალურია?

თურმე, ერთ-ერთ აფრიკულ ტომში სიყვარულის გამჟღავნება მეტად ორიგინალურად ხდება. მამაკაცმა მთელი ღამე სატრფოს ფანჯრის წინ უნდა გაათენოს და თან დოლს უბრახუნოს. თუ ბრახუნი თუნდაც ერთი წუთით შეწყდა, ეს დიდი სირცხვილია და კაცი კუდამოძუებული ტოვებს ადგილს. სიყვარულის ობიექტი კი დილით, რიურაჟზე გამოიხედავს და თუ მამაკაცი მისთვის სასურველია, კარიდან ცეკვა-ცეკვით გამოვა, თუ არა და ცხვირსაც არ გამოყოფს გარეთ... ეს აფრიკული ტომისთვის მისაღები და დაუწერელი კანონია, მაგრამ ის, რაც სხვაგან სავალდებულოა, ჩვენთან შესაძლოა, ორიგინალობად ან სულაც ბოროტ ხულიგნობად მონათლონ.

„ჩემს თაყვანისმცემელს კვერცხები დაუშინეს“...

„მე თათია ვარ, 23 წლის. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ერთ ბიჭს შევუყვარდი. ის მაშინ 26 წლის იყო. ძალზე მეშინოდა მისი, რადგან ზრდასრული მამაკაცი იყო და ვფიქრობდი, აუცილებლად მატყუებს, თორემ რა შესაყვარებელი მე ვარ-მეთქი. ის კი, არა და არ მეშვებოდა. სკოლასთან მხვდებოდა, სიყვარულს მეფიცებოდა... ჩემს დაბადების დღეზე არ დავპატიჟე და ძალზე გამინაწყენდა. იმ ღამით, ძილის წინ დამირეკა და მითხრა, ისეთ სიურპრიზს გიმზადებ, არასოდეს დაგავიწყდებაო. მაშინ მე-5 სართულზე ვცხოვრობდი ბებიასთან ერთად. შუაღამისას რაღაც ხმაური შემომესმა. ფანჯარაში გავიხედე და რას ვხედავ: ეს ჩემი თაყვანისმცემელი ფანჯრის გასწვრივ ზის და გიტარის თანხლებით სერენადებს მიმღერის. ამწე მოუყვანია, ფული გადაუხდია და ამწის კალთაში ჩამჯდარი მთელი ღამე არ გაჩუმებულა. მეზობლები გაგიჟდნენ. ხან კვერცხები დაუშინეს, ხან უყვიროდნენ — გაჩუმდიო, კარტოფილი, ხახვი და პამიდორი არ დააკლეს, მაგრამ ის მაინც ოჯდა და მონდომებით მღეროდა. ბოლოს, როგორც ჩანს, ვიღაცამ პოლიციას შეატყობინა და ჩემი თაყვანისმცემელი დაპატიმრეს. ის ღამე განყოფილებაში გაათენებინეს, მეორე დღეს მე მივაკითხე და ხვეწნა-ხვეწნით გამოვაშვებინე. შემდეგ მე სულ სხვამ მომიტაცა, ჩვენი ურთიერთობა არ შედგა, მაგრამ ყოველთვის ღიმილით ვიხსენებ ამ ამბავს“.

„სიყვარული დუმილია, საიდუმლო და თანაც, ძალზე პირადული“ — უთქამს ცვიგს, მაგრამ ვიდრე ნაბიჯს გადადგამდეთ, კარგად გაარკვიეთ, რატომ დუმს თქვენი რჩეული.

მღუმარე პრინცი

„თაყვანისმცემლების სიმცირეს არ განვიცდი. გარეგნობითაც კარგი გოგო ვარ. მთელი ცხოვრება ოცნების პრინცს დავეძებდი, რომ ჩემი გული მისთვის მიმეძღვნა. სასაცილოა, ხომ? რა ვქნა? მისი არსებობის მჯეროდა... თუკი ვინმე მომეწონებოდა, სიყვარულს ისე უუნაროდ ამიხსნიდა, რომ მისკენ გახედვაც აღარ მინდოდა. ერთხელ, მეგობარმა ამბავი მომიტანა, ამა და ამ ბიჭს ძალიან უყვარხარო. სიხარულისგან ლამის გავგიჟდი, — ეს რა მეღირსა-მეთქი?! ეს ბიჭი მეც ძალიან მომწონდა, თან, რომ შეხედავდი, ნამდვილ ზღაპრულ პრინცს ჰგავდა. თეორ რაშზე არ იყო ამხედრებული, მაგრამ, სამაგიეროდ, თეორ, ბოლო მოდელის BMW-ში ოჯდა. მეც ვეკეკლუცებოდი, ვეპრანჭებოდი და ჭკუაზე არ ვიყავი. რამდენჯერმე ბარშიც დამპატიჟა დაქალებთან ერთად, მაგრამ მის მაგივრად ყოველთვის მისი ძმაკაცი ლაპარაკობდა. ის კი ოჯდა და კუნაპეტივით შავი თვალებით ნაღვლიანად მიყურებდა. მოსვენება დავკარგე, გულზე ვსკდებოდი, რადგან არაფერს მეუბნებოდა. ეს დუმილი კი ძალზე მაღიზიანებდა. დაბადების დღეზე საჩუქარი მისმა ძმაკაცმა მომიტანა: — ეს ლევანმა გამოგიგზავნაო. მე კი უკან დავუბრუნე და მივახალე: თუ საჩუქრის მოცემა უნდა, თავად მოვიდეს და მომილოცოს-მეთქი. ცოტა ხანში ლევანი მოვიდა, გვერდზე გამიხმო, მომნუსხველი მზერა მომაპყრო და კარგა ხნის დუმილის შემდეგ ამოღერღა: — ქრრრისსსტინننა, ggგილლოცავ, მმმიყვარررხარ — თურმე ენა ებმოდა და ამიტომ ამჯობინებდა დუმილს“...

სამწუხაროდ, ქრისტინამ არ მოგვწერა, როგორ გაგრძელდა მათი ურთიერთობა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი კარგად წარიმართა... ახლა კი მოკლე „მესვეტებს“ გაგაცნთ:

„ტორტში ახალი სიურპრიზი გელის“

„ჩემი თაყვანისმცემელი ძალზე ორიგინალური იყო, შეხვედრების ადგილი — ტყე, ნაკრძალი ან სკვერი მემორიალურ დაფასთან... ეს ყველაფერი მომზეზრდა და ორიგინალურად დავშორდი სამუდამოდ“.

„ორს ვუყვარვარ, მდიდარს და ღარიბს. ორივე ცოლობას მთხოვს. მე ღარიბს ვირჩევ, რადგან ჭეშმარიტად ვუყვარვარ. მდიდარი კი ნამდვილი მამიკოს ბიჭია, არამზადა. ფული

ჩვენც ბევრი გვაქვს“.

„ნუგზარ! სიხარულო ჩემო, მიყვარხარ შენს ლამაზ ოჯახთან და შვილებთან ერთად. იქნებ, არ უნდა მიყვარდე... მაგრამ უკვე მიყვარხარ და ამას აღარაფერი ეშველება. მაკა“.

„ერთ საღამოს, ჩემმა შეყვარებულმა ეზოს სტადიონზე თეთრი საღებავით დამიწერა: მიყვარხარ. მინდა გითხრა, რომ მეც მიყვარხარ, ჩემო „ბუსუსა“.

„იცით, ჩემი ქმარი როგორი ორიგინალურია? ჩვენი ქორწილის დღეს პირველად მითხრა სიტყვა „მიყვარხარ“ და ვიცი, მეორედ მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს მეტყვის. ჩემს დასანიშნად რომ მოვიდნენ, შორტებით „ვამჩითა“. კინაღამ გული წამივიდა. ქორწილში არც მე ჩამაცვა საპატარძლო კაბა და არც თვითონ გამოეწყო სიძის შესაფერისად. რაც მთავარია, სიძეპატარძალი მოტოციკლით დავქროდით. აი, ასეთი ორიგინალური ადამიანია. მის გვერდით ყოფნა მეტად საინტერესოა და სულ ახალ-ახალი სიგიჟეებით მიხალისებს ცხოვრებას“.

„ჩემმა თაყვანისმცემელმა, გეგამ დამირეკა და მთხოვა, ფანჯარაში გამეხედა. რომ გავიხედე, დავინახე, რომ მას და მის ძმას ხელში აყვავებული ატმის ხე ეჭირათ და გაზაფხულს მილოცავდნენ. ნინი“.

„ერთი გოგონა ათი წელი მიყვარდა. მისთვის არ მითქვამს, მაგრამ იცოდა. ბოლოს, გამბედაობა მოვიკრიბე, მასთან დავრეკე და სიყვარული ავუხსენი. აღმოჩნდა, რომ ყურმილი დეიდამისს აუღია, მე კი, დაბნეულმა მათი ხმები ვერ გავარჩიე...“

„ჩემმა მეუღლემ სიყვარული ძალზე ორიგინალურად ამიხსნა. შუაღამისას ჩემს აივანზე (მე-6 სართულზე ვცხოვრობდი) ამოძვრა უზარმაზარი ვარდების თაიგულით. ნანა. თბილისი“.

„ერთი ბიჭი მეკურკურებოდა. კარგა ხანს შორი-შორს მდია. შემდეგ პაემანი დამინიშნა. პირველსავე პაემნის დროს საქორწილო კაბების მაღაზიაში შემიყვანა და მითხრა: აირჩიე, რომელიც გინდა, ორი კვირის მერე ჩვენი ქორწილია და უკანოდ ხომ არ იქნებიო. დღეს მისი ცოლი ვარ და ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ასე უცებ მომახლის ხოლმე.“

„ჩემმა შეყვარებულმა დაბადების დღეზე დიდი ტორტი მომართვა, თვითონ კი სუფრასთან არ დაჯდა. ტორტის შუაგულში დიდი, წითელი ვარდი იყო. გიამ მთხოვა: — ტორტის ეს ნაწილი აუცილებლად შენ შეჭამეო. მართლაც, ის ნაწილი ჩემთვის გადმოვიღე და აღმოჩნდა, რომ ფენებს შორის საქორწინო რგოლი იყო დამალული. სიხარულისგან ლამის გავგიჟდი. მალე დავქორწინდით. ჩემი ფეხმძიმობის ამბავი კარგა ხანს საიდუმლოდ შევინახე. მისი დაბადების დღეს, მეც დიდი ტორტი მივართვი და — შუა ნაწილი შენ შეჭამე-მეთქი, — ვუთხარი. როცა იქ ბავშვის „მატყუარა“ აღმოაჩინა, სიხარულისგან ხელში ამიტაცა და ნახევარი საათი ჰაერში მაფრიალებდა. მიყვარხარ, ჩემო გია, ამას რომ წაიკითხავ, მიხვდები, რომ ჩვენ შესახებ დავწერე. ამ დაბადების დღეზე, ტორტში ახალი სიურპრიზი გელის. შენი „კეკლუცა“.

„მე ვფიქრობ, რომ მეტად ორიგინალურად ამიხსნა სიყვარული ერთმა კახელმა. ვერ მომიტაცა, მერე მანქანაში ამიხსნა სიყვარული. ტალი“.

„მგონია, ორიგინალურია, როდესაც სასწავლებლიდან გამოდიხარ და ხეზე გაკრულ პლაკატზე კითხულობ: — მაიკო, მიყვარხარ“.

„ჩემმა თაყვანისმცემელმა, ჩემი ყურადღების მისაპყრობად, თავში ფეხბურთის მძიმე ბურთი მომარტყა. ხომ ორიგინალურია? მარიკა“.

„ერთ დღეს, სტუმრად მეწვია მეზობლის დეიდაშვილი. ტახტზე გადაწვა და მკითხა: — ჩვენ შორის რამე რომ იყოს, ყაბულს ხარ? — რა რამე-მეთქი? — ვკითხე და ცოლობა შემომთავაზა“.

„ჩემს სიცოცხლეს ეკლესიაში ავუხსენი სიყვარული. თამუნა, მიყვარხარ. შენ ჩემი ცხოვრების მიზანი ხარ. კობა. ქობულეთი“.

„ნინო ბუთიაშვილო, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. დამიბრუნდი. ალიკა“.

„მინდა, ერთ უცნაურ სიყვარულზე გიამბოთ. ორი პიროვნება ბავშვობიდან იცნობდა ერთმანეთს, მაგრამ ყოველი მათი შეხვედრა ჩხუბით მთავრდებოდა. ერთხელ, ასეთი ჩხუბის დროს, რვა კაცის თანდასწრებით, მუხლმოყრილმა დათომ ცოლობა სთხოვა სალომეს. სამწუხაროდ, ორი „თხის რქის“ ქორწინება არ შედგა“.

„მარი, ჩემმა შეყვარებულმა საკმაოდ ორიგინალურად ამიხსნა სიყვარული და ცოლობა მთხოვა. ეს თქვენი საშუალებით მოხდა. შარშან ზაფხულს, „გზავნილებში“ წავიკითხე გოჩას „მესიჯი“, რომლითაც ის გრძნობას მიმხელდა და ოჯახის შექმნას მთავაზობდა. არ დავმალავ, რომ ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. მე მისი ცოლი ვარ და სამ თვეში ბავშვსაც ველოდებით. თუ გოგონა შემეძინა, მარის დავარქმევ. დიდი მადლობა, რომ უზომოდ ბედნიერი გამხადეთ. ლელა“.

მოხარული ვართ, თუ ჩვენს „გზავნილებს“ წვლილი მიუძღვის ლელას გაბედნიერებაში... წარმატებას ვუსურვებთ ყველა ჩვენს მკითხველს, მე კი მომდევნო „გზავნილების“ თემად გთავაზობთ: „ამბავი, რომელიც მინდა, რომ კიდევ გამეორდეს“. გამოგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ში დიდი ხნის რეპეტიციების შემდეგ გამოვიდა სპექტაკლი, რომლის მონაწილეებიც კითხულობდნენ „კაპიტალს“, შტურმით იღებდნენ ზამთრის სასახლის მაკეტს და ქვემეხსაც კი ისროდნენ. სპექტაკლის რეჟისორი დუროვი გახლდათ, როლებს კი კურდღლები ასრულებდნენ.

22. პენალტს ჩვენ თერთმეტმეტრიან დარტყმას ვეძახით. სინამდვილეში მანძილი

დარტყმის წერტილიდან კარის ხაზამდე 10მ და 93 სმ-ია. სწორედ ეს სიგრძე შეესაბამება ამ დარტყმისთვის განსაზღვრულ 12 იარდს, რომელიც ინგლისელებმა დააწესეს.

23. პირველი მსოფლიო ომის დროს ერთ-ერთი ამერიკული ფირმა, გერმანელების ნებართვით, ამერიკელ ტყვეებს გერმანიაში უგზავნიდა სათამაშოებს. ეს იყო სათამაშო-თავსატეხი: მოთამაშეს ფერადი ბურთულები ფერისა და გარკვეული რიგის მიხედვით უნდა დაეწყო. ვინც თავსატეხის საიდუმლოს ჩასწვდებოდა, თავისუფლების მოპოვების შანსი ეძლეოდა — სათამაშოში დამალული იყო ქლიბი, კომპასი და ადგილმდებარეობის რუკა.

24. რუსი ბიოლოგი ილია ივანოვი სხვადასხვა სახეობების შეჯვარებაზე მუშაობდა. მან წარმატებით შეაჯვარა ზღვის გოჭი თაგვთან და ბოცვერთან, რის შემდეგაც დააპირა განეხორციელებინა ყველაზე თამამი ექსპერიმენტი, რომელზეც მთელი სიცოცხლე ოცნებობდა — ეს იყო ადამიანის მაიმუნთან შეჯვარება. ამ ექსპერიმენტის უფლება მეცნიერს მეფის რუსეთში არ მისცეს, პირველი ცდის ჩატარების შესაძლებლობა მას კომუნისტური წყობილების დროს მიეცა. საბედნიეროდ, ეს ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა.

25. მეორე მსოფლიო ომის წინ ევროპის ქვეყნების არმიებს 81,4 მმ კალიბრის ნაღმმტყორცნები ჰქონდათ. საბჭოთა კონსტრუქტორებმა წამოაყენეს წინადადება, შეექმნათ სამამულო წარმოების ნაღმმტყორცნი, რომლის კალიბრი 82 მმ იქნებოდა. ასეთი ნაღმმტყორცნით შეძლებდნენ მტრისთვის წართმეული ნაღმების სროლას, საბჭოთა ნაღმები კი მოწინააღმდეგისთვის გამოუსადეგარი იქნებოდა. ■

ნინო ბურდულისთვის მშობლებს არ დაუშლიათ მსახიობობა, თუმცა მათგან ხელშეწყობაც არ ჰქონია. ნინო ქალბატონ ლილი იოსელიანის სტუდენტი იყო და ინსტიტუტის დამთავრებისთანავე რუსუდან ბოლქვაძესთან და გოგა პიპინაშვილთან ერთად, მიხეილ თუმანიშვილმა კინომსახიობის თეატრში წაიყვანა. ბატონი მიშას მსახიობებს ყოველთვის ეტყობათ, რომ მისი ხელმძღვანელობით მუშაობდნენ. ნინო კი — როგორც თვითონ ამბობს, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, — ვერავისი მსახიობი ვერ გახდა. მას თუ აინტერესებს კონკრეტული როლი, მაშინ თანამშრომლობს რეჟისორთან, თუ არა და — უარს ამბობს. ეს პრობლემა მისთვის ძალიან იოლი გადასაწყვეტია.

ნინო ბურდულის ცხოვრების სასურველი წესი

ნათია თენიეშვილი

თავისი სამსახიობო კარიერის მანძილზე, სულ სამ როლზე თქვა უარი იმიტომ, რომ ამ როლების შესრულება სცენიდან განზრახ ტყუილის თქმას და ცხოვრების მთავარი პრინციპების უარყოფას ნიშნავდა. ერთ-ერთი ასეთი როლი მას მიხეილ თუმანიშვილმა შესთავაზა. მაშინ ნინო უბრალოდ არ დათანხმდა რეჟისორს მისთვის გამოწვდილ პიესაში მუშაობაზე... მას მერე ბევრი დრო გავიდა. საკმაოდ უხერხული სიტუაციის მიუხედავად, რომელიც მაშინ შეიქმნა, ნინო თავის საქციელს დღესაც არ ნანობს. მისი პოპულარობა ბოლო დროს საკმაოდ გაიზარდა. ეს ალბათ ტელესერიალში — „ყავა და ლუდი" — შესრულებული მარიკას როლის წყალობითაც მოხდა. „მარიკა ქალთა იმ ტიპის წარმომადგენელია, რომელიც მუდამ იარსებებს ამქვეყნად. მარტოხელა ქალი შეიძლება გახდეს ან დიდი სისულელეების მიზეზი — იმიტომ, რომ აღარ იცის, რა უყოს თავის ენერგიას, — ან ძალიან კარგი საქმეები აკეთოს, რადგან მას ეს ენერგია დასახარჯი აქვს" — ამბობს ნინო.

სერიალის პარალელურად, ნინო ბურდული კინომსახიობის თეატრში ორ ახალ როლზე მუშაობს: ზურა გეწაძესთან ერთად პიესაზე — „ნამდვილი გმირი" და დათო საყვარელიძესთან ერთად — მოლიერის „ტარტიუფზე".

— ძალიან საინტერესო როლებია. ბოლო როლი თავისუფალ თეატრში სპექტაკლში „ტელემისტერია" (რეჟ. ავთო ვარსიმაშვილი) დედის როლი იყო, სადაც 35 წლის ქალიშვილი მყავს. ბევრი ვიხალისე და მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი საინტერესო როლია ჩემს შემოქმედებაში. მსახიობებს აქვთ კლიშის და ერთსა და იმავე ამპლუაში შესრულებული როლის კომპლექსი. ამ მხრივ მე გამიმართლა და განსხვავებული როლი ვითამაშე. ზურა გეწაძესთან ვთამაშობ ქვრივს, რომელსაც ქმარი ჰყავს მოკლული. „ტარტიუფში" ვთამაშობ 80 წლის ბებიას, რომელიც ძლივს დადის. როცა ავთომ „ტელემისტერიაში" დედის როლი შემომთავაზა — გამიხარდა, მაგრამ მგონი უკვე ბევრი მომივიდა და ვფიქრობ — რა, უკვე გადავედი ასეთ როლებზე-მეთქი?..

— „ტელემისტერიაში" არ გაგიჭირდათ საკმაოდ ასაკოვანი ქალის თამაში?

— არა, არანაირი პრობლემა არ მქონია. ამ როლში გრიმსაც არ ვიკეთებ იმიტომ, რომ ვთვლი — პლასტიკით, ხმით და ქცევითაც შეიძლება სასურველი შედეგის მიღწევა.

— სერიალში „ყავა და ლუდი" როგორ მოხვდით?

— საერთოდ, კინო ყოველთვის მიყვარდა. სულ სამ ფილმში ვარ გადაღებული. ახლა კინო აღარ არსებობს. მართალია, სერიალი შედეგით არ ჰგავს კინოს, მაგრამ გადაღების პროცესი ძალიან ჰგავს კინოგადაღებას. თან კარგი როლი იყო და ძალიან მინდოდა ამ გმირის თამაში. სერიალში სინჯების შედეგად მოვხვდი. დარწმუნებული არ ვიყავი, რომ დამამტკიცებდნენ. უკვე გადაღებების პროცესში გავიგე, რომ ბევრი მსახიობი გაუსინჯავთ. მაშინ ეს რომ მცოდნოდა, მოვკვდებოდი ნერვიულობით. ერთხელ მე-9 არხიდან მე და ჩემი პარტნიორი მოვდიოდით ფილმის გახმოვანების შემდეგ. გადავდიოდი ქუჩაზე, სადაც გადასასვლელი არ არის და იქ გადასვლა საკმაოდ საშიშია. შუა გზაში ვიყავი, ჩემმა მობილურმა რომ დარეკა. ავიღე და ასისტენტის ხმა გავიგონე, მერე აღარაფერი მახსოვს. შემდეგ ვეკითხებოდი ამ ბიჭს — ქუჩაზე როგორ გადმოვედი-მეთქი? მე გავითიშე, მან კი ჩამავლო ხელი და გადამიყვანა. მითხრეს, ხვალ მობრძანდით კონტრაქტზე ხელის მოსაწერადო. ბოლომდე ვერ ვიჯერებდი, ვფიქრობდი, იქნებ სხვა როლზე დამამტკიცეს-მეთქი.

— ერთ-ერთი პირველი როლი კინოში ქეთი დოლიძესთან, ლაშა თაბუკაშვილის პიესის, „ძველი ვალსის" მიხედვით გადაღებულ ფილმ-

| ბურატინოს მტერი ყარაბას-... | | |

ში ითამაშეთ. იმ პერიოდს როგორ გაიხსენებთ?

— ეს ჩემი პირველი კინოროლი იყო. ინსტიტუტი უკვე დამთავრებული მქონდა და თეატრში ვიყავი. სიმართლე გითხრა, არაფერი მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, რომ ოპერატორი მიღებდა რომელიღაც ხიდზე ფოტოებს და კიდევ ის, რომ ნინელის სჭირდებოდა გადაღებისთვის რაღაც ქურთუკი, რომელიც მე ვათხოვე. მეტი არაფერი მახსოვს. იქ ვთამაშობ უარყოფით გმირს, ქალს, რომელიც ფულის გამო გაჰყვა კაცს ცოლად. მაშინ არც მიფიქრია, რომ გამეგო იმ ქალისთვის. გამოცდილება ნაკლები მქონდა და მაინცდამაინც არც ვიცოდი, რას ვთამაშობდი. ამის შემდეგ იყო საკმაოდ სევდიანი გადაღება, ბატონ ტიტე კალატოზიშვილთან „სკაპენის ოინებში". გათხოვილი არ ვიყავი. მაგ დროს მე და ჩემს მომავალ მეუღლეს გრძნობა გაგვიჩნდა ერთმანეთის მიმართ და ამ ფილმის პრემიერას უკვე საქორწინო მოგზაურობის დროს ვუყურეთ. სევდიანი კი ის არის, რომ ბატონი ტიტე მალევე დაიღუპა და მეორე სერია მისმა შვილმა, მიშამ გადაიღო. ამის მერე ვითამაშე ჩემი ქმრის ფილმში. ძალიან მიყვარს ეს როლი. ფანტასტიკის სფეროა და ნახევრად რობოტ ადამიანს ვთამაშობდი. მაკიაჟი მე თვითონ მოვიფიქრე და თავად ვიკეთებდი. ქუთუთოებზეც თვალები მქონდა დახატული და როცა თვალს ვხუჭავდი, მაინც თვალღია, გაშტერებული ნინო იყურებოდა. კარგად მახსოვს და ძალიან მიყვარს ეს როლი.

— მეუღლე ახსენეთ და მოდით, ცოტა რამ თქვენ პირადი ცხოვრების შესახებაც გვითხარით.

— პირადი ცხოვრება ძალიან წესიერი, დალაგებული და საჭორაოდ ნაკლებად საინტერესო მაქვს. მყავს მეუღლე, რეჟისორი ანტონ ჭიაურელი და ორი შვილი — 17 წლის სანდრო და 10 წლის ნიკოლო. უფროსი წელს აბარებს ფსიქოლოგიურზე. ძალიან მიყვარს ეს პროფესია და სულ ვფიქრობ, თავიდან რომ დავიწყო ცხოვრება, ერთადერთი, რის გამოც შეიძლება მსახიობობაზე უარი მეთქვა — ფსიქოლოგიაა.

— ქალბატონო ნინო, ეს ვარცხნილობა სპეციალურად სერიალისთვის გაიკეთეთ?

— ეს ვარცხნილობა ჩემი თავისთვის სულიერი მხარდაჭერის მიზნით გავიკეთე. დედაჩემს ინსულტი დაემართა და ცუდად იყო. მისთვის მე უნდა მომევლო. ეს ძალიან რთული და დამთრგუნველი რამ არის ახლობლისთვის. ირგვლივ მყავს ჩემზე ბევრად უფრო ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც მშობლების ავადმყოფობას შეეწირნენ. მივხვდი, ჩემი საქმე ცუდად იყო. მანამდე არც ჭაღარა მქონდა და არც არასდროს მიფიქრია ვარცხნილობის შეცვლაზე. უცებ რაღაცა დამემართა — შევიღებე წითლად და დავიხვიე. ამან უცნაური გავლენა მოახდინა ჩემზე და დიდი დადებითი ენერგია მომცა. ვიცი, რომ ადამიანი დეპრესიიდან გამოჰყავს ვარცხნილობის შეცვლას, მაგრამ ჩემი ნაბიჯი იმ დროს გაუცნობიერებელი იყო. მერე სადღაც წავიკითხე, რომ წითელი ფერიც დადებითი ენერგიის მატარებელი ყოფილა. ამან გადამტანინა ის ურთულესი ორი წელიც და სხვათა შორის, ეს როლიც ამ ვარცხნილობამ მომცა. ვფიქრობ, რომ ტიპაჟმა დიდი გავლენა იქონია ამ როლზე ჩემს დამტკიცებაში. ისეთი ნინო, როგორიც მე მანამდე გარეგნულად ვიყავი, ამ როლზე არ გამოდგებოდა. თუმცა უკვე ვფიქრობ იმაზე, რომ შევიცვალო ვარცხნილობა. დიდხანს ველარ გავძლებ. უკვე სხვა ნინო მინდა გავხდე.

— ამ სერიალში საკმაოდ საინტერესო პარტნიორები გყავთ. რას იტყვით მათზე?

— მე და მიშა გომიაშვილი პირველად თემურ ჩხეიძესთან შევხვდით ერთმანეთს, სტრინდბერგის „მამაში". მიშა ძალიან კარგი მსახიობი და ამავე დროს იოლი პარტნიორია. ძალიან მინდა, მას უფრო მეტი და სერიოზული როლი ჰქონდეს იმიტომ, რომ საოცრად დიდი დიაპაზონი აქვს. სერიალში თამაშობენ ჯემალ ღაღანიძე, კარლო საკანდელიძე და უფროსი თაობის სხვა მსახიობები. ისინი ძალიან საყვარლები, პატივსაცემები და ნამდვილი არტისტები არიან. ამით ცოცხლობენ და ვხვდები, რომ ყველა პროფესია მსახიობობის გარდა, ასაკთან ერთად შეიძლება უკანა პლანზე დარჩეს. ბედმა გამიღიმა და ამ სერიალში უამრავ ისეთ ადამიანს შევხვდი, რომელსაც თეატრში შეიძლება ვერ შევხვედროდი.

— გადაღებების პროცესი როგორია?

— გადაღებების პროცესი არის ჩემთვის მუდამ სასურველი ცხოვრების წესი. შემიძლია ჩანთით ხელში ვიწოწიალო. დღეს აქ მქონდეს გადაღება, ხვალ იქ. გადაღებების დროს შენ სხვა სამყაროში ხარ და ივიწყებ იმას, რაც გარეთ ხდება. სერიალი ძირითადად იმპროვიზაციაზეა აგებული. საინტერესოა, როცა არა გაქვს დაგეგმილი, როგორ ითამაშებ კონკრეტულ სცენას. მე პირადად, როცა სცენარს ვკითხულობ, მხოლოდ ის ვიცი, რომ მარიკა ამ სერიაში არის სევდიანი, ისტერიკული, კატეგორიული და ა.შ. ამაზე ვაწყობ მერე ყველა სცენას. ■

გადაღებების პროცესი არის ჩემთვის მუდამ სასურველი ცხოვრების წესი

| | | |

სანთელთან, კანდელთან და სხვა სიწმინდეებთან ერთად, ღვთისმსახურების დროს გამოიყენება საკმეველიც. საკმეველი არის სურნელოვანი ფისი, რომელიც ძირითადად საკმევლის ხის დასერილი ქერქისგან მიიღება. საკმეველი შეიცავს გუმფისს, ეთეროვან ზეთებს და სხვა ნივთიერებებს... გამოიყენებოდა თუ არა საკმეველი „ძველი აღთქმის“ მოძრავ ტაძარში? რას განასახიერებს სასაკმევლე (საცეცხლური)? რატომ ვაკმევთ საკმეველს? როგორ უნდა მოვიქცეთ კმევის დროს? — ამ და სხვა საკითხებს, სხვადასხვა რელიგიური ლიტერატურის გამოყენებით განგიმარტავთ.

რატომ ვაკმევთ საკმეველს?

მორენა მერკვილაძე

გამოიყენებოდა თუ არა საკმეველი მოსეს მიერ აგებულ მოძრავ ტაძარში?

„ძველი აღთქმის“ მიხედვით, იმ დროს არსებობდა სისხლიანი და უსისხლო მსხვერპლთა შეწირვა. სისხლიანი მსხვერპლშეწირვის დროს, სწირავდნენ ცხვარს, ხბოს ან რომელიმე სხვა ცხოველს; აგრეთვე — გვრიტს ან მტრედის ორ ხუნდს. თუკი ადამიანს საშუალება არ ჰქონდა, შეეწირა სისხლიანი მსხვერპლი, ასეთ შემთხვევაში ის სწირავდა უსისხლო მსხვერპლს. უსისხლო მსხვერპლი შედგებოდა ფქვილის, ზეთისა და საკმევლისგან. სწირავდნენ აგრეთვე ზღვის წყალში მოზელილ და გამომცხვარ უფუარ პურს. შესაწირად მიტანილი უსისხლო მსხვერპლისგან, მღვდელი ერთ მუჭა ფქვილს, ზეთიანი პურის ნატეხებს და შეწირულ საკმეველს მთლიანად წვავდა საკურთხეველზე, ანუ სამსხვერპლოზე (საკურთხეველი იყო ხის უძირო ყუთი, რომელიც შიგნიდანაც და გარედანაც მოჭედილი იყო სპილენძით. მსხვერპლის შეწირვის დროს, სამსხვერპლო ყუთს ავსებდნენ მიწით, რომელზეც აწყობდნენ შეშას. ზემოთ კი ალაგებდნენ შესაწირად გამზადებულ მსხვერპლს). გარდა ამისა, მოსეს მიერ აგებულ ტაძარში, ჩრდილოეთის მხარეს იდგა ოქროთი მოჭედილი ტაბლა. ტაბლაზე მოთავსებული იყო ღვთისმსახურებისას გამოსაყენებელი ნივთები, მათ შორის — ფსიადები, ანუ სასაკმევლეები. კრეტსაბმელის (საკურთხევლის ფარდა) გვერდით კი იდგა ულპობი ხისგან დამზადებული მოოქრული საკურთხეველი საკმევლისათვის. ამ საკურთხეველს კუთხეებზე მიმაგრებული ჰქონდა რქები, გვერდებზე კი ეკეთა მოოქრული რგოლები, ამ რგოლებში გაყრილი ჰქონდა ულპობი ხისგან დამზადებული მოოქრული კეტები — საკურთხევლის გადასატან-გადმოსატანად. ე.ი. საკმეველს ძველი აღთქმის მოძრავ ტაძარშიც აკმევდნენ. წმინდა მამათა განმარტებით, სასანთლე, ტაბლა და საკურთხეველი საკმევლისათვის, რომლებიც იდგა მოძრავ ტაძარში, მოასწავებდა ქრისტე მაცხოვარს: „რომელიც იწოდა ნათლად სოფლისა...“

რა დანიშნულება აქვს საკმეველს ქრისტეს მიერ დაწესებულ ეკლესიაში?

საკმეველს ახალი „აღთქმის ეკლესიაში“ ანუ ქრისტეს ეკლესიაშიც აკმევდნენ. სიწმინდეების — წმინდა ტრაპეზის და ხატების კმევა, მათდამი მოკრძალებისა და თაყვანისცემის გამომხატველია. ამასთანავე, საკმევლის კმევა სიმბოლოა ჩვენივე გულმხურვალე ლოცვისა, რომელიც საკმევლის ბოლივით ადის ღმერთთან, ანუ კმევა გამოხატავს მართლმორწმუნე მლოცველის სურვილს, რომ მისი გულმხურვალე ლოცვა, ისევე მსუბუქად აიჭრას ზეცისკენ, როგორც საკმევლის კვამლი. ამასთანავე, საკმეველი არის სახე სულიწმიდის მოქმედებისა და ხილული ნიშანი სულიწმიდის კეთილსურნელებისა. ე.ი. საკმეველს ვუნთებთ ღმერთს კეთილსურნელებისთვის, რათა გარდამოგვივლინოს სულიწმიდის მადლი და ბოლოს, საკმეველს ვაკმევთ ბოროტ ძალთა განსადევნად, რადგან ბოროტი ძალებისთვის საკმევლის სურნელება მომაკვდინებელია.

როგორც აღვნიშნეთ, საკმეველი სიმბოლოა ქრისტიანის შინაგანი ლოცვისა, ამასთანავე იგი სიმბოლურად გამოხატავს იმ სულიერ განცდებს, რომლებიც მართლმორწმუნე ქრისტიანს მიაქვს ეკლესიაში — სინანული, მადლიერება, სიმდაბლე, ვედრება და სხვა, ღმერთისაკენ მიმართული კეთილი გრძნობები. კმევის დაწყების წინ, ღვთისმსახური წარმოთქვამს ლოცვას: „საკმეველსა შევსწირავთ შენდა, ქრისტე ღმერთო ჩვენო, საყნოსელად სურნელებისა სულიერისა, შეიწირე შენსა ზეცისა საკურთხეველისა და ნაცვლად გარდამოგვივლინე ჩვენ მადლი სულისა შენისა წმიდისა“.

რა დანიშნულება აქვს საცეცხლურს?

საკმევლის კმევისთვის გამოიყენება საცეცხლური, ანუ სასაკმევლე (ჭურჭელი, რომელშიც ათავსებენ საკმეველს). საცეცხლური ძირითადად მზადდება ტაძრის ფორმის. საცეცხლური არის სიმბოლო, წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიისა. იგი მოვარაყებულია ოქროთი. საცეცხლურს ხშირად ძვირფასი ქვებით ამკობდნენ, რაც არის სახე წმინდა ეკლესიის დიდებისა. საცეცხლური გაყოფილია ორ ნაწილად — ისევე, როგორც ერთი წმინდა კათოლიკე ეკლესია (დედამიწაზე „მებრძოლი“ ზეცაში „მოზეიმე“).

რატომ ათავსებენ საცეცხლურში ნახშირს?

საცეცხლურში გაღვივებულ ხის ნახშირს ათავსებენ და მასზე ყრიან საკმეველს. ნახშირი არის სიმბოლო მართლმადიდებლური სარწმუნოებისა. ნაკვერჩხალზე — გაღვივებულ ნახშირზე (ე.ი. მადლით აღსავსე მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე) იდება საკმეველი (ე.ი. ქრისტიანთა სულიერი ლოცვა და შინაგანი განცდები), ანუ ჩვენს სულიერ განცდებს და შინაგან ლოცვას (ე.ი. საკმეველს) ვდებთ მადლით აღსავსე სარწმუნოებაზე (ე.ი. ნახშირზე) და მიგვაქვს ეკლესიაში (რომელსაც განასახიერებს საცეცხლური), რომელიც მორწმუნეთა ლოცვას ღმერთის საყდრამდე აღამაღლებს და ზეციდან სულიწმიდის მადლი გადმოეფინება.

რას მიგვანიშნებს საცეცხლურის ზარების ხმა?

საცეცხლურის ზარების ხმა, სიმბოლოა იმ გალობისა, რომელსაც დღედაღამ აღავლენს უფლისადმი წმინდა ეკლესია.

როგორ უნდა მოვიქცეთ კმევის დროს?

როდესაც ტაძარში ღვთისმსახური საკმეველს აკმევს, მორწმუნე ადამიანი იდრეკს თავს, როგორც მიმღებელი მაცხოვნებელი სულისა (სულიწმიდისა), გულში კი წარმოთქვამს „იესოს ლოცვას“. კმევის დროს, ადამიანმა ზურგი არ უნდა აქციოს საკურთხეველს, საჭიროა მხოლოდ ოდნავ შემობრუნება იმ მიმართულებით, რომელი მიმართულებითაც ხდება საკმევლის კმევა.

შეიძლება თუ არა საკმევლის კმევა შინ?

მორწმუნეს შინ განლაგებული სიწმინდეების წინ, ყოველდღიურად შეუძლია აკმიოს საკმეველი. სასაკმევლეს და საკმეველს, ადგილი უნდა მივუჩინოთ სამლოცველო კუთხეში, სხვა სიწმინდეების გვერდით. საკმეველი და საცეცხლური უნდა შევიძინოთ საეკლესიო მაღაზიაში.

■

ნუგზარ ბაგრატიონს 6 მარტს ვესტუმრე — სწორედ იმ დღეს, დაგვიანებული სეზონი რომ გაიხსნა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში. სარემონტო სამუშაოების შემდეგ, მართლაც მომხიბვლელად გამოიყურება იქაურობა. რაც შეეხება ბატონ ნუგზარს, იგი იშვიათად წყალობს ჟურნალისტებს, მაგრამ მაინც დავითანხმე შეხვედრაზე. მშვენიერ სარეპეტიციო დარბაზში შემიძღვა რეჟისორი და დიდი ხნის დუმილი, როგორც იქნა, დაარღვია.

ქართველ გვირგვინოსანთა შეშკვიდრე

და სასიმღერო ღერძის დიდოსტატის „ჭკუის კოლოფა“ შვილი

მაია კახიძე

— გილოცავთ სეზონის გახსნას!

— გმადლობ. მართლა მოსალოცია არა მარტო ჩემთვის, — მთელი თეატრისთვის, მაყურებლისთვის. ძალიან დიდი და კარგი საქმე გაკეთდა.

— ვინ ითავა თეატრის რემონტი?

— უდიდესი ყურადღება გამოიჩინა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. საოცრად თავმდაბალი პიროვნებაა და აღნიშნა კიდეც — არ არის აუცილებელი ჩემი გვარის ხსენებაო, — მაგრამ როგორ შეიძლება არ ითქვას იმის შესახებ, რაც მან ჩვენი თეატრებისთვის გააკეთა?! რუსთაველის, რუსული და ქართული მოზარდ მაყურებელთა, მარჯანიშვილის, კინომსახიობთა თეატრები სწორედ მისი ძალისხმევით გარემონტდა. აი, ჩვენ უკვე გავხსენით სეზონი, შემდეგ დანარჩენი თეატრებიც გახსნიან. მსახიობებიც ამოისუნთქავენ, რადგან ბიძინა ივანიშვილმა ხელფასებზეც იზრუნა, თორემ, უამრავი შემთხვევა შემიძლია გავიხსენო, როცა გზის ფულის უქონლობის გამო, მსახიობი რეპეტიციაზე ვერ მოსულა... დღეს ჩვენი თეატრი, ტექნიკური აღჭურვილობით, ევროპის თეატრებს არ ჩამოუვარდება...

პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი შვილიშვილებთან ერთად

— ბატონო ნუგზარ, თქვენ სამსახიობო ფაკულტეტიც დაამთავრეთ?

— თავიდანვე სარეჟისოროზე ვაბარებდი, მაგრამ მიხეილ თუმანიშვილის დაჟინებული რჩევით, ჯერ სამსახიობოზე ჩავაბარე. დამთავრების შემდეგ კი სარეჟისოროზე, ბატონ მიშასთან გავაგრძელე სწავლა.

— საზოგადოებამ, მაყურებელმა ფილმით — „ღიმილის ბიჭები“ გაგიცნოთ.

— ჰო, ახალგაზრდობის ცოდვაა *(იცინის)*... 17 წლის ვიყავი მაშინ.

— თქვენს გმირს ჭკუის კოლოფა ჰქვია. სცენარშივე იყო უკვე ეს მეტსახელი თუ შემდეგ დაიბადა?

— სცენარშივე იყო. ჩემი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, მაინცდამაინც ჭკუის კოლოფი არ გახლავართ, მაგრამ გარეგნობა მნიშვნელოვანია კინოში. ალბათ, გარეგნობის გამო გადაწყვიტა ბატონმა რეზო ჩხეიძემ ამ როლში ჩემი გადაღება.

— ახლა, XXI საუკუნეში, „ერთ ორთქლმავალს უფრო მეტი ძალა აქვს თუ ორს?“

— ისევ დაჟინებით გავიმეორებ — გააჩნია, რა შემთხვევაში *(იცინის)*...

— თქვენი მომავალი მეუღლე — ლეილა ყიფიანი გადასაღებ მოედანზე გაიცანით?

— ლეილას ხშირად ვხედავდი, ჩემი სკოლის გვერდით ცხოვრობდა, მაგრამ პირადად არ ვიცნობდი. ვერც წარმოვიდგენდი მაშინ ჩვენს შეუღლებას. ლეილას უკვე ნათამაშები ჰქონდა ფილმებში — „მე ვხედავ მზეს“ და „ლონდრე“. ჩვენი ურთიერთობა „ღიმილის ბიჭების“ გადაღების დროს დაიწყო. ლეილაც სტუდენტი იყო (პროფესიით ბიოლოგი გახლავთ), მეც ვსწავლობდი და სამი წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს... იცით, მამაჩემი გახარებული იყო, ფილმში რომ მიღებდნენ. ის ჩემთვის მეგობარი უფრო იყო, ვიდრე მამა. ისეთი ახლო ურთიერთობა გვქონდა, რომ იტყვიან, მიწებებული ვიყავი მამაზე. ჰოდა, სწორედ მამამ მითხრა — მიაქციე მაგ გოგონას ყურადღებაო. მეც, რა თქმა უნდა, მივაქციე. არშიყობის პერიოდმა ყველაფერს გაუძლო. მერე ტრადიციისამებრ, ვესტუმრეთ ყიფიანებს ქალის სათხოვნელად. მამაჩემს ცოტა ეუხერხულებოდა ქალის დასანიშნად მისვლა, მაგრამ ძალიან უხაროდა ჩვენი ამ-



მამას, ფაქტობრივად, დახვრეტის მუსლი ჰქონდა, რამდენიმე თვე სიკვდილმისჯილთა საკანში იჯდა. (სიკვდილისადმი ირონიული დამოკიდებულება მან მხ./ფ. „ლონდრეს“ გადასაღებ მოედანზე ასე გამოხატა...)

ბავი. უფროსების კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ ჯვარი დაგვეწერა. სვეტიცხოველში დავიწერეთ ჯვარი. მაშინ იშვიათად ხდებოდა ასეთი რამ, თუმცა მამაჩემის მეგობრები უკლებლივ მოვიდნენ. საოცრად ლამაზი ცერემონია შედგა 33 წლის წინ. ახლახან, 10 თებერვალს, ქორწინების 33 წელი შეგვისრულდა მე და ლეილას და უკვე სამი შვილიშვილი გვყავს. უფროსები გახლავან თეიმურაზ და ანა ჭიჭინაძეები, მომდევნო შვილიშვილი – ირინე კი ბაგრატიონია. ჩემი ორივე ქალიშვილი ჯვრისწერამდე მივგვარე უწმინდესსა და უნეტარესს, რომ მისი კურთხევაც მიეღოთ. უწმინდესმა ჩემს სიძეს თხოვნით მიმართა – კარგი იქნება, თუ ერთ-ერთ შვილს მაინც გადაიყვანთ დედის გვარზეო. გულწრფელად გეტყვით, დიდად მადლობელი ვარ სიძის, ასეთი ნაბიჯი რომ გადადგა. შეიძლება ვინმეს საჩოთიროდაც მოეჩვენოს, მაგრამ ასე კი მოხდა... სხვათა შორის, ჩემი სიძე სასულიერო აკადემიაში სწავლობს.

— **როგორც რეჟისორი, თქვენი მეულლის კინოროლებზე რას იტყვით?**

– ლეილამ დაქორწინების შემდეგაც გააგრძელა კინოში გადაღება. ეს არასოდეს დამიშლია, – პირიქით, ძალიან მიხაროდა. ბიოლოგისთვის 14 ფილმში მონაწილეობა ურიგო ნამდვილად არ არის. შემდეგ კი ბავშვები, ოჯახი, სამსახური და თანდათან, ლეილაც ჩამოშორდა კინოს.

— **თქვენმა ქალიშვილებმაც არ მოინდომეს მსახიობობა, არა?**

– ანა ჟურნალისტია, მაია – ფსიქოლოგი. მაიკომ ორ ფილმში ითამაშა: მიშიკო კალატოზიშვილის ფილმში ყრუ-მუნჯი გოგონა განასახიერა... მერე გვეუბნებოდნენ – ლეილამ ბრმა გოგოთი დაიწყო, ქალიშვილმა – ყრუ-მუნჯით და ეს რა ოჯახი ხართო?!. მაიას მეორე ფილმი კი – „იავნანამ რა ჰქმნაა“, სადაც ქეთოს როლი შეასრულა... ანა მართალია, ჟურნალისტია, მაგრამ მე-6 გიმნაზიაში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად მუშაობს.

— **თქვენი დედ-მამის ოჯახზეც გვიამბეთ...**

– ჩემს უფროს დას დალი ჰქვია, შუათანას – მზია, მე უმცროსი ვარ. ხშირად გვსაყვედურობენ მე და ლეილას – თქვენც ორი გოგონას მერე, მესამე შვილი რომ გაგეჩინათ, ბიჭი დაიბადებოდაო... რაც შეეხება დედ-მამას... დედაჩემი მგელაძის ქალი გახლავთ. ლიკა მგელაძეს ძალიან საინტერესო მშობლები ჰყავდა: ბაბუაჩემი – დიმიტრი მგელაძე უნივერსიტეტის ძველი სლავური ენების კათედრის გამგე იყო, ნოე ჟორდანიას მთავრობაში კი – ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი. სასწაულებრივ გადაურჩა ბოლშევიკურ რეპრესიას და დახვრეტას. მამაჩემი – პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი ოცი წლის წინ გარდაიცვალა. ცოცხალი რომ ყოფილიყო, 18 მარტს 84 წელი შეუსრულდებოდა. უცნაური ამბები მოხდა მაშინ: დიდუბის პანთეონში მისი დაკრძალვის უფლება არ მოგვცეს.

— **რატომ?**

– პარტიული არ იყო და იმიტომ. მეგობრების დახმარებით, საბურთალოს პანთეონში დავკრძალეთ. 1997 წელს კი, უწმინდესის ლოცვაკურთხევით, სვეტიცხოველში გადავასვენეთ. მამამისის გვერდით განისვენებს. არადა, სატრაბახოდ მიმაჩნია, რომ იმდენი სიმღერის ლექსი თბილისზე, რამდენიც პეტრე გრუზინსკიმ დაწერა, იშვიათობაა. თბილისის საპატიო მოქალაქეობაც იმიტომ არ მისცეს, კომუნისტური პარტიის წევრი რომ არ იყო... ერთხელ, სიმღერის საკავშირო ფესტივალზე მიიწვიეს (ამ ფესტივალზე ორჯერ მიიღო პრემია) ჯილდოს გადასაცემად. მივლინების გასაფორმებლად არ მოისურვა წასვლა და დედა მივიდა მწერალთა კავშირში. იქ უთხრეს – გაგვიხარდა მისი გამარჯვება, მაგრამ რადგან მწერალთა კავშირის წევრი არ არის, ვერ გავაფორმებთ მივლინებას, თეატრალური საზოგადოების წევრობის ცნობა მოიტანეთო. დედამ უთხრა – არც ამ საზოგადოების წევრიაო. – მაშინ კინემატოგრაფისტთა კავშირიდან მოიტანეთო. მამა არც კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი იყო... ბოლოს უთხრეს – იქნებ, ფილარმონიიდან აიღოთ საბუთიო? პეტრე გრუზინსკი ფილარმონიის თანამშრომელიც არ გახლდათ. მერე დედას უთქვამს – მხოლოდ მონკავშირის წევრიაო. ასეთი უცნაური ცნობით გაუფორმეს მივლინება. პრემია გია ყანჩელთან ერთად მიიღო – „მიმინოსთვის“ *(ამ ფილმში აყოლერებული სიმღერებისთვის, პეტრე გრუზინსკის ლექსებზე. – ავტ.).*

— **რატომ არ იყო არც ერთი შემოქმედებითი კავშირის წევრი?**

– ჰქონდა ამის მიზეზები... მამამ სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი დაამთავრა, ინგლისური ენის სპეციალობით, შემდეგ – ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი ლექსების არც ერთი კრებული არ გამოცემულა. პრინციპულად არ სურდა, წიგნების დაბეჭდვა. ახლა ბატონი აკაკი დვალიშვილის თაოსნობით მზადდება წიგნი გამოსაცემად.

— **თქვენ რატომ არ ატარებთ მამათქვენივით ორ გვარს?**

– პასპორტში ყველას, ჩემს შვილებსაც და დისშვილებსაც ბაგრატიონ-გრუზინსკი გვიწერია. მოგეხსენებათ, იმის შემდეგ, რაც ძალით შემოიერთა რუსეთმა

თეიმურაზი ბებიასთან, ლეილა ყიფიანთან ერთად

მაია ბაგრატიონ-გრუზინსკი

საქართველო და ასე ვთქვათ, სამეფო ინსტიტუტი გაუქმეს, ბაგრატიონები რუსეთში გადაასახლეს. ფაქტობრივად, სამეფო გვარის რესტავრაციის ეშინოდათ. იქაურებს რომ სცოდნოდათ, თუ ქართული ტახტის მემკვიდრეები ვინ იყვნენ, ქართლ-კახეთის მეფის შთამომავლებს გრუზინსკების წოდება მისცეს, იმერეთის ტახტის მემკვიდრეებს – იმერეტინსკების. გრუზინსკები რუსეთის ყველაზე ბრწყინვალე თავადების რანგში იყვნენ აყვანილნი, დანარჩენი ბაგრატიონები – გვერდითი შტოა.

— რატომ დააპატიმრეს მამათქვენი?

– უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, მეგობრებთან ერთად გამოსცა ჟურნალ „ანათემის“ ორი ნომერი და ყველა დააპატიმრეს. მისი მეგობრების ნაწილი გადაასახლეს. მამას, ფაქტობრივად, დახვრეტის მუხლი ჰქონდა, რამდენიმე თვე სიკვდილმისჯილთა საკანში იჯდა. სწორედ იმ საკანში გადაიჭრა ორივე მაჯაზე ვენები და – გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ციხის უფროსმა, რომელიც შემოვლას აკეთებდა და სისხლში მცურავი ნახა, გადაარჩინა... იმ პერიოდში, არანაირი კონტაქტი არ ჰქონდათ მამას და ოჯახის წევრებს. შემდეგ ფსიქიატრიულში გადაიყვანეს, სადაც სრული ოთხი წელი დაყო. მისი იქ გადაყვანა შეგნებულად მოხდა: სიკვდილმისჯილთა საკანში ყოფნამ, დაკითხვებმა უკვალოდ არ ჩაიარა. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანა მისი გადარჩენის ერთ-ერთი გზა იყო. იცით, მრავალი წლის შემდეგ, ახლობლის ქორწილში იმ ციხის უფროსს შეხვდა. მცხეთაში პატარა სახლი გვაქვს და მიწის ნაკვეთიანად მამაჩემმა სწორედ იმ კაცისგან შეიძინა. თავიდან არ უნდოდა, როცა შესთავაზა, მაგრამ მცხეთა იმდენად უყვარდა პეტრეს, რომ ბოლოს მაინც გადაწყვიტა ყიდვა... ისე, ფსიქიატრიულიდან ახლობლების მეთვალყურეობის პირობით გამოწერეს (მაშინ ასე ერქვა). არც პასპორტის აღების უფლება ჰქონდა... შემდეგ, როცა დედაზე დაქორწინდა, მისი გვარ-სახელით აქვეყნებდა ლექსებს. დღესაც მეკითხება ზოგიერთი – რად გინდა რუსებისგან ნაბოძები გვარიო? მე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს: იმიტომ ვატარებ გრუზინსკის გვარსაც, რომ მამაჩემი ატარებდა და მეამაყება და არა იმიტომ, რომ რუსებმა გვიბოძეს. ისეთი ახლობელი მეგობარი, როგორიც პეტრე იყო, არც მყოლია და არც მყავს. შინაურები თეზიკს ეძახდნენ: მამის ნამდვილი სახელი თეიმურაზია, მაგრამ, როდესაც მამამისი, დიდი პეტრე ბაგრატიონი გარდაიცვალა, პეტრე დაუძახეს და ასე დარჩა პეტრედ. მე კი რატომ დამარქვეს ნუგზარი, ვერ გამიგია. უკვე შევეჩვიე ჩემს სახელს, მაგრამ ჯობდა, რომელიმე წინაპრის სახელი დაერქმიათ. პაპაჩემი პეტრე იმ 12 პიროვნებათაგან ერთ-ერთი იყო, რომელსაც ნიკოლოზ მეორის ოთახის ოქროს გასაღები ჰქონდა და დაკაკუნების გარეშე შედიოდა მასთან.

მზია ბაგრატიონ-გრუზინსკი

— თქვენს გენეალოგიაზე გვითხარით ცოტაოდენი რამ...

– დავიწყოთ მეფე ერეკლე მეორიდან. შემდეგ მოდის მისი ვაჟი – გიორგი XII, გიორგის ვაჟი – ბაგრატი, ბაგრატის ვაჟი – ალექსანდრე, მერე პაპაჩემი – პეტრე, მამაჩემი და მე. მე მე-7 თაობა გახლავართ. უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაარსდა „ბაგრატოვანთა სახლი“, რომელსაც სათავეში ქალბატონი ნინო ბაგრატიონი უდგას. პატრიარქმა „დარეჯანის სასახლეში“ მოგვიჩინა ადგილი და ხშირად ვიკრიბებით. ისე, გულწრფელად გეტყვით, ვერ ვთვლი თავს ბაგრატოვანთა ღირსეულ გამგრძელებლად, მაგრამ გვარს ობიექტურად ვცემ პატივს. რა ვიცი, ასე მგონია, ბოლომდე ვერ გავამართლე, მით უმეტეს, პეტრე გრუზინსკის შვილობა. მისი შვილობა ჩემთვის პატივია, ტვირთიც და მოვალეობაც. ის ჩემთვის რაინდად დარჩა. სწორად გამიგეთ, ასეთი მომხიბლავი კაცი არ მინახავს. კარგი პოეტი იყო. საკუთარ თავს მეფანდურეს ეძახდა, რადგან მის ლექსებს მხოლოდ სიმღერების წყალობით იცნობდნენ და უახლოესი მეგობრების გარდა, არავინ იცნობდა მის პოეზიას. ძალიან უყვარდა მეგობრების გარემოცვაში ყოფნა, საოცრად სტუმართმოყვარე ადამიანი იყო, მაგრამ შინაგანი სევდა სულ ჰქონდა იმის გამო, რომ მის პოეზიას საქართველო არ იცნობდა...

— თელავში, მეფე ერეკლეს სასახლეს თუ სტუმრობთ ხოლმე?

– არანორმალურად მიყვარს თელავი, საერთოდ, კახეთი. ყველა კუთხე მიყვარს, მაგრამ თელავში პერიოდულად, მაინც ვახერხებ ჩასვლას. ერეკლეობის დღესასწაულზეც მიწვევენ ხოლმე, რომელიც 7 ნოემბერს აღინიშნება. თელავის თეატრში მიწვევენ სპექტაკლის დასადგმელად, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვახერხებ ჩასვლას: რამდენიმე ინსტიტუტში ლექციებს ვკითხულობ და თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს.

— „ღიმილის ბიჭები“ ხშირად ნახულობთ ერთმანეთს?

– რა თქმა უნდა. თაზო თოლორაია იმთავითვე ამ თეატრშია, კახა ქორიძემ რამდენიმე სპექტაკლის მხატვრობა შექმნა, თემურ ბაბლუანი ამავე ეზოში მდებარე სტუდიაში მუშაობს, ბოლოკა – გოჩა ლორია დასავლეთ საქართველოში ცხოვრობს, მაგრამ ვურთიერთობთ, ლეილა ცოლად მოვიყვანე, ბატონი რეზო ჩხეიძე და მისი შვილი ბიძინა (ბეთხოვენას როლის შემსრულებელი) ღმერთმა კარგად გვიმყოფოს.

— ახალ სეზონში რომელი პიესის დადგმას აპირებთ?

– ჩემი უსაყვარლესი მწერლების – ვაჟა-ფშაველას და გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებების დასადგმელად ვემზადები.

— წარმატებას გისურვებთ.

P.S. ასტრონომმა რიჩარდ ვესტიმ (მისი მეუღლე თამარ ჩოფიკაშვილი გახლავთ) მზის სისტემაში მცირე პლანეტა აღმოაჩინა, რომელსაც პეტრე გრუზინსკის პატივსაცემად, მეგობრობის ნიშნად და სახელის უკვდავსაყოფად „მცხეთა“ უწოდა. პლანეტა ასტრონომთა საერთაშორისო კავშირშია რეგისტრირებული.

ბერნდ შტანგე უბრალოდ მწვრთნელი თუ სადამის თანამზრახველი

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აშშ-ის სამხედრო ნაწილები ერაყში შევიდნენ. ამ ხნის მანძილზე ისლამისტურ სახელმწიფოში ბევრი რამ შეიცვალა, ყოველივე ამან ბუნებრივია, ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაზეც. ფეხბურთის გერმანელი სპეციალისტი, ბერნდ შტანგე ერაყის ეროვნულ ნაკრებს ჯერ კიდევ სადამ ჰუსეინის პრეზიდენტობის პერიოდში ჩაუდგა სათავეში. სწორედ ამიტომ, ევროპული მასმედია მას ხშირად, დიქტატორის თანამზრახველადაც კი მოიხსენიებდა. ერაყში ომის დაწყებამდე შტანგე ჯიუტად აცხადებდა, რომ ქვეყანას არავითარ შემთხვევაში არ დატოვებდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ბაღდადის დაბომბვა გარდაუვალი აღმოჩნდა, მან სამშობლოს მიაშურა.

სადამ ჰუსეინის დამხობისა და ერაყში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ ბერნდ შტანგე ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად თავად ფიფას ინიციატივით დაინიშნა. გერმანელი სპეციალისტი დიდი მონდომებით შეუდგა საქმიანობას და მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის გაყვანა დაისახა მიზნად. ცოტა ხნის წინ შტანგემ ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ევროპულ საფეხბურთო გამოცემას და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვა არა მარტო თავისი საქმიანობის, არამედ ერაყში მიმდინარე პროცესების შესახებ.

— ჯერ კიდევ ერთი წლის წინ თქვენ გერმანიაში სადამ ჰუსეინის თანაშემწედ მოგიხსენიებდნენ, შემდეგ კი, ფიფამ თავად დაგნიშნათ ერაყის ნაკრების თავკაცად. არ გაკვირვებთ ის, თუ რა სისწრაფით ვითარდება მოვლენები მსოფლიოში?

— ამას მე ნორმალურად მივიჩნევ. მართალია, ერაყში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ მე, საერთოდ არ შევცვლილვარ. იმავე საქმით ვარ დაკავებული, რითიც ომამდე ვიყავი, თანაც იმავე ხალხთან ერთად მიწევს მუშაობა. ჩემი მიზანია, ფეხბურთი ვასწავლო ახალგაზრდებს. ეს ყოველთვის ჩემი მიზანი იყო და იმ ხალხს ყურადღებას არ ვაქცევდი, რომლებიც მაკრიტიკებდნენ და ათასგვარი იარლიყით მამკობდნენ. ამას შეგუებული ვიყავი, რადგან მე საფეხბურთო მწვრთნელი ვარ. ომის შემდეგ კი, მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნამ მორალური სიმტკიცე შემმატა.

— ყველაზე მეტად რა გწყინდათ?

— ჩემთვის მართლაც აუტანელი იყო, როდესაც სადამის მწვრთნელს მიწოდებდნენ და ამბობდნენ, რომ ამ უკანასკნელმა შიდსის ტესტზე გამატარა. იმასაც წერდნენ, თითქოს ჰუსეინთან ისე ახლოს ვიყავი, რომ მასთან ერთად ვსადილობდი კიდეც. თუმცა ცხადია, ეს სიცრუე გახლდათ. მე კონტრაქტი გავაფორმე გუნდთან, რომელიც ფიფას წევრია. სხვათა შორის, ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ერაყში იმყოფებოდნენ, მაგრამ ფეხბურთელთა წამების დამადასტურებელი ფაქტები ვერ აღმოაჩინეს.

— ჰუსეინის დაპატიმრების შემდეგ კიდევ ბევრს ლაპარაკობენ წარსულზე?

— სადამ ჰუსეინის დაჭერა პროპაგანდისტული მიზნით გამოიყენეს. დიქტატორის დამხობის შემდეგ ყოველთვის ასე ხდება ხოლმე, მაგრამ ამერიკელთა მიმართ სიძულვილი ერაყელ ხალხს შინაგანად აქვს შესისხლხორცებული. არა მგონია, რომ უახლოეს მომავალში ეს სიტუაცია შეიცვალოს. ერაყელები შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდნენ, როდესაც ამერიკელები მათ გადასცემენ ხელისუფლებას. თუმცა მე ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ ისინი 10 წლის შემდეგაც ააფეთქებენ ბომბს „მაკდონალდსში“...

— თავს როგორ იცავთ ერაყში?

— მე თავის დაცვა არ შემიძლია. ერთი კარატისტი მცველი მყავდა. ძალიან სასიამოვნო ადამიანი იყო. იგი რამდენიმე კვირის წინ დახვრიტეს, როდესაც მანქანით ჩემთან მოდიოდა. ერაყელებმა გააჩერეს ავტომობილის წართმევის მიზნით. სამწუხაროდ, ჩემმა მცველმა გაქცევა სცადა... საერთოდ, აქ მუდმივად ისმის სროლის ხმა. ამიტომ ჩემს თავდაცვაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— და როდემდე აპირებთ ამ საფრთხეში დარჩენას?

— მე გაორებული ვარ. ერთი მხრივ,

შინაგანი ხმა მკარნახობს, რომ ერაყის ნაკრებთან ერთად დიდ წარმატებას მივაღწევ. ჩვენ გავიუმჯობესეთ რეიტინგი და 70-ე ადგილიდან 44-ზე გადავინაცვლეთ. ბოლო 15 წლის მანძილზე ერაყის გუნდისთვის ეს საუკეთესო შედეგია, თანაც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ მხოლოდ სტუმრად გვიწევს თამაში. ჩვენი მთავარი მიზანი გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრაა. რაც შეეხება ჩემს მეორე შინაგან ხმას, იგი მამცნობს, რომ უსაფრთხოდ ამჟამადაც არ ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი გავაკეთე ერაყის ნაკრებისთვის. უფრო მეტიც, რაც უფრო პოპულარული ვხდები, მით მეტი საფრთხე მემუქრება. მშვიდად ქუჩაში გავლაც კი არ შემიძლია, რადგან იმწამსვე ერაყელთა გარემოცვაში ვექცევი. თითოეული მათგანი მეხვევა და მკოცნის. ვერც მაშინ ვმშვიდდები, როდესაც ვიგებ, რომ ყველა ჩემი მტერი მკვდარია. ისლამში შურისძიების ფაქტორი იმდენად დიდია, რომ მე თავს უსაფრთხოდ ნამდვილად ვერ ვიგრძნობ.

— ომის დაწყების შესახებ წინასწარ რომ გცოდნოდათ, ერაყში სამუშაოდ მაინც ჩახვიდოდით?

— არა. ომამდე ერთი თვით ადრეც ვერ დავიჯერებდი, რომ მხოლოდ ერთი სახელმწიფო, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთისა და ჩინეთის გვერდის ავლით საომარ მოქმედებებს დაიწყებდა. პოლიტიკურად უვიცი არ ვარ, მაგრამ ასეთ რამეს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. სწორედ ეს გახლდათ ჩემი შეცდომა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს 30-წლიან კარიერაში ეს პოსტი მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის უკანასკნელი შანსია.

— რა უნდა მოხდეს, რომ ერაყის დატოვება გადაწყვიტოთ?

— ერთმნიშვნელოვნად ვამბობ: ერაყში მუშაობის გაგრძელება და ამ ქვეყნის ნაკრების 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად ბრძოლა მსურს. მე ჩემი ერაყელი მეგობრების რჩევებს ვეყრდნობი, რომლებიც საშიშროების მოახლოებისას მაფრთხილებენ ხოლმე. მაგალითად, Sheraton-ის სასტუმროში ვცხოვრობდი, როდესაც ერაყელებმა არაერთხელ მირჩიეს, რომ სხვაგან გადავსულიყავი. მე მათი რჩევა არ გავითვალისწინე, რადგან, ამერიკელები მიმტკიცებდნენ — ბაღდადში Sheraton-ზე უსაფრთხო ადგილს ვერ მოძებნიო. ეს სასტუმრო ბეტონის კედლითა და მავთულხლართითაა შემოღობილი და მასზე ისეთივე სამხედრო კონტროლი ხორციელდება, როგორიც აეროპორტზე. ერაყელები კი, ჯიუტად მთხოვდნენ ამ შენობის დატოვებას, თუმცა მათი გაფრთხილება ყურად არ ვიღე, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა. როდესაც საწვრთნელ შეკრებაზე ავსტრალიაში ვიმყოფებოდით, შევიტყვე, რომ Sheraton-ში ორი ბომბი აუფეთქებიათ. სწორედ ამის შემდეგღა გამოვიცვალე საცხოვრებელი ადგილი.

— როგორ ატარებთ დღეს ერაყში?

— აქ არასოდეს იცი, რა მოხდება. ყოველ წამს საფრთხის მოლოდინში ხარ. ნებისმიერ ძველ მანქანაში შეიძლება ბომბი იყოს ჩამონტაჟებული. დახლთან მჯდომი ნებისმიერი გამყიდველიც შეიძლება თვითმკვლელი ტერორისტი აღმოჩნდეს. ქუჩაში ყოფნის ყოველთვის მეშინია. მეშინია ავტოგასამართ სადგურებთან მანქანით გავლა, სადაც ყოველთვის დიდი რიგებია. ხალხში კი მუდმივად აგრესიულობა იგრძნობა. მაფრთხობს იმ რაიონებში გავლა, სადაც ამერიკელებს მძიმე ტექნიკა არ შეუყვანიათ. ქალაქის უბნები კვლავაც კრიმინალებისა და ადგილობრივი ფსევდო-პოლიციის ხელშია.

— მაშ, რაღა განიჭებთ სიხარულსა და სიამოვნებას ერაყში?

— გუნდთან ერთად გამარჯვებები. ჩვენ თეირანში ირანის ნაკრებს ვძლიეთ. დავამარცხეთ ბაჰრეინისა და მალაიზიის გუნდები; ამის გამო მთელი ბაღდადი ფეიერვერკებით ზეიმობდა. ამერიკელებმა კი მზადყოფნაში მოიყვანეს სამხედრო ტექნიკა, რადგან მათ არ იცოდნენ, რომ ერაყელებს საფეხბურთო გამარჯვება ასე გაახარებდათ. ამჟამად ფინანსურად ძალიან გვიჭირს და სწორედ ბიუჯეტის თაობაზე ამერიკელებთან გასაუბრებას ვაპირებ. მსურს, რომ თითოეულ ერაყულ კლუბს 100 ათასი დოლარი გადაეცეს. ერაყში სულ 25 კლუბია. ასე რომ, 2,5 მილიონი დაგვჭირდება. ამერიკელები საფეხბურთო საკითხს სხვაგვარად უნდა მიუდგნენ: მათ რომ ერთი წელი ბეისბოლის ან კალათბურთის გარეშე იცხოვრონ, რაღაცის უკმარისობას აუცილებლად იგრძნობენ. ერაყელებს კი ფეხბურთი უყვართ. ადრე სტადიონზე 55 ათასი კაცი დადიოდა. ამიტომ ამერიკელებმა ამას უფრო დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ, თუ სურთ, რომ ერაყელთა გული ოდნავ მაინც მოიგონ.

■

ლიპი „იუვენში“ რჩება

„იუვენტუსის“ გენერალურმა მენეჯერმა, ლუჩანო მოჯიმ გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან მარჩელო ლიპის გათავისუფლების შესახებ გავრცელებული ხმები უარყო. „ეს ფეხბურთია, რომელშიც ნებისმიერმა მწვრთნელმა შეიძლება იწვნიოს მარცხი. რაც შეეხება ლიპის, მას მხოლოდ მადლობას გადავუხდით. მან ყველაფერი გააკეთა, რაც კი შესაძლებელი იყო არსებულ სიტუაციაში. მარჩელოს „იუვესთან“ კონტრაქტი აკავშირებს და ჩვენ გუნდიდან მის წასვლაზე საუბარიც არ გვსურს“. — ამბობს „ბებერი ქალბატონის“ ბოსი, რომელმაც ქომაგები იმაშიც დაარწმუნა, რომ კლუბი არც დავიდ ტრეზეგეს გაშვებას აპირებს. ■

ფეხმძრთელს მოშარდვა არ აცალეს

„მაქვს თუ არა მშვიდად მოშარდვის უფლება?!“ — სწორედ ეს სიტყვები წარმოუთქვამს „ანდერლეხტის“ 33 წლის წარმომადგენელს, პიერ ზეტერბერგს ბელგიის ჩემპიონატში ჩატარებული მატჩის შემდეგ. მისი რეაქცია უსაფუძვლო სულაც არ ყოფილა, რადგან ფეხბურთელს პაპარაცები საპირფარეშოშიც კი შეჰყოლიან. იმ შეხვედრაში „ანდერლეხტი“ „ბრიუგესთან“ 0:1 აგებდა, როდესაც მასპინძელთა მწვრთნელმა, ჰუგო ბროოსმა უკანასკნელი შეცვლის უფლება გამოიყენა და მიხალ ჟევლიაკოვის ნაცვლად მოედანზე ლამინ ტრაორე შეიყვანა. სწორედ იმ მომენტში პიერ ზეტერბერგი სათადარიგოთა სკამიდან წამომშტარა და ტყვიასავით ტრიბუნის ქვეშ მდებარე ტუალეტში შევარდნილა. ცხადია, ჟურნალისტებს ფეხბურთელის „უცნაური“ საქციელი არ გამოჰპარვიათ. მათ ეგონათ, რომ ეს უკანასკნელი მწვრთნელის გადაწყვეტილებამ აღაშფოთა. სინამდვილეში კი, თურმე ზეტერბერგს ბუნებრივი მოთხოვნილება ამოძრავებდა. „არა, მე არაფერზე არ გავდიზიანებულვარ, უბრალოდ საპირფარეშოში მსურდა შესვლა. მწვრთნელს უკვე ვუთხარი, რომ მასზე სულაც არ გავბრაზებულვარ. გაზეთებში კი, სწორედ ამის შესახებ წერდნენ. დაე, მან გაიგოს, მე ტუალეტში შევედი და სხვა არაფერი მომხდარა. მაშ, რა უნდა მექნა? სათადარიგოთა სკამზევე მომეშარდა? ალბათ მომავალში პატარა ჭურჭელს ვიქონიებ, რათა ადგილზევე მოვისაქმო და ჟურნალისტების ყურადღება არ მივიპყრო. მომავალში შეიძლება გაზებისგანაც დავიცალო სათადარიგოთა სკამზე და ჟურნალისტებს ნურც ეს გამოპარებათ“, — სიცილით დასძინა გამხიარულებულმა პიერ ზეტერბერგმა. ■

გერმანელი ლამაზმანი ჯიმ მორისონს ესაუმრება

ციგურაობაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ანი ფრიზინგერმა განაცხადა, რომ მისი ოცნების მამაკაცი სამი ათეული წლის წინ გარდაცვლილი როკვარსკვლავი, ჯიმ მორისონია. გერმანელი სექსსიმბოლოს თქმით, მას Doors-ის ყოფილი ლიდერის ფოტო ერთ-ერთი ფირფიტის ყდაზე უნახავს, რომელიც მისთვის მამას მიუცია. თურმე ფრიზინგერი ხშირად ხედავს მას სიზმარში. „ჯიმს მუდმივად ვესაუბრები, – ამბობს ანი, – როდესაც პატარა ვიყავი, იგი თითქმის ყოველდღე მესიზმრებოდა. ამჟამად კი, მორისონი უფრო იშვიათად მეცხადება“. აღსანიშნავია ის, რომ უახლოეს მომავალში ფრიზინგერი თავის მეგობარ შტეფან ედერზე იქორწინებს. მასმედიის წარმომადგენლების აზრით, სწორედ ამ ფაქტით დაესმება წერტილი გერმანელი ლამაზმანის სპორტულ კარიერას, რომელმაც ყველაზე დიდ წარმატებას სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადაზე მიაღწია, სადაც 1500 მეტრის დისტანციაზე ციგურაობისას გაიმარჯვა. ■

მატჩის მსვლელობისას მსაჯი გააშიშვლეს

ბელგიის ერთ-ერთი ქვედა საფეხბურთო ლიგის მატჩს, რომელშიც „იონგ სტარზ იკლო“ და „ფკ ზელზატი“ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მსაჯი ჯეკი ტემერმანი მოულოდნელად გააშიშვლეს. მას ერთ-ერთი ქომაგი მიეპარა და უკნიდან ტრუსი და ქვედა საცვალი ჩაუწია. ვიდრე არბიტრი გაიაზრებდა, რა ხდებოდა, იგი მთელმა სტადიონმა დედიშობილა იხილა. ყველაზე სასაცილო კი ის გახლდათ, რომ მისი შემარცხვენელი ფანატი-ხულიგანი ადგილობრივი საფეხბურთო გუნდის მეორე შემადგენლობის მოთამაშე და მწვრთნელი აღმოჩნდა. ბელგიის ფეხბურთის ასოციაციამ უკვე განიხილა ეს ინციდენტი და „მსაჯის ტრუსებზე მონადირეს“ საფეხბურთო საქმიანობა აუკრძალა. თუმცა ტემერმანისთვის ამ გადაწყვეტილებას შვება არ მოუგვრია. „მე ალბათ, „ჩინებულად“ გამოვიყურებოდი ათასობით ქომაგის თვალწინ. იმ კაცმა ყველას წინაშე თავი მომჭრა. ამის გამო მსაჯობას თავს ვანებებ და ვერც ერთ მატჩზე ვეღარ მიხილავთ. დაე, სხვა იდიოტი მოძებნონ, რომელიც მატჩში 20 ევროს საფასურად უკანალგაშიშვლებული იდგება მოედანზე“, – აღშფოთებას ვერ ფარავდა ტემერმანი ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტისთვის მიცემული ინტერვიუს დროს. ■

მექსი 140 მილიონი ღირს

The Sun იუწყება, რომ შეიძლება უკვე მომავალ ზაფხულს დევიდ ბექჰემი „ჩელსიში“ აღმოჩნდეს. თუ რომან აბრამოვიჩი მართლაც მოისურვებს ვარსკვლავის შეძენას, მას „რეალისთვის“ 140 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევს. „ეს ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც „ჩელსი“ ჩემს შეძენას შეძლებს, – ამბობს ბექჰემი, – ესპანური და ინგლისური საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ ზაფხულში „რეალიდან“ წავალ, მაგრამ არ ვიცი, გაბედავს თუ არა რომელიმე გუნდი ჩემს სანაცვლოდ 140 მილიონის გადახდას“. თუ აბრამოვიჩი მართლაც გადაწყვეტს დევიდის ყიდვას, მაშინ ეს ტრანსფერი რეკორდული იქნება ფეხბურთის ისტორიაში. ■

„ჩელსის“ მეკარე დაშავდა

ლონდონის „ჩელსის“ ძირითადმა მეკარემ, კარლო კუდიჩინიმ ვარჯიშის დროს მარჯვენა ხელი დაიზიანა. „საბედნიეროდ, ტრავმა არც ისე სერიოზულია, როგორც თავიდან ჩანდა. კარლო მალე შეუდგება ვარჯიშს“, – ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში. ამჟამად კუდიჩინის გამოცდილი შოტლანდიელი გოლკიპერი, ნილ სალივანი ცვლის. როგორც ცნობილია, „ჩელსიმ“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გააღწია. ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა კუდიჩინი ევროტურნირის მომავალ მატჩში გუნდის დახმარებას. ■

კურნიკოვა დახლთან დადგა

ანა კურნიკოვა ახალ პროფესიას დაეუფლა. უკვე დიდი ხანია, რაც ჩოგბურთი მისთვის უმთავრესი საქმიანობა აღარაა. როგორც ცნობილია, რუსი ლამაზმანი სხვადასხვა ფირმის პროდუქციას უკეთებს რეკლამას. ამჯერად კი იგი გამყიდველის ამპლუაში მოევლინა საზოგადოებას. ორიოდე დღის წინ სინგაპურში ფირმა Omega-ს ახალი კოლექციის პრეზენტაცია შედგა. საათების მწარმოებელ ამ კომპანიას კურნიკოვასთან აქვს გაფორმებული კონტრაქტი. სინგაპურელებმა სწორედ ეს უკანასკნელი იხილეს სარეკლამო დახლთან და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რუსი ლამაზმანით უფრო აღფრთოვანდნენ, ვიდრე Omega-ს ახალი მოდელის საათებით. ანა პროდუქციას ყიდდა და მომხმარებელთა შეკითხვებსაც ზრდილობიანად პასუხობდა. დღის ბოლოს კი, მაღაზიის მესვეურები არ მალავდნენ, რომ კურნიკოვამ ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ■

ვიტალი კლიჩკო ორთაბრძოლისთვის ემზადება

ვიტალი კლიჩკო მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის ლოს-ანჯელესში გამართავს მატჩს. ეს ორთაბრძოლა 24 აპრილს იმავე არენაზე მოეწყობა, სადაც გასულ წელს უკრაინელი ლენოქს ლუისს შეხვდა.

ბრიტანელ სუპერმძიმეწონიანთან განცდილი მარცხის შემდეგ ვიტალი კლიჩკო კვლავ ბრუნდება Staples Center-ზე, სადაც ის WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაუფლებას სამხრეთფრიკელ კორი სანდერსთან დაპირისპირებისას შეეცდება. ძმები კლიჩკოების ოფიციალური საიტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრის მასპინძლობის თაობაზე სპორტული დარბაზების მესვეურთა შორის დიდი კონკურენციაა გამართული. „ბევრი ვიმუშავეთ იმაზე, რომ ვიტალი კლიჩკოს ორთაბრძოლა სწორედ ლოს-ანჯელესში ჩატარებულიყო, – ამბობს ძმები კლიჩკოების მენეჯერი, ტომ ლოფლერი, – ატლანტიკ-სიტის, ნიუ-იორკისა და ლას-ვეგასის არენების მეპატრონეთა შორის დაძაბული კონკურენცია იყო, თუმცა ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მატჩისთვის ლოს-ანჯელესს ემასპინძლა. დარწმუნებული ვარ, კრივის მოყვარულები დიდი ინტერესით მივლენ სანდერსისა და კლიჩკოს პაექრობის საყურებლად. მათ ხომ ვიტალი ჯერ კიდევ ლუისთან ჩატარებულ შეხვედრაში გამოჩენილი მამაცობისთვის შეიყვარეს“.

უკრაინელი მოკრივის მატჩის მიმართ ასეთი ინტერესი შემთხვევითი ნამდვილად არ არის. საქმე ისაა, რომ ლენოქსთან გამართული დასამახსოვრებელი ორთაბრძოლის შემდეგ, ვიტალის მიმართ ამერიკელებს მართლაც დიდი სიმპათია გაუჩნდათ. ამიტომ ყველა დარწმუნებულია, რომ კლიჩკო-სანდერსის მატჩზე ტრიბუნები სრულად შეივსება. თავად ვიტალი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შეხვედრა ლოს-ანჯელესში იმართება. „მახსოვს ის მიღება, რომელიც Staples Center-ში კრივის მოყვარულებმა მომიწყვეს, როდესაც ლენოქსთან ვმართავდი ორთაბრძოლას. დარწმუნებული ვარ, მაყურებლები კვლავ აღფრთოვანებულნი დარჩებიან ჩემი ასპარეზობით“, – ამბობს ვიტალი კლიჩკო, რომელსაც აღნიშნული მატჩის წინ დიდი მოტივაცია აქვს. მან უნდა დაამტკიცოს, რომ გასულ წელს ლენოქს ლუისთან მხოლოდ ექიმთა და მსაჯთა არასწორი გადაწყვეტილების გამო წააგო. გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ მისი ძმა, ვლადიმირი ადრე სწორედ სანდერსთან ნოკაუტით დამარცხდა. ამიტომ კლიჩკო-უფროსი სამხრეთაფრიკელ მძიმეწონიანზე ძმის მაგივრად რევანშის აღებასაც შეეცდება. ■

რკინის მაიკი დამრუნდა



სინგაპურის ტელეარხის, Channel News Asia-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მაიკ ტაისონი მიმდინარე წელს პეკინში მორიგი საკრივო მატჩის გამართვას აპირებს. სკანდალური მოკრივე ჩინეთის დედაქალაქში ივნისში სარეკლამო გადაღებებსა და საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობის მისაღებად ჩავა. კომერციულ ორთაბრძოლას კი, რკინის მაიკი პეკინში ერთ-ერთ ცნობილ რუს სუპერმძიმეწონიანთან გამართავს, რისთვისაც დაახლოებით სამ მილიონ დოლარს მიიღებს. სავარაუდოდ აპრილში, ლას-ვეგასში გაიმართება პრესკონფერენცია, რომელზეც მაიკის მომავალი საქმიანობის შესახებ დაწვრილებით შეიტყობენ მასმედიის წარმომადგენლები. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ რუს მოკრივეს შეხვდება ტაისონი, თუმცა გასულ წელსვე განიხილავდნენ მაიკისა და ოლეგ მასკაევის ორთაბრძოლის საკითხს. გარდა ამისა, ვრცელდება განსხვავებული ინფორმაციაც. ჩრდილოირლანდიური გაზეთის, Belfast Telegraph-ის ცნობით, ტაისონი მომავალ ორთაბრძოლას აშშ-ში ირლანდიელ კევინ მაკბრაიდთან გამართავს. მოკრივის მენეჯერმა, შელი ფინკელმა განაცხადა, რომ ეს საკითხი უახლოეს ორ კვირაში გაირკვევა. ■

...და ჰოლიფილდიც მრუნდება



სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, 41 წლის ევანდერ ჰოლიფილდმა განაცხადა, რომ მენეჯერები გამოიცვალა და უახლოეს მომავალში რინგზე დაბრუნებას აპირებს. მოკრივის თქმით, იგი კონტრაქტის გაფორმების მიზნით მოლაპარაკებას აწარმოებს ლენოქს ლუისის ყოფილ მწვრთნელთან, ემანუელ სტიუარდთან. „დარწმუნებული რომ არ ვიყო – კვლავაც გავხდები მსოფლიო ჩემპიონი, რინგზე აღარ დავბრუნდებოდი. WBA-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ ჯონ რუისთან შეხვედრა მსურს. IBF-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონ კრის ბერდთან ორთაბრძოლის გამართვის საკითხსაც განვიხილავთ. უფრო ნაკლებად ტიტულოვან მეტოქეებთან შეხვედრას არ ვაპირებ. მათთან შეიძლება მხოლოდ სპარინგი გავმართო სპორტულ დარბაზში“ – ამბობს ევანდერ ჰოლიფილდი, რომელმაც თავის ბოლო 8 მატჩში მხოლოდ ორჯერ შეძლო გამარჯვება. უკანასკნელი ორთაბრძოლა ჰოლიფილდმა გასული წლის ოქტომბერში ჩაატარა და ჯეიმს ტონისთან დამარცხდა. ამჯერად მოკრივის საქმეებს Avondale Management Group აგვარებს, რომელმაც მთელ მსოფლიოში მარკეტინგითა და გასართობი ღონისძიებებით გაითქვა სახელი, თუმცა კრივთან ადრე არავითარი კავშირი არ ჰქონია. კომპანიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ევანდერის მომავალი მატჩის ყველა საორგანიზაციო საკითხს თვითონ მოაგვარებენ. თავად მოკრივეს კი, ისღა დარჩენია, რომ შეხვედრისთვის სათანადოდ მოემზადოს. Avondale Management Group-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ჯიმ გუდა აცხადებს, რომ ამჟამად ჰოლიფილდი ჯანმრთელობის მხრივ იდეალურ ფორმაშია. ევანდერს თავისი კარიერის მანძილზე სულ 47 ორთაბრძოლა აქვს ჩატარებული, მათ შორის 38-ში გაიმარჯვა (26-ში – ნოკაუტით). ყველაზე დიდი რეზონანსი მაიკ ტაისონთან მის შეხვედრას მოჰყვა, რომელშიც ამ უკანასკნელმა ჰოლიფილდს ყური მოაკვნიტა. ■

სპორტული რუბრიკები მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა



თავისუფალი თემა

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-11)

მომავალ ისტორიკოს გვანცა ჩოხელს ბედი გამოცდას გამოცდაზე უწყობს. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს, 9 აპრილის ღამეს, დედა მოეწამლება და ფსიქიკურად დაავადდება. მამა ამ უბედურებას ვერ გაუძლებს და ოჯახს მიატოვებს. გვანცა და მისი პატარა ძმა ბებია-ბაბუის იმედადღა დარჩებიან. გვანცას პირველი სერიოზული გრძნობაც სკოლაშივე ეწვევა. თავიდან ის თანაკლასელ ლუკა ჩადუნელითაა გატაცებული, მაგრამ შემდეგ, მასზე ბევრად უფროსი მამაკაცი — ირაკლი იაშვილი შეუყვარდება და დაუახლოვდება. ირაკლი გვანცას ცოლად მოყვანას ჰპირდება, მაგრამ ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება. ირაკლი ომში წავა და უგზოუკვლოდ დაიკარგება. ამით დამწუხრებული გვანცა მალე აღმოაჩენს, რომ ფეხმძიმედაა. გვანცას ბებია-ბაბუას ბავშვის მამა ლუკა ჰგონიათ. მისდა გასაკვირად, ამას არც ლუკა უარყოფს. თუმცა, ბავშვის გაჩენამდე ცოტა ხნით ადრე, აფხაზეთის ომში მიდის და გვანცას ეუბნება — არ დამელოდოო. გვანცას ბიჭი შეეძინება და ბებია-ბაბუის დაჟინებული თხოვნით, ლუკას დაარქმევს...

მალე გვანცა ლუკას ტყვედ ჩავარდნის ამბავს შეიტყობს და მისი კვალის ძებნაში, არაერთ ჩინოვნიკს მიაკითხავს. მათ შორის ირაკლის ნახევარძმაც აღმოჩნდება, რომელიც გვანცას გერმანიაში სასწავლებლად წასვლაში დაეხმარება. იქ მას ახალი უბედურება დაატყდება თავს: მას და მის ორ მეგობარ გოგონას თურქი ალი თურქეთში ჩაიტყუებს და ადამიანებით მოვაჭრეებს ჩაუგდებს ხელში.

გვანცა საშინლად დაუნდობელი ქალის — ზეინაბ-ხანუმის არალეგალურ სამფლობელოში აღმოჩნდება. ზეინაბ-ხანუმი მის ხელში ჩავარდნილ ქალებს ნამდვილი მონათმფლობელივით ექცევა: ლამაზ გოგონებს ჯერ სხეულით ვაჭრობას აიძულებს, შემდეგ კი, როცა ისინი კლიენტებს თვალში აღარ მოსდით, თავის უზარმაზარ სამღებროში სამუშაოდ უკრავს თავს. ზეინაბ-ხანუმი გვანცასაც იმავეს დაუპირებს, მაგრამ რომ შეიტყობს, ქართველია, დაინდობს და ხელზე მოსამსახურედ დაიყენებს. მალე გვანცა ზეინაბ-ხანუმის ნდობას იმდენად მოიპოვებს, რომ ეს უკანასკნელი რამდენჯერმე ანკარაშიც ჩაიყვანს. ანკარაში ზეინაბ-ხანუმს ხეიბარი ძმა — უმარი ჰყავს, რომელსაც მშობლების დანატოვარი ქონების დიდი ნაწილი ეკუთვნის. გაქნილი ზეინაბ-ხანუმი უმარს შესთავაზებს — ჩემს ქართველ მოსამსახურეს დროებით დაგიტოვებ, შენ კი, რაღაც დოკუმენტებზე მომიწერე ხელიო. უმარს გოგონა შეებრალება და მართლაც, დაიტოვებს. მალე გვანცა გაიგებს, რომ უმარი მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად...

უმართან საუბრისას ისიც გაირკვევა, რომ ის, ზეინაბ-ხანუმის ბნელი ბიზნესის სამხელად, კომპრომატებს აგროვებს და გვანცასაც სთხოვს — როცა საქმე სასამართლომდე მივა, მოწმედ დამიდექიო. გვანცა ჯერ დათანხმდება, მაგრამ როცა შეიტყობს, რომ სასამართლო შეიძლება, წლების შემდეგ შედგეს, უმარს მუხლებში ჩაუვარდება და შეევედრება, გამიშვიო. მცირეოდენ ყოყმანის შემდეგ, უმარი გვანცას გაქცევაში დაეხმარება.

საკონსულოს ეზოდან ნელ-ნელა გამომავალ მანქანას გვანცა წინ ისე სწრაფად გადაუხტა, მძღოლს რომ არ ემარჯვა, უთუოდ მის ბორბლებქვეშ აღმოჩნდებოდა. მძღოლმა მანქანა ბოლო წამს რის ვაი-ვაგლახით დაამუხრუჭა, თუმცა, გვანცას ოდნავ მაინც მიეჯახა და ეს უკანასკნელიც მაშინვე მანქანის კაპოტზე დაემხო.

კონსულის მანქანის დამუხრუჭება და იქიდან ორი შეიარაღებული ახმახის გადმოხტომა ერთი იყო. ისინი მაშინვე კაპოტზე პირქვედამხობილ გვანცას ეცნენ, ჰაერში ბუმბულივით აიტაცეს და სწორედ იმ წამს საიდანღაც გამოჩენილი კარგამოღებული მანქანის უკანა სავარძელში გამეტებით მოისროლეს. როგორც კი გვანცა მანქანაში აღმოჩნდა, კარი მაშინვე ჩაირაზა და მანქანა ადგილიდან მოწყდა.

მომხდარით გაოგნებული გვანცა კუთხეში მიიკუნჭა და მანქანის სალონი შიშით მოათვალიერა. საჭესთან მჯდარი მამაკაცი მაშინვე ეცნო, მერე მზერა მის გვერდით მჯდარ ქალზე გადაიტანა და კინაღამ გულიც გაუჩერდა: ის ქალი ზეინაბ-ხანუმი იყო...

ამასობაში ზეინაბ-ხანუმი ნელ-ნელა შემობრუნდა და ხაფანგში გაბმული ნადირივით დამფრთხალი გვანცას დანახვაზე, სახეზე ზიზღი აღებეჭდა:

— მაშ, გაქცევა გადაწყვიტე, ხომ, შე დამპალო?! — კბილებში ბოროტად გამოცრა მან.

გვანცამ, უარის ნიშნად, ჯერ თავი გააქნია, შემდეგ კი რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ პირიდან მხოლოდ ხავილის მსგავსი ხმები ამოუშვა.

— თავის მართლებასაც აპირებ, შე ტუტუცო?! — ხმას აუწია ზეინაბ-ხანუმმა, თან გვანცასკენ მთელი ტანით გადაიხარა, მხარში ხელი ჩაავლო და ღონივრად შეანჯღრია.

გვანცა სავარძელში საერთოდ ჩაიკარგა, ზეინაბ-ხანუმი კი ისევ მის ნჯღრევასა და ლანძღვა-გინებას განაგრძობდა, მაგრამ უცბად, ერთიც შეწყვიტა და მეორეც და თავის მსხვერპლს ისეთი გაოცებით დააკვირდა, თითქოს პირველად ხედავსო, შემდეგ ხელი თმაზე რამდენჯერმე ფრთხილად გადაუსვა. გაოცებულმა გვანცამ ზეინაბ-ხანუმის ხელის მოძრაობას თვალი რამდენჯერმე შიშით გააყოლ-გამოაყოლა. ზეინაბ-ხანუმმა კი ახლა მის სახეზე გადაინაცვლა და ხელი ლოყაზეც ალერსით

მოუცაცუნა. პასუხად გვანცამ კვლავ რაღაც დაუნაწევრებელი ხმები ამოუშვა და... მაშინვე ყურში გარკვევით ჩაესმა:

— გვანცა, ბაბუ, რა მოგდის?.. გაიღვიძე!

გვანცა ლოგინში დაფეთებული წამოვჯდა და თავს წამომდგარი ამირანი დაინახა, რომელიც ცალი ხელით შვილიშვილს მხარში ჩაჰფრენოდა, მეორეს კი ხან თმაზე და ხანაც სახეზე უსვამდა. ამირანისგან ცოტა მოშორებით სამიოდე წლის ბიჭუნა იდგა და ამ ყველაფერს თვალებგაფართოებული შესცქეროდა. ბიჭუნა ვიღაცას უსაშველოდ ჰგავდა, მაგრამ ვის, გვანცამ იმწუთას ვერაფრით გაიხსენა, ამიტომ მზერა ისევ ამირანზე გადაიტანა და ჩურჩულით იკითხა:

— სად ვარ?..

— აქა ხარ, ბაბუ, შენს სახლში... — გული ამოუჯდა ამირანს. — ნუ გეშინია...

— ჩემს სახლში?.. — საკუთარ საძინებელ ოთახს გაოცებით მოავლო თვალი გვანცამ და შემდეგ ისევ ბიჭუნას მიაშტერდა. — ეს ბავშვი ვინღაა? მიშიკო?..

— ე-ეს? — გაოცებით გადახედა ბავშვს ამირანმა. — არა, ბაბუ, ეს ლუკაა, შენი შვილი...

— ჩემი შვილი? — როგორც იქნა, რეალობას დაუბრუნდა გვანცა და ისის იყო, ბავშვის გულში ჩასაკრავად ორივე ხელი გაშალა, რომ აშკარად იგრძნო, სუნთქვა როგორ შეეკრა და ბალიშზე გონწასული მიესვენა...

საქართველოს საკონსულოს სერიოზული ჩარევის შემდეგ თურქეთიდან თბილისში რის ვაი-ვაგლახით დაბრუნებული გვანცა კარგა ხანს გაორებული ცხოვრებით ცხოვრობდა. დღისით, წლების უნახავი ახლობლების გარემოცვაში, სული ნელ-ნელა უთბებოდა, დაღამებას კი გულის კანკალით ელოდა, რადგან ბალიშზე თავის დადება და ზეინაბ-ხანუმის კლანჭებში ხელახლა ჩავარდნა ერთი იყო. გვანცას კოშმარულ სიზმრებში ზეინაბ-ხანუმი მას ხან ძაღლებს უგდებდა საჯიჯგნად, ხანაც რომელიმე ავზნიანი კლიენტის ოთახში კეტავდა. კლიენტი უსათუოდ სქელი და უფორმო იყო, გვანცასკენ ყოველთვის ქშენით მიიწევდა და ის იყო, უნდა სწვდომოდა კიდეც, რომ გვანცას წივილ-კივილით ეღვიძებოდა...

ლამარა შვილიშვილის მდგომარეობას თავიდან უსიტყვოდ აკვირდებოდა, მაგრამ მალე მოთმინების ფიალა აევსო და ერთხელაც, უწინდელივით წივილ-კივილით გამოღვიძებულ და რის ვაი-ვაგლახით გონს მოსულ გვანცას თავზე გამეხებული წამოადგა:

— დროზე ადექი, ექიმთან მივდივართ!

— რომელ ექიმთან? — შეკრთა გვანცა და ამასობაში ლოგინზე აცოცებული ლუკა გულზე ნაზად მიიხუტა.

— ჩემს ნაცნობ ფსიქოლოგთან... თუმცა, თუ ასე გააგრძელე, შეიძლება, ფსიქიატრიც დაგჭირდეს...

ამ სიტყვის გაგონებაზე, გვანცამ შვილი გულში უფრო გამეტებით ჩაიკრა, სახე მის კულულებში ჩამალა და ბებიას ქვემოდან ახედა:

— ფსიქიატრთან წასასვლელი ნამდვილად არაფერი მჭირს... ფსიქოლოგთან კი, ჯერ კიდევ ანკარაში ყოფნისას წამიყვანეს...

— მერე შედეგი?..

— ექიმ ქალს ჩემგან არ უნდა გესწავლებოდეს, რომ შედეგი ასე უცბად არ მოვა... — გაღიზიანდა გვანცა. — ფსიქოლოგმა კი მითხრა — ყველაფრის მკურნალი მაინც დროა და თუ ცოტათი შენც შეუწყობ ხელს, ყველაფერი გაგივლისო...

— მერე? — დოინჯი შემოიყარა ლამარამ. — ესაა შენი ხელის შეწყობა? დღისით ოთახიდან არ გამოდიხარ, ღამე კი წივილ-კივილით გვიკლებ!..

— ლამარა! — ზღურბლზე მოულოდნელად აღიმართა შეწუხებული ამირანი და ცოლს თვალები გადაუბრიალა. — მაინც არ იშლი შენსას?!

— რა ჩემსას, რა? — ხმას აუწია ლამარამაც. — სანამ დედამისივით დასაბმელი არ გახდება, მანამდე არაფერი ვიღონოთ? თქვენ თუ გიყურეთ...

— ლამარა! — კვლავ მკაცრად გააწყვეტინა ამირანმა ცოლს, თუმცა, ეს უკანასკნელი თავისას მაინც არ იშლიდა.

საბოლოოდ გონს მოსულმა გვანცამ მოკამათე ბებია-ბაბუას რიგრიგობით მოავლო თვალი და თავისდა გასაოცრად, ისიც აღმოაჩინა, რომ ორივე ძალიან მოტეხილიყო. ამირანს ხშირი და გაფანჩული წარბებიც კი ბოლომდე გასჭაღარავებოდა, ქუთუთოები კი თვალებზე მთლად ბებრულად ჩამოჰფხატოდა. ყოველთვის პეწენიკა და თავმოვლილ ლამარას კი ალაგ-ალაგ საღებავშერჩენილ ჭაღარა თმაზე უსიამო ჟანგისფერი გადაჰკრავდა. მათ შემხედვარე გვანცას გული მოეწურა, ლუკა ბალიშზე ნელ-ნელა მიაწვინა, თავი ხელებში ჩარგო და აქვითინდა.

ცოლ-ქმარმა კამათი მაშინვე შეწყვიტა. ამირანი შვილიშვილს საწოლზე ჩამოუჯდა და გულში ჩაიკრა:

— კარგი, ბაბუ, კარგი... დამშვიდდი... მართლა და მართლა, რა მოგივიდა?..

— მაგისთანა მოუვიდეს ჩემს მტერსა და დუშმანს!.. — ხელი უნუგეშოდ ჩაიქნია ლამარამ და ოთახიდან აცრემლებული გალასლასდა...

გვანცა კი ბაბუს გამეტებით ჩაეკრა და სლუკუნ-სლუკუნით ამოთქვა:

— ორივენი როგორ შეცვლილხართ, ბაბუ!.. როგორ მოტეხილხართ!..

— მადლობა ღმერთს!.. — შვებით ამოისუნთქა ამირანმა და შვილიშვილს აბურდულ თმაზე აკანკალებული ხელი გადაუსვა. — რაკი ეს შეგვამჩნიე, ნელ-ნელა, ალბათ, ცხოვრებასაც დაუბრუნდები...

გვანცა ცხოვრებას მართლაც, ნელ-ნელა უბრუნდებოდა. ერთ დილას საგანგებოდაც გამოეწყო და ის იყო, შინიდან გასვლამდე, სარკის წინ კიდევ ერთხელ შეტრიალ-შემოტრიალდა, რომ სამზარეულოდან ლამარა გამოვიდა და ირონიულად ჰკითხა:

— ასე რას გამოპრანჭულხარ? პარლამენტში ხომ არ გიბარებენ?

— შენ წარმოიდგინე, მართლა პარლამენტში მიბარებენ... უფრო ზუსტად — მოუთმენლადაც მელიან... — სარკეში არეკლილი საკუთარი ორეული გვანცამ კიდევ ერთხელ კმაყოფილებით შეათვალიერა და შემდეგ, შემოსასვლელი კარის საკეტი გადაატრიალა.

— აღარ იტყვი, მართლა სად მიეხეტები? — ხმას აუწია ლამარამ.

— ხომ გითხარი, პარლამენტში-მეთქი... — კვლავ მშვიდად მიუგო გვანცამ.

— გადამრევს ეს გოგო! — სველი ხელები წინსაფარზე მექანიკურად ჩამოისვა ლამარამ. — პარლამენტში შენ ვინ შეგიშვებს?..

— ვითომ რატომაო? — გაღიზიანდა გვანცა. — მართლა სახეზე ხომ არ მაწერია, რომ ცოტა გარეკილი მაქვს?.. ანდა დავიჯერო, იქ ყველა ჩემზე ნორმალური ზის?

— ნუ სულელობ! — ისევ შეუტია ლამარამ. — ნორმალურად ამიხსენი, მართლა ვინმე გელოდება თუ?..

— მე-ლო-დე-ბა! — ხაზგასმით ჩამარცვალა გვანცამ.

— ვინ?

— ვინ და ლაშა რჩეულიშვილი.

— ეგ ვინღა ეშმაკია?

— როგორ? ლაშა რჩეულიშვილი არ გახსოვს?.. ჩემი მთავარი გამბედნიერებელი!.. მაგან არ იყო, გერმანიაში რომ გამიშვა და...

— გერმანია მაგას და სიკვდილი და არგადარჩენა! — იკივლა უცბად ლამარამ. — ჩემთან მაგის სახელს როგორღა ახსენებ?! ან შენ რაღა საქმე გაქვს მაგ არაადამიანთან?

— მაგასთან მაქვს საქმე თუ მაქვს!.. — ხმას აუწია გვანცამ. — ამდენი კოშმარი და უბედურება გადავიტანე და პასუხიც აღარაფერზე მოვთხოვო?

— რა პასუხი? — შეცბა ლამარა. — შენ თავი სად ggონია?.. არ იცი, რომ დღეს მაგისთანები უკან არაფერზე იხევენ?.. თავს თუ არ დაანებებ, შეიძლება, პასუხი აქეთ მოგთხოვოს...

— მაგასაც ვნახავთ!

— გოგო! — იკივლა უცბად ლამარამ. — რას ნახავ, რას? ის არ მეყოფა, მეზობლები რომ ათას რამეს ჭორაობენ, ახლა პარლამენტშიც უნდა გამოიჭენო თავი?!

— რა თქვი?!. — კარის საკეტს ხელი უშვა და ლამარასკენ მკვეთრად შებრუნდა გვანცა.

— რაც გაიგონე! — კივილს აგრძელებდა ლამარა. — აბა, რა გეგონა? თურქეთში სამი წლით გადაკარგულ ქალზე არაფერს იტყოდნენ?.. დაგავიწყდა, ბაბუაშენი ვითომ ხუმრობით, სადღეგრძელოსაც კი სვამდა ხოლმე — იმ ქართველ ქალს გაუმარჯოს, თურქეთში რომ არ არის ნამყოფიო?.. შენ კიდევ... ყოფნაც არის და ყოფნაც...

გვანცამ ლამარას ერთი კიდევ გადახედა და გარეთ გიჟივით გავარდა...

ლაშა რჩეულიშვილის მისაღებში გვანცას რამდენიმე ადამიანი დახვდა.

— თქვენ ამათ შემდეგ იქნებით... — მათზე თვალით ანიშნა მდივანმა და შემდეგ, წუთის წინ დაწყებული ფრჩხილების შეღებვა ისევ განაგრძო. უცბად ერთ-ერთ ტელეფონი აწკრიალდა. მდივანმა ჯერ ლაქშეუმშრალ ფრჩხილებზე დაიხედა, შემდეგ ერთი-ორჯერ სულიც შეუბერა და ყურმილი ფრთხილად აიღო:

— გისმენთ, ბატონო ლაშა.

— ჩოხელი?.. დიახ, ეს წუთია, მოვიდა... ახლავე, ბატონო ლაშა...

მდივანმა ყურმილი ნელ-ნელა დადო და გვანცას მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა:

— ბატონმა ლაშამ, შემოვიდესო...

გვანცამ ლაშას კაბინეტში ფრთხილად შეაბიჯა და მაშინვე კართან შედგა:

— შეიძლება, ბატონო ლაშა?.. — ხმაში აშკარა ირონია გამოურია მან.

ფანჯარასთან ზურგით მდგარი მამაკაცი მაშინვე შემობრუნდა და სახეზე ღიმილი აუთამაშდა:

— გვანცა, ჩემო კარგო, როგორც იქნა — დაგვიბრუნდი...

ამ შეძახილის შემდეგ ლაშა, რამდენიმე ნაბიჯში, გვანცასთან გაჩნდა და ხელები ისე გაშალა, თითქოს მის გულში ჩაკვრას აპირებსო. მაგრამ როგორც კი გვანცას გამჭოლი მზერა დაიჭირა, ხელები სასწრაფოდ დაუშვა და მხრები დანაშაულზე წასწრებულივით აიჩეჩა.

— გამარჯობა... — ხელი მშვიდად გაუწოდა მას გვანცამ.

იმედმოცემულმა ლაშამ გვანცას ორივე ხელი ჩამოართვა და კარგა ხანს აღარ გაუშვია:

— გამარჯობა, ჩემო კარგო, გამარჯობა... მოდი, დაჯექი და ისე მომიყევი ყველაფერი.

ლაშამ გვანცა კედელთან მდგარი ორი სავარძლიდან ერთ-ერთში ჩასვა და სანამ თავადაც დაჯდებოდა, მდივანს უხმო და ყავის მოდუღება უბრძანა...

ლაშა გაოცდა, როცა გაიგო გვანცა თითქოს მას სდებდა ბრალს იმაში, რაც გადახდა. ერთი კი შეიცხადა — მე რაში მადანაშაულებ, გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნე თუ თურქეთშიო?! — მაგრამ რომ მიხვდა — ნერვებად ქცეულ ქალს განტევების ვაცი სჭირდებოდა — მოთმინებით უსმენდა და აკვირდებოდა. ცდილობდა, უფრო გულისხმიერი გამომეტყველება მიეღო და მხოლოდ დროდადრო, მოკლე კითხვას უსვამდა. მალე იმაშიც დარწმუნდა, რომ სწორი დასკვნა გააკეთა: თანდათან გვანცას ტონი სულ უფრო წყნარი ხდებოდა... როცა გვანცამ თხრობა დაამთავრა, ლაშა ფეხზე წამოდგა და ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა, ნერვიულად რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, ბოლოს ფანჯარასთან შედგა და სივრცეს გახედა.

— როგორც ჩანს, ფანჯარაში ცქერა ძალიან გიყვარს... — ისევ ღვარძლიანად მიმართა მას გვანცამ, რომელიც ჯერ კიდევ ლაშას მიიჩნევდა თავისი მწარე თავგადასავლის მიზეზად: მას რომ არ გაეგზავნა სასწავლებლად, ეს ყველაფერი ხომ არ მოხდებოდა?!.

— ჰო, მიყვარს... ასე ყველაზე უკეთ ვიწყნარებ ნერვებს...

— გამოდის, რომ გაგანერვიულე...

— კი... თანაც, ძალიან... — როგორც იქნა, ფანჯარას მოსცილდა და ისევ სავარძელში მოკალათდა ლაშა.

— ბოდიშს გიხდით, ბატონო ლაშა... არ მეგონა, თუ ასეთი ფაქიზი ნერვები გქონდათ...

— არ გინდა, რა, ეს ირონია... — საფეთქლები მთელი ძალით მოისრისა ლაშამ — წარმოდგენაც არა გაქვს, შენი დაკარგვის ამბავი როგორ განვიცადე... — ხმადაბლა განაგრძო მან შემდეგ — რა აღარ ვიღონე, ვინ აღარ შევაწუხე, მაგრამ ვერაფერს გავხდი... მართლა... მართლა... თან, მარტო შენ ხომ არ იყავი?.. იცი, იმ ორ გოგოს როგორი პატრონები აღმოაჩნდნენ?.. დიდი

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

— შენთან სად?

— აქ, — ირგვლივ შინაურულად მიმოიხედა ლაშამ და შემდეგ დაუმატა: პარლამენტში.

— მერედა, ჩემნაირი ბნელი წარსულის ადამიანს აქ, ამ უმწიკვლო ადამიანთა თავშესაყარში, ვინმე მიმიღებს?! — კვლავ ირონიის ხასიათზე დადგა გვანცა.

— ხომ შევთანხმდით, რომ წარსულს აღარ ვიხსენებთ?..

— ივიწყებ წარსულს, კარგავ მომავალს... — ხმაში პათეტიკა გამოურია გვანცამ. — გამახსენე ერთი, ეს ვისი სიტყვებია?

— ეგ ვისი სიტყვებია, ნამდვილად არ ვიცი... — იწყინა ლაშამ. — მაგრამ მე მართლა საქმეს გთავაზობ.

— კარგი. პირდაპირ მითხარი, რას მთავაზობ და იქნებ, მართლა შევთანხმდეთ.

— ო-ო... აი, ეს უკვე სულ სხვაგვარი ლაპარაკია. — ხელები ისევ საქმიანად მოიფშვნიტა ლაშამ და ჩამოთვლა დაიწყო: — მაშ ასე, პირველი: უნივერსიტეტში უპრობლემოდ აღგადგენ, მეორე: ჩემს ფრაქციაში მუშაობას დაგაწყებინებ და მესამე და მთავარი: მომავალი არჩევნებისთვის შენს თავს ჩვენი პარტიული სიის პირველ ათეულში გავაყვანინებ და პარლამენტარობაც გარანტირებული გექნება. მეტი რაღა გინდა?

— მეტი რაღა უნდა მინდოდეს? — სიცილი ვეღარ შეიკავა გვანცამ. — რამდენადაც ვიცი, ჩვენი პრეზიდენტი ჯერ თავისი ადგილის დათმობას ნამდვილად არ აპირებს. ასე რომ, ჩათვალე, ყველაფერზე შევთანხმდით. ჰო, მართლა, სამუშაოზე ხვალვე ხომ არ გამოვიდე?

— არა... — დაიბნა ლაშა. — ხვალვე როგორ?.. ჯერ ცოტა უნდა მივდგე-მოვდგე და რამე საქმე გამოგინახო. მერე დანარჩენებსაც შევუთანხმო... მოკლედ, ასე, ერთ კვირაში გამოიარე და...

— კარგი ერთ კვირაში იყოს. — დაეთანხმა გვანცა და თან, წასასვლელად მოემზადა.

— მოიცა, რა გეჩქარება? — შეაჩერა ლაშამ. — ცოტა კიდევ ვილაპარაკოთ. შენი გოგონა რას შვრება?

— მე გოგო კი არა, ბიჭი მყავს...

— ა-ა... მაპატიე, სულ გამოვშტერდი... — შეწუხდა ლაშა. — რამდენისაა ახლა?

— სამი წლის...

— ხომ კარგად დაგხვდა? ხომ ძალიან გაუხარდა დედიკოს ნახვა?

— რა ვიცი... ალბათ, გაუხარდა... — მხრები უცნაურად აიჩეჩა გვანცამ. — მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერჯერობით „დედას“ ისევ ბებიაჩემს ეძახის...

— მართლა? — შეცბა ლაშა, თუმცა მაშინვე დასძინა: — რას ვიზამთ?.. სამწუხაროდ, ხანდახან, ასეც ხდება, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ დაბრუნდი და...

— ჰო, დავბრუნდი... — ამოიოხრა გვანცამ. — თუმცა, სიზმრებში ისევ იქ ვარ, იმ საშინელებაში...

— ჰო, მართლა — წელან გაკვრით კი ახსენე ის კაცი, ვინც საკონსულოსთან მიგიყვანა, მაგრამ ცოტა მეტის მოყოლა არ შეგიძლია? — დაინტერესდა უცბად ლაშა.

— იმ კაცზე მე მეტი არაფერი ვიცი! — ხმა გაიმკაცრა გვანცამ. — და რომც ვიცოდე, მაინც არავის არაფერს მოვუყვებოდი!

— რატომ? არ გინდა, სხვებსაც დაეხმარო?.. ბოლოს და ბოლოს, იქ ხომ შენი ორი მეგობარიც დარჩა?

— ვიცი, მაგრამ ვერაფრით დავეხმარები... ფიცს ვერ გავტეხ...

— რა ფიცს? — გაუკვირდა ლაშას.

— მე იმ კაცთან ჩემი შვილის სიცოცხლე დავიფიცე, რომ მის სახელს არავისთან ვახსენებდი და არც ვახსენებ, გასაგებია?! — აყვირდა უცბად გვანცა.

— კარგი, კარგი! — დაუყვავა ლაშამ გვანცას. — ყველაფერი გასაგებია. დამშვიდდი...

— შენ იკითხე, თორემ მე ძალიან მშვიდად ვარ. — კბილებში გამოცრა გვანცამ და კარისკენ ნაბიჯი გადადგა. — წავედი.

— მოიცა! — კვლავ სიტყვა დაადევნა ლაშამ. — შენი შვილის მამა ხომ არ გამოჩენილა?

გვანცა უცბად მკვეთრად შემობრუნდა და ლაშა საგულდაგულოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა:

— აი, ეგ კი შენ უკეთესად გეცოდინება...

— მე-ე? — შეცბა ლაშა. — აბა, მე საიდან? ხომ გახსოვს, მაშინ რომ იყავი ჩემთან და ვერაფერი დაგიდგინე...

— მაშინ მე ჩემს ქმარს ვეძებდი, ახლა კი ჩემი შვილის მამაზე გელაპარაკები. — მშვიდად უპასუხა გვანცამ და კარი ნელ-ნელა გამოაღო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

იაპონიაში გოძილაზე მოლო ფილმის გადაღემას იწყემენ

კინოსტუდია „ტოჰო“ ურჩხულ გოძილაზე გაკეთებული სერიალის ბოლო, ოცდამერვე ფილმის გადაღებას იწყებს. იგი კინოეკრანებზე მიმდინარე წლის 11 დეკემბერს გამოვა. მისი სახელწოდება იქნება „გოძილა – ბოლო გაბრძოლება“. გადაღებებს მაისის შუა რიცხვებში შეუდგებიან. როგორც ფილმის რეჟისორმა რიუჰეი კიტამურამ განაცხადა, გოძილას გარდა ეკრანზე, კიდევ ათი ურჩხული გამოჩნდება.

სერიალის ბოლო ორმა ფილმმა მაყურებლის ინტერესი ვერ დაიმსახურა, რის გამოც განსაკუთრებული სპეცეფექტების გამოყენება იგეგმება, სადაც გოძილა, რომელიც გარშემო ყველაფერს ანადგურებს, საბოლოოდ თავადაც იღუპება. „გოძილაზე გადაღებული ეს ფილმი ნამდვილად ბოლო იქნება ჩვენი თაობისათვის“, – აღნიშნა პროდიუსერმა ტოიამამ.

ამ ურჩხულზე პირველი ფილმი 50 წლის წინ გამოვიდა, რომელმაც შემდგომ მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი. მას შემდეგ ფილმები 98,25 მლნ კაცმა იხილა. როგორც ვარაუდობენ, „გოძილა – ბოლო გაბრძოლების“ გამოსვლის შემდეგ მაყურებლის რიცხვი 100 მლნ-ს გადააჭარბებს.

1998 წელს ჰოლივუდმა მაყურებელს „გოძილას“ საკუთარი ვერსია შესთავაზა, სადაც გიგანტური მონსტრი ნიუ-იორკს უტევდა. ■

უიტნი ჰიუსტონის ქმარი გისოსემს მიღმა აღმოჩნდა

სამართალდამცავ ორგანოებთან რეგულარულად კონფლიქტში მყოფი სკანდალური მომღერალი ბობი ბრაუნი ორ თვეს ციხეში გაატარებს. 35 წლის ბრაუნი ცნობილი მომღერლის უიტნი ჰიუსტონის ქმარი გახლავთ, რომელმაც გასულ წელს ცოლი ისე სცემა, რომ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, პოლიციისთვის მიემართა. ამ საქმის პირველ ჯერზე შესწავლის შემდეგ, იგი არ დაუჭერიათ, თუმცა პოლიციაში გამოუცხადებლობის გამო მომღერალი ხელახლა გამოიძახეს და ციხეში ჩასვეს, სადაც მინიმუმ 5 მაისამდე მოუწევს ყოფნა. მოსამართლის განმარტებით, ამგვარი დარღვევისთვის, როგორც წესი, 120 დღე ისჯებიან ხოლმე. ასე რომ, ბრაუნს გაუმართლა, რადგან მისი სასჯელი მხოლოდ 60 დღეს გასტანს. ბობი ბრაუნის დედას მიაჩნია, რომ მის შვილს სასამართლო სამართლიანად მოექცა. ■

კვენტინ ტარანტინო მსოფლიო პრემიერას ამზადემს



მოუხელთებელი მკვლელი „საცოლე“ ბრუნდება, რათა ბოლოს და ბოლოს, ბილს გაუსწორდეს. ამჯერად რეჟისორმა დაინდო თავისი თაყვანისმცემლები: ფილმის პირველი ნაწილის გადაღებას ტარანტინომ 6 წელი მოანდომა. აი, მეორე ნაწილი კი სულ რაღაც 6 თვეში გადაიღო.

„საცოლე“ – მსახიობ უმა თურმანის მონაწილეობით, გააგრძელებს შურისძიებას თავისი არშემდგარი სიკვდილისა და მოკლული ქალიშვილის გამო, რომელიც როგორც ირკვევა, ასევე არ მომკვდარა.

მაყურებელი 16 აპრილს – ფილმის მსოფლიო პრემიერაზე იხილავს, თუ როგორ კლავს „საცოლე“ ბილს. ■

ემინემი კინოკომიქსემის ანტიგმირად მოგვევლინემა

რეპერ ემინემის მენეჯერები მოლაპარაკებას აწარმოებენ ჰოლივუდის კინოპროდიუსერებთან. ფილმში – „იძებნება“ მომღერალს უკვე გარანტირებული აქვს უარყოფითი გმირის მთავარი როლი. სურათის ბიუჯეტი 95 მლნ დოლარს შეადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული აქტიორული გამოცდილება ემინემს უკვე აქვს. მის თაყვანისმცემლებს ეხსომებათ, 2002 წელს მის მიერ საკმაოდ წარმატებით განხორციელებული როლი „ოსკაროსან“ ფილმში – „მერვე მილი“.

„ძალზე მახარებს ის ფაქტი, რომ მარშალ მეზერის (ემინემის ნამდვილი სახელი და გვარი) მთავარ როლზე მოწვევის შანსი მოგვეცა, – ამბობს კომიქსის ავტორი და კინოპროექტის ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი მარკ მილარი. – დარწმუნებული ვარ, რომ მას აუცილებლად მოეწონება ეს როლი – „ცუდ ბიჭებზე“ გადაღებული ფილმები, თითქმის ყოველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობს. გარდა ამისა, ბევრი მსახიობი დადებითი პერსონაჟის თამაშს, ნეგატიური გმირის როლის შესრულებას ამჯობინებს. უნდა ვაღიარო, რომ სცენარიც ძალზე თავშესაქცევი გამომივიდა. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, მარშალი სიამოვნებით დათანხმდება ამ როლის თამაშს.“



■

ჯასტინი ჟურნალისტიკაში წარმატებებს აღწევს

სახელგანთქმული შემსრულებელი ჯასტინ ტიმბერლეიკი ძალზე სერიოზულად ემზადება თავისი პირველი როლისთვის კინოში. მალე მას ფილმ „ედისონში“ რეპორტიორის განსახიერება მოუწევს. როლში სათანადოდ შესასვლელად მან „ახალგაზრდა ჟურნალისტის კურსიც“ გაიარა. იგი მთელი დღის განმავლობაში აკვირდებოდა ცნობილი ჟურნალისტის ბობ პორტერფილდის მუშაობას, რომელიც სააგენტო Associated Press-ისთვის სპეციალურ რეპორტაჟებს ამზადებს. „ჯასტინს ამ სფეროს ყველა ნიუანსზე ველაპარაკე, – ამბობს პორტერფილდი, – და გაოგნებული დავრჩი. მეგონა, ეს ყველაფერი მოსაწყენი იქნებოდა მისთვის, მაგრამ შევცდი – ის საოცარი ინტერესით მისმენდა და ყველა ჩემი კომენტარი ჩაიწერა“. იმედია, ჯასტინი შესანიშნავად გაართმევს თავს ახალ პროექტს და მის მიერ განსახიერებული როლი, კრიტიკისა და მაყურებლის მოწონებას დაიმსახურებს. ■

სელინ დიონმა „კრაისლერის“ იმიჯი ვერ მოირგო

ცნობილმა საავტომობილო მწარმოებელმა კომპანია DaimlerChrysler AG-მ გადაწყვიტა, თავისი პროდუქციის სარეკლამო რგოლებში ცნობილი მომღერალი სელინ დიონი აღარ გადაიღოს. შარშან კომპანიამ სელინს 14 მლნ დოლარი გადაუხადა იმისათვის, რომ მისი სახელი ყოველ სარეკლამო რგოლში გაჟღერებულიყო. „გვინდა, კონცეფცია შევცვალოთ, – აღნიშნა „კრაილერის“ პრესტაშემ დევიდ ბარნასმა, – ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დიონმა იმედები გაგვიცრუა. უბრალოდ, დადგა დრო, რაღაც შეიცვალოს. ის იმ ტიპის ცნობილი ადამიანი არ არის, რომელიც ამ ეტაპზე ჩვენს ფირმას სჭირდება. თუმცა მას ამაში ბრალი არ მიუძღვის. ალბათ ჩვენ შევცდით არჩევანში“.

მიუხედავად ასეთი განცხადებისა, მომღერალს მაინც იღებენ კომპანიის ახალ რეკლამებში. განსაკუთრებით ისეთებში, სადაც „მთელი ოჯახისთვის“ განკუთვნილ ავტომობილებზეა ლაპარაკი. ■

ტომ ჰენქსი მთვარეზე

როგორც პოპულარულმა მსახიობმა ტომ ჰენქსმა და კომპანია IMAX-ის წარმომადგენელმა განაცხადეს, ახალი დოკუმენტური ფილმის სპონსორი – კორპორაცია Lockheed Martin-ი გახდება. ფილმის სახელწოდებაა „დიადი მარტოობა“, რომლის სიუჟეტიც აღებულია მთვარეზე პირველი მოგზაურობის მონაწილის, ედვინ ელდრინის წიგნიდან. რეჟისორები მარკ ჰერცოგი და მარკ კლაუენი ფილმზე მუშაობის დროს 1969-1972 წლებში ჩატარებული ექსპედიციების მასალებით იხელმძღვანელებენ.

ტომ ჰენქსი მაყურებელს ჰპირდება, რომ ისინი ფილმის უშუალო მონაწილეები იქნებიან და კოსმოსური ხომალდის „აპოლონის“ როგორც დაძვრას, ისე აფრენასა და მთვარეზე დაჯდომას შეიგრძნობენ, სადაც იდუმალებით მოცულ ადგილებს მოინახულებენ.

„ნასასთან“ ერთად, IMAX-ის მიერ კოსმოსზე შექმნილმა დოკუმენტურმა ფილმებმა კინოგაქირავებას 350 მლნ დოლარზე მეტი მოგება მოუტანა. ■

„მწვანეებმი“ პამელას კონსულტაციებს უწევენ

„მწვანეთა“ ორგანიზაცია People For the Ethical Treatment of Animals (PETA) მსახიობსა და „პლეობოის“ ყოფილ მოდელს პამელა ანდერსონს ტანსაცმლის ახალი კოლექციის შექმნაში ეხმარება. 36 წლის ანდერსონმა PETA-ს რჩევისთვის მიმართა, რადგან არ სურს, რომ მოდელების წარმოებისას ცხოველები დაზარალდნენ. ხსენებული ორგანიზაციის მკაცრი მოთხოვნები ცნობილია – იგი მერინოსის მატყლის გამოყენებასაც კი კრძალავს, რამეთუ მიაჩნია, რომ ცხვრებს გაპარსვისას ზიანს აყენებენ. PETA-სთვის, რომელიც ტანსაცმლისთვის ნატურალური ბეწვისა და ტყავის გამოყენებას აპროტესტებს, ანდერსონთან პარტნიორობა fashion-ინდუსტრიასთან ურთიერთობების დასარეგულირებლად კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

ახლახან მათ ცნობილი მოდელი ფერნანდა ტავარესი დაარწმუნეს, მონაწილეობა მიეღო ანტიბეწვეულის კამპანიაში.

ანდერსონის პირველი კოლექციის გასაყიდად გატანა მიმდინარე წლის შემოდგომაზე იგეგმება. მას წარმოდგენილი ექნება (რა თქმა უნდა, არა ნატურალური ტყავისგან შეკერილი) ფეხსაცმელი და ჩექმები, ნატურალური აბრეშუმის თეთრეული, სექსუალური ჯინსები, სვიტერები და მაისურები. ■

ნებისმიერი გემოვნებისთვის გათვლილი Renault Clio

ფრანგული კომპანია კომპაქტური მოდელის მოდიფიკაციების პალიტრას აფართოებს. წლეულს, ავტომოყვარულებს ბენზინის ხუთნაირ ძრავას შესთავაზებენ, რომელთა სიმძლავრეც 75-დან 179 ცხ.ძ-მდე მერყეობს. ამ უკანასკნელით აღიჭურვება Renault Clio Sport, რომელიც გამონაბოლქვის ქრომირებული მილითა და ჰაერშემწოვებით გამოირჩევა. კონსტრუქტორებმა შეცვალეს აგრეთვე საკიდრის მდგომარეობა, რათა ის ძრავას სიმძლავრის შესაბამისი ყოფილიყო.

„რენოს“ კიდევ ერთ სიახლეს 2004 წელს, ეკონომიური დიზელის აგრეგატი წარმოადგენს, რომლის სამუშაო მოცულობა 1,5 ლ-ს, ხოლო სიმძლავრე 101 ცხ.ძ-ს შეადგენს. ამ ძრავათი აღჭურვილ Clio-ს გავლილ 100 კმ-ზე სულ 4,3 ლ საწვავი დასჭირდება. მოდელის უკვე არსებულ კომპლექტაციას – Authentic-ს, რომელიც ფუნქციონალობაზეა ორიენტირებული, კიდევ ორი ვარიანტი – Dynamique და Privilege დაემატა. პირველი, სპორტული სტილის ელემენტებით გამოირჩევა, მეორეს კი, ისეთი ოპციები ახლავს, რომლითაც ჩვეულებრივ, გაცილებით მაღალი კლასის ავტომობილები აღიჭურვება. თუმცა, ვერც „რენე კლიოს“ საბაზო კომპლექტაციას უწოდებ ღარიბულს. მასში შედის: უსაფრთხოების ბალიშები, საჭის ელექტროგამაძლიერებელი, დისტანციური მართვა ცენტრალური საკეტით, ფანჯრების ელექტროამწეები. ახალ მოდიფიკაციებს შორის ყველაზე მდიდრულადაა აღჭურვილი Initiale, რომელსაც ქსენონის მაშუქები, ტყავი, ნატურალური ხის მასალა (როგორც პრესტიჟულ მოდელზე – Renault Vel Satis) და მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული საბორბლე დისკები ახლავს. დაბოლოს – Clio-ს მყიდველს სამნაირი გადაცემათა კოლოფიდან ერთერთის არჩევის საშუალება ეძლევა: ხუთსაფეხურიანი მექანიკური და ოთხ ან ხუთსაფეხურიანი „ავტომატები“. ■

Fiat-ის ორიგინალური იდეები

ევროპულ ავტობაზარზე ესოდენ პოპულარული კლასის – კომპაქტური ვენების „საკრებულოს“, იტალიური ნიმუშიც შეემატა. ელეგანტური და პრაქტიკული Fiat Idea მცირე კლასის პოპულარული მოდელის – Punto-ს პლატფორმაზე აიგო. მისი სიგრძე – 3,93 მ, სიგანე – 1,70 მ, ხოლო სიმაღლე – 1,66 მ-ა. აღსანიშნავია საბორბლე ბაზა – 2,51 მ, რაც განაპირობებს იმას, რომ გარეგნულად არცთუ ისე დიდ ავტომანქანას, საკმაოდ ხალვათი სალონი აქვს. Idea-ს საბარგულის მოცულობა 320 ლ-ს შეადგენს; თუ უკანა სავარძლებს გასწევთ და ვერტიკალურ მდგომარეობაში დააყენებთ, ეს მაჩვენებელი 420 ლ-მდე გაიზრდება, ხოლო მსხვილგაბარიტიანი ტვირთის გადასაზიდად, საკარძელი უნდა ამოიღოთ და 1420 ლ-ს მიიღებთ. კონსტრუქციის სხვა თავისებურებებიდან უნდა აღინიშნოს სათავსების, კერძოდ, თაროებისა და უჯრების სიმრავლე (სულ 27-ს აღწევს), რომლებზეც საგზაო რუკები, მობილური ტელეფონი, სათვალე თუ სხვა წვრილმანი შეგიძლიათ მოათავსოთ. ხელსაწყოები წინა პანელის შუაშია დამონტაჟებული. ამგვარი დიზაინერული გადაწყვეტა იტალიელებმა ადრე, მსხვილგაბარიტიან ვენში – Fiat Ulysse-ში გამოიყენეს. წინა პანელს აგრეთვე დართული აქვს გადაცემათა გადართვის ბერკეტი.

Idea ოთხნაირი ძრავათი შეიძლება აღიჭურვოს: ბენზინის ძრავები 1,2 და 1,4 ლ მოცულობისაა და მათი სიმძლავრე შესაბამისად, 80 და 95 ცხ.ძ-ს შეადგენს, 100 კმ/სთ სიჩქარეს 13,5 და 11,5 წმ-ში ავითარებს, მაქსიმალური სიჩქარე კი – 163 და 175 კმ/სთ-ია. ტურბოდიზელის აგრეგატების მონაცემები ასეთია: სამუშაო მოცულობა – 1,3 და 1,9 ლ, სიმძლავრე – 70 და 100 ცხ.ძ, საწვავის საშუალო ხარჯი – 5,1 და 5,6 ლ ყოველ 100 კმ-ზე; 100 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათი აღჭურვილი ვერსია 100 კმ/სთ სიჩქარეს 11,4 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარეა 179 კმ/სთ. ახალი „ფიატების“ ფასები 13.290 ევროდან იწყება. ■

ავტომობილის „ინტელექტი“

გერმანული კონცერნის – Volkswagen-ის სპეციალისტები განუწყვეტლივ ხვეწენ ავტომობილის უსაფრთხოების სისტემებს. ფართოდ გავრცელებული – მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემისა (ABS) და სტაბილიზაციის ელექტრონული პროგრამის (ESP) გარდა, თანამედროვე მანქანების აღჭურვილობას მალე, ახალი კვანძები შეემატება. მაგალითად, „ფოლკსვაგენმა“ შეიმუშავა ავტომატური „სტოპ-კრანი“ (ANB), რომლის მოქმედების პრინციპი ასეთია: ელექტრონული ხელსაწყო გამუდმებით გადასცემს ბორტკომპიუტერზე ინფორმაციას წინ მიმავალი მანქანების დისტანციისა და სტატიკური ობიექტების შესახებ და კრიტიკული მონაცემების მიღების შემთხვევაში, სისტემა ავტომატურად დაამუხრუჭებს მანქანას. კონცერნის ინჟინერთა მონაცემებით, ავტოავარიების 18% მაშინ ხდება, როცა მანქანა გზიდან გადადის. ამგვარი სიტუაციების მინიმუმამდე დასაყვანად შემუშავებულია სისტემა LDW (Lane Departure Waring): სპეციალური ტელეკამერა თვალყურს ადევნებს საგზაო ნიშნულებთან მიმართებაში მანქანის მდგომარეობას და გადაცდომის შემთხვევაში, ხმოვანი სიგნალით აფრთხილებს მძღოლს. შექმნილია აგრეთვე მოდული, რომელიც მძღოლს დაძინების საშუალებას არ მისცემს – არადა, ამ მიზეზით მომხდარი ავარიების 25% სიკვდილიანობით სრულდება. კამერა მიმართულია მძღოლის თვალებზე და მისი გადაღლის შემთხვევაში აფრთხილებს, რომ აუცილებელია შესვენება. ცოტა ხანში, ავტოკონსტრუქტორები ღამის ხედვის სისტემის შექმნასაც გამოაცხადებენ: ღამით მოძრაობისას, ინფრაწითელი სხივები ფეხით მოსიარულეთა გარჩევას გაუადვილებს მძღოლს. მომავლის ავტომანქანები დგომის ელექტრონული ასისტენტითაც აღიჭურვება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უკუსვლით მოძრაობის ტრაექტორია და მძღოლისგან დამოუკიდებლად შეაყენებს მანქანას თუნდაც ვიწრო „ჯიბეშიც“...

■

აკაკი გეგენავა (მარჯვნივ) ამერიკაში ყოფნისას

როცა ამერიკას კარგად არ იცნობ

წინამორბედი წერილი იხ. „გზა“ №10

საოცარი რამ არის გზა. მით უმეტეს, მოგზაურობაზე შეყვარებული კაცისთვის. ამ მხრივ მართლაც იღბლიანი აღმოვჩნდი, ამერიკის შეერთებულ შტატებში „გახიზნული“ კაცისათვის ჩემი გოლიათი „მეგობარი“ — VOLVO-ს ტრაილერი მოგზაურობისთვის ნამდვილი მისწრება იყო. ერთ-ერთი ტვირთის გადამზიდავი კომპანიის რიგითი მძღოლი კი გახლდით, მაგრამ ყოველგვარი ამბიცია მავიწყდებოდა, როცა ჩემი ტრაილერით შტატიდან შტატში, ქალაქიდან ქალაქში გადავდიოდი. ვხვდებოდი უამრავ ადამიანს, არაერთს დავუმეგობრდი კიდეც. ახლაც მირეკავენ ამერიკიდან ჩემი ძველი ნაცნობ-მეგობრები, კლიენტებიც კი...

თუმცა, უმჯობესია, კვლავ ჩიკაგოში დავბრუნდეთ, საიდანაც მენის შტატში ერთი ფერმერისთვის პირუტყვი უნდა გადამეყვანა.

შარიანი თანამგზავრის გვერდით

ჯეკი ლარსენი, ჩემი კლიენტი, ცივი და არაკომუნიკაბელური თანამგზავრი აღმოჩნდა. არადა, ხუმრობა საქმე ხომ არ არის – ტრაილერით 1500 მილი გაიარო და გვერდით ეს ბაიყუში გეჯდეს...

ჯერ იყო და, დილის ექვს საათზე ისეთი ბრახაბრუხი ატეხა ტრაილერის კარზე, რომ ფეთიანივით წამოვხტი. თავიდან ვერ გავარკვიე, რა ხდებოდა. მაღვიძარა შვიდის ნახევარზე მქონდა დაყენებული, ვიფიქრე, ნახევარ საათში ავდგები, ყავის დალევასაც მოვასწრებ და შვიდისთვის კოვბოიც მოვა-მეთქი, მაგრამ ვინ დაგაცადა?!. ეგ კი არა, სანამ გამოვფხიზლდებოდი და ჩავიცვამდი, ბრახუნი არ შეუწყვეტია.

– რა ხდება, სერ? ხანძარი ხომ არ გაჩნდა... – ბუზღუნით გავაღე კარი.

– გუშინ ხომ შევთანხმდით, რომ ადრე გავიდოდით? შენ კი მზად არა ხარ. ნუ გავიწყდება, რომ ფულს გიხდი!.. – მისაყვედურა.

მივხვდი, დიდი შარიანი ვინმე იყო. მეც, მეტი რა გზა მქონდა? სასწრაფოდ მივუჯექი საჭეს და ძრავა ავამუშავე.

– მოიცა, მოიცა, ჯერ სად მიდიხარ?! პირუტყვს უნდა დავხედო. იქნებ, რძე აქვთ მოსაშორებელი.

თავიდან ვერ გავიგე, რას ნიშნავდა ეს რძის მოშორება. მექანიკურად გავყევი, ძარა გავაღე და კლიენტს „ფერმაში“ შევყევი. ძროხებისა და ცხენების დანახვაზე თითქოს გარდაისახა – მისი სიმკაცრე ერთბაშად გაქრა. თითოეულ ცხოველს მოეფერა, მზრუნველ და ყურადღებიან პატრონად იქცა. ზოგს თივა დაუყარა, ზოგს – მშრალი საკვები რაღაც ყუთებიდან. ყველა ძროხას ცური შეუმოწმა. მერე საიდანღაც რამდენიმე მომცრო ბიდონი მოიტანა და რამდენიმე ძროხა გამოწველა. თანაც, ამას ისეთი სისწრაფით აკეთებდა, განცვიფრებული

დავრჩი. ათიოდე წუთში ბიდონები რძით აავსო, რძის ნაწილი ორლიტრიან ბოთლებში გადაასხა, დანარჩენი იქვე შეინახა, ერთი ბოთლი კი მე შემომთავაზა:

— დალევ?

— არა, გმადლობ... — ცხოვრებაში არ დამილევია ახალმოწველილი რძე.

— როგორც ჩანს, რძის არც გემო იცი და არც ფასი!.. — უცერემონიოდ გამომიცხადა და რძით სავსე ბოთლი მოიყუდა. ალბათ ნახევარი ლიტრი მაინც დალია. კმაყოფილმა ტუჩები მოიწმინდა და ლამის მიბრძანა — ეს ბოთლები მაცივარში შეინახე და წავიდეთო.

რას ვიზამდი? — უხალისოდ ავიღე ბოთლები, მაცივარში მოვათავსე (ხომ გახსოვთ — ჩემს ტრაილერს პატარა მაცივარიც ჰქონდა, ტელევიზორიც და საძინებელიც) და საჭეს მივუჯექი.

რით სჯობს აუღღარი რძე ჰამბურგერს

ჩიკაგოდან ისე გამოვედით და მთელი ერთი საათი ისე ვიარეთ, რომ არც ერთს არ ამოგვიღია ხმა. ივჯდა ეს უჟმური ფერმერი ქანდაკებასავით და გზას გაჰყურებდა. ჩვენ შორის თითქოს უხილავი კედელი აღიმართა, რომლის იქით რა ხდებოდა, არც მე მაინტერესებდა და არც ჩემს თანამგზავრს. მაგრამ მოულოდნელად, სიჩუმე ფერმერმა დაარღვია:

— ძალიან კარგი! ჩვენ ალბათ გავუგებთ ერთმანეთს... — დაიწყო მან.

— რას გულისხმობთ? — ნამდვილად ვერ მივხვდი, ამით რის თქმას აპირებდა.

— დავრწმუნდი, რომ პროფესიონალი მძღოლი ხარ. ახლა შემიძლია, მშვიდად ვიჯდე და რაც მთავარია, ჩემი პირუტყვი არ იწვალებს...

— საკუთარ თავზე მეტად პირუტყვზე ზრუნავთ? — რატომღაც გამეცინა.

— რას ხედავ ამაში სასაცილოს? მე მეცხოველეობის ბიზნესს ვეწევი და ეს არის ჩემთვის მთავარი საქმე!.. — ეს ისეთი ტონით წარმოთქვა, რომ ყოველგვარი ლაპარაკის სურვილი გამიქრა.

პაუზა ამჯერად ნახევარი საათი გაგრძელდა. ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი — ამასთან მთელი ორი დღე რა იმგზავრებს-მეთქი?!

— მოგეწონა კალათბურთის მატჩი?.. — კვლავ მოულოდნელად ალაპარაკდა ჯეკი.

— ძალიან. ნამდვილი პროფესიონალების თამაში იყო. დიდხანს არ დამავიწყდება!.. — კალათბურთის ხსენებამ გამომაცოცხლა.

— შენმა თანამემამულემ როგორ ითამაშა?

— არ უთამაშია, სათადარიგოთა სკამზე იჯდა...

— მერე, მაგის გულისთვის მოიკალი თავი? გამგზავრება რომ არ გადაგვედო, ახლა ნახევარი გზა გავლილი გვექნებოდა! — ისევ დამაყვედრა, რომ ჩემ გამო ერთი დღით დაუგვიანდა წასვლა.

— მე სულაც არ ვნანობ... მართალია, ვოვა სტეფანიას არ უთამაშია, მაგრამ საუცხოო მატჩი იყო... — ვიმართლე თავი.

— არ მესმის იმ ადამიანების, ვინც დროს უთმობს ფეხბურთს, კალათბურთს, კაზინოსა და ათასგვარ გასართობს. დრო ადამიანმა უქმად არ უნდა დახარჯოს, უნდა ცდილობდეს, რამე აკეთოს... — ეს უკვე დიდაქტიკას ჰგავდა, რომელიც მე ნამდვილად არ მჭირდებოდა.



— გინდათ, თქვათ, რომ კაცმა დრო სულ შრომაში უნდა ატაროს?.. მაგრამ ხომ უნდა დაისვენოს? ხომ უნდა გაერთოს?..

— გეტყობა, რომ მუშაობას, საქმეს შენც ზერელედ უყურებ. ეს სიზარმაცეა!.. — შემომიტია კოვბომ.

— ზარმაცი რომ ვიყო, ოკეანის გაღმიდან აქ კი არ ჩამოვიდოდი სამუშაოდ!.. — იქით შევუტიე ამერიკელს. ისიც ეტყობა, მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და მოულოდნელად შეწყვიტა ლაპარაკი. ახლა უკვე მთელი სამი საათი ვიარეთ უბრალ. მისკენ გახედვის სურვილიც კი არ მქონდა. რადიომიმღები ჩავრთე და რომელიღაც არხზე ვუსმენდი მუსიკალურ პროგრამას.

გზად Wait station — სატვირთო მანქანების მძღოლების დასასვენებელი ადგილი გამოჩნდა. ახლა გამახსენდა, რომ მშიოდა, თანაც საუზმესა და დასვენებაზე მეტად, ტრაილერის მძღოლებთან შეხვედრა და ჩემი უჟმური თანამგზავრისგან ცოტა ხნით გათავისუფლება მინდოდა.

— სერ, მოდი, ვისაუზმოთ და ლუდიც დავლიოთ, მე გეპატიჟებით... — ვუთხარი კლიენტს და პასუხს არც დაველოდე, პირდაპირ ავტოსადგომისკენ შევუხვიე. ჩემს წინადადებას ამრეზით შეხვდა, აშკარა იყო, წამოსვლას არ აპირებდა.

— მე არ მინდა საუზმე. ერთი, მაცივრიდან რძე გამომიღე, პურიც მაქვს და ჩემი საუზმეც ეგ არის... — მიპასუხა.

— რძე რას გეყოფათ? ასეთი ავტოსადგომების სასაუზმეებში ჩინებულად წვავენ ხორცს... — გავიბრძოლე, რომ როგორმე დამეთანხმებინა.

— არა, შენ წადი. ოღონდ, ძარა გამიღე, პირუტყვსაც დავხედავ...

რას ვიზამდი, ფართოდ გამოვაღე ძარას კარი და სასაუზმისკენ მოვუსვი...

შემდგომშიც, ამ გრძელ გზაზე, რამდენჯერმე შევჩერდით სასაუზმესთან. მე ჩამოვდიოდი და გემრიელად გეახლებოდით, ამერიკელი კოვბოი კი აუდუღარი რძით იკლავდა შიმშილს. ერთი პირობა, ისიც კი ვიფიქრე — ჩემთან სუფრასთან დაჯდომას თაკილობს-მეთქი, — მაგრამ ეს ეჭვი მაშინ გამიქარწყლდა, როცა მორიგი საუზმობისას ერთი ტრაილერის მძღოლი გამომელაპარაკა.

— ეგ ბედოვლათი შენ გადაგყავს? — მკითხა და ფანჯრიდან ჯეკიზე მიმანიშნა. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

— სამი თვის წინ, მეც გადავუყვანე ჩიკაგოდან ძროხები. ეგეთი ძუნწი კაცი არსად შემხვედრია...

— ძუნწი? მე კიდევ მეგონა — იმდენი ფული არ ჰქონდა, რომ სასაუზმეში წამოსულიყო. და საერთოდაც, ვფიქრობდი, რომ ფერმერის დამხმარე მუშა იყო, რომელიც უბრალოდ, დავალებას ასრულებდა, პირუტყვი უნდა ჩაეყვანა მისთვის ჩიკაგოდან... — გავუმხილე თანამოსაუბრეს ჩემი ვარაუდი.

— რას ამბობ? ეგ კაცი ძალიან მდიდარია. მაგაზე დიდი ფერმა მგონი, მე-

ნის შტატში არავისა აქვს, მაგრამ რად გინდა? — ნახევრად მშიერი დადის. არადა, იმდენი ფული აქვს, ათას ჩვენნაირს შეინახავს...

— რა ვიცი, მილიონერობისა კი არაფერი ეტყობა და!..

მძღოლმა ჩემს სიტყვებზე გულიანად გადაიხარხარა.

— როგორ გეტყობა, რომ ამერიკას კარგად არ იცნობ!.. — მეგობრულად წამითაქა ამერიკელმა მძღოლმა და სასაუზმიდან გავიდა.

ოჰ, ეს ძუნწი მილიონერი...

ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ჯეკ ლარსენი მდიდარი კაცია, ძალიან დამაინტრიგა და თუ ცოტა ხნის წინ, თანამგზავრს ხმას თითქმის არ ვცემდი, ახლა ვცდილობდი, ლაპარაკში ჩამეთრია, მაგრამ ჯეკი ვერა და ვერ ავიყოლიე. მორიგი გაჩერებისას კი, პირდაპირ შეტევაზე გადავედი.

— მისტერ ჯეკ, სასაუზმეში რატომ არ დადიხართ?

— ჩემი რძე მირჩევნია! — მშვიდად მიპასუხა.

— კი, მაგრამ ამდენი რძე არ გბეზრდებათ? თუ იმდენად გიყვართ, რომ თქვენს ფერმაშიც მხოლოდ რძეს მიირთმევთ ხოლმე? — ეს კი უკვე მეტისმეტი მომივიდა.

— რატომ მხოლოდ რძეს? — ფერმაში ყველიც მაქვს, არაჟანიც, ხაჭოც. ხშირად, პირუტყვსაც ვკლავთ და ხორციც ბევრი გვაქვს... — აუღელვებლად ამიხსნა ფერმერმა.

— დიდი ფერმა გაქვთ?

— ფერმა ხუთ ადგილას მაქვს, თითოეულში მარტო 500 ძროხაა, ცხენი კი — 50-მდე... — დაიწყო ჩამოთვლა.

— თქვენ მართლა მდიდარი ფერმერი ყოფილხართ. არ გიჭირთ ამდენი პირუტყვის მოვლა?

ჯეკს ესიამოვნა ჩემი აღფრთოვანება, მაგრამ მაინც უნდობლად შემომხედა.

— რასაც მივაღწიე, ყველაფერს ჩემი შრომით! არავისი საქმე არ არის, მდიდარი ვარ თუ ღარიბი. მე ჩემი ბიზნესი მაქვს და მასში ჩარევას არავის ვურჩევ!..

— საწყენად არ მითქვამს — უბრალოდ, დავინტერესდი თქვენი საქმიანობით... — თავის მართლება ვცადე.

— რით დაინტერესდი — ბანკში რამდენი მიდევს თუ თვეში რამდენი მრჩება სუფთა მოგება? მე შენ გკითხე — ხელფასი რამდენი გაქვს-მეთქი? ჰოდა, შენც ნუ მაწუხებ, მიდი, წინ იყურე!.. ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს!.. — მასთან კონტაქტის დამყარების მცდელობა კრახით დამთავრდა და კვლავ უსიამოვნო სიჩუმემ დაისადგურა. ისევ რადიომიმღები ჩავრთე. ამჯერად, ეთერში რეპი ჟღერდა.

— გამორთე, რა, ვერ ვიტანთ ამ სისულელეს!.. — აშკარად გაღიზიანდა.

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის, დეილ კარნეგის წიგნის („როგორ მოვიპოვოთ მეგობრები“) შეგონებანი მოვიშველიე. გონებაში აღვიდგინე ის მეთოდები, რომლებსაც ამერიკაში წამოსვლის წინ „ვსწავლობდი“.

— მისტერ ჯეკ, მე შეიძლება მეცხოველეობის ბიზნესში ბევრი რამ არ მესმის, მაგრამ ვფიქრობ, თქვენ საუკეთესო პირუტყვი მიგყავთ... — ჯეკმა მშვიდად შემომხედა და მივხვდი, რომ მიზანში გავარტყი.

— შენ ჩემი ფურები არ გინახავს! ფერმაში რომ მივალთ, აი, მაშინ შეაფასებ!.. — კმაყოფილებით თქვა ჯეკმა.

— ამათზე უკეთესები ვერც წარმოიდგენია... — ჩავილაპარაკე.

— თითქმის ათი წელია, ფერმერთა გამოფენების პრიზიორები არიან. ჩემი ფურები 5-6 გალონ რძეზე ნაკლებს არ იწველიან. სამი კიდევ, 10 გალონსაც იწველის! გალონი ხომ იცი, რამდენია — 3,8 ლიტრი! — განმიმარტა ჯეკმა...

მორიგ ავტოსადგომთან კი, საოცრება მოხდა. ჯეკმა თავად მითხრა, გავაჩეროთო და კაბინიდანაც პირველი ჩავიდა. უხვი საუზმეც შეუკვეთა და ჩემი ულუფის საფასურიც თავადვე გადაიხადა...

მოკლედ, მენის შტატის ნორფოლკის დასახლებაში ისე ჩავედით, რომ მე და ჯეკი ლამის დავმეგობრდით.

ასე რომ, დეილ კარნეგის წიგნი მართლა გამომადგა!

ჯეკის სამფლობელოში

მენის შტატი არც ისე დიდია, მაგრამ იგი იმ პირველ შვიდ შტატს შორისაა, საიდანაც დაიწყო აშშ-ის სახელმწიფოებრივი ისტორია. ამ შტატში არ არის დიდი ქალაქები და მსხვილი სამრეწველო საწარმოები, არც მსოფლიოში სახელგანთქმული უნივერსიტეტები. სამაგიეროდ, იქ დასახლდნენ პირველი ევროპელები, რომელთაც სოფლის მეურნეობას მიჰყვეს ხელი. იქაურები განსაკუთრებული სიამაყით უსვამენ ხაზს თავიანთ ამერიკელობას...

ჯეკმა ისიც მიამბო, თუ როგორ ჩამოსულა მისი წინაპარი XVII საუკუნეში ნორვეგიიდან და ნორფოლკში დასახლებულა. ისინი თავიდანვე მეცხოველეობას მისდევდნენ და ეს მათი საგვარეულო ბიზნესი ყოფილა.

...ტრაილერი ნორფოლკში შევიდა. იქაურობა ცოტა არ იყოს, სულ სხვაგვარად წარმომედგინა. რატომღაც მეგონა, მჭიდროდ დასახლებულ სოფელში ამოვყოფდი თავს, იქ კი სახლები ერთმანეთისგან ისე შორიშორ იდგა, რომ თვალს ძლივს მიაწვდენდი. მინდვრები და გორაკები მწვანე ჯიშიან ბალახს დაეფარა. უამრავი პირუტყვი მშვიდად ძოვდა. რამდენიმე კოვბოისაც მოვკარი თვალი, გაღიმებულები გვიქნევდნენ ხელს. ჯეკიც ესალმებოდა მათ, თან მახსენებდა, სიგნალი მიმეცა... არა და არ უჩანდა ბოლო მინდვრებს. ბოლოს, როგორც იქნა, ერთ-ერთ გორაკთან შევუხვიეთ და ავუყევით — ძლივძლივობით ავაღწიე, მძიმე ტრაილერს გაუჭირდა ასვლა.

— აი, ჩემი ფერმა და ჩემი სახლი. კეთილი იყოს შენი მობრძანება!.. — ჯეკმა სახლისკენ კი არა, სასახლისკენ გამახედა. ამ უზარმაზარი, უმშვენიერესი სასახლისგან მოშორებით კი, ასეთივე უზარმაზარი ფერმის შენობები იდგა.

გაოცებული ვუყურებდი ჯეკის სასახლეს, რომელიც ძველებური მომეჩვენა და არც შევმცდარვარ — ლარსენები XVII საუკუნეში აშენებულ მდიდრულ სასახლეში ცხოვრობდნენ...

P.S. აკაკი გეგენავას მოგონებების ამსახველ მორიგ წერილს „გზის“ №14-ში შემოგთავაზებთ.

■



Destiny`s Child

მუსიკათმცოდნე კრიტიკოსები ჯგუფ — Destiny`s Child-ის წევრს — ბეიონსი ნოულზს მეგავარსკვლავის მომავალს უწინასწარმეტყველებენ და მიიჩნევენ, რომ უკვე დღეისათვის ახალმა ვარსკვლავმა დაჩრდილა ჯეი ლო, ბრიტნი სპირსი და სხვები. ჯერჯერობით მასზე წარმატებული მხოლოდ მადონაა.

ახალმა მეგავარსკვლავმა ჯეი ლო დაჩრდილა

ბეიონსის თქმით, შარშანდელი წელი მისთვის მართლაც რომ ღირსშესანიშნავი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სულაც არ გახლავთ მომღერლის მიერ საკუთარი წარმატების გადაჭარბებულად შეფასების მცდელობა. გასული წელი მომღერლისათვის მართლაც ძალზე დიდი შემოქმედებითი წარმატებებით აღინიშნა: მან ჩაწერა სოლო ალბომი; მიიღო „გრემის“ ექვსი ნომინაცია, Bilboard Music Awards-ის ოთხი, ხოლო MTV

ბეიონსი და მისი საქმრო – Jay-Z

Europe Music Awards-ის ორი ჯილდო; გარდა ამისა, მოიპოვა ურიცხვი რაოდენობის პრიზი.

22 წლის ტეხასელ ბეიონსი ნოულზს შოუბიზნესის ასპარეზზე გამოსულ ახალბედას ვერავინ უწოდებს. გოგონა ჯერ კიდევ 8 წლის გახლდათ, როცა მისმა მშობლებმა მიზნად დაისახეს, რომ ბეიონსი ვარსკვლავი გაეხადათ. მეთიუ და ტინა ნოულზებმა თავიანთი დიდი სახლი გაყიდეს და საცხოვრებლად შედარებით პატარა სახლში გადაბარგდნენ. ამ „ფინანსური ოპერაციის“ შედეგად დარჩენილი თანხა კი, სპეციალურად მათი ქალიშვილისთვის ჩამოყალიბებულ მუსიკალურ ჯგუფში (სწორედ ეს ჯგუფი გახდა Destiny`sChild-ის პირველსახე) დაბანდეს. ბეიონსის გარდა ჯგუფში მისი ბიძაშვილი კელი როულენდიც მღეროდა. მეთიუ ნოულზმა მენეჯერის ფუნქციები თავად იტვირთა, ტინა ნოულზმა კი გოგონების სტილისტობას მოჰკიდა ხელი.

წარმატებამაც არ დააყოვნა – ჯგუფის მიერ გამოშვებული არაერთი ალბომი პლატინის დისკად იქცა, ხოლო ანსამბლის შემოქმედება უამრავი პრესტიჟული ჯილდოთი აღინიშნა. ყველაფერი თითქოს ისე მშვენივრად აეწყო, რომ უფრო დიდ წარმატებაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო, მაგრამ სინამდვილეში საქმე არცთუ ისე კარგად გახლდათ.

ვინაიდან ჯგუფი Destiny`s Child შექმნილი იყო მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ბეიონსი ვარსკვლავი გამხდარიყო, ნოულზების ოჯახს კოლექტივის სხვა წევრების ბედ-იღბალი ნაკლებად აღელვებდა. ასეთი დამოკიდებულება კი გამუდმებით კონფლიქტებს იწვევდა: სოლისტები ტოვებდნენ ჯგუფს, ზოგჯერ უკან ბრუნდებოდნენ; ანსამბ-

ლის წევრები სასამართლოში ხან ერთმანეთს უჩიოდნენ, ხან კი მენეჯერებს. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ 2001 წლისათვის გოგონებმა (იმხანად ანსამბლის შემადგენლობაში იყვნენ: ბეიონსი ნოულზი, მიშელ უილიამსი და კელი როულენდი) ტაიმ-აუტის აღება გადაწყვიტეს.

2003 წელს Destiny`s Child-ის ყოველმა წევრმა საკუთარი სოლო ალბომი გამოუშვა. კოლექტივის წარმომადგენლებს შორის ყველაზე დიდი წარმატება ბეიონსი ნოულზს ხვდა წილად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი სოლო ალბომის გამოშვებაში ოცზე მეტი ცნობილი მუსიკოსი მონაწილეობდა, რომელთა შორის არიან: მისი ელიოტი, მარკ ბეტსონი და აშშ-ში ამჟამად ერთ-ერთი ძალზე მოდური რეპერი – Jay-Z. სხვათა შორის, Jay-Z ბეიონსის საქმროდ ითვლება. ჯერჯერობით დანამდვილებით არავინ იცის, შექმნიან თუ არა ისინი ოჯახს, მაგრამ მათ შემოქმედებით ტანდემს საგრძნობი შედეგები უკვე მოჰყვა: ნოულზისა და მისი საქმროს თანაავტორობით შექმნილ სიმღერაზე გადაღებულმა კლიპმა – Crazy In Love – MTV Europe Music Awards-2003 წლის ორი ჯილდო მოიპოვა.

როგორც ამბობენ, პირველი დამოუკიდებელი დისკის უდიდესი წარმატების შემდეგ, ბეიონსი მეორე სოლო ალბომის ჩაწერაზე სერიოზულად ფიქრობს. მით უმეტეს, რომ პირველ დისკზე მუშაობისას მან 45 კომპოზიცია ჩაწერა, რომლიდანაც მხოლოდ ნაწილი შევიდა ალბომში. თუკი მეორე CD ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც პირველი, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ მომღერლის დამოუკიდებელი კარიერა შედგა. თუმცა ბეიონსი ნოულზს ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს: „ჯგუფ Destiny`s Child-ის დასამარებას ტყუილად ჩქარობენ, – ამბობს მომღერალი, – სინამდვილეში ჩვენ არ დავშლილვართ, უბრალოდ, დროებით ერთმანეთისგან დასვენება გადავწყვიტეთ“. ბეიონსი და კოლექტივის სხვა წევრები ირწმუნებიან, რომ 2004 წელს ჯგუფი ორ ალბომს ჩაწერს.

ახალგაზრდა ვარსკვლავს მუსიკის გარდა კიდევ ერთი გატაცება აქვს – ეს არის კინო. ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ფილმში – „ოსტინ პაუერსი – გოლდმემბერი“ – მონაწილეობდა, მაგრამ როგორც თავად ამბობს, იმდენად

ბეიონსი ნოულზი და მაიკ მაიერსი ფილმში „ოსტინ პაუერსი – გოლდმემბერი“

მოიხიბლა კინოსამყაროთი, რომ არ გამორიცხავს, მომავალში თავი კინემატოგრაფს მიუძღვნას. ფოკსი კლეოპატრას როლის მოსაპოვებლად მომღერალს არაერთი სირთულის დაძლევა მოუხდა. მაგალითად, საკმაოდ დაიკლო წონაში, ფილმის გადაღების პერიოდში მენიუდან ამოიღო თავისი საყვარელი კერძი – შემწვარი წიწილა... მიუხედავად ამისა, ბეიონსი მსახიობის კარიერას გაცილებით იოლად მიიჩნევს, ვიდრე მომღერლისას. „როცა ქმარ-შვილი მეყოლება, – ამბობს ნოულზი, – კინოში ვიღვაწებ. მსახიობებს გაცილებით უფრო მშვიდი და სტაბილური ცხოვრების წესი აქვთ: ვითამაშებ ერთ კარგ ფილმში და მთელი წლის მანძილზე წარმატება გარანტირებული მექნება. თუკი ფილმი წარუმატებელი აღმოჩნდება, მაშინ კიდევ ერთ სურათში მივიღებ მონაწილეობას და ჩემი რეპუტაციაც მომენტალურად აღდგება“.

ოსტინ პაუერსის პარტნიორი ქალის როლის შესრულების შემდეგ, ბეიონსი პლანეტის სექსიმბოლოს ტიტულის მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრეტენდენტი გახდა. თუმცა მკაცრი მორალური პრინციპების მქონე ნოულზს ეს სულაც არ ახარებს. მსოფლიოს ყველაზე ცნობილი გამოცემები მომღერალს რეგულარულად სთავაზობენ მათი ჟურნალებისთვის შიშვლად გადაღებას, რაზეც ბეიონსი კატეგორიულ უარს აცხადებს: „ყოველთვის, როცა გაშიშვლებას მთავაზობენ, თითო-თითო დოლარს რომ მიხდიდნენ, უზრუნველი სიბერე უკვე გარანტირებული მექნებოდა, – ამბობს მომღერალი. – შესაძლოა, ეს გულის კუნჭულში მსიამოვნებს კიდეც, მაგრამ ამგვარ წინადადებას არასოდეს დავთანხმდები. დეკოლტირებული კაბითა და საცურაო კოსტიუმით გადაღებაზე თანახმა ვარ, დანარჩენზე კი, ნურას უკაცრავად. მსურს, რომ მაყურებელს ჩემი ტალანტის გამო ვუყვარდე და არა ჩემი შიშველი სხეულის გამო“. ■

ვისაც უნდა, რომ ჭკვიანი ვეუბროს...

მართლაც, არ არსებობს პრობლემა, რომელიც შეიძლება, ქალს შეექმნას და ფსიქოლოგმა გამოსავალი ვერ მოუძებნოს. ინგლისელი ფსიქოლოგის ენ ბრაინის რჩევები იმ ქალბატონებს გამოადგება, რომლებსაც განქორწინება სურთ. როგორ შეიძლება ამის მიღწევა ისე, რომ ნაკლები ენერგია დახარჯოთ და ნერვებიც არ დაიწყვიტოთ? – თურმე, ძალზე იოლად! თუ ფსიქოლოგს დაუჯერებთ, რჩევების ეფექტურობაში თავად დარწმუნდებით.

1. განქორწინების დასაჩქარებლად, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მეთოდია – სექსის დროს, რომელიმე მამაკაცის სახელის წამოყვირება.

2. მიზნის მისაღწევად, თქვენი დედიკოს (ე.ი. მისი სიდედრის) სახელის ხშირად ხსენებაც გამოგადგებათ: როცა ქმარი რაღაც სიახლეს შემოგთავაზებთ, მაშინვე წამოიძახეთ: „რჩევა დედას უნდა ვკითხოთ!“ რასაკვირველია, მას ეს არ ესიამოვნება და კამათს წამოიწყებს; თქვენც, მეტი რა გინდათ? – ეს იდეალური პირობაა საიმისოდ, რომ ნაწყენმა განუცხადოთ: „...შენ დედაჩემი არ გიყვარს, ჩვენ შორის ყველაფერი დასრულდა!“

3. საქმეში ჩართეთ დედამისი (ე.ი. თქვენი დედამთილი). თუ მასთან განმარტოებას მოახერხებთ, საუბრისას, სასხვათაშორისოდ თქვით, რომ ქმარი ყველა პრობლემას თქვენ გიზიარებთ და იმასაც დაიჩივლებს ხოლმე, რომ დედას მისი ნაკლებად ესმის... ის შვილს დატუქსავს, თქვენი ქმარი კი ჩხუბს აგიტეხთ.

4. სიხარულით აცნობეთ, რომ რაღაც ახალ სექტაში გაწევრდით. მისი რეაქციის მიუხედავად, ყოველდღე განაცვიფრეთ იდიოტური ქცევით. მისი მოთმინების ფიალა მალე აივსება და სწრაფად გაიყრებით.

5. რაც შეიძლება ხშირად დაამცირეთ; ქმრის მეგობრებთან შეხვედრისას შეეცადეთ, სისულელეები ჩაიდინოთ; ბოლოს კი, ყოფილი ბოიფრენდის რაიმე ინტიმური თვისების შესახებ ილაპარაკეთ.

6. ქმრის თვალწინ წამოიწყეთ ფლირტი უცნობ თუ ნაცნობ მამაკაცებთან.

7. სექსის დროს უფრო მომთხოვნი გახდით.

8. ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ უმართლებს თქვენს მეგობარ გოგონებს; ურიგო არ იქნება, თუ მათ იღბლიან რჩეულებს, თქვენს უიღბლო ქმარს შეადარებთ.

9. აეჭვიანეთ. გამოამჟღავნეთ მთელი თქვენი არტისტული ნიჭი. ტელეფონის ზარის ხმაზე, აფორიაქება გამოხატეთ, კბილის ექიმთან წასვლისას, ისე გამოიპრანჭეთ, თითქოს პრეზიდენტთან შესახვედრად მიდიხართ. როდესაც, ქმარი ბოლოს და ბოლოს, დაკითხვას მოგიწყობთ, უმანკო გამომეტყველება მიიღეთ, მაგრამ ამავე დროს, არაფერი უარყოთ – სასტიკი, მაგრამ ძალზე ეფექტური მეთოდია.

10. წყლის წვეთი ქვას ხვრეტს, წვრილ-წვრილი საზიზღრობები კი, სიყვარულს კლავს. თქვენ ხომ შესანიშნავად იცით, თუ რა აღიზიანებს თქვენს ქმარს. ჰოდა, შეუდექით საქმეს: ჭამის დროს, აწკლაპუნეთ პირი, ონკანი ოდნავ მოშვებული დატოვეთ, რომ წყალმა ნერვების მომშლელად იწვეთოს, საღეჭი რეზინით დიდი ბუშტები გაბერეთ და ყურთან უტკაცუნეთ...

11. მცირე ხნით შეწყვიტეთ თავის მოვლა – აღარც შეიღებოთ, აღარც დაიბანოთ, აღარც თეთრეული გამოიცვალოთ.

12. სუნამოს ნაცვლად, ყველაზე მყრალი ოდეკოლონი იპკურეთ.

13. ქმრის ყოველ ქმედებას ღვარძლიანი კრიტიკა და წუწუნი შეაგებეთ.

14. წვეულებაზე ყოფნისას, ხშირად ჩასჩურჩულეთ, რომ ესა თუ ის ქალი ვნებიანად უყურებს. ხშირად ელაპარაკეთ სხვა ქალების ღირსებებზე, გულდაწყვეტილმა უთხარით, რომ ვერასოდეს შეძლებთ, ამგვარი თვისებებით მოიწონოთ თავი; ის საბოლოოდ დარწმუნდება, რომ მართლაც, საშინელი ცოლი ჰყავს და ეცდება, მალე მოგიშოროთ თავიდან.

ალმასი და ბრილიანტი

დღემდე მსოფლიოს აუქციონებზე 100 კარატზე მეტი წონის მხოლოდ სამი ალმასი გაიყიდა. როგორც ამბობენ, ერთ-ერთი ამ ალმასთაგანი ბეჭდის გასაკეთებლად გამოიყენეს. გასულ წელს ძვირფასი ქვების აუქციონზე, რომელიც ჟენევაში გაიმართა, 4 მილიონ დოლარად გაიყიდა ოვალური ალმასი, რომელიც რუსეთის მოქალაქემ შეიძინა. იმავე აუქციონზე გაყიდა 478-კარატიანი საფირონიც.

სოთბის აუქციონზე გასაყიდად გამოტანილმა უდიდესმა ბრილიანტმა კი ჯერჯერობით მყიდველი ვერ პოვა. ალმასი, ამ აუქციონზე გაყიდულ ძვირფას ქვებს შორის ყველაზე ძვირად ღირებულ ქვად შეიძლებოდა ქცეულიყო. ბრილიანტი 103-კარატიანია და დაახლოებით 20 გრამს იწონის. მისი საწყისი ფასი იყო 8,5 მლნ დოლარი. 1995 წელს უფრო ნაკლები ზომის ბრილიანტი 16,5 მილიონ დოლარად გაიყიდა. იმ ალმასის დამუშავებას, რომელსაც ჯერჯერობით პატრონი არ ჰყავს სამხრეთ აფრიკისა და აშშ-ის დამწახნაგებლებმა წელიწად-ნახევარი მოანდომეს. ალმასის მყიდველს უფლება მიეცემა, მას სახელი შეურჩიოს.

რას ვვირჩევს ანრა დიეტოლოგი

პასტერის ინსტიტუტის დიეტოლოგი სილვია ბალე გვირჩევს, ახალი მიმდინარეობის ოვო-ლაქტო-ვეგეტარიანელთა მიმდევრებს მივბაძოთ. ისინი რაციონიდან ხორცსა და თევზს გამორიცხავენ, კვერცხს, რძესა და რძის პროდუქტებს კი, სიამოვნებით მიირთმევენ. სილვია ბალეს დიეტაშიც აქცენტი ახალ ბოსტნეულზეა გადატანილი, თუმცა ყოველდღიურ რაციონში რძის პროდუქტებიც შედის. გამოკვლევების მიხედვით, ოვო-ლაქტო-ვეგეტარიანელებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და კიბო ნაკლებად უჩნდებათ. ისინი კარგადაც გამოიყურებიან და დიდხანსაც ცოცხლობენ. ოვო-ლაქტო-ვეგეტარიანული დიეტა ერთფეროვან საკვებს უარყოფს და აქედან გამომდინარე, მისი დაცვა ძალზე ადვილია, შედეგი კი – ფანტასტიკური. მაშ ასე, ჯერ ზოგადი ინფორმაცია, შემდეგ კი, დიეტის რეცეპტი:

თითოეულ კერძს შეგიძლიათ სამი ნაჭერი შავი პური მიატანოთ და 1-2 ჩ/კ ზეთი დაამატოთ. დღის განმავლობაში მიიღეთ ლიტრა-ნახევარი სითხე – უმჯობესია, წყალი, ხილის წვენი ან ჩაი. თავი შეიკავეთ ლიმონათისა და ტკბილი სასმელებისგან. არ არის სასურველი მშრალი ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელების მიღება, მაგრამ თუ სხვა გამოსავალი არ არის, გამონაკლისის სახით, კვირაში ერთხელ დალიეთ. სასურველია, თქვენს რაციონში რაფინირებული შაქრის თაფლით შეცვლა.

სასურველი წონის მიღწევისას, შეგიძლიათ ნახევრად ვეგეტარიანულ რაციონზე გადახვიდეთ – კვირაში ორჯერ თევზი ან სამჯერ ფრინველის ხორცი მიირთვათ. მთავარია, ახალი ბოსტნეული არ მოიკლოთ, ზედმეტი რაოდენობის ცხიმი არ მიიღოთ და კვებისას ზომიერება დაიცვათ.

სილვია ბალას დიეტა:

ორშაბათი

საუზმე: რძეში მოხარშული ჰერკულესი ხილით, შავი ყავა.

სადილი: მწვანე სალათის ფოთლები, ყველი, ოსპი ბრინჯით, პომიდორი, დიეტური ხაჭო.

ვახშამი: მოშუშული კომბოსტო კარტოფილთან ერთად, რძეში მოხარშული წიწიბურას ფაფა, ყველი არაჟნით.

სამშაბათი

საუზმე: მსხვილად დაფქული ფქვილისგან გამომცხვარი პური კარაქით, მაწონი, ჩაი.

სადილი: გახეხილი სტაფილო მწვანილით, ისპანახის მხალი, ახალი ხილი.

ვახშამი: რძეში მოხარშული ჰერკულესისა და სატაცურის წვნიანი, პიცა ბოსტნეულით, ბოსტნეულის სალათა, ხაჭო თაფლით.

ოთხშაბათი

საუზმე: რძეში მოხარშული მანანის ბურღული თაფლით, ჩაი ან ყავა.

სადილი: ბოსტნეულის სალათა (პომიდორი, ბულგარული წიწაკა, კიტრი, ზეთისხილი, ლიმონის წვენითა და ზეთით), გახეხილი სტაფილო ოხრახუშით, ყველი, ხილი.

ვახშამი: კიტრი, სიმინდის ფაფა, მოხრაკული სოკო, ხაჭო, ხილი.

ხუთშაბათი

საუზმე: კარაქიანი პური, რძიანი კაკაო (უშაქროდ).

სადილი: მწვანე ფოთლების სალათა, ყველი, მოხარშული ბრინჯი, ახალი ხილი, დესერტი.

ვახშამი: ახალი ბოსტნეულითა და კარტოფილით მომზადებული წვნიანი, ღვეზელი, ციტრუსები.

პარასკევი

საუზმე: ორცხობილა კარაქით, ხაჭო ხილით, ყავა.

სადილი: ბარდის სალათა, მაკარონი ყველითა და ბოსტნეულით (მწვანე

ლობიო, სოკო, მწვანე ბარდა), ხილი.

ვახშამი: გახეხილი სტაფილო ნიახურით, წიწიბურას ფაფა, მაწონი.

შაბათი

საუზმე: კარაქიანი პური, მაწონი თაფლით, ჩაი.

სადილი: მოხარშული ბარდის ან ლობიოს სალათა, შემწვარი კვერცხი პომიდვრით, ნიახურის სალათა, ყველი.

ვახშამი: ჭარხლის სალათა, წყალში მოხარშული ხორბლის ფაფა, ხახვისა და ოხრახუშის (ან კამის) სალათა ზეთით, ხაჭო ახალ ხილთან ერთად.

კვირა

საუზმე: წყალში მოხარშული ბრინჯის ფაფა.

სადილი: მწვანე სალათა, ყველი, მაკარონი, ყვავილოვანი კომბოსტოს სალათა, ვაშლის ღვეზელი.

ვახშამი: ციტრუსების სალათა, ლობიო, სტაფილო, კარტოფილის კატლეტები, ხაჭო თაფლით.

ჟანრი და ალოფვლიო ცხოვრებიდან

● ქალების 10% პირველი პაემნიდან ერთი საათის შემდეგ უკვე სექსზე ფიქრობს.

● ქალების 20%-ს იზიდავს სექსი ექსტრემალურ ვითარებაში.

● ქალთა 36%-ს მოსწონს, როცა შიშველი ტრიალებს სარკის წინ.

● ქალთა 45% უპირატესობას ცისფერთვალება, შავგვრემან მამაკაცს ანიჭებს.

● ქალების 46% მზად არის მეუღლის ყველა სურვილი დააკმაყოფილოს.

● ქალების 70%-ს სექსი დილის საათებში უყვარს.

● ქალთა 80%-ს სხვა ქალთან სექსუალური ურთიერთობა არ ჰქონია.

● ქალების 90%-ს სურს სასიყვარულო ურთიერთობა ტყეში ან სხვა ეგზოტიკურ ადგილას ჰქონდეს.

● ქალების 99%-ს არასოდეს ჰქონია სექსი ოფისში.

ცივი თითები

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

არიან ადამიანები, რომელთაც ცივ ამინდში გასეირნება სატანჯველად ქცევიათ, რადგან საშინლად ეყინებათ ხელ-ფეხი, განსაკუთრებით კი თითები. ტკივილი ზოგჯერ იმდენად მტანჯველია, რომ ადამიანს ცრემლებიც ადგება თვალზე.

ამ მოვლენას სამედიცინო ენაზე რეინოს დაავადება და რეინოს სინდრომი ჰქვია. მსგავსი შეგრძნებები ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება განიცადოს, მაგრამ ამისთვის თუ ზოგისთვის ევერესტის დალაშქვრაა საჭირო, სხვებისთვის ყინულივით ცივ წყალში თეთრეულის გავლებაც კი საკმარისია, ზოგიერთისთვის კი გრილ ამინდში თხელი ხელთათმანებით გასვლა ხდება ამის მიზეზი.

თითები თეთრდება, ზოგჯერ ლურჯდება კიდეც; გათბობისას – წითლდება და შუბდება. სისხლის მიმოქცევის აღდგენას ხშირად თან ახლავს ტკივილი, რომელიც ძლიერი გადაცივებისას შეიძლება ხანგრძლივი და აუტანელი იყოს.

მიზეზი სულაც არ გახლავთ ზედმეტი სინაზე. აღნიშნული პათოლოგია შეიძლება იყოს მემკვიდრული წინასწარგანწყობის, ვეგეტაციური ნერვული სისტემის მეტისმეტი აქტიურობის, შემაერთებელი ქსოვილების სხვადასხვაგვარი დეფექტის, ცენტრალური ნერვული სისტემის ტრავმის, ემოციური პრობლემების შედეგი. მიზეზის მიუხედავად შეგრძნებები საკმაოდ უსიამოვნოა, ამიტომ არ შეიძლება ამასთან შეგუება იმ მოსაზრებით, რომ ეს მხოლოდ კონსტიტუციური თავისებურებაა.



როგორ მოვიქცეთ

რეინოს სინდრომი და დაავადება ჩვეულებრივ არ საჭიროებს სამედიცინო ჩარევას, მაგრამ პროცესის გაღრმავებისას თითებში მგრძნობელობა და ძალა ქვეითდება, ამიტომ აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს, თუ გრძნობთ, რომ მდგომარეობა უარესდება.

ეს რომ არ მოხდეს, ეცადეთ, შეცვალოთ თქვენი ცხოვრების წესი.

იმოძრავეთ. მოძრაობა ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას და პერიფერიულ სისხლძარღვებს გაფართოებულ მდგომარეობაში ინარჩუნებს. სიცივეში გასვლამდე რამდენიმე ენერგიული ვარჯიში გააკეთეთ – ეს გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე უკვე გაყინული კიდურების გათბობის მცდელობა.

გაავარჯიშეთ სისხლძარღვები. დახურულ შენობაში მუდმივ ტემპერატურაზე ცხოვრება ასუსტებს თერმორეგულაციის მექანიზმებს. სიცხისა და სიცივის მონაცვლეობა ავარჯიშებს მათ. აბაზანა, კონტრასტული შხაპი და ფეხშიშველა სიარული კი სასარგებლოა. თუ გრილი პროცედურები გაშინებთ, დაიწყეთ კიდურების კონტრასტული აბაზანებით. ეს დაგეხმარებათ, უფრო ხანგრძლივად გაჩერდეთ სიცივეში დისკომფორტის შეგრძნების გარეშე.

მიიღეთ რკინა. სხეულის ზედაპირის ტემპერატურა ქალებში უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცებში. ასევე ქალებს აქვთ უფრო ხშირად ცივი ხელ-ფეხი, რადგან უპირატესად ისინი განიცდიან რკინის დეფიციტს. მისი უკმარისობა გავლენას ახდენს ორგანიზმის თერმორეგულაციური მექანიზმების მუშაობაზე.

სისხლის უბრალო ანალიზი ჰემოგლობინზე გაგვარკვევს, არის თუ არა რკინის დეფიციტი თქვენი პრობლემის მიზეზი. თუ ჰემოგლობინი დაბალია, ეცადეთ, შეივსოთ რკინის დეფიციტი: ჭამეთ ამ ელემენტით მდიდარი პროდუქტი, მიიღეთ პოლივიტამინები, თუ ექიმი გირჩევთ – რკინის პრეპარატებიც.

მიირთვით თევზი. ცხიმიანი თევზი ამცირებს ხელისა და ფეხის სისხლძარღვთა სპაზმს და საერთოდ, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. ამიტომ ცივ პერიოდში იგი რეგულარულად უნდა მიირთვათ.

სვით მეტი სითხე. გაუწყლოება ამცირებს ორგანიზმში მოცირკულირე სისხლის მოცულობას. ერითი ჭიქა ცხელი ბულიონი საუკეთესო ვარიანტია შინიდან გასვლის წინ. თაფლიანი ჩაი, ასკილის ნაყენი ან კომპოტი ძალიან სასარგებლოა. სამაგიეროდ, მინიმუმამდე უნდა დაიყვანოთ კოფეინის შემცველი სასმელების (ყავის) მოხმარება.

სწორად ჩაიცვით

ნუ ღალიხართ თავშიშველი. ამგვარად გაცილებით დიდი რაოდენობის სითბოს კარგავთ, ვიდრე წარმოგიდგენიათ. შალის ნაქსოვი ქუდი – საუკეთესო ვარიანტია.

ჩაიცვით ორი წყვილი წინდა, სასურველია სხვადასხვა სახის ძაფისგან ნაქსოვი. ბამბის წინდა იწოვს და ინარჩუნებს ნესტს, რის გამოც ფეხები იყინება. ბამბის, შალის, პოლიესთერის ან პოლიპროპილენის ნარევი კი ფეხებს მშრალად და თბილად ინახავს.

ჩაიცვით შრეობრივად. მძიმე ქურქი ბოჭავს მოძრაობას, მრავალფენიანი ტანსაცმელი კი მსუბუქი და თბილია. სხეულთან ახლოს მდებარე ფენა ბამბისა და სინთეტიკის ნარევი უნდა იყოს. სუფთა ბამბა კარგია ზაფხულში, მაგრამ ზამთარში არ ვარგა იმის გამო, რომ ტენს ისრუტავს. ზედა ფენები შალისა სჯობს – იგი სითბოს ინარჩუნებს. სულ ზედა ფენა კი მკვრივი, წყალგაუმტარი და ქარგაუმტარი მასალისგან უნდა იყოს შეკერილი.

სწორი ჩაცმისას თქვენ გათავისუფლდებით მძიმე ტანსაცმლისაგან და იგრძნობთ მოძრაობის სურვილს, ეს კი თქვენთვის აუცილებელია. სირბილი დილაობით, ერთსაათიანი გასეირნება საღამოს და აქტიური დასვენება შაბათ-კვირას თბილი ხელებისა და შეწითლებული ლოყების საჭირო წინაპირობაა. ■

ჭირვეულის მორჯულება

თქვენი ახლობლისთვის აუცილებელია მკურნალობა, სიგარეტისთვის თავის დანებება ან ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა — მას კი ამის სურვილი არა აქვს. თუ ჭირვეულის ფსიქოტიპს სწორად განსაზღვრავთ, იგი ვერც კი მიხვდება, ისე დაჰყვება თქვენს რჩევებს.

რატომაა, რომ ზოგი ექიმებთან სიარულითაა გატაცებული, სხვები კი მხოლოდ საკუთარ ორგანიზმს უგდებენ ყურს? ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ყველაფერი ადამიანის მეტაპროგრამაზეა დამოკიდებული, რომელიც ცხოვრების მიზნებსა და ამოცანებს მოიცავს. მეტაპროგრამების კლასიფიცირებისას გამოყოფენ ადამიანთა წყვილებს, რომელთაგან ერთი მეორისაგან დიამეტრულადაა განსხვავებული. მათი დასახელებები რთულია, მაგრამ არსი — სავსებით გასაგები. გაიხსენეთ, როგორ იქცევა ხოლმე თქვენი ახლობელი სხვადასხვა სიტუაციაში და ამის შესაბამისად იმოქმედეთ, რათა მისი გაჯანსაღების მიზნით მასზე კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინოთ.

პირველი წყვილი: *დამყოლი და ოპონენტი*

დამყოლი ტიპები, როგორც წესი, ყოველთვის ეთანხმებიან თანამოსაუბრეს, მათ შორის ექიმს. მასთან პრობლემა არ გექმნებათ: ასეთი პაციენტი ეჭვების გარეშე ეთანხმება მკურნალობის შეთავაზებულ ვარიანტს, მისი დარწმუნება ამა თუ იმ მეთოდის მიზანშეწონილობაში ადვილია.

ოპონენტის ტიპისთვის კი საუკეთესო სტიმული წინააღმდეგობის გაწევის თანდაყოლილი გრძნობაა. საჭირო მოქმედებებისკენ მას მხოლოდ ასეთი ფრაზები უბიძგებს:

— არა მგონია, შენთვის საინტერესო იყოს საკუთარ თავზე მუშაობა...

— შენ ჯერ მზად არ ხარ გამოსაჯანმრთელებლად.

— კარგი პერსპექტივები გაქვს, მაგრამ ალბათ კონკრეტული მოქმედებისთვის ნებისყოფა არ გეყოფა.

— მე მგონი, შენ არ შეგიძლია ექიმის დანიშნულების შესრულება.

სრულიად სავარაუდოა, რომ ოპონენტი თქვენ მიერ ნათქვამი ფრაზების საწინააღმდეგოდ მოიქცევა, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია იმის დამტკიცება, რომ მხოლოდ იგია მართალი...

მეორე წყვილი: *შინაგანი რეფერენცია, გარეგანი რეფერენცია*

გარეგანი რეფერენციის მქონე ადამიანი მიჩვეულია, რომ საკუთარი თავი და გარე სამყარო მისთვის ავტორიტეტული ადამიანების თვალით შეაფასოს. ასეთი ადამიანი შეიძლება იყოს: დედა, მოძღვარი, სამუშაოს ხელმძღვანელი, ფსიქოთერაპევტი... გარეგანი რეფერენტის ადგილი შეიძლება დაიკავოს მეცნიერებამ, ეკლესიამ, სამედიცინო ლიტერატურამ. ასეთი პიროვნებისთვის ეფექტურია ხოლმე მაგალითისთვის ავტორიტეტების მოყვანა:

— სტატისტიკის მიხედვით, წარმატებული ადამიანები წელიწადში ერთხელ მაინც იტარებენ გამოკვლევებს და თავიანთი ცხოვრების გრაფიკს ექიმის რეკომენდაციის შესაბამისად იწყობენ.

— გაიგე, თურმე ბილ გეიტსი დილაობით დარბის და დიეტასაც იცავს?

შინაგანი რეფერენციის მქონე ადამიანი ყველაფერს საკუთარი პოზიციიდან აფასებს: მას არ ჰყავს ავტორიტეტები და ძალიან სწყინს, როცა აიძულებენ სხვების მსგავსად მოიქცეს. თუმცა მიდგომა მასთანაც შეიძლება მოინახოს:

— შენც მშვენივრად იცი, რომ დროა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იზრუნო.

— მე არ უნდა გასწავლო, შენც ხომ იცი, რომ ხერხემალს უნდა გაუფრთხილდე?

მესამე წყვილი: *შესაძლებლობები — პროცედურები*

„შესაძლებლობების“ პოლუსთან მდებარე ადამიანს ადვილად აიძულებთ, იმკურნალოს, თუკი აუხსნით, რა პერსპექტივებს უხსნის მას ჯანმრთელობა, როგორ ტალანტებს აღმოაჩენს იგი საკუთარ თავში:

— შენ 20 წლით გაახალგაზრდავდები.

— ჩიტივით აფრინდები მე-5 სართულზე.

ადამიანს, რომელსაც „პროცედურები“ ხიბლავს, დაწვრილებით უნდა აუხსნათ გამოჯანმრთელების პროცესი, შესაძლოა, დღის რეჟიმისა და საჭირო მოქმედებების წერილობითი ინსტრუქციაც მისცეთ. მისთვის მნიშვნელოვანია წყლის რაოდენობა აბაზანაში, მასში ჩაშვებული თაფლის რაოდენობა და ზუსტი მონაცემები ფიტოპრეპარატის მოსამზადებლად. ასეთი სიზუსტე მას ენთუზიაზმს მატებს.

მეოთხე წყვილი: *თვითონ — სხვა*

„მე“-ს პოლუსში მყოფი ეგოისტის ყურადღება ძირითადად საკუთარ თავზეა ფოკუსირებული. მისი აზრით, ირგვლივმყოფთათვის არ არსებობს მის პიროვნებაზე უფრო საინტერესო თემა. ასეთ ადამიანს საჭირო მოქმედებისკენ რომ ვუბიძგოთ, კარგი იქნება, თუ ნებისმიერ რეკომენდაციას დავამთავრებთ ფრაზით: „თქვენთვის ასე უკეთესი იქნება“.

საპირისპირო პოლუსში („სხვა“) მყოფი ადამიანი კი პირიქით, იმაზე ზრუნავს, რომ ახლობლები იყვნენ კარგად. ასეთი ტიპი უნდა დავარწმუნოთ, რომ მისი კარგად ყოფნა დადებით გავლენას მოახდენს მის ოჯახსა და საქმიანობაზე.

■

მედიცინის სიახლეები

სიმსუქნის გენი

სასქესო X ქრომოსომაზე განლაგებული გენი განსაზღვრავს ადამიანის მიდრეკილებას სიმსუქნისადმი. ამერიკელმა, შვეიცელმა, ფინელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს ამ დაავადების გენეტიკური მექანიზმი. მათ გულმოდგინედ გამოიკვლიეს სხვადასხვა სახის სიმსუქნის მქონე 1000-ზე მეტი და 500-მდე ჯანმრთელი ადამიანი. აღმოჩნდა, რომ ავადმყოფებს და ჯანმრთელებს SLC6A14 გენის აღნაგობისა და ფუნქციონირების გარკვეული სხვაობა აღენიშნებათ. გარდა ამისა, დადგინდა, რომ იგი ზემოქმედებას ახდენს ზოგიერთი ამინომჟავას ცვლაზე და მადის კონტროლისა და რეგულირების მექანიზმზე. ეს აღმოჩენა ქმნის სიმსუქნის განვითარებასთან გენური ინჟინერიის გზის ბრძოლის შესაძლებლობას. ამ მიმართულებით კვლევები უკვე მიმდინარეობს.

ყველაფერი ჯანის ფერზეა დამოკიდებული

სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები სხვადასხვანაირად აღიქვამენ გარე სამყაროს, მათ შორის სარკეში საკუთარ ანარეკლსაც. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ტულანის უნივერსიტეტის მეცნიერები (აშშ). მკვლევარებმა გამოჰკითხეს 18-დან 35 წლამდე ასაკის რამდენიმე ათასი ადამიანი და აღმოაჩინეს, რომ აფროამერიკელთა 72% თავს უფრო გამხდრად მიიჩნევს, ვიდრე სინამდვილეშია. თეთრკანიან წარმომადგენელთა შორის ასეთი „დაბნეული“ 40%-ია. როგორც მეცნიერები თვლიან, სწორედ ამით აიხსნება ზოგიერთ რასაში სიმსუქნის შემთხვევათა სიჭარბე – ამ რასათა წარმომადგენლები არაადეკვატურად აფასებენ საკუთარ წონას.

გულმკერდის სათადარიგო ნაწილები

ჩინელი სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ღორის ძვლებში შეიძლება ადამიანის გულმკერდის „შეკეთებისთვის“ საჭირო მასალის გამოყვანა. ხელოვნური მკერდის შესაქმნელად შანხაელმა მედიკოსებმა ადამიანის ხერხემლიდან მცირე რაოდენობის უჯრედები გადანერგეს ღორის ძვალში, სადაც მათ ზრდა დაიწყეს. შემდეგ მიღებული მასალა გადანერგეს ადამიანის გულმკერდში და იგი მშვენივრად შეეზარდა. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ახლო მომავალში ღორის ძვლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კლინიკურ პირობებში ადამიანის გულმკერდის ნაწილთა შესაცვლელად.

გარუჯვა მზისა და ულტრაიისფერი სხივების გარეშე

მზისა და ულტრაიისფერი ნათურის გარეშე ლამაზი და თანაბარი ნამზეურის მიღების მეთოდს გვთავაზობენ ავსტრალიელი მეცნიერები. მელანინის პიგმენტის წარმოსაქმნელად კანქვეშ შეჰყავთ კაფსულა, მასტიმულირებელი ნივთიერებით, რომელიც უზრუნველყოფს კანის ფერის შეცვლას. როგორც 80 მოხალისეზე ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, ნამზეური იმპლანტაციიდან 20 დღეში გამოვლინდება და შენარჩუნებულია 3-4 თვის განმავლობაში. ამავდროულად პრეპარატი კანს იცავს მზის დამწვრობისაგან: ექსპერიმენტში მონაწილეებმა გაცილებით უკეთ გადაიტანეს ულტრაიისფერი გამოსხივება, ვიდრე სხვებმა.

„ჭკვიანი“ თეთრეული

ჰოლანდიელმა სპეციალისტებმა შექმნეს „ბიოსამედიცინო“ თეთრეული: ბიუსტჰალტერის ან ტრუსის ქსოვილში მოთავსებულია ელექტროდები, რომლებიც აკონტროლებს ადამიანის პულსს და მონაცემს მიკროპროცესორს გადასცემს. მიკროპროცესორი სიგნალის გაანალიზების შემდეგ, გამოავლენს პულსის სახიფათო ცვალებადობას. თუ ხელსაწყო დაადგენს, რომ გულს პრობლემები აქვს, იგი მაშინვე გადასცემს ინფორმაციას სპეციალურ სამედიცინო სამსახურს დისტანციური ტექნოლოგიით. ხელსაწყო ვარჯიშის დროს აჩქარებულ პულსს მხედველობაში არ იღებს. „ჭკვიანი თეთრეული“ მოხერხებულია და გარეგნულად არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივისაგან. ეს სიახლე მეტად გამოადგებათ არითმიის მძიმე ფორმით დაავადებულებს. ახლა მიმდინარეობს მუშაობა ახალ მეთოდიკებზე, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება ორგანიზმის სხვა მაჩვენებლების, მაგალითად, არტერიული წნევის კონტროლი.

დეზოდორანტები ჯანმრთელობისთვის საშიშია

კოსმეტიკურ საშუალებებში (კერძოდ, დეზოდორანტებში) გამოყენებულმა ქიმიკატებმა შესაძლოა, სარძევე ჯირკვლების კიბოთი ავადობის რისკი გაზარდოს. ბრიტანეთის, სიდინგის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სიმსივნურ ქსოვილში აღმოაჩინეს პარაბენების სახელწოდებით ცნობილი ნივთიერებების ჯგუფი. მეცნიერებმა შეამოწმეს მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია კოსმეტიკური საშუალებების ცალკეულ კომპონენტებს კიბოს პროვოცირება. მათ შეისწავლეს სიმსივნის 20 სხვადასხვა ნიმუში და დაასკვნეს, რომ მათში გარკვეული რაოდენობით მართლაც გროვდება პარაბენები, თანაც ისეთი ფორმით, როგორიც მხოლოდ კანიდან მოხვედრის შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო. პარაბენები მოქმედებით ქალის სასქესო ჰორმონებს ჰგავს და შეუძლიათ დაჩქარონ სიმსივნის ზრდა. თუმცა, მეცნიერთა აზრით, დეზოდორანტების საშიშროების შესახებ დასკვნის გაკეთებამდე ჯერ კიდევ დამატებითი კვლევების ჩატარებაა საჭირო.

სპლეროზის საწინააღმდეგო სათვალე

შექმნილია სათვალე, რომელიც არა მხოლოდ მხედველობას, არამედ მეხსიერებასაც აუმჯობესებს. მასაჩუსეტსის შტატის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერთა ორიგინალურმა გამოგონებამ შეიძლება შეცვალოს ისეთ დაავადებათა მკურნალობისადმი მიდგომა, როგორებიცაა: კატარაქტა, მეხსიერების დაქვითება და ალცჰაიმერის დაავადებაც კი, ადრეულ სტადიაში. ტექნოლოგიის ძირითადი იდეა პაციენტის მეხსიერების სტიმულირებაა: სიტყვის ან ინფორმაციის დასამახსოვრებლად საჭირო მონაცემები შეჰყავთ სათვალეზე დამონტაჟებულ მინიატურულ კომპიუტერში. სპეციალური მოწყობილობა ამ შეტყობინებას სხივური იმპულსების სახით მიაწვდის მინიდისპლეის, იმპულსების სიხშირე შეადგენს 0,006 წამს: ამ დროს არც თვალი და არც ტვინი ცნობიერების დონეზე არ აფიქსირებს მიღებულ სიგნალებს. კლინიკურმა ცდებმა აჩვენა, რომ სათვალის ხმარებისას პაციენტებს აღენიშნებათ მეხსიერების 50%-ით გაუმჯობესება და არ გრძნობენ არავითარ უხერხულობას.

■

ფაქიზული აღაქმანელის მოსწრებული ფაქიზსიტყვაობა

მაქმანიანი საყელო

ზამთრის საღამო იყო. ვარშავის ქუჩებში თოვლი სქელ ფენად იდო. შოპენების ოჯახში ყველას ეძინა. ბავშვების ჩაბნელებულ და მყუდრო ოთახის ფანჯრებში მხოლოდ ქათქათა თოვლის შუქი იფრქვეოდა და საწოლებს სინათლეს ჰფენდა.

შუაღამისას შემკრთალ იუსტინას გამოეღვიძა. მას დარბაზისაკენ მიმავალი ფრთხილი ნაბიჯების ხმა შემოესმა.

პატარა ფრედერიკი ლოგინიდან წამომხტარიყო და ფეხშიშველი, ღამისპერანგისამარა გაყინულ ვესტიბიულში მიცუნცულებდა.

დედა წამოდგა და ფრედერიკს ჩუმად მიუახლოვდა. დარბაზში ციოდა. მან პირმშო ხელში აიყვანა, ჩაკოცნა და სასწაულებრივი მუსიკოსი უწოდა. მერე ისევ ლოგინში ჩააწვინა, საბანი კარგად დაახურა და სთხოვა, ახლავე დაიძინეო. მაგრამ პატარა ბიჭუნას არ ეძინებოდა. იგი დედას ყურში ჩასჩურჩულებდა, ფორტეპიანოზე დაკვრა მინდა ვისწავლოო.

ნორჩი ხელოვანი მაშინ ხუთი წლისაც ძლივს იქნებოდა. ხოლო რვა წლისა მარტო დიდებულად კი არ უკრავდა, პოლონეზისათვის უკვე მუსიკაც შექმნა. სწორედ ამ ასაკში წარდგა ბიჭუნა პირველად კონცერტზე ვარშაველი მსმენელის წინაშე. დებიუტი 1818 წლის 24 თებერვალს შედგა. ამ დროისათვის ფრედერიკ შოპენის სახელი იმდენად ცნობილი გახდა, რომ ბილეთები კონცერტის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაიყიდა.

უჩვეულო მზადება და მღელვარება იყო პირველი კონცერტის წინა პერიოდში. ყველაზე მეტად დედა ღელავდა. მას უნდოდა, რომ ფრედერიკს არა მარტო კარგად დაეკრა, არამედ გარეგნულადაც მომხიბვლელი ყოფილიყო. მან დიდი სიფაქიზითა და გემოვნებით გამოაწყო თავისი პატარა მუსიკოსი. ბიჭუნა მშვენივრად გამოიყურებოდა. ფრედერიკს ეცვა ახალი შავი ხავერდის კოსტიუმი, რომელსაც დიდი თეთრი მაქმანიანი საყელო ჰქონდა. ფრედერიკი განსაკუთრებით ამ საყელოთი ამაყობდა. მისი პირველი კონცერტის წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტაშს დასასრული არ უჩანდა. როგორ წუხდა მაშინ ფრედერიკი, რომ დედამისი გვერდით არ ჰყავდა! იუსტინამ კონცერტზე მისვლა ვერ შეძლო, რადგან ემილია, ფრედერიკის უმცროსი და ავად იყო. კონცერტის შემდეგ, როდესაც ბიჭუნა შინ დაბრუნდა, დედამისმა მაშინვე გამოკითხვა დაუწყო. უნდოდა გაეგო, მსმენელებს ყველაზე მეტად რომელი ნაწარმოები მოეწონათ.

— იცი, დედიკო, ყველაზე მეტი ჩემი მაქმანიანი საყელო მოეწონათ, ყველა იმას უყურებდა! — მიუგო ბიჭმა.

ანეკდოტები

***

— მამიკო, არ გამიბრაზდები?

— გააჩნია, რა ჩაიდინე.

— ყავა დამექცა.

— ეგ არაფერი.

— მეც ასე ვფიქრობ, აი, შენი კომპიუტერი კი, მგონი, ასე არ ფიქრობს... იგი საერთოდ აღარ ფიქრობს.

***

— სად დაეთრეოდი, შე ლოთო, ღამის ოთხი საათია!

— რა, შინ რომ ვმჯდარიყავი, თორმეტი საათი იქნებოდა?

***

— მართალია, რომ შენი შეყვარებულის ახლობლები ვერ გიტანენ?

— მართალია. მისი ცოლი მზად არის, თმით მითრიოს...

***

ერთი ცნობილი მხატვარი რომელიღაც ოფიციალურ მიღებაზე უცნობ ქალს გადაეხვია და აკოცა:

— მაპატიეთ, სენიორა, მაგრამ ძალიან ჰგავხართ ჩემს მეუღლეს.

— არამზადა, სულელო, ლოთო!

მხატვარმა სხვა სტუმრებს გადახედა და წამოიძახა:

— საოცარია! ზუსტად ჩემი ცოლივით ლაპარაკობს!

***

ცოლს ქმრის ცემის გამო ასამართლებენ:

— რატომ სცემეთ ქმარი? — ეკითხება მოსამართლე.

— საქმე ასე იყო: სასწრაფოდ გამომიძახა სამსახურიდან, შემიყვანა საძინებელში, გამაშიშვლა, ჩამაწვინა ლოგინში და მითხრა: „დღეს პირველი აპრილია, ძვირფასო“.

***

მონოლოგი:

— ცუდია, როცა ახალგაზრდა ცოლი გყავს და იგი სულ ავადმყოფობს, მაგრამ უფრო ცუდია, როცა ბებერი ცოლი გყავს და იგი სრულიად ჯანმრთელია.

***

— ისევ სვამ?

— არა, „პახმელიის“ წინააღმდეგ ვიბრძვი.

***

ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს:

— როგორ ხარ, რას შვრები?

— კარგად, ცოლი შევირთე. აი, მისი ფოტო.

— რას იზამ, უარესებიც არსებობს.

— რა-ა?

— უკაცრავად, უარესი არ არსებობს.

***

— წელს სად ისვენებდი?

— ეჩენტუკში.

— შარშან?

— ჩოჩაში.

— შარშანწინ?

— ჩოხუმში.

— გაგრაში წასულიყავი, ჩე კაცო.

***

ორი მამაკაცი საუბრობს:

— გახსოვს ის გოგო, ჩემს დაბადების დღეზე რომ გაგაცანი?

— არა.

— როგორ არ გახსოვს, ლამაზია, ხალი აქვს ტუჩზე, ძალიან სექსუალურია.

— ჰოო, გამახსენდა, მერე რა?

— მისი ქმარი ჩემი საყვარელია.

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი
(22 - 28 მარტი)

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: კარიერაში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი. მოგიწევთ, მომთხოვნი გახდეთ და მეტი სიმკაცრე გამოიჩინოთ იმ მეგობრების მიმართ, რომლებიც თქვენთან ერთად მუშაობენ. როგორც ამბობენ, „საქმემ ძმაკაცობა არ იცის“.

მამაკაცი: ამ კვირაში დიდი ტვირთი დაგაწვებათ მხრებზე და კარგა ხანსაც მოგიწევთ მისი ზიდვა. ყურებს ნუ ჩამოყრით, შეინარჩუნეთ ხალისიანი განწყობილება და არ დაკარგოთ უკეთესი მომავლის რწმენა. შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ყოველთვის ჩრდილში დგომა საუკეთესო გამოსავალი არ არის პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად. დაფიქრდით, იქნებ თქვენი ბრალია, რომ საპირისპირო სქესის წარმომადგენლები თქვენში მხოლოდ კარგ მეგობარს ხედავენ?

მამაკაცი: ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი ოჯახის წევრების მიმართ. ეცით პატივი მათ უფლებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახურ სკანდალს ვერ ასცდებით და ამაში დამნაშავე თქვენვე იქნებით.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: დადგა დრო, გადაწყვიტოთ რა გირჩევნიათ: მშვიდი, წყნარი ცხოვრება თუ მოულოდნელობებითა და თავგადასავლებით აღსავსე ყოფა? თუ ორ, განსხვავებული ტიპის მამაკაცს შორის არჩევანს გააკეთებთ, ყველაფერი თავისთავად გადაწყდება.

მამაკაცი: მთელი არსებით საქმეებში ხართ ჩაფლული და დასვენებაზე არც კი ფიქრობთ. არადა, ისე გადაიღალეთ, რომ ახლობლების დანახვაც კი გაღიზიანებთ. დასვენება ნამდვილად მოგიხდებათ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: სერიოზული ცვლილებები გელით, მაგრამ ზედმეტად გულახდილი ნუ იქნებით და თქვენს შემოქმედებით გეგმებს ნურავის გაანდობთ. თამამად წამოიწყეთ ახალი საქმე – წარმატება კარს მოგდგომიათ.

მამაკაცი: ეცადეთ, ადამიანებში უპირველესად დადებითი მხარეები დაინახოთ. ამ კვირაში ზედმეტად კრიტიკულად იქნებით განწყობილი ყველაფერ იმის მიმართ, რაც თქვენ გარშემო ხდება. დაივიწყეთ უსაფუძვლო ეჭვები, რომელიც ხელს გიშლით მეგობრებთან ურთიერთობაში.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ამ კვირაში თუ თავშეკავებას არ გამოიჩენთ, მზრუნველი ადამიანისგან გამაღიზიანებელ ტიპად იქცევით. გირჩევთ, ახლობლებთან ურთიერთობისას მეტი დელიკატურობა გამოიჩინოთ.

მამაკაცი: განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ. თქვენ უკვე მიეჩვიეთ, რომ ყველაფერი იოლად გამოგდით. შეიძლება ძველ მეგობარს თქვენი დახმარება დასჭირდეს. თუ ხელმძღვანელებთან ურთიერთობა დაგეძაბათ, დაუფიქრებლად მიმართეთ საერთო მეგობრებს.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ფინანსური მდგომარეობა კვირის დასაწყისშივე გაგიუმჯობესდებათ. ეს სხვა საქმეებზე გადართვის საშუალებას მოგცემთ. უქმე დღეებში შეგიძლიათ სასიყვარულო ფრონტზე იაქტიუროთ. ყურადღება მიაქციეთ გარეგნობას.

მამაკაცი: მოერიდეთ ალკოჰოლს. კვირის მეორე ნახევარი საკმაოდ დაძაბული გექნებათ. უფროსებთან კონფლიქტი თავიდან რომ აიცილოთ, შეეცადეთ მათ ნაკლებად მოხვდეთ თვალში. გამოჩნდებიან თქვენი მოშურნეებიც.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: კვირის პირველი დღეები ნათესავებთან ურთიერთობის მოწესრიგებას დაუთმეთ. შემდეგ ამისთვის ნამდვილად ვერ მოიცლით. ბევრი საქმე გექნებათ, მაგრამ ჯანმრთელობაზე ზრუნვა არ უნდა დაივიწყოთ.

მამაკაცი: ისარგებლეთ იმით, რომ სამსახურში ახლა ნაკლები საქმე გაქვთ და თავს მცირედი დასვენების უფლება მიეცით. გაერთეთ მეგობრებთან ერთად. თუ დაოჯახებული ბრძანდებით, მეუღლეც თან წაიყვანეთ და დროს ჩინებულად გაატარებთ.

ღრიანცელი – 24/X-22/XI

ქალი: ბოლო დროს ნოსტალგია მოგეძალებათ. მოერიდეთ სიმარტოვეს. თუ ახალ სამსახურს შემოგთავაზებენ, კარგად დაფიქრდით და ზედმიწევნით გაერკვიეთ დეტალებში.

მამაკაცი: თუ პარტნიორს სათანადო ყურადღება არ დაუთმეთ, პირად ცხოვრებაში პრობლემები არ აგცდებათ. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანები – მაგალითად, წესრიგი სამუშაო ადგილას, გავლენას ახდენს საქმეში წარმატების მიღწევაზე.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: კვირის დასაწყისში შეიძლება, გაგახსენდეთ, რომ „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“. შესაძლოა, აღმოაჩინოთ, რომ ცხოვრების რიტმს ჩამორჩით და შეხედულებები უნდა გადასინჯოთ. ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ შეიცვალეთ ცხოვრების სტილი. თანამედროვეობას უნდა აუწყოთ ფეხი.

მამაკაცი: პირადი პრობლემები თქვენთვის მეორეხარისხოვანი გახდება. თუ ხელოვანი ბრძანდებით, დროს უქმად ნუ დაკარგავთ და შედევრის შესაქმნელად ხელსაყრელ პერიოდს სხვა საქმისთვის ნუ გამოიყენებთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: კვირის ბოლოს, თავის გალამაზების სურვილი თქვენს მყარ მატერიალურ მდგომარეობას დაემთხვევა. შაბათ-კვირას შეძენილი ნივთით დიდხანს ისიამოვნებთ. სასიყვარულო ურთიერთობები ბედნიერების განცდას გაგიძლიერებთ.

მამაკაცი: ამ კვირაში შეიძლება დაადასტუროთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური ნიშნის მატარებელი ხართ. თავი აარიდეთ მწვავე დისკუსიებს – აზრი არ აქვს, მაინც ვერაფერს დაამტკიცებთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ძალიან ბევრი საქმის კეთება მოგიწევთ და თანაც ძალიან მოკლე დროში. ამიტომ იმისათვის, რომ ყველაფერმა წარმატებით ჩაიაროს, ეცადეთ, თავიდანვე განსაზღვროთ პრიორიტეტები.

მამაკაცი: საგანგებო ყურადღება დაუთმეთ საოჯახო პრობლემების მოგვარებას, თავი შეიკავეთ ფინანსური ოპერაციებისგან. გამორიცხული არ არის, საქმე უქმე დღეებშიც გამოგიჩნდეთ, თუმცა ის მაინც სიამოვნებას მოგგვრით.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ორშაბათს და პარასკევს ურთიერთობის გარკვევას ნუ ეცდებით – ეს დღეები ინტიმური შეხვედრებისთვის უფრო მოსახერხებელია. შეიძლება გავლენიანი ადამიანის ყურადღების ცენტრში მოექცეთ, მაგრამ შორს მიმავალ დასკვნებს წინასწარ ნუ გააკეთებთ.

მამაკაცი: თანდათან ხვდებით, რომ შეგიძლიათ ლიდერის როლი იტვირთოთ, უფრო მეტიც, ინიციატივის ხელში აღება თქვენთვის აუცილებელიც კია. ეცადეთ, შაბათ-კვირას კარგად დაისვენოთ და ენერგია აღიდგინოთ.

ჩვილთა კვების ფირმა
მდინარე სამხრეთ ამერიკაში
ენსაფდმული ბაშვის ლაპარაკი
ამფიბია
ცენტრ-ფორვარდი პელეს დროინდელ ნაკრებში
ზაზა ფაჩულიას გუნდი „... მეგიკი“
ლაბირინთში მცხოვრები მთ. არსება
ციხესიმაგრე ძველ თბილისში
მამბოს „მეფე“ — ... ბეგა
ბეჭრა ლაბ-ილი
ბერდას მეგობარი
რაიონული ცენტრი რაჭაში
პლომბირი
წიგნის დაუწერლად დატოვებული კიდ
ტროპიკული მახრჩობელა
ნიუნინოვგოროდი კომუნისტების დროს
პარიზის აეროპორტი
„შესანიშნავი“ ბელმონდო და ...
ანთქმული შვედი ნოკაუთელი
ფიცარი ფანჯრის ძირში
დედააზრი
ქართული კონიაკი
ცეცხლსასროლი იარაღი
რუსული თვითმფრინავის მარკა
პორტუგალიელი ფეხბურთ.
სამაჯური
პრესტიჟული ავტოკლამი
ძველბერძნული სპილენძის მონეტა
ბერძნული ანბანის პირველი ასო
კიევის დაძარსებელი
ინგლ. პოპ-მომღერალი და კომპ. ...
ატარა რესტორანი
სასულიერო ახალი
თაქარაშვილის ოპერა
ავსტრალ. სირაქლემა
ზერხემლის ძვალი
„რაინდთა“ კუნძული
ქართველი მწერალი ... ჩიანელი
ფრანგი მწერალი
ორი წერტ. კამათელზე
დედმამის-შვილი
იტალიის ტელეკომპანია
ფრანგი ჭიშასობა
კედლის შანდალი
უნგრელი პოეტი, რევოლუციონერი დემოკრატი

ᲣᲕᲐᲓᲒᲘᲜᲐ
ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ



„ქუჩის მიჯები“ ეგვიპტეში, ახალი სიტუაცია „არტ-იმედში“ და ჯოხელი ზურა ხაჩიძის შესახებ

12 მარტს „ქუჩის ბიჭები“ ეგვიპტეში გაემგზავრნენ, სადაც საქართველოს დღეები გაიმართება და „ქუჩის ბიჭები“, სხვადასხვა ქართულ ქორეოგრაფიულ ანსამბლთან ერთად, კონცერტს გამართავენ. გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ზურა ხაჩიძეს შევხვდი და ჯგუფის თაყვანისმცემლებისთვის საინტერესო საკითხებზე ვესაუბრე.

— ეგვიპტეში 10 დღე დავრჩებით. იქ არაკომერციული გამოსვლა გვექნება და საქართველოს დღეებზე ჩვენი ჯგუფის საპრეზენტაციო კონცერტი გაიმართება. იქ შევასრულებთ როგორც საესტრადო სიმღერებს, ასევე ქართული ფოლკლორის ნიმუშებს. ბედნიერი ვარ, რომ მდიდარი ტრადიციების ქვეყანაში მივდივართ, სადაც ჩვენს ქვეყანას წარმოვაჩენთ და იქაურ კულტურასაც ვეზიარებით.

— პაატა ცეცხლაძე როგორ შეერწყა ჯგუფს და მისი მონაწილეობით უკვე თუ ჩაწერეთ სიმღერები?

— პაატა ძალიან კარგი ადამიანია და იოლად შევეწყეთ ერთმანეთს. ჯგუფში მისი მოსვლისთანავე ჩავწერეთ ახალი სიმღერა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდს მიეძღვნა. ახლაც მიმდინარეობს ახალი სიმღერების ჩაწერა.

— ეგვიპტეში როგორ იმღერებთ? ხელახლა ჩაწერეთ თქვენი რეპერტუარი პაატასთან ერთად?

— საერთოდ, ბოლო პერიოდში ვცდილობთ, რომ ყველა კონცერტზე ცოცხლად ვიმღეროთ. ეგვიპტეშიც მინუს ფონოგრამა დაგვჭირდება. პაატას კი, ყველა სიმღერა უკვე ნასწავლი აქვს.

— რა შეგიძლია გვითხრა „არტ-იმედში“ მიმდინარე რეორგანიზაციის შესახებ? ამბობენ, კომპანიიდან რამდენიმე მომღერალს გაუშვებენო...

— „არტ-იმედის“ ხელმძღვანელად მერაბ სეფაშვილი დაინიშნა და იმედი მაქვს, რომ კომპანია ნორმალურ სტრატეგიას აირჩევს. ჩვენს ჯგუფს ამ კომპანიასთან სამწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ჯერ მხოლოდ ერთი წელი გავიდა, შესაბამისად, მათ ჩვენი გაშვების უფლებაც არა აქვთ. თუ კომპანია აღმავლობის გზას დაადგება, ჩვენ მას დიდ შემოსავალს მოვუტანთ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბევრი მომღერალი აპირებს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი, თუკი მას კომპანიიდან დაითხოვენ. ვფიქრობ, დაუშვებელია უჩივლო კომპანიას, რომელმაც ამდენი ხანი უზრუნველყო შენი ელემენტარული საცხოვრებელი პირობები და ა.შ. მერწმუნეთ, ქართულ შოუბიზნესში საკმაოდ დიდი პოტენციალი დევს და თუ „არტ-იმედი“ სწორი გზით წავა, დიდ მოგებას ნახავს.

— გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამიერიდან მომღერლებს ყოველთვიური ხელფასები მოეხსნებათ და გასამრჯელოს მხოლოდ ჩატარებული კონცერტების მიხედვით მიიღებენ...

— ეს კონფიდენციალური საკითხია. „ქუჩის ბიჭებთან“ კომპანია პირნათლად ასრულებს კონტრაქტის პირობებს.

— თქვენ ჯგუფის ყოფილ წევრს ირაკლი ნოზაძეს მოკლე ხანში დაენგრა ოჯახი. სულ ახლახან, გურამიკო ლომიძეც გაეყარა ცოლს — ხატია შამუგიას. თუ შეგიძლია ამ საკითხზე რაიმე კომენტარის გაკეთება?

— ეს ისეთი საკითხია, რომ თავშეკავებულობა მმართებს. ცხოვრებაში ერთხელ მქონდა შემთხვევა, როცა ოჯახის საქმეში მის სასიკეთოდ ჩავერიე, მაგრამ სამწუხაროდ, დიდი დარტყმა მივიღე, რადგან ცოლ-ქმარმა არასწორად გაიგო... კონკრეტულად ირაკლიზე ვერაფერს ვიტყვი. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ნებისმიერ კაცს შეუძლია ოჯახის შენარჩუნება. როცა ოჯახი ინგრევა, ორივე მხარე რაღაც-რაღაცებში ცდება. ბევრს ვესაუბრებოდი გურამს, ვეუბნებოდი, რომ არ უნდა დაენგრია ოჯახი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფერს გავხდი. ხატიასთან ძალზე კარგი დამოკიდებულება მქონდა და იმედი მაქვს, ჩვენი ურთიერთობა ისევ გაგრძელდება. რა თქმა უნდა, გურამი ჩემი ბავშვობის მეგობარია, მაგრამ არა ნაკლებად მიყვარს ხატიაც. იმედს ვიტოვებ, რომ ისინი კვლავ ერთად იქნებიან.

— შენს პირად ცხოვრებაზე რა შეგიძლია გვითხრა?

— არც ვადასტურებ და არც უარვყოფ შეყვარებული ვარ თუ არა. ჩემს პირად ცხოვრებაზე საუბარი არ მიყვარს და ზედმეტი ლაპარაკის უფლებასაც არავის ვაძლევ...

— ალბათ იცი, რომ შენზე ბევრს ჭორაობენ...

— მართალია, ჩვენზე ბევრი ჭორი ვრცელდება. ზოგიერთი მათგანი უბრალოდ, მაღიზიანებს და მეტი არაფერი. ბოლო დროს, ჩემზე სხვადასხვა ჭორი ვრცელდება — ხან ვიღაცის საყვარლად მაცხადებენ, ხან ცოლად ვიღაც მომყავს... გამოდის, რომ საზოგადოების რაღაცა ნაწილისთვის საინტერესო ვარ, რაც სტიმულს მაძლევს. ცუდი ის იქნებოდა, რომ შოუბიზნესში ვსაქმიანობდე და ჩემზე არავინ ჭორაობდეს. ჭორიკანებს მინდა ვთხოვო, რომ ისეთი რამე არ თქვან, რაც ჩემთვის აბსოლუტურად უცხოა. ყველაზე შეურაცხმყოფელი იყო ჭორი, რომელიც დიდი ხნის წინ გავრცელდა — თითქოს „ქუჩის ბიჭები“ ცისფერები ვიყავით. ამან ძალზე გამაღიზიანა, რადგან, ზედმიწევნით სწორი ორიენტაცია მაქვს.

— რამ შეიძლება უარი გათქმევინოს კარიერაზე?

— სიყვარულმა. თუმცა, იმედი მაქვს, ასეთი არჩევანის გაკეთება არ მომიწევს.

— რომ არა მომღერალი, პროფესიით ვინ იქნებოდი?

— აუცილებლად ფეხბურთელი ვიქნებოდი, რადგან 15 წლამდე, საკმაოდ კარგად ვთამაშობდი ფეხბურთს. მერე ბოტკინი შემხვდა, რის გამოც გარკვეული პერიოდით თამაში შევწყვიტე, მერე კი სიმღერით დავინტერესდი და ფეხბურთზე საბოლოოდ ვთქვი უარი...

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

მოამზადა ნათია ქევიძემ

რამდენად კარგად იცნობთ საკუთარ მეორე ნახევარს?

ლოგიკური იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ თქვენი ყველაზე ახლობელი ადამიანი — ცოლია. აქედან გამომდინარე, სრულიად მოსალოდნელია, რომ თქვენ მას ყველაზე უკეთ იცნობდეთ. თუმცა საკითხავია, რეალურად ასეა თუ არა ეს?

ქვემოთ მოყვანილ ტესტს აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია ნამდვილად არ აქვს. შეგიძლიათ, როგორც ხუმრობას ისე მოეკიდოთ მას, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ შედეგებმა დაგაფიქროთ.

ყოველ შეკითხვაზე უნდა უპასუხოთ „დიახ“ ან „არა“. დადებით პასუხში დაიწერეთ 5 ქულა, უარყოფითში — 0.

1) გიმხელთ თუ არა პირად საიდუმლოებას ცოლი?
2) ცნობილია თუ არა თქვენთვის მისი საყვარელი ფერი?
3) იცით თუ არა, რა ხერხით ამჯობინებს თქვენი მეუღლე სტრესის მოხსნას?
4) იცით თუ არა, რამდენს იწონის თქვენი მეორე ნახევარი?
5) ცნობილია თუ არა თქვენთვის, ყველაზე მეტად რა ხიბლავს მას თქვენში?
6) იცით თუ არა, ყველაზე მეტად რა აღიზიანებს მას თქვენში?
7) იცით თუ არა, რომელია მისი საყვარელი კერძი?
8) იცით თუ არა, რა არის თქვენი თანამეცხედრის სუსტი წერტილი?
9) ცნობილია თუ არა თქვენთვის რაიმე, მისი საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ?
10) იცით თუ არა, რისი ეშინია მას ყველაზე მეტად?

დაანჯამეთ ქულები

40-50 ქულა: გილოცავთ! თქვენ არაჩვეულებრივად იცნობთ საკუთარ მეუღლეს. ეს კი, სერიოზული წინაპირობაა ხანგრძლივი და ბედნიერი თანაცხოვრებისათვის.

30-35 ქულა: კარგი შედეგია. უნდა გითხრათ, რომ თქვენ საკმაოდ კარგად იცნობთ ცოლს. თუმცა, ცუდი არ იქნებოდა, რომ მის პიროვნულ სხვა თვისებებზეც გაგემახვილებინათ ყურადღება.

20-25 ქულა: შეიძლება ითქვას, რომ საკმარისად კარგად იცნობთ ცოლს, თუმცა ამას სრულყოფილს მაინც ვერ ვუწოდებთ. სასურველი იქნება, თუ მას უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობთ.

20 ქულაზე ნაკლები: თქვენს მეორე ნახევარს ცუდად იცნობთ. მისდამი მეტი ინტერესის გამოჩენას გირჩევთ, რათა უკეთ გაიცნოთ და უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროთ მასთან.

გიყვართ თუ არა სიცილი?

1) გიყვართ თუ არა სიცილი?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

2) შეგიძლიათ თუ არა შექმნილი უხერხული სიტუაციიდან იუმორის მეშვეობით გამოსვლა?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

3) იზიარებთ თუ არა გავრცელებულ აზრს, რომ ამ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე სასაცილო რამ, ქორწინებაა?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

4) იცინით თუ არა მარტო ყოფნისას, როცა მხიარულ რამეს კითხულობთ ან ტელევიზიით რაიმე სასაცილო გადაცემას უყურებთ?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

5) შეგიძლიათ თუ არა არაფერი შეიმჩნიოთ ისეთ სიტუაციაში, როცა გრძნობთ, რომ გატყუებენ?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

6) თქვენი ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები თუ ჰყვებიან ანეკდოტებსა და სასაცილო ამბებს?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

7) წვეულებაზე ყოფნისას ცდილობთ თუ არა ყურადღების ცენტრში მოქცევას და ირგვლივმყოფებზე ყველაზე მახვილგონიერი ადამიანის შთაბეჭდილების მოხდენას?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

8) გაღიზიანებთ თუ არა ირგვლივმყოფთა სიცილი, მაშინ, როცა თქვენ თავად ცუდ ხასიათზე ხართ?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

9) ამქვეყნად არსებულ უამრავ ჟანრს შორის უპირატესობას კომედიას ხომ არ ანიჭებთ?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

10) მიაკუთვნებთ თუ არა საკუთარ თავს კარგი იუმორის გრძნობის მქონე ადამიანთა რიგს?
ა) დიახ – 1;
ბ) არა – 0.

დაანჯამეთ ქულები

6-10 ქულა: ძალზე მხიარული ადამიანი ხართ. თავადაც გიყვართ სიცილი და სხვა ადამიანების გამხიარულებასაც გამუდმებით ცდილობთ. საკმაოდ კარგი იუმორის გრძნობითაც გამოირჩევით, ამის მეშვეობით კი, ცხოვრების უმძიმეს მომენტებს არა მარტო საკუთარ თავს უმსუბუქებთ, არამედ ირგვლივმყოფებსაც.

5-0 ქულა: იუმორის გრძნობით დიდად არ გამოირჩევით. გირჩევთ გაითვალისწინოთ, რომ ღიმილი და სიცილი ადამიანის ჯანმრთელობაზე, სტაბილურობასა და ცხოვრებაში მოპოვებულ წარმატებაზე მეტყველებს. იუმორის, ღიმილისა და სიცილის მეშვეობით ხომ ბევრად იოლია ყოველგვარი უსიამოვნების დაძლევა. თქვენ კი, ყველაფერს ძალზე სერიოზულად აღიქვამთ. ჩვენი კეთილი რჩევაა, შედარებით მსუბუქად შეხედოთ მოვლენებს, მაშინ აუცილებლად აღმოაჩენთ, რომ ამ ცხოვრებაში ყველაფრის სერიოზულად აღქმა არ გამოგადგებათ. შეეცადეთ, უფრო მხიარული კუთხიდან მიუდგეთ ცხოვრებას და მასში უამრავ სასაცილო რამეს დაინახავთ.

70 წლის გერმანელს მშობლიური ენა დაავიწყდა

ყოფილ გერმანელ პოლიციელს, 70 წლის იოჰან რიხტერს გასულ კვირას ინსულტი დაემართა, რის შედეგადაც მშობლიური ენა საერთოდ დაავიწყდა. ამჟამად ის გერმანულად სიტყვასაც ვერ იხსენებს და იძულებულია, ოჯახის წევრებსა და ნათესავებს მხოლოდ ინგლისურად ესაუბროს. როგორც მისი ქალიშვილი ევა რიხტერი ამბობს, მამამისი ყოველთვის კარგად ფლობდა ინგლისურ ენას და ავადმყოფობის შედეგად – რამაც მეტყველების ცენტრის დარღვევა გამოიწვია – ერთადერთი ენა, რომელზე ლაპარაკიც შეუძლია, სწორედ ინგლისურია.

იოჰან რიხტერის მკურნალმა ექიმმა, ლაიფციგის ჰოსპიტლის ნევროლოგმა – დიტმარ შრაიდერმა, მომხდარს შემდეგი ინტერპრეტაცია მისცა: „ტვინი გიგანტური კომპიუტერია. როცა მეტყველების ცენტრი ირღვევა, პაციენტი უცხო ენაზე იწყებს ლაპარაკს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მაშინ, როცა ადამიანი რამდენიმე უცხო ენას ფლობს.“ ■

ჯენიიელი ფერმერი მეზობლებმა ძალით დაბანეს

„ჩრდილო-დასავლეთ კენიის პატარა ქალაქ კაპენგურში მცხოვრები ფერმერი, რომელსაც 10 წელია, არ უბანავია, გაცეცხლებულმა მეზობლებმა ძალით აბანავეს“ – გვაცნობებს BBC.

52 წლის ბერბიჭა ჯონ კასოკონგი ისე საშინლად ყარდა, რომ მის მეზობლებს ცხოვრება სატანჯველად ექცათ. მოთმინების ფიალა რომ აევსოთ, მათ ასეთი გეგმა შეიმუშავეს: ერთ დღესაც, როცა ფერმერის შინ დაბრუნების დრომ მოაწია, მას ოთხი, ფიზიკურად ძლიერი მამაკაცი დაუდარაჯდა. კასოკონგი დაიჭირეს, გათოკეს და სულ ძალისძალად აბანავეს. თვითმხილველნი ჰყვებიან, რომ ამ პროცედურას, ადგილობრივი ხელმძღვანელობის ჩათვლით, თითქმის მთელი ქალაქი ესწრებოდა.

ჯონ კასოკონგის ერთ-ერთი მეზობლის თქმით, მყრალი სუნი, რომელიც ჯონ კასოკონგის სახლიდან გამოდიოდა, მთელ ქუჩაზე ვრცელდებოდა. „ჩვენთვის – მის ახლომახლო მცხოვრებთათვის, აუტანელი გახდა ასეთ პირობებში ცხოვრება და სწორედ ამიტომაც მივიღეთ ამგვარი გაწყვეტილება“. – დასძინა მან. ■

მთვრალმა მონაზონმა ავარია მოახდინა



პოლონელმა მონაზონმა, რომელიც მონასტრიდან გაიქცა, ალკოჰოლური სასმელი ჭარბად მიიღო, შემდეგ ტრაქტორის საჭეს მიუჯდა და გაჩერებულ ავტომობილს შეასკდა. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მონაზონის სისხლში დაფიქსირებული ალკოჰოლის დოზა 17-ჯერ აჭარბებდა ტრანსპორტის მართვისთვის დასაშვებ ნორმას.

45 წლის მონაზონს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისთვის და ავტოსაგზაო შემთხვევის მოხდენისთვის. ■

ჯალიფორნიაში მოზარდებს ხმის უფლებას მისცემენ

კალიფორნიის შტატში მილიონობით მოზარდს შეეძლება არჩევნებში მონაწილეობის მიღება, თუკი კონსტიტუციაში იმ შესწორებებს შეიტანენ, რომელიც დემოკრატმა-სენატორმა ჯონ ვასკონსელოსომ შეიმუშავა.

71 წლის კანონმდებელს მიაჩნია, რომ ამერიკელი მოზარდები, ინტერნეტის, ტელევიზიისა და მობილური ტელეფონების საშუალებით, გაცილებით კარგად არიან ინფორმირებულნი და უკეთ ერკვევიან პოლიტიკაში, ვიდრე მათი მშობლები. ამიტომ, აუცილებელია, 16 და 14 წლის კალიფორნიელებს, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება დართონ. „ამასთან ერთად, 16 წლის მოზარდის ხმა სრულწლოვანი ამომრჩევლის ხმის ნახევრად, ხოლო 14 წლის მოზარდის ხმა, მის მეოთხედად უნდა ჩაითვალოს“ გადმოსცემს „ინტერფაქსი“.

33 წლის წინ, ამერიკაში ამომრჩეველთათვის ასაკის მინიმუმი 21-იდან 18 წლამდე დაეცა. ■

ფოტოკუჩიოზები

ყველაზე გასართობი ჟურნალები

b 105/10
F 1224
2004